

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მარიამ ბაბუხაძია

მოდულის გამოსატვის
ბრამატიკული საშუალებები
ინბლისურსა და ქართულში

10.02.04 – გერმანიკული ენები

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ზაალ კიკვიძე

ქუთაისი
2010

შ ე ს ა გ ა ლ ი ————— 3

თ ა ვ ი I

მოდალობა, როგორც ენობრივი ფენომენი: ტიპები, მნიშვნელობები, კონცეფციები
————— 10

თ ა ვ ი II

მოდალურ მნიშვნელობათა გამოსატვის გრამატიკული საშუალებები ქართულ ენაში ————— 41

§ 2.1 მოდალობა: ცნება და ტერმინი ქართულში ————— 42

§ 2.2 ჩართული როგორც მოდალური მნიშვნელობის მოდულატორი ————— 47

§ 2.3 მოდალური მნიშვნელობები და მათი გადმოცემის სისტემურობის საკითხი ქართულში ————— 52

§ 2.3.1 მორფოლოგიის დონე ————— 54

§ 2.3.2 მორფოლექსიკური დონე ————— 56

§ 2.3.3 სინტაქსური დონე ————— 66

§ 2.4 ქართული ენის მოდალურ ელემენტთა გლოსარიუმი ————— 68

თ ა ვ ი III

მოდალობის გამოსატვის გრამატიკული საშუალებები ინგლისურ ენაში

§ 3.1 მოდალობის გამოსატვის სისტემა ინგლისურ ენაში —————

86

§ 3.2 მოდალობის კლასიფიკაციები ინგლისურ ენაში —————

89

§ 3.3 მოდალური ზმნები ინგლისურ ენაში ————— 100

თ ა ვ ი IV

მოდალურ მნიშვნელობათა გამოსატვის გრამატიკული საშუალებების ტიპოლოგიური ანალიზი ————— 111

დასკვნა ————— 146

დამოწმებული წყაროები ————— 156

ლიტერატურა ————— 157

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მოდალობის თავისებურებებისა და სხვადასხვა ენაში მისი გამოხატვის სპეციფიკური ნიშნების შესახებ საუბრის დასაწყებად აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ცნება და შესაბამისი ტერმინი მეცნიერების სხვადასხვა დარგში გამოიყენება: ენათმეცნიერებაში, ლიტერატურათმცოდნეობაში, ფილოსოფიაში, ლოგიკაში, მედიცინაში, საინფორმაციო ტექნოლოგიაში და ა. შ. აღსანიშნავია, რომ მოდალობის ცნებას თავდაპირველად ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე შეესო თავის ცნობილ ნაშრომში “მეტაფიზიკა”. საგულისხმოა ისიც, რომ საკუთრივ ენათმეცნიერების ფარგლებში მისი გაგება საკმაოდ არაერთგვაროვანია: გვხვდება არა მარტო ერთმანეთისაგან განსხვავებული, არამედ ურთიერთგამომროცხავი მიდგომებიც მოდალობასთან დაკავშირებით. ამასთანავე, განსხვავებული მიდგომების არსებობა ასევე განაპირობებს როგორც ნაირგვარ მიმართებას ერთი და იმავე ენობრივი მასალის მიმართ, აგრეთვე სხვადასხვა სახის ემპირიული მასალის მოხმობას, რაც კიდევ უფრო ართულებს ვითარებას. არსებული სიტუაციის შესახებ თავის დროზე მოხდენილად ბრძანა მ. რ. პერკინსმა: მოდალობის კვლევა “ძალიან ჰგავს ხალხით გადაჭედებულ ოთახში გადაადგილებას, როცა ძალიან ძნელია ისე იმოძრაო, რომ ფეხი არავის დააჭირო” (Perkins, 1983: 4). ცალი თვალითაც რომ შევხედოთ სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილ სურათს, ნათელი გახდება, რომ ამ მხრივ არსებული ვითარება მთლად მწყობრი და უნიფიცირებული არ გახლავთ. სანიმუშოდ განვიხილოთ უფრო ზოგადი ხასიათის კლასიფიკაცია: როგორც ცნობილია, მოდალობის საკითხის შესწავლას ენათმეცნიერებაში ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნია. მოდალობის პრობლემებთან დაკავშირებით შექმნილია უამრავი ნაშრომი, რომლებშიც მოდალობის ცნება სხვადასხვაგვარადაა ახნილი. ამიტომაც, უმჯობესი იქნება, განვიხილოთ მისი სახეები. როგორც წესი, მოდალობის შესახებ საუბრობენ ფართო და ვიწრო გაგებით. ზოგიერთი მკვლევარი პირველ მათგანში

განიხილავს ეგრეთ წოდებულ ზოგად ანუ კონსტიტუტიურ მოდალობას, რომელიც პრედიკატიულობის ერთ-ერთ კატეგორიას წარმოადგენს და წინადადების სავალდებულო გრამატიკულ მნიშვნელობას მიეკუთვნება. ზოგადი მოდალობის საშუალებით მოლაპარაკე წინადადების გრამატიკულ ფორმულას გამონათქვამში მისი რეალიზაციისას ანიჭებს შეტყობინების, კითხვის, ბრძანების ან სურვილის სტატუსს (Хамп 1978), რაც შეესაბამება გამონათქვამის ოთხ ტიპს (თხრობითი, კითხვითი, იძულებითი, ნებელობითი). მოდალობის ამ “ზოგად” გაგებას ასევე უსადაგებენ მოდუსის ცნებას, რომელშიც თავის მხრივ გამოყოფენ მოდალობას უფრო ვიწრო მნიშვნელობით. რაც შეეხება მოდალობას ვიწრო გაგებით, მას შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი სემანტიკური კატეგორიები: ობიექტური მოდალობა, რომელიც ვითარებას ახასიათებს როგორც რეალურს ან ირეალურს; ეპისტემური ანუ სუბიექტური მოდალობა, რომელიც ახასიათებს ვითარებას სანდოობის პლანში მოლაპარაკის თვალსაზრისით; ინტენციური მოდალობა, რომელიც ადამიანის ცნობიერებას აღწერს როგორც მიმართულს გარკვეული ვითარებისაკენ. როდესაც ობიექტური მოდალობის თვალსაზრისით ვითარება ხასიათდება როგორც ირეალური, წარმოიქმნება ზოგიერთი მნიშვნელობა, რომლებიც აღნიშნავენ იმას, რომ მოვლენა ირეალურობიდან რეალურობისაკენ შემობრუნდა. ირეალურობის სემასთან ერთად მათი კომპონენტური სტრუქტურა შეიცავს ისეთ კომპონენტებს როგორებიცაა, მაგალითად, ვოლუნტატიურობა, გრადუალურობა ან კატეგორიულობა. თავისთავად ცხადია, რომ, როგორც თეორიული, ასევე გამოყენებითი ლინგვისტიკის თვალსაზრისით, ამგვარი ვითარება ნაკლებად სასარგებლოა. ამასთანავე, მიუხედავად არსებული მდიდარი სპეციალური ლიტერატურისა, თითქმის არ არსებობს ისეთი ნაშრომი, სადაც მოდალობის შესახებ წარმოდგენილი ერთმანეთისაგან განსხვავებული და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი მიდგომებისა და შეხედულებების კომპლექსურად განხილვა და შეჯერება იქნებოდა მოცემული. არადა, ასეთი შეჯერება წაადგებოდა როგორც საკითხისადმი თეორიულ მიდგომას, ასევე ისეთ ტიპოლოგიურ გამოკვლევებსაც, რომლებიც შემდგომში მყარ საფუძველს შეუქმნიდნენ გამოყენებითი ლინგვისტიკის ისეთი პრობლემების მოგვარებას, როგორებიცაა თარგმანი და ენის სწავლება.

არსებული ვითარება კიდევ უფრო მეტ აქტუალობას მატებს ჩვენ მიერ საკვლევად არჩეულ თემას, მით უმეტეს, რომ არცთუ იშვიათად ტიპოლოგიურ

კვლევებში ემპირიულ მასალად შესადარებელი ენებიდან სისტემის სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ერთეულებს მოიხმობენ ხოლმე. ამით იმის თქმა არ გვსურს, რომ ამგვარი მოქმედება არაკანონზომიერია, თუმცა ყოველთვის, რა საკვირველია, არა.

სწორედ ამიტომ წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას ვამახვილებთ არა საერთოდ ენობრივ მოდალობაზე, არამედ მოდალობის გამოხატვის გრამატიკულ საშუალებებზე ქართულ და ინგლისურ ენებში; უფრო ზუსტად, ძირითადი აქცენტი გადატანილი გვაქვს ეგრეთ წოდებულ ბაზისურ მოდალებზე ხსენებულ ენებში. ამ ნაშრომში ჩვენი მიზანია, განვიხილოთ, გავანალიზოთ და შევაჯეროთ სპეციალურ ლიტერატურაში არსებული მრავალფეროვანი შეხედულებები და მიდგომები ენობრივი მოდალობის შესახებ, დავადგინოთ მოდალური მნიშვნელობის გამოხატვის ძირითადი საშუალებები და მათი ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებში, შევისწავლოთ და დავადგინოთ მათი ტიპოლოგიური თავისებურებები.

ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ გავეცანით როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთში არსებულ მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურას. უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორისაა მოდალობის შესახებ დაწერილი უკვე სტანდარტულ ნაშრომებად აღიარებული გამოკვლევები, როგორცაა, მაგალითად, ფინელი ლოგიკოსის გ. კ. ფონ ვრიგტის კლასიკური წიგნი “ნარკვევი მოდალური ლოგიკის შესახებ” (Von Wright 1951), ინგლისელი ენათმეცნიერის ფ. რ. პალმერის სხვადასხვა დროს გამოცემული არაერთი მონოგრაფია ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე პალმერის (Palmer 1979; 1986; 1990; 2001), ლ. გოქსადისა და ს. ბოლქვაძის (1988), ნ. ცქიტიშვილისა (1988) და ბ. ჯორბენაძის (19923) და სხვათა თვალსაჩინო სტატიები. გარდა ამისა, წინამდებარე დისერტაციაში გათვალისწინებულია ისეთი უახლესი პუბლიკაციებიც, როგორებიცაა რ. ზექალაშვილის “მოდალობის გამოხატვის საშუალებათა სისტემა და სემანტიკური ნიუანსები ქართულ დისკურსში” (ზექალაშვილი 2008), ასევე უცხოეთში დასტამბული ნაშრომები: “Modality in Germanic Languages: Historical and Comparative Perspectives” (Swan & Jansen Westvik 1997), ა. პაპაფრაგუს მონოგრაფია “Modality: Issues in the Semantics-Pragmatics Interface” (Papafragou 2000), რ. ფაკინეტის, მ. კრუგისა და ფ. პალმერის რედაქციით გამოსული კრებული “Modality in Contemporary English” (Facchinetti and others 2003), რ. სალკისა და ი. ვან დერ აუვერას რედაქციით გამოსული “Modality in English: Theory and Description” (Salkie & van de Auwera 2009), ა. ცანგალიდისა

და რ. ფაკინეტის რედაქციით დასტამბული “*Studies in English Modality. In Honour of Frank Palmer*” (Tsangalidis & Facchinetti 2009); ტიპოლოგიური ნიშან-თვისებების კვლევისას გამოვიყენეთ ფრენკ პალმერის ზემოხსენებული ნაშრომები, ასევე ჰენგველდისა (2004) და ვან დერ აუვერასა და პლუნგიანის (1998) გამოკვლევები და მრავალი სხვა.

დასახული მიზნის მისაღწევად კვლევისას ძირითადად გამოვიყენეთ სინქრონიული, აღწერითი მეთოდები, თუმცა, ჩვენთვის საინტერესო მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგჯერ დიაქრონიული კვლევის მეთოდებსაც მივმართეთ; ტიპოლოგიურ ნაწილში გამოვიყენეთ უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის მეთოდი.

I თავში “ ” განხილულია მოდალობასთან დაკავშირებული ცნებითი და ტერმინოლოგიური საკითხები, წარმოდგენილია სპეციალურ ლიტერატურაში არსებული მრავალფეროვანი განმარტებები და მიდგომები უძველესი დროიდან დღევანდლობამდე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ერთმანეთთან სულაც არ არის თავსებადი, ჩვენთვის მთავარია, ვიცნობდეთ მათ, რათა საჭიროებისამებრ გამოვიყენოთ მათში დაფიქსირებული ყველა პოზიტიური მომენტი. ეს თავი ფაქტიურად ნიადაგს ამზადებს იმისათვის, რომ უშუალოდ გადავიდეთ ქართულ და ინგლისურ ენაში არსებული ემპირიული მასალის განხილვა-ანალიზზე.

თავი II “მოდალურ მნიშვნელობათა გამოსატვის გრამატიკული საშუალებები ქართულ ენაში” იწყება პარაგრაფით, სადაც გაშუქებულია ტერმინოლოგიური პრობლემა, რომელიც გვაქვს ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში, რადგანაც ქართულსა და ინგლისურს შორის არსებულ გენეტიკურ და სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ სხვაობასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას ავსებს განსხვავებული გრამატიკული ტრადიცია და, შესაბამისად, ცნებებისა და ტერმინთსისტემის თავისებურებები, რაც არცთუ უკანასკნელ როლს თამაშობს ამ საქმეში. ამიტომაც, აქ განხილულია “მოდალობის” კიდევ ერთი მნიშვნელობა, რომელსაც უკვე საკმაოდ აქვს ფეხი მოკიდებული ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. ამ ტერმინით სინტაქსურ გამოკვლევებში და სახელმძღვანელოებში წინადადების რავგარობა (შინაარსის მიხედვით) აღინიშნება. ამ და ჩვენ მიერ მანამდე განხილულ “მოდალობებს” არაფერი აქვთ საერთო ერთმანეთთან, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ეს ერთგვარი ტერმინოლოგიური პოლისემია შესაძლოა გარკვეულ უხერხულობას მაინც

ქმნიდეს. ამ პარაგრაფში (და მთლიანად ნაშრომში) ჩვენს მიზანს წარმოადგენს არა არსებული ვითარების კრიტიკული შეფასება, არამედ ამ ვითარების აღწერა, რათა მკვეთრად გაიმიჯნოს განსხვავებული, თუმცა ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებები. ამ პარაგრაფში ჩვენ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილ მოდალობასთან დაკავშირებულ ცნებითსა და ტერმინოლოგიურ საკითხებს ვეხებით. ამის გამო აქ წარმოდგენილია მსჯელობა კიდევ ერთი ასპექტის შესახებ. ეს არის ზმნის კილო. საქმე იმაშია, რომ ტრადიციულ გრამატიკებში ხშირად ერთმანეთშია აღრეული მოდალობისა და ზმნის კილოს არა მარტო ცნებები, არამედ მთლიანად კატეგორიები. ამ თავის შემდეგი პარაგრაფი ჩართულის პრობლემას ეძღვნება. ჩართულისა და მოდალობის გამოსატვის საკითხები მართლაც მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული; ოღონდ აქ გათვალისწინებულია ის ფაქტიც, რომ ყველა ის ენობრივი ერთეული, რომელიც ჩართულად გამოიყენება, ვერ იქნება ავტომატურად განხილული მოდალობის გამომხატველი ინვენტარის რანგში. ამ, ჩვენი აზრით, აუცილებელი პროცედურების გავლის შემდეგ გადავდივართ ქართულ ენაში მოდალურ მნიშვნელობათა გადმოცემის სისტემურობის საკითხზე. ყველა არსებული საშუალების განხილვის კვალად ყურადღება გამახვილებულია მოდალობის გამოსატვის გრამატიკულ საშუალებებზე, მოცემულია მათი სემანტიკური და სტრუქტურული მახასიათებლები.

თავი III “მოდალურ მნიშვნელობათა გამოსატვის გრამატიკული საშუალებები ინგლისურ ენაში” რამდენიმე პარაგრაფისაგან შედგება. თავიდანვე გაცხადებულია, რომ ინგლისურ ენაში მოდალობის გამოსატვის შესწავლას საკმაოდ ხანგრძლივი და ნაყოფიერი ისტორია აქვს და, შესაბამისად, ამ საკითხს დიდძალი სპეციალური ლიტერატურა ეძღვნება. თავდაპირველად განხილულია მოდალობის გამოსატვის სისტემა ინგლისურში, წარმოდგენილია ყველაზე ფართო მოსაზრებები აღნიშნული ენობრივი რეალიის შესახებ, კრიტიკულად განხილულია არსებული კლასიფიკაციები, დაზუსტებულია ზოგიერთი ცნება და ტერმინი, რისი საჭიროებაც თვალნათლივ იგრძნობოდა სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში. აღნიშნული სამუშაო მნიშვნელოვნად აადვილებს კონკრეტული ენობრივი მასალის ადეკვატურად განხილვას. მომდევნო პარაგრაფი ეხება მოდალურ ზმნებს ინგლისურ ენაში, როგორც მოდალობის გამოსატვის ძირითად გრამატიკულ საშუალებებს; ისინი განხილულია როგორც სინქრონიული, ასევე დიაქრონიული თავისებურებების

წარმოჩენის შუქზე. ამ მონაცემების გასაშუქებლად ლექსიკოგრაფიული წყაროებია გამოყენებული. როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მასალა (მათ შორის დიაქრონიული მონაცემებიც) ცხადყოფს, რომ ინგლისურ ენაში მოდალობის გამოხატვის “ჭეშმარიტ” გრამატიკულ საშუალებებად სწორედ ე.წ. ცენტრალური მოდალები უნდა განვიხილოთ. აღნიშნული მსჯელობითა და მიღებული დებულებით გარკვეულწილად მზადდება სათანადო ნიადაგი მომდევნო თავში გამიზნული ტიპოლოგიური ანალიზისათვის.

თავი IV “მოდალურ მნიშვნელობათა გამოხატვის გრამატიკულ საშუალებათა ტიპოლოგიური ანალიზი” საკმაოდ ვრცელია და ეს განპირობებულია მისი შინაარსით. თავდაპირველად აღწერილი და განხილულია ენათა ტიპოლოგიური კვლევის ისტორიული და თეორიული თავისებურებები, რაც წარმოგვიდგენს იმ ჩარჩოს, რომლის ფონზეც უნდა გაანალიზდეს შერჩეული ენობრივი მონაცემები. აღსანიშნავია, რომ ამ თავში წარმოდგენილია როგორც სინქრონიული, ასევე დიაქრონიული ტიპოლოგიური კვლევა. ქართულსა და ინგლისურს შორის ყველაზე მეტი პომომორფული ნიშანი სწორედ გრამატიკული მოდალების დიაქრონიული განვითარების თვალსაზრისით ფიქსირდება. სინქრონიულ ჭრილში უმეტესწილად დაჩნდება კონტრასტული სპეციფიკა. მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისური ენის გრამატიკული მოდალები ზმნებს წარმოადგენენ, ხოლო ქართულისა – არა. ქართული ენის გრამატიკულ მოდალებს პრედიკაციის სქემაში რაიმე წვლილი არ აქვთ. თუკი ინგლისურში მათი სტატუსი გარკვეული და ადეკვატურად გადაწყვეტილია, ქართულში გარკვეული სახის პრესკრიფციული პრობლემების წინაშე ვდგებით. ამის გამო წინამდებარე თავში ამ საკითხებსაც ვვხებით, რა თქმა უნდა, შესაბამისი, ტიპოლოგიური ფორმატის ფარგლებში. აღნიშნული კონტექსტიდან გამომდინარე, ქართული და ინგლისური ენების გრამატიკული მოდალების ფუნქციონალურ-სისტემური თავისებურებების სინქრონიულ ჭრილში გასაშუქებლად შესაბამისი ენობრივი მასალა მოწმდება უშუალო შემადგენლების მიხედვით ანალიზის პრინციპებზე დაყრდნობით, რაც პირველად კეთდება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში (ვგულისხმობთ ტიპოლოგიურ ასპექტს). გრამატიკულ მოდალებთან მიმართებაში უშუალო შემადგენლების მიხედვით ანალიზის მეთოდი საკმაოდ ზუსტი და სანდო შედეგების მიღების გარანტს წარმოადგენს მათი ფუნქციონალურ-სისტემური თავისებურებების უკეთ წარმოჩენის თვალსაზრისით. რაც მთავარია, მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული

მეთოდი ობიექტური მიდგომის განხორციელების საფუძველს იძლევა. ჩვენი არჩევანიც სწორედ ამ, მეცნიერული კვლევისათვის უაღრესად ფასეულმა ფაქტორებმა განაპირობა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამგვარმა მიდგომამ მნიშვნელოვნად შეგვიწყო ხელი წინამდებარე ნაშრომში ჩვენი მთავარი სათქმელის უკეთესად არტიკულირებაში.

ნაშრომის დასასრულს, “დასკვნაში” სრულადაა შეჯამებული ჩატარებული კვლევა და თავმოყრილია ყველა ის დებულება, რომლებიც ჩამოყალიბებულია ჩვენ მიერ საანალიზოდ შერჩეული მასალის შესწავლის შედეგად.

ნაშრომს ახლავს დამოწმებული წყაროების, ასევე მითითებული და გამოყენებული ლიტერატურის სია.

თ ა ვ ი I

მოდალობა, როგორც ენობრივი ფენომენი: ტიპები, მნიშვნელობები, კონცეფციები

როგორც უკვე აღვნიშნეთ წინამდებარე ნაშრომის შესავალში, მოდალობა მრავალი, ზოგჯერ ერთმანეთთან ორგანული კავშირის არ მქონე, სამეცნიერო დისციპლინისათვის არსებით ცნებით რეალიას წარმოადგენს. ისიც უაღრესად საინტერესოა, მის შესახებ უძველესი დროიდანვე მსჯელობდნენ მოაზროვნენი. წინამდებარე თავში სწორედ მოდალობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები, განმარტებები, მიდგომები და კლასიფიკაციები იქნება წარმოდგენილი.

მოდალობის ცნება პირველად გვხვდება ძველი ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს “მეტაფიზიკაში” (ავტორი აქ გამოყოფს სამ ძირითად მოდალურ ცნებას: აუცილებლობას, შესაძლებლობასა და რეალობას), საიდანაც იგი შევიდა კლასიკურ ფილოსოფიურ სისტემებში. მოდალობის შესახებ განსხვავებულ მოსაზრებებს ვხვდებით თეოფრასტთან და ევდემ როდოსელთან, რომლებიც არისტოტელეს კომენტატორები იყვნენ; მოგვიანებით ამ საკითხებზე მსჯელობდნენ შუასაუკუნეების სქოლასტიკოსები. ახალი დროის ლოგიკოსებსა და ფილოსოფოსებს შორის გამორჩეული სიტყვა თქვა გერმანელმა ფილოსოფოსმა ი. კანტმა, რომელმაც მოგვცა მსჯელობის შემდეგნაირი დაყოფა: ასერტორული (მსჯელობა სინამდვილის შესახებ), პრობლემატური (მსჯელობა შესაძლებლობის შესახებ), აპოდიქტური (მსჯელობა აუცილებლობის შესახებ), ასევე უტყუარი და ალბათური მსჯელობები.

ფილოსოფიის მსგავსად ტრადიციულ ენათმეცნიერებაშიც ძირითადად სამი მოდალობა, ზმნის სამი ძირითადი კილო გამოიყოფა: თხრობითი (არის), ბრძანებითი (იყოს) და კავშირებითი (იქნებოდა). რახან ტრადიციაზე ვსაუბრობთ, ჩვენი აზრით, უპრიანი იქნება დიონისე თრაკიელის “გრამატიკის ხელოვნებაში” მოცემული ინფორმაციის შემოწმებაც; ზმნის დახასიათებისას გრამატიკოსი მის რვა მდევარს მოიხსენიებს და ჩამოთვლილთაგან კილო (Εγκλισις) პირველია.

გამოყოფილია კილოს ხუთი სახე: განსაზღვრებითი, ბრძანებითი, ნატვრითი, პირობითი და განუსაზღვრელობითი (ქაროსანიძე 2000).

თავის დროზე ფართო აღიარება ჰპოვა ცნობილი ფრანგი ლინგვისტის შარლ ბალის მიერ წამოყენებულმა მოდალობის კონცეფციამ, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერ გამონათქვამში შეიძლება გამოიყოს ძირითადი შინაარსი (დიქტუმი) და მისი მოდალური ნაწილი (მოღუსი), რომელიც გამოხატავს მოქმედის ინტელექტუალურ, ემოციურ ან ნებელობით მსჯელობას დიქტუმთან მიმართებაში (Балли, 2001).

ტერმინ “მოდალობის” განმარტებები თანამედროვე ენათმეცნიერებაში ძნელად თუ ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა ერთი კი უნდა ითქვას: რაც უნდა განსხვავებული იყონ ეს მიდგომები, ყველა მათგანის განმარტებაში აუცილებლად ვპოულობთ შეფასების ელემენტს; ეს არის “თვალსაზრისი”, დამოკიდებულება, რომელიც ღიად თუ ფარულად მაინცაა ჩადებული მოდალობის ნებისმიერ გაგებაში. იმის მიხედვით, თუ რაა შეფასების ობიექტი მოცეულ შემთხვევაში, არაენობრივი სინამდვილე თუ თვით გამონათქვამი, შესაბამისად გაირჩევა ორი ტიპის მოდალობა: სუბიექტური და ობიექტური. პირველი მათგანი (ობიექტური) გრამატიკულად გაფორმებულია ბევრ ენაში და იგი აუცილებლადაა გამოხატული ნებისმიერ გამონათქვამში, ხოლო მეორე (სუბიექტური) ფაკულტატიურია. ამგვარი გამიჯვნა ენობრივი სინამდვილიდან გამომდინარეობს. უფრო მეტიც, ზემოხსენებული ორი ტიპი მოდალობისა იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ მიზანშეწონილად მიიჩნევა შესაბამისი ტერმინოლოგიური გამიჯვნაც: იმ ენობრივი მოვლენების აღსანიშნავად, რომელსაც ვუწოდებთ “ობიექტურ მოდალობას”, შეიძლება დავტოვოთ ტერმინი “მოდალობა”, ხოლო ე. წ. სუბიექტური მოდალობისათვის შემოვიღოთ ტერმინი “ემოციურობა”. თუ ასე მოვიქცევით, მაშინ ტერმინოლოგიური და ცნებითი აღრევის გარეშე შეიძლება განვიხილოთ გამონათქვამის ორი ისეთი თვისება, როგორებიცაა მოდალობა და ემოციურობა. ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ობლიგატორულობა – ფაკულტატიურობის ნიშნების მიხედვით. ამგვარი დაყოფის საფუძველზე მივიღებთ შემდეგ განმარტებას: მოდალობა წარმოადგენს გამონათქვამის ობლიგატორულ ნიშანს, რომელიც მდგომარეობს ამ, გრამატიკული საშუალებებით გამოხატული გამონათქვამის დამოკიდებულებაში არაენობრივი სინამდვილის მიმართ (Парамонов, 1998).

სპეციალურ ლიტერატურაში ზემონახსენებ ორ ტიპთან ერთად ასევე გამოყოფენ შინაგან მოდალობას. იგი წარმოდგენს წინადადების გრამატიკული სუბიექტის (ქვემდებარის) დამოკიდებულებას იმ მოვლენის მიმართ, რომელიც ზოგიერთ ენაში (მაგალითად, ინგლისურში, გერმანულში. . .) გადმოცემულია ზმნის ინფინიტიური ფორმით. რაც შეეხება იმას, თუ რა სახის დამოკიდებულებაზეა საუბარი ამა თუ იმ შემთხვევაში, ეს გამოიხატება მოდალური ზმნის პირველადი მნიშვნელობით (Куратов 2000)

მოდალობის კატეგორია ერთ-ერთი ენობრივი უნივერსალია; იგი თავის გამოხატულებას ჰპოულობს ენის სხვადასხვა დონეზე (მორფოლოგია, სინტაქსი, ინტონაცია). აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად მისი უნივერსალურობისა, გასხვავებული ენები სულ სხვადასხვაგვარად გადმოსცემენ მოდალობის სხვადასხვა ასპექტს, რომელთა შორისაც მკვეთრად გამოხატულ და გაცილებით უფრო თვალსაჩინო როლს ასრულებენ გრამატიკული საშუალებები, რომელთა განხილვა-გარკვევა და სათანადო ანალიზი ისეთ გენეტიკურად და ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენებში, როგორებიცაა ქართული და ინგლისური ენები, წარმოადგენს სწორედ წინამდებარე ნაშრომის მთავარ პრობლემატურ თემას.

რადგანაც წინამდებარე თავში მოდალობის შესახებ არსებული მიდგომებისა და თვალსაზრისების მიმოხილვა გვაქვს გამიზნული, ქვემოთ განვიხილავთ ჩვენთვის საინტერესო ტერმინის მნიშვნელობას სხვადასხვა ლექსიკოგრაფიული წყაროს მიხედვით. როგორც წესი, ამ დროს ნათელი ეფინება უმნიშვნელოვანეს ცნებით ასპექტებთან დაკავშირებულ მრავალ საკითხსაც. ამ შემთხვევაშიც მოყვანილ წყაროებში მოცემული მასალები ავსებენ ერთმანეთს და უფრო მდიდარ საინფორმაციო სურათს გვიქმნიან.

საკამათოდ არავინ ხდის იმ ფაქტს, რომ მოდალობა ლათინური წარმოშობის სიტყვაა, თუმცა სხვადასხვა ავტორთან მაინც გვხვდება ერთმანეთისაგან განსხვავებული ეტიმოლოგიებიც. აღნიშნულის გამო, ალბათ, უმჯობესი იქნება, კომპეტენტურ წყაროებზე დაყრდნობით, თავიდანვე დავაზუსტოთ შესაბამისი ლათინური სიტყვის მნიშვნელობა. ამისათვის ვიმოწმებთ სიმონ ყაუხჩიშვილის „ლათინურ-ქართულ ლექსიკონს“, რომელშიც ვკითხულობთ: „modus (modi) 1. ზომა; რაოდენობა; 3. სახე, გვარი; hoc modo ამნაირად; modo როგორც; in modum სახით, როგორც“ (ყაუხჩიშვილი, 1961: 237). აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ,

რა თქმა უნდა, არსებობს ფორმა *modus*, რომელიც ზემოთ განხილული ლექსიკური ერთეულის (*modus*) კნინობით ვარიანტს წარმოადგენს (იქვე).

სპეციალური ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფიული წყაროების მონაცემები, როგორც წესი, ყოველთვის საგულისხმოა ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის არსის თავისებურებათა თუნდაც ზოგიერთი ასპექტის წარმოსახენად. აქედან გამომდინარე, განვიხილავთ რამდენიმე ტერმინოლოგიურ ლექსიკონს და მათში დაფიქსირებულ ინფორმაციას ჩვენთვის საინტერესო ენობრივი რეაქციის – მოდალობის შესახებ. თავდაპირველად გადავფურცლოთ ფრანგი ენათმეცნიერის ე. მარუზოს „ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონი“, რის შედეგადაც ვარკვევთ, რომ მასში საკმაოდ მწირი ინფორმაციაა წარმოდგენილი; აქ არ ჩანს სალექსიკონო ერთეულები **მოდლობა** ან **მოდალური ზმნები**; სამაგიეროდ, არის **მოდალური** (*modal || modal || modal || modale*), რომელსაც შემდეგი განმარტება ახლავს: „რაც განეკუთვნება კილოს. სახელწოდება **მოდალური ხმოვანი** (*voyelle modale*) ზოგჯერ ენიჭება თემატურ ხმოვანს, რომლის მონაცვლეობებიც ცნობილ შემთხვევებში გამოდიან კილოს ნიშნების როლში: ლათ. თხრობითი კილო *leg-i-mus*, კავშირებითი კილო *leg-a-mus*“ (Марузо, 1960: 159). იმავე გვერდზე, სქოლიოში ვკითხულობთ ლექსიკონის რუსული გამოცემის რედაქტორის, ა. ა. რეფორმატსკის შემდეგ შენიშვნას: „მოდალური მნიშვნელობები გრამატიკაში შეიძლება გამოიხატოს არა მარტო კილოს ფორმებით, არამედ ასევე განსაკუთრებული მოდალური სიტყვებითა («*вводные слова*») და ნაწილაკებით (*бы, ли* და *схв.*), ასევე ინტონაციით“ (იქვე, სქ. 1). როგორც ვხედავთ, ამ ლექსიკონში საკმაოდ მცირე დოზითა და ვიწრო ხედვითაა წარმოდგენილი ისეთი უმნიშვნელოვანესი ენობრივი ფენომენი, როგორცაა მოდალობა. ეს, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ ამ შემთხვევაში ლექსიკონის ავტორი ძირითადად ფრანგულ ენაში არსებულ სიტუაციას ეყრდნობოდა, ან კიდევ იმით, რომ 1951 წლისათვის (სწორედ ამ წელს განხორციელდა ე. მარუზოს ლექსიკონის თავდაპირველი გამოცემა ფრანგულ ენაზე; ჩვენ ვსარგებლობთ მისი რუსული გამოცემით) აღნიშნული საკითხი ჯერ კიდევ არ იყო დამუშავებული სათანადო დონეზე ენათმეცნიერებაში, რაც, რა თქმა უნდა, ნაკლებად სარწმუნოა; ამ მხრივ მოდალობის შესახებ თუნდაც მხოლოდ ერთი ნაშრომის დასახელებაც კმარა, რომელიც ღირებულია არა მარტო ფრანგულში მოდალობის გამოხატვის თვალსაზრისით (Bally, 1942). აღნიშნულის გამო

ზემოხსენებულ ლექსიკოგრაფიულ წყაროში წარმოდგენილი ვითარება მისი ავტორის სუბიექტურ მიდგომას უნდა მივაწეროთ.

საინტერესოა აგრეთვე ე. ჰემპის მიერ შედგენილი „ამერიკული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის ლექსიკონი“, რომელიც კომპილაციური ხასიათის ნაშრომს წარმოადგენს. აქ ცალკე სალექსიკონო ერთეულადაა გამოტანილი მოდალობა (ХЭМЛ, 1964, გვ. 113), რომლის განმარტებაც ე. სეპირის მიხედვითაა მოტანილი: „უხეშად რომ ვთქვათ, რომ იგი არის გრამატიკული კატეგორია (ან მასთან დაკავშირებული ცნებები), რომელიც ტრადიციულად ცნობილია *კილოს* სახელით; „მოდალობებში“ მე ვგულისხმობ, დავუშვათ, უარყოფის არა ფაქტობრივ კონსტატაციას, არამედ უფრო მათ ფორმალურ გამოხატვას“ (Sapir, 1921: 114). ტერმინის განმარტებისათვის აუცილებელი კონკრეტულობა ამ შემთხვევაშიც არ ჩანს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინფორმაციის არასაკმარისობა ზემოთ განხილულ ლექსიკოგრაფიულ წყაროებში აიხსნება დროითი კონტექსტით.

და მაინც, ამგვარი შთაბეჭდილების განმტკიცებას ხელს ვერ შეუწყობს მე-20 საუკუნის ბოლოს გამოსული დ. კრისტალის ენციკლოპედიური ლექსიკონი, რომელშიც საერთოდ არ არის ნახსენები მოდალობა (კრისტალი, 1989). სამაგიეროდ იგივე ავტორი მას ცალკე ადგილს უთმობს თავის „ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ლექსიკონში“, რომელიც მასალის შერჩევისა და მიდგომის სპეციფიკურობის გამო ყურადღების მიღმა არ უნდა დავტოვოთ; მასში მოდალობისადმი მიძღვნილი სიტყვა-სტატია შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: “ტერმინი, რომელიც გამოიყენება გრამატიკული და სემანტიკური ანალიზისას კილოს მიხედვით არსებული კონტრასტების აღსანიშნავად, რაც თავის ასახვას პოულობს ზმნაში და მასთან დაკავშირებულ კატეგორიებში. ინგლისურში მოდალური კონტრასტები უმთავრესად გამოიხატება მეშველი ზმნების ქვეკლასით, მაგ., *may, will, can.* ეს ქვეკლასი M სიმბოლოთი აღინიშნება წარმომშობი გრამატიკის ფრაზის სტრუქტურის წესებში. მოდალურ ზმნებს აქვთ საერთო მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებები, რომლებიც განასხვავებენ მათ სხვა მეშველი ზმნებისაგან, მაგ., მათ არ მოეპოვებათ *-s, -ing* ან *-en* ფორმები. ბრუნვათა გრამატიკაში მოდალობა აღნიშნავს წინადადების სიღრმეული სტრუქტურის ორ ძირითად შემადგენელთაგან ერთ-ერთს; მეორეს პროპოზიცია წარმოადგენს” (Crystal, 2008: 308).

საენათმეცნიერო ტერმინოლოგიურ საცნობარო ლიტერატურაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ო. ს. ახმანოვას “ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონს”, რომელიც ცნობილია თავისი ობიექტურობითა და, შესაბამისად, ავტორიტეტულობით. ამ ლექსიკონში მოდალობა შემდეგნაირადაა განმარტებული: “გამომხატველი მთქმელის დამოკიდებულებისა გამონათქვამის შინაარსისა და მისი სანდოობისადმი. *მოდალური ზმნები*: ინგლ. can, may; გერმ. wollen, sollen. *მოდალური მნიშვნელობა*. *მოდალური შეფერილობა*. *მოდალური ურთიერთობები*. *მოდალური ელფერი*. *მოდალური ნაწილაკი*. [. . .] **მოდალური ხმოვანი** ინგლ. modal vowel, ფრ. voyelle modale. თემატური ხმოვანი, რომლის მონაცვლეობა ემსახურება კილოს კატეგორიალურ ფორმათა გამოსატყვას. *ლათ*. i/a: leg-i-mus (*თხრობითი კილო*) -- leg-a-mus (*კავშირებითი კილო*) [. . .] **მოდალური სიტყვა** ინგლ. modal word. სიტყვა, რომელსაც დაკარგული აქვს თავისი კონკრეტული ლექსიკური მნიშვნელობა და ფუნქციონირებს როგორც მოდალობის აღწერითი გამოსატყვის საშუალება. *რუს*. Он м о ж е т еще прийти; *ინგლ*. He m a y come yet” (Ахманова, 1966: 238).

რაც შეეხება “ლონგმენის ენის სწავლებისა და გამოყენებითი ლინგვისტიკის ლექსიკონს”, აქ სალექსიკონო ერთეული “მოდალობა” (**Modality**) (გვ. 335) გვაგზავნის სიტყვა-სტატიისაკენ “მოდალი” (**Modal**) და გვაწვდის შემდეგ განმარტებას: “ნებისმიერი მეშველი ზმნა, რომელიც მიუთითებს მთქმელის/დამწერის დამოკიდებულებაზე სხვა ზმნით გამოხატული მდგომარეობის ან მოვლენის მიმართ, ე.ი. რომელიც მიუთითებს **მოდალობის** სხვადასხვა ტიპზე. ინგლისურ ენაში გვაქვს შემდეგი მოდალური ზმნები: may, might, can, could, must, have (got) to, will, would, shall, should. მოდალური მნიშვნელობები წარმოდგენილია შემდეგ წინადადებებში; ყველა მათგანი უპირისპირდება ჩვეულებრივ მტკიცებას:

I may be wrong. (may = შესაძლებლობა)

That will be Tom at the door. (will = წინასწარმეტყველება)

You can smoke here. (can = ნებართვა)

I can play the piano. (can = უნარი)

მოდალობა სხვა საშუალებებითაც შეიძლება გამოიხატოს:

I may be wrong. = Perhaps I’m wrong (Richards&Schmidt, 2002: 334-335).

მასალის სიუხვის მიხედვით ზემოთ განხილული ლექსიკონებისაგან რადიკალურად განსხვავდება დ. ე. როზენტალისა და მ. ა. ტელენკოვას „საენათმეცნიერო ტერმინთა ლექსიკონ-ცნობარი“. აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომში ჩვენთვის საინტერესო ენობრივ მოვლენას არა ერთი, არამედ რამდენიმე სიტყვა-სტატია ეძღვნება. აქ ცალ-ცალკე სალექსიკონო ერთეულებადაა გამოტანილი შემდეგი: **მოდალობა, მოდალური ზმნები, მოდალური სიტყვები, მოდალურ-ნებელობითი ნაწილაკები და მოდალური ნაწილაკები** (ეს ორი უკანასკნელი განხილულია სტატიაში **ნაწილაკები**). რადგანაც ზემოთ მასალის სიუხვე ვახსენეთ, აუცილებლად უნდა დავაზუსტოთ, რომ ეს სიუხვე მაინცდამაინც არ ნიშნავს ძალიან ბევრ სიახლეს, თუმცა ინფორმაციის დეფიციტი მართლაც ნაკლებად იგრძნობა; ნათქვამის ილუსტრირებისათვის განვიხილოთ შესაბამისი სტატიები: **მოდალობა (Модальность)**: „გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორია, რომელიც გამოხატავს მოქმელის დამოკიდებულებას ნათქვამის მიმართ, ობიექტური სინამდვილისადმი გამოთქმულის დამოკიდებულების შეფასებას მის მიერ. გამონათქვამის შინაარსი შეიძლება გააზრებულ იქნეს როგორც რეალური ან არარეალური, შესაძლებელი ან შეუძლებელი, აუცილებელი ან სააღბათო, სასურველი ან არასასურველი და ა. შ. დროისა და პირის მნიშვნელობებთან ერთად მოდალური მნიშვნელობები აწარმოებენ პრედიკატიულობის კატეგორიას. მოდალობა გამოიხატება გრამატიკული და ლექსიკური საშუალებებით (კილოს ფორმებით, მოდალური სიტყვებითა და ნაწილაკებით, ინტონაციით)“ (Розенталь & Теленкова, 1976: 180). როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი განმარტება საკმაოდ ვრცელიცაა და საესებით ინფორმაციულიც. განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ზემოთ დამოწმებული ციტატით განმარტება არ სრულდება; ლექსიკონის ავტორ-შემდგენლები გამოყოფენ მოდალობის ორ სახეს; ესენია: **ობიექტური მოდალობა** („ნათქვამის დამოკიდებულების გამოხატვა სინამდვილისადმი (რეალურობა ან არარეალურობა, შესაძლებლობა ან შეუძლებლობა, აუცილებლობა ან აღბათობა და ა. შ.). ობიექტური მოდალობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებებია კილოს კატეგორია, დროის კატეგორია, ინტონაციის განსხვავებული ტიპები (შეტყობინების ინტონაცია, კითხვის ინტონაცია) და სხვ.“ (იქვე)) და **სუბიექტური მოდალობა** („მოქმელის დამოკიდებულების გამოხატვა ნათქვამის მიმართ (რწმენის ქონა ან უქონლობა, თანხმობა ან უთანხმოება, ექსპრესიული შეფასება). სუბიექტური მოდალობის გამოხატველ ენობრივ

საშუალებებს წარმოადგენენ სიტყვათა რიგი, ინტონაცია (ძახილის ინტონაცია, სიხარულის, წუხილის, ეჭვის, გააკვირვების, რწმენის ქონისა და არქონის, ირონიისა და ა. შ. გამომხატველი ინტონაცია), ლექსიკური განმეორებანი, მოდალური სიტყვები და ნაწილაკები, შორისდებულები, ჩართული სიტყვები და სიტყვათშეთანხმებები, ჩართული წინადადებები“ (იქვე, გვ. 180-181). როგორც უკვე ვთქვით, ლექსიკონში ცალკე სტატიადაა გამოტანილი **მოდალური ზმნები**: „შესაძლებლობის, ვალდებულების, სურვილის მნიშვნელობის მქონე ზმნები, ანუ ის ზმნები, რომლებიც გამოხატავენ მოქმედის დამოკიდებულებას გამონათქვამის შინაარსის მიმართ. Мочь, долженствовать, уметь, хотеть, желать, намереваться, пытаться, стараться, надеяться, затеять და სხვ.“ (Розенталь & Теленкова, 1976, გვ. 181).

ასევე ცალკეა განმარტებული **მოდალური სიტყვები**: „სიტყვათა ლექსიკო-გრამატიკული თანრიგი, რომელთა საშუალებითაც მოქმედი აფასებს გამონათქვამს მთლიანობაში ან მის ცალკეულ ნაწილებს მათი ობიექტურ სინამდვილესთან დამოკიდებულების თვალსაზრისით“ (იქვე). აქვეა მითითებული, თუ რა მნიშვნელობებს გამოხატავენ მოდალური სიტყვები: ა) გამონათქვამის ლოგიკური შეფასება, ნათქვამის რეალურობა; ბ) ნათქვამის შესაძლებლობა, ალბათობა, ვარაუდი, ეჭვი მის ნამდვილობაში. ხაზგასმულია ასევე ისიც, რომ მოდალურ სიტყვებს არ გააჩნიათ ნომინატიური ფუნქცია, ისინი არ წარმოადგენენ წინადადების წევრებს და გრამატიკულად არ უკავშირდებიან იმ სიტყვებს, რომლებიც შეადგენენ წინადადებას. სამაგიეროდ, მათ აქვთ გარკვეული სინტაქსური ფუნქციები; ესენია: ა) ყველაზე ხშირად ეს არის ის შემთხვევა, როდესაც ისინი სიტყვა-წინადადების როლში გამოდიან; ბ) მოდალური მნიშვნელობის მქონე ჩართულ სიტყვად გამოყენება.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ისიც, თუ რას არ მიიჩნევენ მოდალურ სიტყვებად აღნიშნული ლექსიკონის ავტორები; მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვემოჩამოთვლილი არ შედის მოდალურ სიტყვათა თანრიგში: 1) ის ჩართული სიტყვები, რომლებიც ემოციურ დამოკიდებულებას გამოხატავენ სინამდვილის ფაქტების მიმართ; 2) დაზუსტების, განმარტების, შეზღუდვის მნიშვნელობის მქონე სიტყვები; 3) ის სიტყვები, რომლებიც მიუთითებენ აზრთა კავშირზე, მათი გადმოცემის თანამიმდევრობაზე, გაფორმების საშუალებაზე; თავიანთი ფუნქციით ისინი კავშირებს უახლოვდებიან (იქვე, გვ. 181-182). ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ლექსიკონ-ცნობარში არის ვრცელი სიტყვა-სტატია “ნაწილაკი”, რომელშიც მოცემულია მეტყველების ამ ნაწილის კლასიფიკაცია

და ერთ-ერთ ერთეულად გამოყოფილია შემდეგი: “საკუთრივ მოდალური ნაწილაკები”; ავტორებს საილუსტრაციოდ შემდეგი მაგალითები მოჰყავთ: *Авось, вряд ли, едва ли, пожалуй, чай* и др. *Авось удивимся когда-нибудь* (Пушкин) (იქვე, გვ. 528). ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ, მიუხედავად ლექსიკონის ავტორების მხოლოდ რუსულ ენაზე ორიენტირებისა, ისინი ახსენებენ ისეთ ენობრივ რეალიას, რასაც, მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, “საკუთრივ მოდალური ნაწილაკები” ეწოდება. ეს იმის მანიშნებელია, რომ ყველა ნაწილაკი ვერანაირად ვერ იქნება მოდალური მნიშვნელობის მატარებელი, ხოლო ე.წ. “საკუთრივ მოდალური ნაწილაკები” რაღაც სხვა ოდენობად აღიქმება დანარჩენი ნაწილაკებისაგან თვისებრივი განსხვავებულობის გამო.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია კიდევ ერთი ლექსიკოგრაფიულ წყაროში არსებული ინფორმაციის წარმოდგენა. ეს გახლავთ მიხეილ ჭაბაშვილის მიერ შედგენილი „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“. მართალია, იგი არ არის ტერმინოლოგიური ლექსიკონი, მაგრამ, რაც მთავარია, მასში ყურადსაღები განმარტებებია მოწოდებული: „**მოდალურობა** [*ლათ. modus კილო (ზმნისა)*] – 1. (ლინგვ.). გრამატიკული კატეგორია, რომელიც აღნიშნავს მეტყველების შინაარსის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი; გამოიხატება ზმნის სხვადასხვა კილოს ფორმებით, ინტონაციით, ჩართული სიტყვებით და მისთ. 2. (ლოგ.). კატეგორია, რომელიც გამოხატავს მსჯელობის უჭველობის ხარისხს“ (ჭაბაშვილი, 1989, გვ. 320).

ზემოთ განხილულ ლექსიკოგრაფიულ წყაროებთან შედარებით საკმაოდ უხვ ინფორმაციას გვაწვდის რუსეთში გამოცემული „ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი“. საინტერესოა, რომ ამ ლექსიკონში არ არის საუბარი მოდალობის კატეგორიის მაინდამაინც გრამატიკულობის შესახებ. უფრო მეტიც, შესაბამისი სალექსიკონო სტატიის ავტორი მ. ვ. ლიაპონი იმოწმებს ცნობილ რუს ენათმეცნიერს ვ. ვ. ვინოგრადოვს და მისი სიტყვებიც მოჰყავს: „იგი სხვადასხვა სახით ვლინდება გასხვავებული სისტემების ენებში. . . . ევროპული სისტემის ენებში იგი მოიცავს მეტყველების მთლიან ქსოვილს“ (Ляпон, 1990: 303). ამავე სულისკვეთებითაა გამსჭვალული ლექსიკონში წარმოდგენილი დეფინიციაც მოდალობისა: „ფუნქციონალურ სემანტიკური კატეგორია, რომელიც გამოხატავს გამონათქვამის სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას სინამდვილის მიმართ, ნათქვამის შესახებ სუბიექტური

კვალიფიკაციის სხვადასხვა სახეს. . . ტერმინი „მოდალობა“ გამოიყენება მოვლენათა ფართო წრის აღსანიშნავად, რომლებიც არაერთგვაროვანია აზრობრივი მოცულობის, გრამატიკული თავისებურებებისა და გაფორმების ხარისხის მიხედვით ენობრივი სტრუქტურის სხვადასხვა დონეზე. . . მოდალობის სფეროს მიაკუთვნებენ გამონათქვამთა დაპირისპირებას მათი საკომუნიკაციო მიზანმიმართულობის მიხედვით (მტკიცება – შეკითხვა – დავაღდეგებულება); დაპირისპირებას „მტკიცება – უარყოფის“ ნიშნის მიხედვით; მნიშვნელობათა გრადაციას დიაპაზონში „რეალობა – ირეალობა“ (რეალობა – ჰიპოთეტურობა – ირეალობობა), რამდენადაა დარწმუნებული მოუბარი სინამდვილის შესახებ მის მიერ ჩამოყალიბებულ აზრის ჭეშმარიტებაში; ქვემდებარესა და შემასმენელს შორის არსებული კავშირის ნაირსახეობებს, რომლებიც გამოიხატება ლექსიკური საშუალებებით და სხვ.“ (Лянон, იქვე).

მიუხედავად იმისა, რომ განხილული ლექსიკოგრაფიული წყაროების მონაცემები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საანალიზო საკითხზე, ეს არანაირად არ გამორიცხავს მოდალობის ენობრივი თავისებურებების თაობაზე შექმნილ სპეციალურ ლიტერატურაში არსებული ინფორმაციის ვარგისიანობას და მათ გაცნობა-გათვალისწინებას. ამიტომაც, პირველ რიგში შევეცადოთ, ზუსტად გავარკვიოთ, რას წარმოადგენს მოდალობა და რა მოსაზრებები არსებობს მის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში.

თუ სხვადასხვა დროსა და განსხვავებულ თეორიულ კონტექსტებში შექმნილ ნაშრომებს გავითვალისწინებთ, ძირითადად გამოიკვეთება შემდეგი ხუთი თვალსაზრისი:

- 1) პირველი მათგანი ყველაზე ფართო თვალთახედვითაა წარმოდგენილი. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა ფ. პალმერის ვრცელი გამოკვლევა, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ „მოდალობა დაკავშირებულია იმ პროპოზიციის სტატუსთან, რომელიც აღწერს ამა თუ იმ მოვლენას“ (Palmer, 2001: 1). ერთი შეხედვით, სადავო არაფერია, თუმცა ისიც ადვილად შესაძინეია, რომ აქ წარმოდგენილი განმარტება საკმაოდ ბუნდოვანია და, ამიტომაც, სუსტი და ნაკლებად გამოსადეგი კონკრეტულ ენობრივ მასალაზე სამუშაოდ.
- 2) რასაკვირველია, არსებობს უფრო ვიწრო და კონკრეტიზებული დეფინიციებიც. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ი. ვან დერ აუვერასა და ვ.

პლუნგიანის მიერ შემოთავაზებული განმარტება, რომლის მიხედვითაც, მოდალობის ცნება უნდა გამოვიყენოთ ისეთ სემანტიკურ სფეროებში, რომლებიც გულისხმობენ შესაძლებლობასა და აუცილებლობას, როგორც პარადიგმატულ ვარიანტებს. აღნიშნულს ავტორები „შედარებით შეზღუდულ“ დეფინიციად მიიჩნევენ (Van der Auwera & Plungian, 1998: 80). ჩვენი აზრით, წინასვან განსხვავებით, ამ შემთხვევაში არა შეზღუდულ, არამედ უფრო ფართო განმარტებასთან გვაქვს საქმე; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საყოველთაოდ აღიარებულ სემანტიკურ სფეროებთან ერთად, როგორებიცაა შესაძლებლობა და აუცილებლობა, ავტორები არას ამბობენ ისეთი სფეროების შესახებ, როგორებიცაა ნებელობა და ევიდენციულობა, რომლებიც სხვა სპეციალისტებისათვის აუცილებელ სფეროებს წარმოადგენენ.

- 3) მესამე ტიპში შეიძლება გავაერთიანოთ ისეთი განმარტებები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ მოდალობის ქვესახეობებზე. ასე, მაგალითად: „მოდლობა წარმოადგენს სემანტიკურ კატეგორიას, იგი მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორებიცაა შესაძლებლობა, ალბათობა, აუცილებლობა, ნებელობა, ვალდებულება და ნებართვა“ (Downing & Locke, 2002: 382). ამ შემთხვევაში ნამდვილად სრულადაა წარმოდგენილი სემანტიკური სფეროები, მაგრამ მაინც არ არის განსაზღვრული მოდალობის მკაფიო საზღვრები.
- 4) არსებობს ისეთი ნაშრომები, რომლებშიც საერთოდ არ არის მოცემული რაიმე განმარტება; სამაგიეროდ, აქცენტი გადატანილია მოდალური ენობრივი ერთეულების მნიშვნელობისა და გამოყენების ემპირიულ ანალიზზე. აღნიშნულის ნიმუშად გამოდგება ჯენიფერ ქოუტსის ნაშრომი „მოდალური დამხმარე ზმნების სემანტიკა“ (1983 წ.).
- 5) დაბოლოს, აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ისეთი განმარტებებიც, რომლებიც ძირითად აქცენტს უფრო მოდალობის ფილოსოფიურ ასპექტებზე აკეთებენ. მაგალითად, ფ. კიფერი ამბობს, რომ მოდალობა წარმოადგენს „წინადადების მნიშვნელობათა მისადაგებას შესაძლო სამყაროებისადმი. საუბარი შესაძლო სამყაროების შესახებ შეიძლება აიგოს, როგორც საუბარი იმ საშუალებებზე, რომლებითაც ადამიანები ახერხებენ, სხვაგვარად აღიქვან სამყარო“ (Kiefer, 1994: 2514).

დავუბრუნდეთ განმარტებათა მესამე ტიპს და კვლავ გავამახვილოთ ყურადღება მოდალობის სემანტიკურ სფეროებზე. სპეციალისტებს შორის ყველაზე მეტ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს სწორედ ამ სფეროთა რაოდენობა და რომელობა. ასეთ ვითარებაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია თანამედროვე საენათმეცნიერო ლიტერატურაში აპრობირებული მიდგომა, რომლის მიხედვითაც უპრიანია, რომ მოცემული გრამატიკული კატეგორიის ადექვატური განსაზღვრისას ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს მისი ბაზისური და პერიფერიული მონაცემები.

ამგვარი მიდგომის ეფექტურობის შესახებ საფუძვლიანადაა საუბარი მეოცე საუკუნის ბოლო პერიოდის წამყვან გრამატიკულ ნაშრომებში (Comrie, 1989: 37-38, 106-110; Croft, 1990: 66-67, 124-127; Haddleston, 1984: 72; Greenbaum, 1996: 92; Biber & others 1999: 59).

იგივე სტრატეგია შეიძლება გამოვიყენოთ მოდალობის ანალიზთან დაკავშირებითაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა გამიზნულია ტიპოლოგიური ასპექტების გაშუქება. ინგლისურ ენასთან მიმართებაში ასეთი პოზიცია აირჩიეს რ. ჰადლსტონმა და ჯ. პულამმა, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „მოდლობა. . . არ არის მკაფიოდ შემოფარგლული და დანაწილებული; ასე რომ, ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ პროტოტიპული ნიშან-თვისებების ცნებას და გასაქანი უნდა მივცეთ კატეგორიის ყველა ნიუანსის გამოვლენას“ (Haddleston & Pullum, 2002: 172). აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველ რიგში მოდალობის ამგვარ სემანტიკურ ნიუანსებზე გავამახვილებთ ყურადღებას. ტრადიციულად განარჩევენ მოდალობის ორ გრამატიკულ ასპექტს: ა) წინადადების მოდალობას, რაშიც იგულისხმება წინადადების ტიპები: თხრობითი, კითხვითი, ძახილისა და ა.შ. და ბ) ზმნურ მოდალობას, რაც გულისხმობს მოდალურ ზმნებსა და ზმნის კილოს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გაირჩევა მოდალური მნიშვნელობის რამდენიმე სახეობა. ესენია: **ალეთური** მოდალობა (ბერძნ. *aletheia* ‘ჭეშმარიტება’), რასაც ზოგჯერ **ლოგიკურ** ან **მეტაფიზიკურ** მოდალობადაც მოიხსენიებენ, გულისხმობს იმას, რაც შესაძლებელია ან აუცილებელია ყველაზე ფართო გაგებით. უნდა ვაღიაროთ, რომ უაღრესად ძნელია ამ სახის მოდალობის დამაჯერებელი მაგალითის მოყვანა რომელიმე ბუნებრივი ენიდან, თუმცა მისი შეტანა ამ ჩამონათვალში მაინც გამართლებულად მიგვაჩნია ისტორიული სისრულის გამო. იმავეს ვერ ვიტყვით სხვა კატეგორიებზე. **ეპისტემური** მოდალობა (ბერძნ.

episteme ‘ცოდნა’) გულისხმობს იმას, რაც არის შესაძლებელი ან აუცილებელი იმაზე დაყრდნობით, რაც ვიცით. **დეონტური** მოდალობა (ბერძნ. deon ‘მოვალეობა’) გულისხმობს იმას, რაც შესაძლებელია, აუცილებელია, ნებადართულია ან სავალდებულოა კანონის ან მორალური პრინციპების მიხედვით (შენიშვნა: არისტოტელე საუბრობს სიტყვა „სავალდებულოს“ (τὸ δέον) ორაზროვნების შესახებ; ერთი მხრივ, იგი აღნიშნავს იმას, რაც გარდაუვლად მოსახდენია ბუნებაში არსებული სინამდვილის გამო, ხოლო ამ გარდაუვალთაგან მრავალი ბოროტებას წარმოადგენს; მეორე მხრივ, ეს სიტყვა აღნიშნავს იმას, რაც უნდა აღსრულდეს კეთილი მიზნებით, და ამ თვალსაზრისით იგი აღნიშნავს სიკეთეს, მაღლს (Перельмутер, 1980: 62)). **ბულეტური** მოდალობა (), რასაც ზოგჯერ **ბულომაურს** უწოდებენ, გულისხმობს იმას, რაც შესაძლებელია ან აუცილებელია პიროვნების სურვილებზე დაყრდნობით. **ცირკუმსტანციული** მოდალობა, რასაც ზოგჯერ მოიხსენიებენ **დინამიკურად**, გულისხმობს იმას, რაც შესაძლებელია ან აუცილებელია არსებული ვითარებიდან გამომდინარე. **ტელეოლოგიური** მოდალობა (ბერძნ. telos ‘მიზანი’) გულისხმობს, თუ რა საშუალებებია შესაძლებელი ან აუცილებელი გარკვეული მიზნის მისაღწევად.

სპეციალურ ლიტერატურაში ზემოწარმოდგენილის გარდა კიდევ სხვა მრავალი სახეობაცაა გამოყოფილი (ამ და სხვა სახეობებს ქვემოთ უფრო სრულად წარმოვადგენთ და განვიხილავთ). აღნიშნული, ჩვენი აზრით, იმის მაუწყებელია, რომ საჭიროა არსებული სახეობების შემოწმება მათი ვარგისიანობის თვალსაზრისით. როდესაც ვარგისიანობაზე ვსაუბრობთ, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ის ფაქტი, რომ წინამდევარე ნაშრომში ჩვენ მოდალობის გრამატიკული გამოხატულება გვანტერესებს, თუმცა, ამასთანავე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ენებში სხვადასხვა სახის მოდალობის გამოსახატავად ნაირგვარი საშუალებები გამოიყენება.

ამასთან ერთად ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ, არა მარტო გამოხატვის საშუალებები, არამედ თვით მოდალობაც კი საკმაოდ მრავალფეროვანია. ამ მრავალფეროვნების წარმოდგენა იმიტომ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რომ სწორედ მის ფონზე უფრო მკაფიოდ წარმოვაჩინოთ ჩვენი სამიზნე საკითხები, მით უმეტეს, რომ ამის საშუალებას წინამდებარე თავის ფორმატიც იძლევა.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოდალობის შემდეგი გაგებაც: „სინამდვილის წარმოდგენა მეტყველების სუბიექტის – „მე“-მოლაპარაკის თვალსაწიერიდან“ (Степанов, 1981: 241-242). მოუბარი, ანუ მეტყველების სუბიექტი, თავის ნათქვამს წარმოგვიდგენს როგორც სინამდვილეს, სათუოს, სასურველს, შესაძლებელს, აუცილებელს, სავალდებულოსა და ა. შ. როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, რომ მოდალობის გამოხატვის საშუალებათა რიცხვს განეკუთვნებიან ზმნის კილოს მორფოლოგიური კატეგორია, მოდალური ზმნები, მოდალური ზმნიზედები და ნაწილაკები, მოდალური მნიშვნელობის მატარებელი აფიქსები, მოდალობის პროსოდიული საშუალებები, ტექსტის მოდალობის მორგანიზებელი საშუალებები, ასევე ისეთი სიტყვები, რომელთა მნიშვნელობის სტრუქტურაში მოიპოვება მოდალური კომპონენტი. მოცემულ შემთხვევაში, ე. ი. ამ ჩამოთვლის დროს, ჩვენ ვეყრდნობით ყველაზე ფართო თვალსაზრისს, რომელიც, თავის მხრივ, უხვი და მრავალფეროვანი ტიპოლოგიური მასალის საფუძველზეა ჩამოყალიბებული.

რაც შეეხება ინგლისურს, ამ ენაში, კერძოდ, ზმნის მნიშვნელობაში, მოდალობის კატეგორიზაცია წარმოგვცნის საერთოდ კატეგორიალური ნიშნის კანონზომიერ, რეგულარულ გამოხატულებას. ერთი მხრივ, არსებობენ მოდალური ზმნები, როგორც სიტყვათა ისტორიულად ჩამოყალიბებული, განსაკუთრებული კლასი, რომლებიც გამოხატავენ შესაძლებლობას, სასურველობას, სავალდებულობას და ა. შ., ხოლო, მეორე მხრივ, არსებობს მრავალი ისეთი ზმნა, რომელთა ლექსიკურ მნიშვნელობაში მოდალობა არ არის წარმოდგენილი და შეიძლება დადგინდეს მხოლოდ რომელიმე სპეციფიკური კონტექსტის პირობებში. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ მოდალურ და არამოდალურ ზმნებს შორის არ არსებობს ერთგვარი „მკვდარი ზონა“. ამის მიზეზი ის არის, რომ ნიშნის სპეციალიზებული გამოხატვა უნდა ეყრდნობოდეს სიტყვათა მნიშვნელობებში არსებული არასპეციალიზებული ნიშნების საგრძნობ რაოდენობას. სწორედ ამით ვლინდება ველის პრინციპი: ბირთვული მნიშვნელობა განპირობებულია ბირთვულის მიმდებარე, პერფერიული მნიშვნელობით. ამგვარი სიტყვები, ე. ი. ისეთები, რომელთაც მოეპოვებათ მოდალური კომპონენტი თავიანთ მნიშვნელობაში, ობიექტურად გამოიყოფიან ლექსიკაში და ახასიათებთ სხვადასხვა ფორმალური თუ შინაარსობრივი

თავისებურებები. შესაბამის ტექსტში გამოყოფილია სპეციალიზებული და კომპონენტური მოდალობა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ მოდალობის კომპონენტური გამოხატვა გადაჯაჭვულია სტატუსის კომპონენტურ გამოხატვასთან. როგორც წესი, თანამდგომე ინგლისურ ენაში მოდალურ ზმნებად მიჩნეულია შემდეგი: can/could, may/might, must, ought to, dare, shall/should, will/would, need, be to, have to. ყველა მოდალური ზმნა ისტორიულად იყოფა ორ ჯგუფად: 1) პრეტერიტულ-პრეზენტულები (პირველი ექვსი ერთეული); 2) ზმნები, რომელთაც ინფინიტივის დართვით შეიძინეს მოდალური მნიშვნელობა თავიანთი განვითარების პროცესში (ბოლო ოთხი ერთეული). ჩვეულებრივ, მოდალური მნიშვნელობის გამომხატველი სიტყვები ეტიმოლოგიურად უკავშირდებიან ძალიან სპეციფიკური სემანტიკის ლექსემებს. ნათქვამის დასადასტურებლად გამოდგება შემდეგი მაგალითი: ვალდებულება – "დაბმულობა", to be bound - to bind.

ამ მხრივ ასევე საკმაოდ თვალსაჩინოა ზოგიერთი გერმანიკული პრეტერიტულ-პრეზენტული მოდალური ზმნის სემანტიკურ-ეტიმოლოგიური პარადიგმები; მაგალითად, skulan – გაჭრა, დაჩეხვა, ცემა, გაპობა, დაშავება, მოკვლა, დაშავება, დამნაშავედ ყოფნა, ვალში ჩავარდნა; magan – დიდად, ძლიერად, ჯანმრთელად ყოფნა, მსხვერპლად შეწირვა, მოკვლა, მძლავრად ყოფნა, ვინმეზე ბატონობა, ძალაუფლების ქონა, შეძლების ქონა; kunnan – ხედვა, ყურება-შემჩნევა, ცნობა, გაცნობა, გაცნობიერება, მხედველობაში მიღება, შექცობა (Карташева 1988). როგორც წესი, მოდალური და არამოდალური მნიშვნელობები მჭიდროდ არიან დაკავშირებული. და მაინც, ინგლისურ ენაში მოდალური ზმნები სხვებისაგან საკმაოდ კარგად გაირჩევიან, რაც შემდეგში გამოიხატება: 1) მათ არ მოეპოვებათ უპირო ფორმები, განგრძობითი ასპექტის ფორმები, პერფექტული კორელაცია, ვნებითი გვარი, არ იცვლებიან პირების მიხედვით და არ გამოიყენებიან ბრძანებითში; 2) მათ არ ჩაენაცვლება დამხმარე ზმნა კითხვით წინადადებაში, მიმართვაში, დადასტურებასა თუ ემფატიკურ მტკიცებებში; 3) შეუძლებელია რამდენიმე მოდალური ზმნის ან ერთი და იმავეს გამოყენება სინტაგმატურად, თანამიმდევრობაში; 4) ინფინიტივის გარეშე გამოყენებისას მათ ახასიათებთ ბუნდოვანება.

სემანტიკური განსხვავებებიც საკმაოდ თვალსაჩინოა. მოდალურ ზმნათა მთავარ სემანტიკურ განმასხვავებელ ნიშან-თვისებად მიგვაჩნია ის, რომ მათი საერთო მნიშვნელობა უპირისპირდება სინამდვილის ფაქტს. ავიღოთ მათი ძირითადი სემანტიკური ელემენტები: შესაძლებელი, სასურველი, აუცილებელი; ისინი ხომ უფრო უპირისპირდებიან ფაქტს, ვიდრე ემთხვევიან. სხვათა შორის, ამაშივე მდგომარეობს ის პრინციპი, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბებულია ზმნის არათხრობითი კილოების სისტემა. ფაქტისადმი დაპირისპირებული სხვადასხვა სემები, ანუ, ლოგიკოსების ერთ რომ ვთქვათ, კონტრაფაქტური ოდენობები წარმოადგენენ მოდალური ზმნების მნიშვნელობის სპეციფიკას. თუკი კიდევ ერთხელ გადავაგვლებთ თვალს სათანადო საენათმეცნიერო ლიტერატურას (Гуревич, 1964; Calbert, 1971; Штелинг, 1981; Joos, 1964; Huang, 1969), მაშინ მოდალური ზმნების ბაზისურ მნიშვნელობებად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი: შესაძლებლობა, ნებელობა, განპირობებულობა გარედან (ნების დართვა, აკრძალვა, დავალებულება) და ვარაუდი. ამასთანავე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის ფაქტიც, რომ ბევრი მოდალური ზმნის მნიშვნელობა სინონიმურობასაც ამჟღავნებს, არსებობს ალბათობის მნიშვნელობის რამდენიმესაფეხურიანი გრადაცია (სხვათა შორის, ალბათობის მნიშვნელობა შეიძლება ეწარმოებოდეს თითქმის ყველა მოდალურ ზმნას), ხშირად ზმნათა მოდალური მნიშვნელობები დიდადაა დამოკიდებული კონტექსტზე, ასევე არსებობენ ისეთი მოდალური მნიშვნელობები, რომლებიც მხოლოდ მაშინ ვლინდება, თუ ზმნა კითხვით ან უარყოფით წინადადებაში იხმარება.

მოდალობის შინაარსის ახსნა, პირველ რიგში, იმის დასანახად გეჭირდება, თუ რა განაპირობებს, რა ქმნის, რა გვაძლევს მოდალურ მნიშვნელობას. ავიღოთ მოდალური მნიშვნელობა „აუცილებლობა“ და დავაკვირდეთ მისი ინტერპრეტირების ერთ შემთხვევას: The law obliges parents to send their children to school – „კანონი ავალდებულებს მშობლებს, ატარონ თავიანთი შვილები სკოლაში“. აქ მოდელირებულია ტიპური ცნებითი სიტუაცია, რომელშიც გამოიყოფა შემდეგი: 1) განმსაზღვრელი ფაქტორი, მაიძულებელი ძალა: „კანონი“; 2) იძულება : „ავალდებულებს“; 3) აგენტი, რომლისკენაც მიმართულია მაიძულებელი ძალა: „მშობლები“; 4) მოქმედება, რომელსაც მოველით აგენტისაგან: „ატარონ თავიანთი შვილები სკოლაში“; 5) არჩევანის არქონა: „ავალდებულებს“. ინტერპრეტაცია საშუალებას გვაძლევს, ჩავწვდეთ

მნიშვნელობის შინაგან ლოგიკას. თუ მოვახდენთ ზემოთ მოტანილი წინადადების ტრანზფორმაციას: „თუ მშობლები არა ატარებენ თავიანთ შვილებს სკოლაში, ისინი პასუხისმგებელი არიან კანონის წინაშე“, მივიღებთ დავალებულების ტიპური სიტუაციის შემდეგ კომპონენტებს: 1) აგენსი, რომელსაც მოქმედების არჩევის საშუალება აქვს; 2) მოქმედება ან უმოქმედობა; 3) სუპერაგენსი, რომელსაც შეუძლია, განახორციელოს ქმედება აგენსის მიმართ; 4) აგენსისათვის არასასურველი ქმედება. სქემატურად ზემოთქმული შეიძლება წარმოვადგინოთ მდგომარეობებისა და ქმედებების მიმდევრობათა სახით:

1. X-ს შეუძლია გააკეთოს A ან არა-A;
2. A კარგია Y-სათვის, არა-A არ არის კარგი Y-სათვის;
3. X აკეთებს არა-A-ს;
4. Y აკეთებს იმას, რა არ არის კარგი X-სათვის.

თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მთელი ამ სქემის განმარტების საფუძვლად გამოდიან შეფასებისა და უარყოფის მნიშვნელობები. თუ ა. ვეუბიკას დაუფურცებთ, მოდალური მნიშვნელობების ყველა სახე დაიყვანება ისეთ სემანტიკურ პრიმიტივებამდე, როგორებიცაა „სურვილი“ და „უარყოფა“: He can do that - assuming that if he does not want to do that, he will not do that, I tell you: if he wants to do that, he will do that (Wierzbicka, 1972: 154) – „მას შეუძლია ამის გაკეთება – თუ დავუშვებთ, რომ, თუ მას არ მოესურვება ამის გაკეთება, არ გააკეთებს, მე გეუბნებით: თუ მას მოუნდება ამის გაკეთება, გააკეთებს“.

ზემოთ უკვე შევნიშნეთ, რომ მოდალობის შინაარსის გამოხატვა არა მხოლოდ მოდალურად წოდებული ზმნების ფუნქციაა. საინტერესოა, რომ იმ ფორმალურ და სემანტიკურ ნიშანებზე დაყრდნობით, რომლებიც განსაზღვრავენ მოდალურ ზმნათა კლასს, ანუ ვგულისხმობთ ზმნაში მოდალობის ნიშნის სპეციალიზებულ გამოხატვას, ვ. კარასიკმა განიხილა ინგლისურ ენაში ზმნათა მთელი ლექსიკური ფონდი (ემპირიული მასალა მან აილო სხვადასხვა განმარტებითი ლექსიკონიდან) და გამოავლინა მოდალური კომპონენტის შემცველ სიტყვა-მნიშვნელობათა (словозначений) მთელი კორპუსი, რომელიც 1325 ერთეულისაგან შედგება. თავიანთ მნიშვნელობებში მოდალური კომპონენტის შემცველ ზმნებს მან მოდალიზებული უწოდა (Карасик 1992).

წარმოდგენილი და გაანალიზებული მონაცემები ნათელს ჰფენენ იმას, რომ მოდალურ-სტატუსური კომპონენტი მოდალიზებული ზმნების სემანტიკაში განპირობებულია სიტუაციით, რომელიც ასახულია ზმნის სემანტიკურ სტრუქტურაში და ეს სხვადასხვა დოზით ხდება.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს მოდალობის გამოხატვის საშუალებათა შესაძლო მრავალფეროვანი სპექტრის არსებობას როგორც ერთი ენის ფარგლებში, ისე სხვადასხვა ენაში, მით უმეტეს, თუ მათი სტრუქტურები საგროძობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. უფრო მეტიც, ზმნების ანალოგიურად მოდალურ-სტატუსური კომპონენტები შეიძლება შეგვევადოთ ზედსართავებისა და არსებითების სემანტიკაში. როგორც სხვა ენობრივ ერთეულთა შემთხვევაში, მოდალურ კომპონენტთა მნიშვნელობების საფუძველზე გამოიყოფა ზედსართავთა ქვეჯგუფები ისეთი მნიშვნელობების მიხედვით, როგორებიცაა შესაძლებლობა, ნებელობა და გარე განპირობებულობა. ასევე წარმოდგენილია სხვადასხვა მოდალური კომპონენტი არსებით სახელთა სემანტიკაში. აბსტრაქტული თვისებების გამომხატველი არსებითების თანრიგები უშუალოდ გადმოსცემენ მოდალურ მნიშვნელობებს.

მაგალითად, ambition -- strong desire for success, power, riches, etc. სიტყვაში „ამბიცია“ უშუალოდაა გამოხატული ნებელობის მოდალობა სტატუსის ინდიკატორთან („ძალაუფლება“) კომბინაციაში. რაც შეეხება კონკრეტულ არსებით სახელებს, მათ მნიშვნელობებში მოდალური კომპონენტი გაშუალებულად შეიძლება იყოს წარმოდგენილი. ისევე, როგორც აქ, სხვა შემთხვევებშიც მოდალობისა და სტატუსის გამოხატვა უშუალო კავშირშია ერთმანეთთან; ეს არცაა გასაკვირი, რადგან ყველა ეს მნიშვნელობა ხომ ადამიანთა ურთიერთობის პროცესებში ვლინდება და, მაშასადამე, სწორედ ამგვარ პირობებში სავსებით უპრიანია შესაბამისი მნიშვნელობების წინა პლანზე წამოწევა. მოდალურ-სტატუსური მნიშვნელობა წარმოადგენს კომპლექსურ მოდუსურ ნიშან-კომპონენტს, რომელიც გამოიყოფა ინგლისური ენის სხვადასხვა მეტყველების ნაწილების სემანტიკაში. მოდალური და მოდალურ-სტატუსური კომპონენტის ლექსიკური კატეგორიზაციისადმი განსხვავებული მიდგომები საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ საერთო მახასიათებელი ნიშანი; ესენია: ისინი გამოიყვანება მნიშვნელობის დიქტალური ნაწილიდან, მათ ახასიათებთ მრავალგანზომილებიანი ვარირება და ა.შ.

დადგენილია, რომ არსებობენ სტატუსური სემანტიკური კომპონენტების ისეთი სპეციფიკური ტიპები, რომლებიც არ უკავშირდებიან მოდალობას (ასეთია, მაგალითად, ეტიკეტი), და ასევე მოდალურ კომპონენტთა ისეთი სპეციფიკური ტიპები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სტატუსურ მნიშვნელობასთან (ასეთად მიჩნეულია სტრუქტურულად განპირობებული მოდალობა). სუბკატეგორიული მოდალური მნიშვნელობები, როგორებიცაა შესაძლებლობა, ნებელობა, გარედან განპირობებულობა და ვარაუდი/აღბათობა, წარმოდგენილია სამი ტიპის სიტყვებში, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან აგენსის აქტიურობის ხარისხის მიხედვით, კერძოდ, ესენია ინსტრუმენტული, პოტენციური და პერსონალური მნიშვნელობის სიტყვები.

როგორც უკვე საკმაოდ ვრცლად აღვნიშნეთ ზემოთ, მოდალობის ნაირგვარი გაგება და, შესაბამისად, მრავალფეროვანი კლასიფიკაციები არსებობს. ჩვენ მათი ვრცელი მიმოხილვა სპეციალურ ლიტერატურაში არსებული სურათის სრული სახით დასანახავად გვჭირდებოდა. ზემოთ წარმოდგენილი განხილვისას ისიც სავსებით ცხადი გახდა, რომ დროთა განმავლობაში ტერმინი “მოდალობა” სულ უფრო და უფრო ფართო და ზოგჯერ ბუნდოვანი, უფრო სწორად, ნაკლებად დაკონკრეტებული მნიშვნელობით გამოიყენებოდა. ამასთანავე, სიზუსტეს ისიც უშლიდა ხელს, რომ სხვადასხვა მკვლევარების კონცეფციებში ხშირად არანაირად არ ემთხვევოდა როგორც ნაგულისხმევი ცნების მოცულობა, ასევე მასში გაერთიანებული ენობრივი მოვლენების დიაპაზონი.

სსენებული კონცეპტუალური პრობლემების გამო ჩვენ გადავწყვიტეთ, მიგვემართა ცნობილი რუსი გრამატიკის თეორეტიკოსის ა. ვ. ბონდარკოს ნააზრვეისათვის. ჩვენთვის საინტერესო ცნების დახასიათებისას მას შემოაქვს დომინანტი ნიშან-თვისება, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმის თაობაზე, სინამდვილისადმი სახელდობრ რა დამოკიდებულება მიიჩნევა ძირითადად და სახასიათოდ მოდალობისათვის. მეცნიერის აზრით, მოდალობის დომინანტს წარმოადგენს ესა თუ ის დამოკიდებულება ოპოზიციისადმი რეალობა / ირეალობა. იმისათვის, რომ ეს დახასიათება უფრო ინფორმაციული იყოს, მასში შეყვანილია მნიშვნელობის ის ძირითადი ტიპები, რომლებიც მოდალურად მიიჩნევიან. ამრიგად, ა. ბონდარკო მოდალობას განიხილავს როგორც აქტუალიზაციური კატეგორიების კომპლექსს, რომლებიც მოლაპარაკის თვალსაწიერიდან ახასიათებს გამონათქვამის შინაარსის პროპოზიციული საფუძვლის დამოკიდებულებას სინამდვილის მიმართ რეალობა / ირეალობის

დომინანტი ნიშან-თვისებების მიხედვით. ამ ნიშან-თვისებების მიმართ არსებული ესა თუ ის დამოკიდებულება წარმოდგენილია მნიშვნელობების სახით:

- 1) აქტუალობა / პოტენციურობა (შესაძლებლობა, აუცილებლობა, ჰიპოთეტურობა და ა. შ.);
- 2) უტყუარობის შეფასება;
- 3) გამონათქვამის კომუნიკაციური განწყობა;
- 4) დადასტურება / უარყოფა;
- 5) დამოწმება (ბონდარკო, 2001).

საინტერესოა, რომ ა. ბონდარკო მოდალობას არ მიაკუთვნებს გამონათქვამის დესკრიპტული შინაარსის თვისებრივ შეფასებას “კარგის” ან “ცუდის” მიხედვით; ამას იგი იმით ხსნის, რომ შეფასება მხოლოდ ნაწილობრივ უკავშირდება მოდალობის სემანტიკას, რის გამოც უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ განვიხილავთ როგორც ცალკე სემანტიკურ-პრაგმატიკულ სფეროს, რომელიც მჭიდროდა ურთიერთქმედებს მოდალობასთან. და მაინც, ავტორი მთლიანად არ გამორიცხავს თვისებრივი და ემოციური შეფასების მიკუთვნებას მოდალობისადმი, ოღონდ ასეთ შემთხვევაში საუბარი შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ მოდალობის პერიფერიულ ველს.

მსჯელობის ობიექტურობისათვის კიდევ ერთხელ და აუცილებლად უნდა ვახსენოთ მოდალობის სხვა, საკმაოდ პოპულარული კლასიფიკაციაც; მაგალითად, ო. ლაგუტა გამოყოფს მოდალობის ექვს ტიპს; ესენია: ალეთური, ეპისტემური, დეონტური, დროითი, აქსიოლოგიური და შერჩევითი (ლაგუტა, 2000). ასევე, ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი ობიექტური და სუბიექტური მოდალობების შესახებ; ჩვენი აზრით, ამგვარი დაყოფა საკმაოდ ეფექტური უნდა იყოს, თუ მოდალობის გამოხატვის საშუალებათა მთელს სპექტრს გავითვალისწინებთ. ობიექტური მოდალობა ნებისმიერი გამონათქვამის სავალდებულო მახასიათებელი ნიშანია. იგი გამოხატავს ნათქვამის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი, და ეს ხდება რეალობა / ირეალობის პლანში. ამგვარი სახის მოდალობა თავის ექსპლიციტურ გამოხატულებას პოულობს წინადადების სინტაქსური დანაწევრების დონეზე და გადმოიცემა ისეთი ენობრივი (კერძოდ, გრამატიკული, ლექსიკური და პროსოდიული) ინვენტარით, როგორებიცაა კილოს ფორმები, მოდალური სიტყვები და ნაწილაკები, ინტონაცია. წარმოდგენილი დებულება მთლად სრულყოფილად ვერ ჩაითვლება, რადგან, როგორც ეტყობა, მისი ავტორი ძირითადად ოდენ რუსული

ენის მონაცემებს ეფუძნება და ისე გვთავაზობს განზოგადებულ დასკვნებს, რაც, რა თქმა უნდა, გამართლებულად არ მიგვაჩნია.

სუბიექტური მოდალობა, ანუ მოლაპარაკის დამოკიდებულება ნათქვამის მიმართ, წარმოადგენს არა გამონათქვამის სავალდებულო დამახასიათებელ ნიშანს, არამედ ფორმალურ-გრამატიკული მნიშვნელობის როლში გამოდის. სუბიექტური მოდალობის არსებით საფუძველს წარმოადგენს მოლაპარაკისეული შეფასება აღწერილი ფაქტებისა (ურ ეობა ან მერყეობა, თანხმობა ან უთანხმობა, დადებითი ან უარყოფითი შეფასება).

თუ შევადარებთ ობიექტური და სუბიექტური მოდალობების სემანტიკურ მოცულობებს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მეორის მოცულობა საგრძნობლად ფართოა. შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტური მოდალობა მოიცავს ბუნებრივ ენაში რეალურად არსებული გამონათქვამის საკლასიფიკაციო მრავალფეროვანი და მრავალასპექტიანი საშუალებების მთელ გამას და მისი რეალიზება ხდება სხვადასხვა საშუალებით; ესენია:

- 1) შეფასებითი ლექსიკა;
- 2) მოდალური სიტყვები და ნაწილაკები;
- 3) სიტყვათა სპეციალური ლექსიკურ-გრამატიკული კლასი, ასევე მათთან ფუნქციურად ახლოს მდგომი შესიტყვებები და წინადადებები (წინადადების შემადგენლობაში ეს საშუალებები ჩვეულებრივ ავტონომიურ პოზიციას იკავებენ და ჩართულის როლში გვევლინებიან);
- 4) სიტყვათა რიგი;
- 5) შორისდებულები;
- 6) სპეციალური ინტონაციური საშუალებები, რათა გამოვხატოთ გაკვირვება, ეჭვი, ურყეობა, უნდობა, პროტესტი, ირონია და სხვა ემოციურ-ექსპრესიული ასპექტები, რომლებიც, როგორც წესი, გვიჩვენებენ სუბიექტურ დამოკიდებულებას ნათქვამის მიმართ;
- 7) კომპოზიციური ხერხები.

სუბიექტური და ობიექტური მოდალობების მნიშვნელობებსა და მათ გადმოსაცემ საშუალებებს შორის მკვეთრი საზღვარი არ არსებობს. ორივე სახის მოდალობის გამოსახატავად ხშირად შეიძლება ერთი და იგივე ენობრივი საშუალებები იყოს გამოყენებული.

სხვათა შორის, აღნიშნულის ერთ-ერთ საუკეთესო და საკმაოდ თვალსაჩინო მაგალითს წინამაჟალი წინადადება წარმოადგენს: მხედველობაში გვაქვს

მოდალური სიტყვა “შეიძლება”; კონტექსტის მიხედვით მან შეიძლება გამოხატოს შესაძლებლობის ობიექტური მოდალობაც (შეიძლება = დასაშვებია, ნებადართულია) და პრობლემურობის სუბიექტური მოდალობაც (შეიძლება = შესაძლოა). თუ განვიხილავთ მოდალურ ურთიერთობებს მიმდევობებით გაჯერებულ წინადადებებში, ადვილად დავინახავთ, რომ მიმდევობებს არ ძალუძთ ობიექტური მოდალური მნიშვნელობების გადმოცემა. არაპრედიკატიული ფორმა, იქნება ეს მიმდევობა, გერუნდივი თუ ინფინიტივი, მხოლოდ ასახელებს მოქმედებას, ოღონდ არანაირად არ ახასიათებს მას სინამდვილესთან მისი დამოკიდებულების თვალსაზრისით (Смирницкий, 1959: 256); ხოლო რაც შეეხება სუბიექტურ მოდალობას, მისი გამოხატვის საშუალებები, პირველ რიგში, სუბიექტურ-შეფასებითი ლექსიკა შეიძლება იქნენ გამოყენებული მიმდევობურ კონსტრუქციებში.

თუ დეტალურად განვიხილავთ მოდალურ ურთიერთობებს ისეთ წინადადებებში, რომლებშიც არის წინდებუდიანი მიმდევობური კონსტრუქციები, სუბიექტური მოდალობის თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს ორი სახის მოდალობა:

- 1) მოლაპარაკის მიერ იმის შეფასების მოდალობა, თუ რამდენადაა იგი დარწმუნებული თავის ნათქვამში, თავისი ცოდნის სიზუსტესა და უტყუარობაში;
- 2) სურვილისა და ნებელობის მოდალობა.

სუბიექტური მოდალობის პირველი ტიპი შედის ეპისტემური მოდალობის სტრუქტურაში და აღნიშნავს მთქმელის მიერ იმის ცოდნის შეფასებას, რამდენადაა შესაძლებელი კავშირის არსებობა პრედიკაციის ობიექტსა და მის ნიშან-თვისებას შორის. შემფასებელი სუბიექტი გულისხმობს ამგვარი კავშირის არსებობას, რაც მისი აზროვნებითი მოღვაწეობის შედეგს წარმოადგენს.

წინადადების შინაარსის უტყუარობის ხარისხი შესაძლოა განსხვავდებოდეს მთქმელის თვალსაზრისის მიხედვით; ამასთანავე, უტყუარობის მაღალი ხარისხის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება იმის დიდი ალბათობა, რომ ავტორის ნათქვამი ჭეშმარიტია და ობიექტურ სინამდვილეს ასახავს. ამაში ვლინდება კავშირი ობიექტურ და სუბიექტურ მოდალობებს შორის. ზემოთქმულის საფუძველზე უნდა გამოვეყთ მოდალობის შემდეგი ჯგუფები: ურყეობა / მერყეობა, რომლებიც გამოხატავენ შემდეგს:

მსოფლხედვა – ცოდნა/არცოდნა;

მსოფლხედვა – ვარაუდი;

მსოფლხედვა – შეფასება;

ამჯერად გადავიდეთ სწორედ კონკრეტული ენობრივი საშუალებების ანალიზზე; წინადებარე პარაგრაფში საილუსტრაციო მასალა მხოლოდ ინგლისური ენიდან იქნება მოხმობილი.

რაც შეეხება პირველ მნიშვნელობას: მსოფლხედვა – ცოდნა, წინდებულიან მიმდებარე კონსტრუქციაში იგი გადმოიცემა მიმდებარით, რომელიც ნაწარმოებია ზმნიდან **to know**, რომლის მნიშვნელობა ამ შემთხვევაში არის “*to feel certain, to be sure*”. როდესაც მას იყენებს, მთქმელი ახვეწებს, რომ მას საკმაოდ მყარი საფუძველი გააჩნია ამისათვის და ამტკიცებს, რომ ნათქვამი (პროპოზიცია) უტყუარია:

*Uncomfortably, **knowing** what was going through Coleman’s mind, McNeil reached out for a towel (Hailey, 1972: 208)*

კიდევ ერთი მნიშვნელობაა მსოფლხედვა – ვარაუდი; იგი წარმოადგენს მსჯელობის კავშირის ნიშანს მისივე ავტორთან. იგი ვლინდება მაშინ, როდესაც მთქმელი გვიზიარებს სიტუაციის მისეულ აღქმას, რომელიც, შესაძლოა, არამართებული იყოს, მაგრამ, როგორც წესი, რაღაც გარკვეული საფუძველი გააჩნია. მოდელი მსოფლხედვა – ვარაუდი გვხვდება შემდეგ ზმნებთან: **to think** “*to have a particular idea, opinion or belief about smth/smb*”, **to assume** “*to accept sth as true*”, **to suppose** “*to think, believe or assume that smth is true or probable*”, **to suggest** “*to put an idea*”, **to consider** “*to think, or have the opinion*”, **to suspect** “*to have an idea of the existence, presence or truth of smth, to believe*”:

***Assuming that to be true**, we thought that if we could get, even partially, inside the mind of the leader – we call him ‘X’ – we’d improve our chances of catching him (Hailey, 1980: 629)*

***Considering that Jade was out on the town without a moment’s pause, gazing into the eyes of her next conquest**, he should have kept Danielle, taken her to his hotel, and vented some of his frustration and disappointment (Collins, 1987: 40).*

უნდა აღვნიშნოთ, რომ გვხვდება ზმნა **to think**, ხოლო მის შემდეგ მოდიან ზმნები **to assume** და **to suppose**. ზმნის **to think** გამოყენების სიხშირის განმსაზღვრელ ფაქტორად უნდა ჩავთვალოთ ის, რომ იგი საკმაოდ ფართო სემანტიკის მქონე ზმნაა და ამის გამო ძალუძს სხვა ეპისტემური ზმნების ზოგიერთი მნიშვნელობის გადმოცემაც.

მსოფლხედვა – შეფასება შეიძლება დაეყოს ორ ქვეჯგუფად: საექვო შეფასება და შედარებაზე დამყარებული შეფასება.

საექვო შეფასება ემყარება იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც ახდენს სიტუაციის შესაბამისი მონაწილე, იმ შთაბეჭდილებას, რომელიც არ ნაწევრდება კომპონენტებად აღქმის საშუალებების მიხედვით. საექვო შეფასების მოდალობის გამოხატვის საშუალებებს ინგლისურ ენაში წარმოადგენენ მიმღეობები, რომლებიც ნაწარმოებია შემდეგი ზმნებისაგან: *to seem* “to give the impression of being or doing smth, to appear” და *to look* “to seem, to appear”, ანუ “ექვობა”-ს მნიშვნელობით. როგორც არ უნდა იყოს შთაბეჭდილების წყარო, რახან საქმე გვაქვს ისეთ ცნებებთან, როგორებიცაა “ჩანს” და ”ექვობა”, აქ შეფასება აუცილებლად იგულისხმება. როდესაც ვამბობთ “ჩანს” ან ”ექვობა”, ნათქვამის მნიშვნელობაში დევს დასკვნის სემანტიკური კომპონენტი. რადგანაც შემფასებელ სუბიექტს არ გააჩნია პირდაპირი მონაცემები საქმის რეალური ვითარების შესახებ, სემანტიკა შეიცავს მერყეობის კომპონენტსაც.

Seeming quite pleased with himself, Hurley said: “If the Court pleases, this next witness will qualify himself as an expert (Gardner, 1962: 100).

Looking faintly amused she said, “It was?” (Collins, 1987: 393).

საექვო შეფასების მოდალობა შეიძლება გადმოიცეს სხვა ლექსიკური საშუალებებით, რომლებიც მიუთითებენ მოსაზრების სუბიექტურობაზე და მისადმი გარკვეულ ეჭვზე: *seemingly* (როგორც ჩანს), *obviously, apparently* (როგორც ექვობა):

Seemingly unbothered by the cold, he had on a soft left hat and light topcoat, his customary bow tie visible beneath (Hailey, 1971: 167).

Apparently enjoying the interest he aroused, Edward Bird stood very erect as he faced the jury, and made certain that the coat of his uniform was snugly fitting and unwrinkled (Gardner, 1947: 175).

განსაკუთრებული ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ისეთი შემთხვევები, რომლებშიც ფიგურირებს გაურკვევლობის მოდალური ოპერატორი *as if* (თითქოს).

As if anticipating, Cawstan said: “There’s no mistake; it’s Adrian Nesbitson. He began two days ago. He persuaded the others” (Hailey, 1971: 336).

შედარებაზე დამყარებული შეფასება გამოიხატება II მიმღეობით (Participle II), რომელიც ნაწარმოებია ზმნისაგან *to compare* “to judge one thing and measure it

against another thing”; ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ამგვარ წინადადებებში შემასმენელი უმეტესწილად გამოხატულია ზმნით *to be*:

Compared with the Kalashnikov, Partridge’s Browning was a peashooter (Hailey, 1997: 610).

მოდალობის მეორე ტიპი, კერძოდ, სურვილისა და ნებელობის მოდალობა, გადმოიცემა მიმღეობური კონსტრუქციებით, რომლებშიც მონაწილეობენ ზმნები *to want* “*to have a desire for sth, to wish for smth*”, *to wish* “*to say or feel that one wants smth*”, *to hanker* “*to have a strong desire for smth*”, *to demand* “*to require or need smth*”:

Wanting this to end, Godoy answered, “Not a damned thing” (Hailey, 1997: 412).

Still hankering after the cash, Foiral pointed out that he was a very poor man, and it took a whole day to get to Perpignan, a considerable thing to such an extremely poor man as he was (Collier, 2002: 118).

ამგვარად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი და ჩვენს ხელთ არსებული მასალის საფუძველზე შეიძლება დავსძინოთ, რომ წინდებულის მიმღეობურ კონსტრუქციებში სუბიექტური მოდალობის გამოხატვის მთავარ საშუალებებს წარმოადგენენ მიმღეობები, რომლებიც ნაწარმოებია ეპისტემური შინაარსის მქონე ზმნებისაგან: *to know* (20 %), *to seem* (14 %), *to think* (6 %), ასევე ზმნიზედები *seemingly* და *obviously* (4 %).

წინამდებარე თავში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა შევეხეთ ზოგიერთ თეორიულ და, შესაბამისად, ცნებითსა და ტერმინოლოგიურ ასპექტს. ეს აუცილებლობა პირველ რიგში ეხება ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ მოდალობის დაყოფას ობიექტურად და სუბიექტურად. სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ობიექტური მოდალობა საერთოდ არ ახასიათებს მხატვრულ ტექსტს. “უფრო მეტიც, ობიექტურ-მოდალური მნიშვნელობა უმეტეს შემთხვევაში იფარგლება მხოლოდ წინადადებით.

სწორედ ობიექტური მოდალობის მიხედვით გამოიყოფა წინადადების ისეთი სახეები, როგორცაა თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი და ძახილის. ესენი ობიექტურ-მოდალური მნიშვნელობის მქონე ტიპებია” (ჭილაშვილი, 2002: 279). რაც შეეხება ტექსტის მოდალობას, იგი ჯერჯერობით მონოგრაფიული შესწავლის საგანი არ გამხდარა, თუმცა ის ფაქტიც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ რამდენიმე წლის წინათ ამ თემაზე დაცულ იქნა საკანდიდატო დისერტაცია (უგლავა 2005).

სპეციალისტთა უმრავლესობა მოდალობას არ მიიჩნევს ტექსტის ცენტრალურ და არსებით (რელევანტურ) კატეგორიად. მართლაც, მოდალობა უმეტესწილად ოდენ წინადადების დონეზე განიხილება. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, არიან ისეთი ლინგვისტებიც, რომლებიც ზემოხსენებულ გავრცელებულ მოსაზრებას არ ეთანხმებიან და ფიქრობენ, რომ მოდალობა ტექსტის ერთ-ერთი უზოგადესი მახასიათებელია. თუ უფრო ღრმად დავუკვირდებით, ტექსტის კატეგორიული სისტემის კვლევისას მოდალობას უსათუოდ უნდა მიეჩინოს თავისი კუთვნილი ადგილი; აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ ხშირად ტექსტში რეალიზებული წინადადების მოდალობა სულაც არ ემთხვევა ტექსტისას, თუმცა ეს უკანასკნელი წარმოადგენს ტექსტის მონაკვეთებში რეალიზებული მოდალობების ჯამს. ფაქტია, რომ ტექსტის დონეზე ეს მოდალური მიმართებები სახეს იცვლიან და ტექსტის ზოგად მახასიათებლებად გვევლინებიან. აღნიშნულია, რომ “მოდალობა ტექსტის თავისებურებაა. წინადადების დონეზე იგი საკმაოდ სუსტია და ღარიბი. მოდალობა ნადვილსა და სისხლსავსე ფუნქციას ტექსტში გვიჩვენებს, ტექსტში ამჟღავნებს სუბიექტი თავის გრძნობებს, სურვილებს, შეფასებას, სიმპათიას, ანტიპათიას სინამდვილისადმი (თქმულისადმი)” (ჭილაშვილი, 2002: 277).

სუბიექტური მოდალობის შესახებ საუბრისას ჩვენ უკვე ვახსენეთ ისეთი ცნება, როგორცაა მსოფლხედვა (point of view), რაც შეფასების საფუძვლის როლში გამოდის. ტექსტის მოდალობის ერთ-ერთ სახეობად ხომ შემფასებლური, ევალუაციური მოდალობაა მიჩნეული. ტექსტის დონეზე შემფასებლური თვისების გამოსახატავად გამოიყენება რამდენიმე სხვადასხვა საშუალება: შედარება, ეპითეტი, გმირთა დახასიათება, საგანთა და მოვლენათა აღწერა, სენტენციები და ა.შ.

ნ. ჭილაშვილმა შეისწავლა სუბიექტური მოდალობის გამოხატვის საშუალებები ტექსტის მასშტაბით. საანალიზოდ შერჩეულ იქნა ავტოგრაფიულ მოთხრობათა კრებული, რომელშიც თავმოყრილი იყო ცხრა ირლანდიელი მწერალი ქალის ავტობიოგრაფია, რომლებიც თავისი ხასიათით განსხვავდებიან ტრადიციული ბიოგრაფიებისაგან, რადგანაც თავდაპირველად ისინი მხოლოდ ინტერვიუების სახეს ატარებდნენ. თავდაპირველად მწერლები რადიოს საშუალებით წარსდგნენ მსმენელთა წინაშე, მხოლოდ შემდგომ მოხერხდა ინტერვიუების ქაღალდზე გადატანა. ეს იყო საკმაოდ საინტერესო და

ორიგინალური ცდა, რადგანაც საქმე გვაქვს არა საგულდაგულოს დამუშავებულ ლიტერატურულ ნაწარმოებთან, არამედ სპონტანურად, ცოცხლად, ყოველგვარი მომზადების გარეშე მოწოდებულ ფაქტებთან და მოგონებებთან. თითოეული ავტობიოგრაფიის ანალიზი შემდეგნაირად წარიმართა: გამოიყო მიკროთემები (და მათთან დაკავშირებული მახასიათებლები უმეტეს შემთხვევაში მსახდვრელ-სახდვრული ორწევრა სიტყვათშეთანხმებებით გამოხატული):

“დედა” (social recluse, star quality, bog with the bog lakes, altar with the flours);

“მამა” (remote figure, dreadful chore, central axis);

“ბაბუა” (major influence);

“და” (red-faced thing);

“ოჯახი” (definite important entity);

“სახლი” (doll’s house);

“სკოლა”/“ბაღი” (romantic aura, like a cockatoo, potato sacks, real thorn in the flesh);

“აღმრზდელი” (surrogate mother, central figure);

“საკუთარ თავზე” (apologetic child, lonely child, neurotic teenager, nasty little terror);

“მეგობარი” (natural loner, kindered spirit);

“ბუნება” (enormous role, like our parents, magic place);

“წიგნები” (a new avenue, great companions, strange collection, dreadful stuff, considerable influence);

“რელიგია” (antiseptic atmosphere);

“ოცნება” (childhood ambition, particular tortures).

ამგვარი მასალის ანალიზის საფუძველზე მიღებული დასკვნები შემდეგია:

- 1) ტექსტის მოდალობის გამოსატვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ექსპრესიული საშუალებაა ეპითეტი;
- 2) ტექსტის დონეზე ეპითეტების მოდალობის სიღრმისეულმა ანალიზმა უჩვენა, რომ მათი ფუნქციონალური დატვირთვის ექსპრესიულობის მიხედვით უნდა გამოიყოს ცენტრალური (თემატური) და პერიფერიული (მიკროთემატური) ეპითეტები;
- 3) პროზაული ჟანრის ერთ-ერთ სახეობაში – ავტობიოგრაფიაში – მოდალობის კვლევამ წარმოაჩინა თემატური და მიკროთემატური ეპითეტების ის თავისებურება, რომ, მიუხედავად დადებითი, უარყოფითი თუ ნეიტრალური

(პერიფერიული ანუ მიკროთემატური) ეპითეტების რაოდენობისა, ცენტრალური (ანუ თემატური) ეპითეტი ყოველთვის გვევლინება ტექსტის მოდალობის განმსაზღვრელად (ჭილაშვილი, 2002: 281-282).

ზემოთმოყვანილი მასალა სწორედ იმ მიზნით წარმოვადგინეთ, რომ გვეჩვენებინა მოდალობის (მისი ტიპებისა თუ სახობების მიუხედავად) ცნებისა და სხვადასხვა დონეზე მისი გამოსატყვავადმოცემის ძალიან ფართო და მრავალფეროვანი მასშტაბები. ამ მასშტაბების დიაპაზონი განსაკუთრებით იზრდება, როდესაც გავდივართ ერთ, რომელიმე ენაში არსებული სინამდვილის ფარგლებიდან და ტიპოლოგიურად და გენეტიკურად განსხვავებული ენის ან ენების მონაცემებს ვრთავთ საკვლევი ობიექტების ნუსხაში. ასეთ შემთხვევაში უკვე ფაქტორის როლში გამოდიან არა მარტო სტრუქტურული მახასიათებლები, არამედ კულტურული თავისებურებებიც, რაც განსახილველ პრობლემას კიდევ უფრო ართულებს. ნათქვამის მართებულებაში დასარწმუნებლად მოდალური ფორმების გამოყენებაში დაშვებული შეცდომების სოციოლინგვისტური “წონაც” კმარა. ნათქვამში ვგულისხმობთ შემდეგს: სამწერლობო და სასაუბრო ინგლისური ენის აღწერითი გრამატიკების მიხედვით, საერთოდ “ვალდებულებისა” და “აუცილებლობის” გამომხატველი მოდალური ზმნები ბევრად უფრო იშვიათად იხმარება, ვიდრე სხვა მნიშვნელობების მატარებელი მოდალები. ამის უმთავრეს მიზეზად სახელდება სწორედ ის ზოგადი ტენდენცია, რომ მოერიდონ “სახის დაკარგვის” საშიშროებისადმი მიმართულ ქმედებებს. “სახის დაკარგვას” კი ამ შემთხვევაში იწვევს მოდალური ზმნების ძირითადი მნიშვნელობების გარდა მათი დამატებითი კონოტაციების არცოდნა და, საერთოდ, ზიარი ცოდნის ნაკლებობა. ერთ-ერთი ქართველი ავტორი საკუთარი სიტყვებით ადასტურებს ამ ფაქტს: “ქართულში მოდალური ფორმები იმდენად მგრძნობიარე არ არის “სახის” მიმართ, როგორც ინგლისურში, რაც თავისთავად იწვევს გაუგებრობას ქართველსა და ინგლისელს შორის საუბრისას და კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ როგორ ფრთხილად უნდა იყოს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი ზემოხსენებული მნიშვნელობების ექვივალენტების თავის მშობლიურ ენაზე ძიებისას, რადგან ამ შემთხვევაში ნორმების დარღვევა “სახის დაკარგვის საშიშროებისადმი მიმართულ ქმედებად” იქცევა და წარმატებული კომუნიკაციის დამყარება შეუძლებელი ხდება” (ჭანტურია, 2002: 274-275).

აქვე აუცილებლად მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვის თქმა სოციოლინგვისტური ტერმინის “სახის” შესახებ, რადგანაც იგი მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული

მოდალების ფუნქციონირების რამდენიმე ასპექტთან. იგი სოციოლოგიასა და ენათმეცნიერებაში შემოიტანა ერვინგ გოფმანმა (Erving Goffman). მას განმარტავენ როგორც ურთიერთშეთანხმების შედეგად მიღებულ საზოგადოებრივი ქცევის ტიპს. აქედან გამომდინარე, სახე შეიძლება მოსაუბრის შეხედულებების, ფასეულობებისა და რწმენის გამოხატულებად მივიჩნიოთ. როგორც წესი, სახის ფასეულობები პირობით ხასიათს ატარებს. ერთი მხრივ, მათ განსაზღვრავს კონკრეტული ექსტრალინგვისტური სიტუაცია, მეორე მხრივ კი, ის რეალია, რომელშიც იმყოფება მოსაუბრე, ყოფითი/კულტურული ფონი. ამ შემთხვევაში სახის ფასეულობანი გამომდინარეობს გარკვეული ეთნიკური ჯგუფის ადათ-წესებიდან, ცალკეულ საზოგადოებაში მიღებული და აპრობირებული ნორმებიდან. აღნიშნული ფასეულებები ქმნიან სახის ფასეულობებს კონკრეტული ინდივიდისათვის, ხოლო მათი დარღვევა, გამიზნული იქნება თუ ქვეცნობიერი, იწვევს სახის დაკარგვას (face loss). ვერბალური თუ არავერბალური მოქმედება, რომელსაც ინდივიდი მიმართავს სხვადასხვა სიტუაციაში, შესაძლებელია არ შეესაბამებოდეს საუბრის მონაწილეთა სახეს. აღნიშნული სოციოლოგიაში, ლინგვოპრაგმატიკასა და სოციოლინგვისტიკაში ცნობილია, როგორც სახის დაკარგვის საშიშროების გამომწვევი ქმედება (face threatening act). ამის საპირისპიროდ არსებობს ისიც, რასაც უწოდებენ სახის შემანარჩუნებელ ქმედებას (face-saving act), ანუ ეს არის მოსაუბრის მცდელობა, დაიცვას როგორც საკუთარი, ისე მსმენელის სახე (Brown & Levinson, 1996; გოქსაძე, 2002).

ზემოთქმულის საფუძველზე ავტორს გამოაქვს რამდენიმე საინტერესო დასკვნა:

- 3)1. მოდალური მნიშვნელობები განსხვავებულია წინადადების გრამატიკის დონისა და კონტექსტის დონის მიხედვით, ერთსა და იმავე მოდალს შეიძლება “ნებართვის მიცემის” ან სხვა მნიშვნელობა ჰქონდეს წინადადების გრამატიკის დონეზე, ხოლო კონტექსტის გრამატიკის დონეზე ამ “ნებართვას” ემატება სარკასტული მნიშვნელობა;
- 3)2. მოდალური მნიშვნელობები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელ პირზეა მიმართული მოდალი და რა პრაგმატული დანიშნულება აქვს მას;

- 3)3. არასწორად ხმარებული მოდალი ხშირად იწვევს “სახის დაკარგვისადმი მიმართული ქმედების საშიშროებას” (Face Threatening Act). “სახის” რღვევა შეიძლება გამოიწვიოს მოლაპარაკის მიერ გამონათქვამში ჩადებული მნიშვნელობისა და მსმენელის მიერ ამ მნიშვნელობის არასწორმა აღქმამ;
- 3)4. ინგლისური მოდალები წინადადების დონეზე და მათი ქართული და რუსული ექვივალენტები სინონიმურია ნეიტრალურ კონტექსტში, მაგრამ განსხვავდებიან კონტექსტის გრამატიკით, განსაკუთრებით მოდალების პერფექტულ ასპექტში გამოყენებისას;
- 3)5. ერთი და იგივე ყოფითი კოლექტივის წარმომადგენელი ავტომატურად ითვისებს მოდალური ზმნებისა თუ ელემენტების სწორად ხმარებას. სხვადასხვა ყოფით კოლექტივთა წარმომადგენლები კი ამას საგანგებოდ უნდა სწავლობდნენ (იქვე, გვ. 275).

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი დასკვნები ბევრ ნიშანდობლივ რეალიას შეიცავს იმ მხრივაც, რომ ავტორისავე მსჯელობაში არსებული თეორიული დებულებები მისსავე პრაქტიკულ ხაზს არ შეესაბამება; კატეგორიულობა მტკიცებაში ცალმხრივი არ უნდა იყოს.

როდესაც მოდალური მნიშვნელობების გამოხატვის მრავალფეროვან საშუალებებსა და, შესაბამისად, სხვადასხვა ენის მონაცემებსაც ვეხებით, აუცილებელია ამ მონაცემების სრული ანალიზი და სწორედ მონაცემთა სრული კორპუსის შესაბამისი ანალიზის შედეგად უნდა გამოვეყოთ მათგან სათანადო (ჩვენს შემთხვევაში გრამატიკული ხასიათის) მასალა და ამგვარად გამოვიტანოთ დასკვნები. აღნიშნული ჩვენთვის მკაცრ და სახელმძღვანელო დებულებას წარმოადგენს. სწორედ ამის გამო მომდევნო თავში ქართულისათვის დამახასიათებელ იმ ენობრივ (განსაკუთრებით გრამატიკულ) საშუალებებს განვიხილავთ, რომლებიც ამა თუ იმ მოდალური მნიშვნელობის გამოხატვას ემსახურება.

რადგანაც წინამდებარე თავში ზოგადად მოდალობასთან, მის შინაარსთან, მის სტატუსთან, ცნებით და ტერმინოლოგიურ ასპექტებთან, საკლასიფიკაციო კრიტერიუმებთან დაკავშირებით გვქონდა მსჯელობა, საგანგებოდ უნდა შევეხოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს: მოდალობის კატეგორიულური

სტატუსის თაობაზეც კი, როგორც ეს ზემოთ უკვე წარმოჩნდა, განსხვავებული შეხედულებები არსებობს: ყველაზე ფართოდ გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით, იგი სემანტიკურ კატეგორიას წარმოადგენს; ბოლო პერიოდის პუბლიკაციებში თავი იჩინა მოსაზრებამ მისი კოგნიტიური ბუნების შესახებ; მკვლევართა ნაწილი, განსაკუთრებით ფ. პალმერი, მას მიიჩნევს გრამატიკულ კატეგორიად (რუსული ენის მასალაზე მომუშავე სპეციალისტები – სინტაქსურად); ალბათ, უფრო მოსახერხებელი იქნებოდა მისი განხილვა ფუნქციონალური კატეგორიის რანგში.

თ ა ვ ი II

მოდალურ მნიშვნელობათა გამოსატვის გრამატიკული საშუალებები ქართულ ენაში

წინამდებარე ნაშრომის წინამავალ თავში წარმოდგენილი და განხილული მასალის კვლად თავისთავად აშკარა ხდება ის ფაქტი, რომ მოდალური მნიშვნელობები ამა თუ იმ სახით ყველა ენაში გადმოიცემა, თუმცა ეს არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ გადმოცემისა და გამოსატვის საშუალებები ყველა ენაში ერთნაირი უნდა იყოს. ცხადია, რომ არსებობს ენობრივი უნივერსალიები; უნივერსალიების არსებობა კი არ ნიშნავს იმას, რომ ესა თუ ის მნიშვნელობა აუცილებლად ერთნაირად უნდა გადმოიცეს ყველგან. როდესაც საუბარი მოდალობას ეხება, ერთგვარ ეტალონად მაინცდამაინც ინგლისურ ენას იღებენ და, შესაბამისად, დაფიქსირებულია რამდენიმე მცდელობა საიმისოდ, რომ სხვა ენებში მოდალობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას აუცილებლად და მხოლოდ და მხოლოდ მოდალური ზმნები უნდა დაიძებნოს. მართებულია თუ არა ამგვარი მიდგომა, იმითაც ჩანს, რაც უკვე წარმოდგენილ იქნა ზემოთ; ვგულისხმობთ იმას, რომ, ჯერ ერთი, სხვადასხვა ენას მოდალობის გამოსახატავად ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებული საშუალებები გააჩნია (წარმოვიდგინოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ რუსულ ენაში საამისოდ შორისდებულებიც კი გამოიყენება), ხოლო, მეორე მხრივ, თვითონ ინგლისურში ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობის გამოსახატავად მოდალური ზმნების გარდა უამრავი სხვა საშუალება მოიპოვება. რასაკვირველია, ნაკლებად მოსალოდნელია დიდი დოზით მსგავსების დაფიქსირება ინგლისურისაგან ისეთ გენეტიკურად და ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენაში, როგორც ქართული ენაა. განსხვავებებთან დაკავშირებულ პრობლემატიკას ავსებს განსხვავებული

გრამატიკული ტრადიცია და, შესაბამისად, ცნებებისა და ტერმინთა სისტემის თავისებურებები, რაც არცთუ უკანასკნელ როლს თამაშობს ამ საქმეში. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ქართულში მოდალობის გამოხატვის პრობლემის შესახებ მსჯელობა ტერმინოლოგიური ასპექტებით დავიწყოთ.

§ 2.1

მოდალობა: ცნება და ტერმინი ქართულში

შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად სხვადასხვა სპეციალისტის მხრიდან მოდალობის შესახებ გამოთქმული ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებული მოსაზრებებისა და, შესაბამისად, ამის შედეგად არსებული ცნებითი და კატეგორიული აღრევისა, არის ერთი ასპექტი, რაშიც ყველა მეცნიერი ფაქტიურად საერთო აზრზეა: მათთან მოდალობა განიხილება კატეგორიად, რომელიც გამოხატავს ნათქვამის შინაარსის დამოკიდებულებას სინამდვილის მიმართ; ეს არის მოდალობის ზოგადი განმარტება, რომელშიც, თავის მხრივ, მოდალობის ანუ დამოკიდებულების სხვადასხვა სახე მოიაზრება, ე. ი. თითოეულ წინადადებაში მოცემულია ობიექტური სინამდვილის ფაქტისა თუ მოვლენის არა მარტო დასახელება, არამედ მთქმელის დამოკიდებულებაც ამ ფაქტისა თუ მოვლენის მიმართ. სწორედ ამ დამოკიდებულების გამოხატვა იწოდება მოდალობად. ეს მიმართება შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, ანუ სხვადასხვაგვარია ის, თუ როგორ უყურებს მთქმელი თავის მიერ წარმოთქმულს: როგორც ფაქტს, როგორც სავარაუდოს, პრობლემატურს, სარწმუნოს თუ ირეალურს. მართალია, მონახულია თუნდაც ერთი ასპექტი, რომელშიც სპეციალისტები საერთო პოზიციაზე დგანან, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გაუგებრობებია ამოწურულია. ამ პირობებში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად გვესახება მოდალობისა და ზმნის კილოს ცნებების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. სანამ ამ ასპექტს შევეხებით, მანამდე აუცილებლად უნდა განვიხილოთ “მოდალობის” კიდევ ერთი მნიშვნელობა, რომელსაც უკვე საკმაოდ აქვს ფეხი მოკიდებული ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. ამ

ტერმინით სინტაქსურ გამოკვლევებში და სახელმძღვანელოებში წინადადების რაგვარობა (შინაარსის მიხედვით) აღინიშნება. სანიმუშოდ შეიძლება ავიღოთ ლევან კვაჭაძის ცნობილი სახელმძღვანელო “თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი” მასში მოცემული ერთ-ერთი პარაგრაფი, რომლის სათაური შემდეგია “წინადადების ტიპები მოდალობის (რაგვარობის) მიხედვით”; ამ პარაგრაფში განხილული და აღწერილია წინადადებები შინაარსის მიხედვით: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილის (კვაჭაძე, 1986).

ჩვენთვის საინტერესო ტერმინის ამავე მნიშვნელობის გამოყენებას ვაფიქსირებთ ალექსანდრე ღლონტის “ქართულ წინადადებაშიც”, სადაც ნათქვამია შემდეგი: “წარმოთქმის მოდალური იერის მიხედვით წინადადება გვაქვს: თხრობითი, კითხვითი, კითხვა-ძახილისა. ამავე დროს თითოეული მათგანი შეიძლება იყოს დადებითი (წართქმითი) და უარყოფითი (უკუთქმითი) (ღლონტი, 1996: 53). ხსენებულ ტენდენციას რომ შემთხვევითი ხასიათი არ აქვს, კიდევ ერთი ნაშრომით შეიძლება გავხადოთ თვალსაჩინო: ეს გახლავთ ნიკანდრო ბასილაიას ნაშრომი, რომლის სათაურიც კი გარკვეულ თვალსაჩინოებას წარმოადგენს ამ მხრივ “წინადადების ტიპები მტკიცებისა შინაარსის ინტონაციის ანუ მოდალობის მიხედვით”. ნაშრომის ავტორი წერს: “წინადადება შინაარსის ინტონაციის ანუ მოდალობის (სხვაგვარად – რაგვარობის) მიხედვით არის სხვადასხვა ტიპის, რომლებიც ერთმანეთისაგან განირჩევა იმის მიხედვით, თუ რა მიზნით, რა შინაარსის გამოსახატავად იყენებს მას ადამიანი ზეპირი ან წერილი მეტყველების დროს. ერთ შემთხვევაში მოუბრის მიზანი შეიძლება იყოს, გადმოსცეს სხვა პირის რაიმე ამბავი (მაგ.: კარგად წაიკითხე), მეორე შემთხვევაში – სხვა პირისაგან გაიგოს ის, რაც მისთვის არ არის ცნობილი ან გასაგები (კარგად წაიკითხე?), მესამე შემთხვევაში კი დაევალოს, უბრძანოს ან სთხოვოს სხვა პირს საჭირო მოქმედების შესრულება (კარგად წაიკითხე!). ე. ი. წინადადებით გამოიხატოს თხრობა, კითხვა ან ბრძანება” (ბასილაია, 1983: 38).

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილ ავტორებთან (და, სხვათა შორის, არა მარტო მათთან) მოდალობა გაიგივებულია წინადადების რაგვარობასთან და, შესაბამისად, მოდალობაც, ისევე წინადადება შინაარსის მიხედვით, გამოდის სამი სახისა: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი. ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ამ და ჩვენ მიერ მანამდე განხილულ “მოდალობებს” არაფერი აქვთ საერთო ერთმანეთთან, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული ერთგვარი

ტერმინოლოგიური პოლისემია შესაძლოა გარკვეულ უხერხულობას მაინც ქმნიდეს. ამ მომენტში ჩვენს მიზანს წარმოადგენს არა არსებული ვითარების კრიტიკული შეფასება, არამედ ამ ვითარების აღწერა, რათა მკვეთრად გაიმიჯნოს განსხვავებული, თუმცა ერთმანეთთან დაკავშირებული, ცნებები.

წინამდებარე პარაგრაფში ჩვენ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილ მოდალობასთან დაკავშირებულ ცნებითსა და ტერმინოლოგიურ საკითხებს ვეხებით. ამის გამო აუცილებლად უნდა ვისაუბროთ კიდევ ერთი ასპექტის შესახებ. ეს არის ზმნის კილო. საქმე იმაშია, რომ ტრადიციულ გრამატიკებში ხშირად ერთმანეთშია აღრეული მოდალობისა და ზმნის კილოს არა მარტო ცნებები, არამედ მთლიანად კატეგორიები. თავის ერთ-ერთ ნაშრომში ნ. ოქროპირიძე აღნიშნავდა: “თანამედროვე თეორია ზმნის შესახებ მოითხოვს, რომ პრინციპულად გაიმიჯნოს ცნებები “მოდალობა” და “ზმნის კილო”” (ოქროპირიძე, 1975: 297). ისევე როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევაში, მოდალობისა და ზმნის კილოს დაკავშირება, რასაკვირველია, სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, თუმცა აღრევა, რა თქმა უნდა, არასასურველია. აღრევის შემთხვევების სანიმუშოდ შეიძლება დავიმოწმოთ თუნდაც ერთი ავტორის მსჯელობა. პირობითი კილოს ყოიფნა-არყოფნის საკითხზე საუბრისას ნ. კოტინოვი აღნიშნავს, რომ მასზე, როგორც მორფოლოგიურ კატეგორიაზე, მსჯელობა კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დავაყენოთ, რადგან “მას არ გააჩნია სპეციალური ფორმა სხვა კილოებთან დაპირისპირებით, მეორეც, პირობითისა და შედეგბითის შინაარსი ვერ ეტევა არამც თუ ერთი ზმნის ფორმის, არამედ ერთი წინადადების ფარგლებში. იგი რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გვხვდება. ამდენად, პირობით-შედეგობით კილოების მიჩნევა მორფოლოგიურ კატეგორიად – კილოს ცალკე სახეობად – არაა გამართლებული” (კოტინოვი, 1986: 13). მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ამგვარ მოსაზრებებს გამოთქვამს, მასთანვე მაინც ვხვდებით მოდალობისა და ზმნის კილოს ცნებათა სინონიმურად ხმარებას. აღნიშნულის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ ორი ციტატი მისი ერთი ნაშრომიდან: “ახალ ქართულში კავშირებითს ძველი ფუნქციებიდან მხოლოდ ორი შემორჩა: I და III პირის ბრძანებითის გადმოცემა და შესაძლებელ-სავარაუდო **მოდალობის** (ხაზი ჩემია – ც. ბ.) გამოხატვა” (კოტინოვი, 1959: 402); სამი გვერდის შემდეგ ავტორი ამბობს: “კავშირებითის ფუნქციათა განხილვამ გვიჩვენა, რომ ის ძირითადი მნიშვნელობა, რომლითაც კავშირებითი გამოიყენება ქართველურ ენებში, არის შესაძლებელ-სავარაუდო

კილოს (ხაზი ჩვენია – მ. ბ.) გადმოცემა” (იქვე, 405). თუ გადავხედავთ ძველ ქართულ გრამატიკებს, დავინახავთ, რომ პირობით-შედევობითი, შესაძლებელ-სავარაუდო, სანეტარძო, საწადისი, იპოტეტიკა განხილულია კილოს კატეგორიის სახეობებად. ქართველ გრამატიკოსებს ამ დროს მხედველობაში აქვთ განსხვავებული მოდალური ნიუანსები, თუმცა მოდალური ნიუანსის გადმოცემა რიგ შემთხვევაში ერთი ზმნის ფარგლებში ვერ თავსდება; როცა თავსდება, მაშინ სპეციალური ფორმა ან ფორმანტი არ მოეპოვება სხვა კილოსთან საპირისპიროდ. მაშასადამე, მათი მიჩნევა ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიად ნაკლებადაა გამართლებული.

ზემოთქმული გვიჩვენებს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში საჭიროდ მიიჩნევა მოდალობისა და ზმნის კილოს არა მარტო ცნებათა, არამედ მთლიანად კატეგორიათა გამიჯვნა, რადგანაც მათი აღრევა გარკვეულ უხერხულობას ქმნის. ჩვენ ზემოთ უკვე დავიმოწმეთ ნ. ოქროპირიძის პოზიცია, რომლის მიხედვითაც აუცილებელია ამ ცნებათა გამიჯვნა. რა თქმა უნდა, საკითხის დასმა არსებული პრობლემის დასაწყისია; მიუხედავად ამისა, იმავე ნაშრომში ავტორი ამბობს, რომ “ზმნის კილოდ მიიჩნევა მხოლოდ ისეთი მოდალობა, რომელიც ენაში სპეციალური გრამატიკული ფორმით გამოიხატება” (ოქროპირიძე, 1975: 297). შეიძლება ითქვას, რომ ნ. ოქროპირიძის ამ მოსაზრებას კვლავ კატეგორიათა აღრევისაკენ მივყავართ. ი. გეგეშიძისათვის ძალიან ძნელია ზემომოყვანილი მოსაზრების გაზიარება. თავის პოზიციას იგი შემდეგნაირად ასაბუთებს: “აქ ლაპარაკია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მოდალობა სპეციფიკური გრამატიკული ფორმით (კილოს ფორმით) გადმოიცემა; ანუ მოდალობის გამოხატვა ხდება კილოს მორფოლოგიური კატეგორიით. გამოდის, რომ ზმნის კილოს ერთ-ერთი ფუნქციაა მოდალობის გადმოცემა. ეს კი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ერთ კატეგორიას ვუწოდოთ მეორე კატეგორიის სახელი, მითუმეტეს მაშინ, როდესაც მოდალობის კატეგორიალური კუთვნილების საკითხი ცალკე კვლევის საგანია. ერთი რამ მაინც ცხადია, მისი მორფოლოგიურ კატეგორიად განხილვა შეუძლებელია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მორფოლოგიურ კატეგორიად გამოყოფას საფუძვლად უდევს ფორმის ან ფორმანტის არსებობის პრინციპი” (გეგეშიძე, 2005: 114).

ჩვენთვის, რა თქმა უნდა, მიუღებელია ნებისმიერი ტერმინოლოგიური და ცნებითი აღრევა, მიუხედავად იმისა, ეს მოდალობასთან იქნება დაკავშირებული

თუ ენის რომელიმე, სხვა მხარესთან, თუმცა ისიც მართალია, რომ, რადგანაც წინამდებარე ნაშრომში მოდალობასა და მისი გამოხატვის საშუალებებს ვეხებით, ამ სფეროში არსებული გაურკვეველობა ჩვენს ამოცანას უსაშველოდ ართულებს. და მაინც, თუკი ჩვენ ვიცით, რა სახის პრობლემები შეიძლება წარმოიშვას ტერმინოლოგიური თუ ცნებითი თვალსაზრისით, მაშინ უფრო მისაწვდომად წარმოგვიდგენია მათი განხილვა და, შესაბამისად, წარმატებით გადაჭრა.

წინამდებარე პარაგრაფში ნათქვამიდან და განხილულ-გაანალიზებული მასალიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: წინადადების რაგვარობა სინტაქსური კატეგორიაა და გულისხმობს იმას, თუ როგორია წინადადება შინაარსის მიხედვით; კილო ზმნის მორფოლოგიური კატეგორიაა და გვიჩვენებს, რომ მოუბრის მიერ დასახელებული მოქმედება უნდა იქნეს გაგებული ან როგორც უეჭველი ფაქტი, ან როგორც შესაძლებელ-სავარაუდო, ან კიდევ როგორც შესასრულებელი; ნიშნდობლივია ისიც, რომ კილოს გამოსახატავად მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებები არსებობს. რაც შეეხება მოდალობას, იგი ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიაა და გამოხატავს ნათქვამის შინაარსის მიმართებას სინამდვილესთან; ამ თვალსაზრისით კი ძირითადად გამოიყოფა მოდალობის სამი სახე: 1. მოქმედების სუბიექტის დამოკიდებულება მოქმედებისადმი; 2. მოქმედის დამოკიდებულება ნათქვამის შინაარსისადმი; 3. ნათქვამის შინაარსის მიმართება სინამდვილისადმი (რეალურობა-არარეალურობის თვალსაზრისით). დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩვეულებრივ ერთმანეთისაგან გაირჩევა ტექსტისა და გამონათქვამის მოდალობები, რაც ერთგვარად აადვილებს მოდალობის, როგორც საენათმეცნიერო ტერმინის, პოლისემიურობიდან გამომდინარე შესაძლო სიძნელეებს და გარკვეულწილად ამცირებს კიდევ ბუნდოვანების შანსს.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ცნებათა და, შესაბამისად, ტერმინთა გარჩევა-გამიჯვნა აუცილებელზე აუცილებელია, თუმცა ისიც მართალია, რომ მოდალობის, ზმნის კილოსა და წინადადების შინაარსობლივი ჯგუფების ურთიერთკავშირი, რა თქმა უნდა, ცხადზე უცხადესია, განსაკუთრებით კი ისეთ ენაში, როგორიც ქართულია.

§ 2.2

ჩართული როგორც მოდალური მნიშვნელობის მოდულატორი

წინამდებარე პარაგრაფის სათაურის კვალად დასაწყისისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი კითხვის დასმა: რატომ ჩართული? გადავხედოთ სპეციალურ ლიტერატურასა და შესაბამის სახელმძღვანელოებში წარმოდგენილ ჩართულის სტანდარტულ დეფინიციებს: "ჩართული ჰქვია წინადადების წევრებთან გრამატიკულად დაუკავშირებელ სიტყვასა თუ სიტყვათა შეკავშირებას, რომელიც გადმოგვცემს, როგორ უყურებს მთქმელი წინადადებაში გამოსატულ აზრს ან თვით გამოთქმის ფორმას, ან კიდევ მიუთითებს წყაროს და სხვ." (კვაჭაძე, 1988: 295). აქ თვალნათლივ ჩანს, თუ რისთვის უნდა მიაქციოს ყურადღება ჩართულს მოდალობის გამოსატვის საშუალებებით დაინტერესებულმა მკვლევარმა; თუმცა ზოგიერთ ნაშრომში ოდენ მის გრამატიკულ დემარკაციაზეა საუბარი; მაგალითად, "ჩართული წინადადების წევრებთან გრამატიკულად დაუკავშირებელი განკერძოებული სიტყვაა" (ფეიქრიშვილი, 1996: 219).

და მაინც, ჩართულის რაობის თაობაზე სპეციალურ ლიტერატურაში ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები გვხვდება. ჩვენთვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ რიგ ნაშრომში ჩართულის გრამატიკული დახასიათება ძირითადად "ნეგატიურია": იგი არ არის წინადადების წევრი (თუნდაც განკერძოებული); ჩართული გრამატიკულად არ არის დაკავშირებული წინადადების კონსტრუქციასთან. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოდ უღერს გ. რუდნევის შეხედულება, რომლის მიხედვით, ჩართულსა და წინადადების დანარჩენ ნაწილს შორის არსებობს სპეციფიკური ხასიათის ურთიერთობა, სპეციფიკური ტიპის სინტაქსური კავშირიც კი, რაც გამოიხატება ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების (მათ ავტორი მსაზღვრელ სიტყვებს უწოდებს) წინადადებაში ჩართვის ფაქტით და საზღვრულ სიტყვებთან მათი მეზობლობით; მსაზღვრელი სიტყვების ფორმა არ არის დამოკიდებული საზღვრულ სიტყვებზე და მათ, როგორც წესი, არ დაესმის ლოგიკური კითხვები, მაგრამ გარკვეულ სინტაქსურ ფუნქციას მაინც ასრულებენ: მიეკუთვნებიან

წინადადების ამა თუ იმ წევრს და განსაზღვრული აზრობრივი ელფერი შეაქვთ გამონათქვამში. მეცნიერი გეთავაზობს ამ ურთიერთობის ამსახველ ტერმინსაც; ეს არის **თანაფარდობა** ან **თანაფარდობითი კავშირი** (соотношение или соотносительная связь) (Руднев 1959: 123).

ჩვენთვის საგულისხმოა სპეციალურ ლიტერატურაში მოცემული განსაზღვრა ჩართულის ფუნქციისა, რომელიც შემდეგნაირად ჟღერს: ეს სიტყვები გამოყოფენ სიტყვათა მოწესრიგებული რიგის ერთ-ერთ წევრს, როგორც მეტად ან ნაკლებ მნიშვნელოვანს, შემოჰყავთ ახალი წევრი და ხშავენ სიტყვათა რიგს, ანდა გამოყოფენ ერთ-ერთ წევრს მოდალური შეფასების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ გრამატიკული და სტრუქტურული თვალსაზრისით ის ჯგუფი, რასაც ჩართულს ვუწოდებთ, საკმაოდ ჭრელია, მაინც შეინიშნება ერთი საერთო მახასიათებელი: “ამბავი დანახული თუ შეფასებულია მ უ დ ა მ დ ა მ ხ ო ლ ო დ მ თ ქ მ ე ლ ი ს პ ო ზ ი ც ი ი დ ა ნ” (ცქიტიშვილი 1988: 242). ეს უკანასკნელი ძალიან ფასეული დებულებაა ჩვენთვის, ოღონდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ჩართულის “გრამატიკულობის” თაობაზე ზოგჯერ არცთუ მკაფიო პოზიციები გვხვდება. რადგანაც ჩართული წინადადებას სუბიექტურ-მოდალურ შინაარსს სძენს, მათ ზოგჯერ მოდალურ სიტყვებსაც უწოდებენ და განიხილავენ მოდალობის კატეგორიის გამომხატველ ლექსიკურ საშუალებებს შორის, როგორც სიტყვათა განსაკუთრებულ “გრამატიკულ კლასს” (Виноградов 1975: 53-87). აქ ერთგვარი გაუგებრობა იქმნება: თუკი ჩართული ამა თუ იმ შინაარსის ლექსიკური გამოხატვის საშუალებებს წარმოადგენს, მაშინ წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მას ცალკე პარაგრაფს არ უნდა ვუძღვნიდეთ; ამასთანავე, თუკი ჩართული ამა თუ იმ შინაარსის ლექსიკური გამოხატვის საშუალებებს წარმოადგენს, მაშინ რატომ ქმნის იგი, ვ. ვინოგრადოვისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, “სიტყვათა განსაკუთრებულ გრამატიკულ (ხაზი ჩვენია – მ.ბ.) კლასს”?! როგორც უკვე ვთქვით, ჩართულის კლასში შემავალი ენობრივი ერთეულების არა მარტო რაოდენობრივი სიმრავლით, არამედ ფორმალური მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა; ამიტომაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ერთეულთა მოდალურ-გრამატიკულობის შემოწმება ქართულის ენის მოდალურ ელემენტთა გლოსარიუმზე დაყრდნობით, რომელიც ბ. ჯორბენაძის, მ. კობაიძისა და მ. ბერიძის ლექსიკონის (19), და რომელიც ერთვის წინამდებარე ნაშრომს.

სწორედ ჩართულისა და მოდალობის გამოხატვის საკითხთან დაკავშირებითაა საინტერესო ენის განვითარების სხვადასხვა სინქრონიული ჭრილის მონაცემები; ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ა. კიზირიას ნაშრომი (1966), რომელშიც ავტორმა წარმოადგინა ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ჩართულის შესწავლის შედეგები: “ძველ ქართულში ჩართული სიტყვები იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება. გადმოცემულია ვითარების გარემოების ფორმებით. . . ჩართული გამოთქმებისათვის, როგორც წესი, დამახასიათებელი ისეთი ფორმები, რომელთაც შესიტყვების ცენტრად ზმნა-შემასმენელი მოეპოვებათ. იგი ძირითადად წინადადებასთან დაკავშირებული უკავშიროდ ან კავშირის მეშვეობით. სხვა სახის ჩართული სიტყვა, რომელიც ახალ ქართულში გვხვდება, ძველ ქართულში არაა მკვეთრად გამოყოფილი, როგორც განკერძოებული გამოთქმა” (კიზირია 1966: 176-177). სწორედ ამგვარი მსჯელობისა და შესაბამისი ენობრივი თვალსაჩინო მასალის საფუძველზე ენათმეცნიერებაში დამკვიდრდა ვარაუდი, რომ ჩართული სიტყვები თუ კონსტრუქციები გვიანი წარმონაქმნია, რომ ჩართულ სიტყვად შეიძლება იქცეს გარემოებითი სიტყვები ან რედუცირებული წინადადებები, რომ ჩართული სიტყვა თითქოს წარმოადგენს დაუმთავრებელ წინადადებას ან მიღებული სრული წინადადებისაგან, რომლისგანაც შემორჩენილია მხოლოდ ესა თუ ის ნაწილი; ეს უკანასკნელი ზოგჯერ ნაწილაკადაა ქცეული. საგულისხმოა ის გარემოება, რომ, როგორც სრულმნიშვნელოვანმა, ისე მისმა სახენაცვლმა – არასრულმნიშვნელოვანმა სიტყვამ შეიძლება გარკვეულ პოზიციაში შეასრულოს ჩართულის ფუნქცია; ამასთანავე, ერთსა და იმავე ფრაზაშიც კი, სხვადასხვა სინტაქსურ პირობებში, ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს: ვითარების გარემოებისა, ჩართულისა ან მოდალური ნაწილაკისა (Ахманова, Микаэлян 1963: 134-135). აქ უპრიანი იქნება კიდევ ერთი თავისებურების გათვალისწინება: “სინტაქსურ პირობებთან ერთად სიტყვის ამა თუ იმ სინტაქსური ფუნქციის რეალიზებას ხელს უწყობს ამ სიტყვის სემანტიკა და ზოგჯერ ფორმაც” (ცქიტიშვილი, 1988: 245). გვერდს ვერ ავუვლით ამავე ნაშრომში გამოთქმულ კიდევ ერთ საგულისხმო დაკვირვებას, რომელიც არსებითადაა დაკავშირებული ჩვენ მიერ განხილულ საკითხთან: “რაც შეეხება ჩართული სიტყვებისა თუ გამოთქმების მეტ-ნაკლებად გამოყენებას ამა თუ იმ ეპოქის სალიტერატურო ენაში, ამის მიზეზი უფრო ექსტრალინგვისტურ ფაქტორებში უნდა ვეძიოთ (როგორიცაა, მაგ., სალიტერატურო ენის ფუნქციების

გამრავალფეროვნება. ინფორმაციულობის ზრდა, რაც, თავის მხრივ, იწვევს ლოგიკური მსჯელობისა თუ მოღალური ნიუანსების შემცველ წინადადებათა თუ შესიტყვებათა მომრავლებას, სასაუბრო ენის ნაკადის მეტად შემოჭრა სალიტერატურო ენაში და სხვ.)” (ცქიტიშვილი 1988: 246). აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, ჩართულის, როგორც მოღალური მნიშვნელობის მოღალიზატორის თავისებურებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ციტატის მოყვანაც: “ზეპირ დისკურსში მოღალობის ენობრივი ერთეულების შერჩევა განპირობებულია ექსტრალინგვისტური ფაქტორებით: ადრესანტის ინტენციით (საკომუნიკაციო მიზნით), კომუნიკანტთა სოციალური მახასიათებლებით, მათი ურთიერთდამოკიდებულებით, სიტუაციით ანუ პრაგმატული კონტექსტით, წერილობით ტექსტებში კი – ავტორის მიზანდასახულებით, ტექსტის ჟანრით, თემატიკით, გადმოსაცემი შინაარსით, თხრობის სტილით და ა. შ.” (ზექალაშვილი 2008: 174).

როგორც ცნობილია, ჩართულის ფუნქციით გრამატიკულად არაერთგვაროვანი და მრავალფეროვანი ენობრივი ინვენტარი გამოიყენება; აღსანიშნავია, რომ მათ შორის გვხვდება როგორც სრულმნიშვნელოვანი (ზმნა, ზმნისართი), ისე დამხმარე სიტყვები (ნაწილაკი, კავშირი, შორისდებული). თუნდაც ამ ენობრივი ინვენტარის შემადგენლობიდან კარგად ჩანს, რომ ყველა მათგანი მოღალობის გამოსახატავად ვერ გამოდგება. ცხადია, რომ ჩვენთვის უფრო საინტრესო იქნება ზოგიერთი ნაწილაკი და ის ზმნური ფორმები, რომლებიც ჩართულის ფუნქციით გვხვდება (მათ “პრედიკატულ ჩართულებსაც” უწოდებენ (ცქიტიშვილი 1988: 263)). საზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, დიაქრონიული პროცესების გათვალისწინება-გაუთვალისწინებლობის კვალად, ზოგჯერ ერთი და იგივე ნაწილაკი და პრედიკატივი შესაძლოა ერთსა და იმავე რანგში იყოს განხილული ზოგიერთ ნაშრომში; მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ქართულის მოღალურ ზმნათა ერთი ნაწილი დღეს ნაწილაკადაა გადაქცეული. ასეთებია, მაგალითად, **უნდა, ლამის, ეგებ(ის), იქნებ.** . . სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ასეთსავე ტენდენციას იჩენს ჩართულად არცთუ იშვიათად გამოყენებული **ვთქვათ, დაუშვათ, ვნახოთ, შეიძლება (შესაძლოა)** და ა.შ. თავის დროზე აკაკი შანიძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ “ზოგიერთი დღევანდელი ნაწილაკი სწორედ ჩართულის ტიპის ზმნური გამონათქვამიდან ჩანს წარმოშობილი. ასეთებია: **თითქოს** (← თუ ითქვას=თუ შეიძლება ითქვას) **მგონი(ა)** (||მგონი)” (შანიძე 1980: 614). ასეთი ტიპის მოვლენები

თავის დროზე გამოიკვლია ასმათ პაპიძემ და საგულისხმო დასკვნებიც შემოგვთავაზა: “**შგონი(ა)** ჩართულადაა გააზრებული ზოგჯერ ამჟამადაც. . . [მის] მაგალითზე კარგად ჩანს თანამედროვე ქართულში ჩართულის ტიპის განკერძოებული გამოთქმის ნაწილაკად ქცევის პროცესი, რაც ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის” (პაპიძე 1981: 177-178). როგორც ეტყობა, მოდალური ზმნების ნაწილაკად ქცევისათვის მართლაც ხელი უნდა შეეწყო ამ ზმნების ხშირ გამოყენებას ჩართულ კონსტრუქციებში, რომელთა ფარგლებშიც ეს ზმნები ქმნიდნენ ერთგვარ ინფინიტიურ კონსტრუქციას და დამხმარე ზმნის როლში გამოდიოდნენ; დავაზუსტოთ: არა ჩართული იქცა ნაწილაკად, არამედ სრულმნიშვნელოვანი სიტყვა – ზმნა, მისი დამხმარე ზმნად ხშირი გამოყენების წყალობით, თანდათანობით გაცვთა სემანტიკურად და იქცა არასრულმნიშვნელოვან, დამხმარე სიტყვად – ნაწილაკად. ზოგიერთი ეს ნაწილაკი კი გარკვეულ სინტაქსურ პირობებში ასრულებს ჩართულის ფუნქციას. აღნიშნული ფაქტორებისა და მათი ზემოქმედების შედეგად მიღებული ვითარების გათვალისწინება აუცილებლად გასათვალისწინებელ მონაცემად მიგვაჩნია როგორც ჩართულის, ასევე მოდალური ელემენტების ბუნების რკვევის არცთუ იოლ საქმეში.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ჩართულისა და მოდალობის გამოსატვის საკითხები მართლაც მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული; ოღონდ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ყველა ის ენობრივი ერთეული, რომელიც ჩართულად გამოიყენება, ვერ იქნება ავტომატურად განხილული მოდალობის გამომხატველი ინვენტარის ფარგლებში. ალბათ, უმჯობესი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სწორედ შესაბამისი ენობრივი ერთეულობის მოდალურობამ გაუხსნა გზა მათ გამოყენებას ჩართულის კონსტრუქციებში.

§ 2.3

მოდალური მნიშვნელობები და მათი გადმოცემის სისტემურობის საკითხი ქართულში

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მოდალობა ენობრივ უნივერსალიას წარმოადგენს, იგი ადამიანის ბუნებრივი ენის ერთ-ერთ ძირითად კატეგორიას წარმოადგენს და, როგორც ვ. ვინოგრადოვი იტყობდა “განმსჭვალავს მეტყველების მთელ ქსოვილს.” თუ ოდენ ტრადიციულ მიდგომას გავითვალისწინებთ (რაც ძირითადად გულისხმობს მხოლოდ ისეთი მოდალური ზმნების გამოყოფას, როგორიც ინგლისურში გავქვს), მაშინ ქართულში მათი მსგავსი ენობრივი ერთეულების დაძებნა მოგვიწევს; ეს კი, რასაკვირველია, ძალიან სწორხაზოვანი და ნაკლებად პროდუქტიული ნაბიჯი იქნება კვლევის ობიექტურობის თვალსაზრისით. ჩვენი აზრით, ქართულში მოდალობის გამოხატვის საშუალებათა სისტემა მეტად მრავალფეროვანი და მწყობრია. ცხადია, რომ ყველა ენაში ერთნაირად ვერ გადმოიცემა ყველანაირი შინაარსი, თუმცა ისიც უდავოა, რომ ენობრივი რესურსების გააქტიურება გარკვეული, ენის გარეთა სინამდვილის კუთვნილი ფაქტორებითაა გამოწვეული. ამ თეზისთან დაკავშირებით მივმართავთ ჩვენთვის საინტერესო საკითხის თაობაზე ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ავტორიტეტულ პუბლიკაციას, რომლის ავტორი ჩამოთვლის კიდევ ამ ფაქტორებს: “მოდლობისთვის ამოსავალია მოუბარი პირის პოზიცია, თუ რა დამოკიდებულებაშია გამონათქვამი ან მასში ასახული შინაარსი სინამდვილესთან. აქ იგულისხმება მიმართება კომუნიკაციის სამ ფაქტორს – კომუნიკანტებს, გამონათქვამით გადმოცემულ შინაარსსა და ობიექტურ რეალობას შორის.

1. ამ მორფოსემანტიკური კატეგორიის პირველი ასპექტი – მოქმედების სუბიექტის დამოკიდებულება მოქმედებასთან – ახასიათებს წინადადებაში ზმნით გამოხატულ მოქმედებას, როგორც ჯერ კიდევ შეუსრულებელს, მაგრამ დასაშვებს: აუცილებელს, სავალდებულოს, შესაძლებელს, ნებადართულს, უნებურს, სასურველს, სანატრელს.
2. მეორე ასპექტი – მოუბარი პირის (ავტორის) დამოკიდებულება გამონათქვამთან – ასახავს დარწმუნების ან დაეჭვების ხარისხს გამონათქვამის

შინაარსისადმი და მოიცავს რამდენიმე სემანტიკურ ნიუანსს: დარწმუნებულობას, უჭკველობას, ვარაუდს, დაეჭვებას, დაურწმუნებლობას, უნახაობითობას.

3. მოდალობის მესამე ასპექტი – გამონათქვამის შინაარსის დამოკიდებულება სინამდვილესთან – წარმოადგენს წინადადების (სამეტყველო აქტის) რეალობა-არარეალობის შეფასებას მოუბარი პირის მიერ” (ზექალაშვილი 2008: 173-174). ჩვენთვის ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ რ. ზექალაშვილი მოდალობის საკითხს დისკურსის დონეზე იხილავს; ეს ძალიან ეგექტური პოზიციაა კვლევის თვალსაზრისით, რადგანაც, როგორც ცნობილია, დისკურსი წარმოადგენს ფუნქციურად დასრულებულ და მწყობრ საკომუნიკაციო ერთეულს, ტექსტს, რომელიც განიხილება ექსტრალინგვისტურ (სოციოკულტურულ, პრაგმატულ, ფსიქოლოგიურ და მისთ.) ფაქტორებთან ერთად, როგორც მიზანმიმართული სოციალური ქმედება, რომელიც როგორც კომპონენტი, მონაწილეობს ადამიანებისა და მათი კოგნიტიური პროცესების მექანიზმების ურთიერთქმედებაში (Brown & Levinson, 1983; Van Dijk, 1998; McHoul, 1998; Schiffrin, 1994); ამასთანავე, სამეტყველო აქტია ის ასპარეზი, სადაც გამონათქვამი ფუნქციურ სიმაღლეზე ადის, რადგანაც იგი არის მოცემულ საზოგადოებაში მიღებული სამეტყველო ქცევის წესებისა და პრინციპების შესაბამისად განხორციელებული მიზანმიმართული სამეტყველო ქმედება (Austin, 1962; Searle, 1969). ჩვენ სავსებით ვეთანხმებით მოყვანილი ციტატის ავტორს იმაში, რომ მოდალობა ქართულში მორფოსემანტიკური კატეგორიაა, რის საფუძველსაც ქართულის ენობრივი სინამდვილე გვაძლევს. ენობრივ სინამდვილეში ვგულისხმობთ მოდალობის გამოხატვის მრავალმხრივ და მრავალფეროვან საშუალებებს, რომლებიც ფიქსირდება ქართულში. ქვემოთ ჩამოვთვლით ამ ენობრივ საშუალებებს, რომლებიც ენის სხვადასხვა დონეს განეკუთვნებიან (ისინი მეტ-ნაკლებათ ზემოთ უკვე განვიხილეთ. ეს ჩამოთვლა მათი (ე.ი. ამ საშუალებების) ერთგვარი კლასიფიცირებისა და იმის წარმოჩენის ცდას წარმოადგენს, რომ ისინი მართლაც ქმნიან სისტემას. სანამ ამ სისტემის თავისებურებების აღწერაზე გადავალთ, უნდა მოვიყვანოთ ერთი ციტატა, რომელიც ჩვენთვის იმის ილუსტრაციაა, რომ მოდალობა ქართულში იმდენად რთული მოვლენაა, რომ მისი შესწავლა გამოწველილვით, ყველა დეტალის გათვალისწინებით უნდა მოხდეს: “წინადადების წვერთა სისტემაში ტრადიციულად არ შეაქვთ ისეთი ელემენტები, რომლებიც სინტაქსურად წინადადების არავითარ სხვა კომპონენტებს არ უკავშირდებიან, ასეთებია:

მიმართვა, ჩართული და სხვ. ამ სისტემის გარეთ რჩება წინადადების მოდალობაც - კატეგორია, რომელიც გამოხატავს გამონათქვამის სხვადასხვა მიმართებებს სინამდვილისადმი და მოლაპარაკის (იშვიათად - მსმენელის) შეტყობინების დამოკიდებულებას შინაარსთან. მოდალობა ერთგვარად წინადადების მნიშვნელობის კომენტარია. მოდალობის სფეროს განეკუთვნება დაპირისპირებები თხრობით, კითხვით, ბრძანებით წინადადებებს შორის, წართქმით და უკუთქმით წინადადებებს შორის, შეტყობინებების რეალურობა-ირეალურობასთან დაკავშირებული მნიშვნელობები (ამ მნიშვნელობათაგან ზოგიერთს შეეგებება კილოს გრამატიკული კატეგორიის განხილვისას)” (გამყრელიძე & სხვ., 2003: 257). წარმოდგენილი ციტატა იმის ნათელი ილუსტრაციაა, რომ მოდალობა მართლაც ძალიან მრავალფეროვანი და მრავალმხრივი მოვლენაა, რაც თავისთავად აშკარად ხდის იმ გარემოებას, რომ ცალმხრივობა ამ შემთხვევაში ნაკლებად გამოსადეგი და ნაკლებად ეფექტური მიდგომაა. ამის გამოა, რომ ჩვენ ენაში არსებული ყველა დონის ერთეულების წარმოჩენას ვაპირებთ.

§ 2.3.1

მორფოლოგიის დონე

ა. ზმნის კილო (თხრობითი, ბრძანებითი, კავშირებითი, პირობითი, უნახაობითი), რომლის სემანტიკა მრავალფეროვანია. გარდა კავშირებითის მწკრივებისა, მოდალური ნიუანსები კონტექსტის მიხედვით გადმოიცემა უწყვეტლით, ხოლმეობით-შედგობითით, წყვეტილით, I და II თურმეობითებით. უნახაობითობა I და II თურმეობითებში (ზოგ დიალექტში – ახლანდელ დროშიც: *ნაყვარება, ნაწურავა, დანავალა...*) უნდა მივიჩნიოთ კილოს ერთ-ერთ სახეობად, როგორც მოუბარი პირის დამოკიდებულების გამოხატვა გამონათქვამის სარწმუნოებისადმი.

ქართულში კილო მოდალობის გამოხატვის თვალსაზრისით ერთ-ერთი უმთავრესი ენობრივი რესურსია, რის გამოც მასზე უფრო ვრცლად უნდა შევჩერდეთ. კილოს კატეგორია ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიათაგანია ქართულში ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ სხვა ენაში. მასთან რიგი პრობლემებია დაკავშირებული და ეს უწინარესად ირიბ, ირეალურ კილოებს

ეხება. სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ძველ ქართულთან შედარებით თანამედროვე ქართულში ირიბ, ირეალურ კილოთა რაოდენობა შემცირებულია და, შესაბამისად, ფართოვდება თხრობითი კილოს ფორმათა გამოყენების სფერო არათხრობითი კილოს მნიშვნელობით (იხ. მაგ., მამისთვალიშვილი, 1985; პაპიძე 1981). რეალური და ირეალური კილოების ერთგვარი თანხვედრის ტენდენციის გარკვეულ გამოხატულებას წარმოადგენს ქართულში დადასტურებული ის პროცესი, როდესაც თხრობითი კილოს ფორმა კავშირებითის ფუნქციას იძენს, როგორც ეს მოხდა თურმეობითის შემთხვევაში. ასევე პრობლემტურია კილოს კატეგორიალურობის საკითხი; ტრადიციულად ქართულში კილო მორფოლოგიურად განიხილებოდა (აკ. შანიძე, არნ, ჩიქობავა). აღნიშნულის საპირისპიროდ გამოთქმულია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ფორმალური მარკერების არარსებობის გამო კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დადგეს კილოს მორფოლოგიურ კატეგორიად ჩათვლის საკითხი (იხ. მაგ., გოგოლაშვილი, 1988). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მოსაზრებას მტკიცე საფუძველი აქვს, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, ჩვენს შემთხვევაში მაინც, მთლად არ გაგვერიყა კილო გრამატიკისაგან. ალბათ, უპრიანი იქნება, თუ ვაღიარებთ, რომ კილო რთული (კომპლექსური) კატეგორიაა, რომლის გამოსახატავად ენა იყენებს როგორც გრამატიკულ, ისე სემანტიკურ და ინტონაციურ საშუალებებს.

იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულება მქვანდება ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართ, ქართულში ტრადიციულად გაირჩევა სამი კილო: თხრობითი (პირდაპირი, რეალური), კავშირებითი და ბრძანებითი (ეს ორი უკანასკნელი ირიბი, ირეალური კილოების რიგში შედის). მოდალობის გამოხატვის თვალსაზრისით ძირითადი დატვირთვა სწორედ ირიბ კილოებზე, განსაკუთრებით კი, კავშირებითზე მოდის. ჩვეულებრივ, იგი გამოხატავს ირეალურ მოქმედებას და წარმოგვიდგენს მას როგორც შესაძლებელს, სავარაუდოს, სასურველს. . . ჩამოთვლილი მნიშვნელობების გადმოსაცემად ენაში გამოყენებულია გრამატიკული, ლექსიკური და პროსოდიული საშუალებები. მოდალური შინაარსის გამოსახატავად ზოგჯერ კავშირებითი კილოს ფორმები თვითკმარია, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ეს ფორმები ესამებიან სათანადო კავშირებსა და მოდალურ ელემენტებს. მოდალური მნიშვნელობების გადმოცემის თვალსაზრისით საგულისხმოა კონტექსტის ფაქტორიც; აღნიშნული გარემოება შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში:

“კონტექსტურად წარსული დროის მნიშვნელობა უჩანს მყოფადის მწკრივს ამგვარ წინადადებებში: ბაზურა, აქამდე რომ არხეინად იწვა ღუმელის ქვეშ, ბიბოს მიახლოებისთანავე **წამოდგება** და **ნელა გაძვრება** ღუმელის იქითა მხარეს: რ. ინან.; მნიშვნელობა ამ ფრაზისა: ბაზურა, აქამდე რომ იწვა, . . . წამოდგა და ნელა გაძვრა . . . ან კიდევ: მოთხრობაში არის ადგილი, როცა გრიგოლს თავისი მოწაფეები პატარა ბავშვს **მიუყვანენ** აღსაზრდელად (=როცა მიუყვანეს). აწმყოს მნიშვნელობით ნახმარ მყოფადის მწკრივს შეიძლება განსხვავებული მოდალური შეფერილობაც ჰქონდეს. მაგ.: მკითხველი შეეჩვია იმ აზრს, რომ ეს ნაწარმოებიც ორიგინალიდან **იქნება** ნათარგმნი: ვ. ჭელ; იქნება ნათარგმნი = არის ალბათ ნათარგმნი“ (გეგუჩაძე 2001: 72). რაც შეეხება ბრძანებით კილოს, მასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ამ კილოს შინაარსი შეიძლება შეზავებულ იქნეს თხოვნის, ხვეწნის ან წაქეზების ნიუანსებით. როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართულში ბრძანებითს ცალკე, საკუთარი მწკრივი აღარ აქვს, იგი იყენებს თხრობითის ფორმებს (შემორჩენილია ერთი გამონაკლისი: **მოდო // მოხვედი**); განსხვავებას ინტონაცია ქმნის. სწორედ ამის გამოა, რომ ინტონაციის, როგორც პროსოდიული მარკერის, ფაქტორის უგულებელყოფა მოდალური შინაარსის გადმოცემის თვალსაზრისით არსებულ სინამდვილეზე თვალის დახუჭვა იქნება; თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ინტონაციის ფაქტორს, როგორც წესი, მეორეხარისხოვანი როლი ენიჭება ასეთი ენობრივი მოვლენების აღწერის დროს. ჩვენ ამ შემთხვევაში მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავთ, რადგან წინამდებარე ნაშრომში მოდალობის გამოსატყვის მხოლოდ გრამატიკულ საშუალებებს ვიხილავთ.

§ 2.3.2

მორფოლექსიკური დონე

- ა. მოდალური სემანტიკის ზმნები (*სჯერა, სწამს, ჰგონია, ფიქრობს, გარაუდობს, ეჭვობს, მიაჩნია, თვლის, ეჩვენება*) და მეშველზმნიანი შესიტყვებები;
- ბ. მოდალური ზმნიზედები (*ალბათ, სავარაუდოდ, დარწმუნებით, უეჭველად, უდავოდ, უცილობლად, უკამათოდ, ნამდვილად, ჭეშმარიტად...*);

გ. მოდალური ნაწილაკები (ეგებ, დაე, უნდა, აკი, ხომ, განა, ნუთუ, ნეტა...); აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოდალურ ლექსიკურ ერთეულებს ხშირად აქვს სემანტიკური შეხამების უნარი და გარკვეულ მწკრივთან კომბინაციით გამოხატავს მოდალურ შინაარსს. კიდევ ერთი შენიშვნა: ჩვენი აზრით, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ნაზმნარი მოდალური ნაწილაკები და ე.წ. რეგულარული ნაწილაკები. როგორც უკვე აღინიშნა, ქართულში გვაქვს რამდენიმე მოდალური ელემენტი, რომლებიც ზმნური წარმომავლობისა არიან; ესენია: ეგებ/ეგება, იქნებ/იქნება, ეტყობა, ჩანს, ლამის, უნდა, გინდა/გინდ, თუგინდ/თუნდა. . . საინტერესოა, რომ ზოგი მათგანი, როგორცაა ეგებ, უნდა, ლამის, ოდენ მოდალური ელემენტის როლს ასრულებს თანამედროვე ქართულში, სხვები კი გამოიყენებიან როგორც მოდალური დანიშნულებით, ასევე საკუთრივ ზმნის ფუნქციით. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

თავდაპირველად შევეხეთ ერთ-ერთ ტიპურ მორფემოიდს **ეგება/ეგებ**:

ეგებ, ეგება, ეგების—[ს] ნაწილაკი იქნებ, იქნება, შეიძლება; ვინ იცის, ვინძლო. ეგებ გუფს ქანგი მოაშორო კარგი ამბითა (ილია). [მონადირემ] მთელი ღამე უცადა, ეგება მგელი ან აქეთ მოტრიალდეს, ან იქითაო, მაგრამ.. ამაოდ (იგოგებ). ეგები რამე ავთიბოთ, სანამ დარები არია (ბაჩ). „მე ვეცდები, ეგების მოვარჯულო“ (ა. ყაზბ.).

(ქეგლ, 1953, სვ. 1265)

ძველ ქართულში იგი წარმოდგენილი იყო როგორც **ეგების**. ძალიან ხშირად იგი გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელობით: “შეიძლება, ჯერყოფა” (აბულაძე, 1973, გვ. 29). დღეს ამ მნიშვნელობით იგი შემორჩენილია მხოლოდ გამოთქმაში **არ ეგების**, რაც ნიშნავს “არ შეიძლება, შეუძლებელია, არ იქნება” (ქეგლ 1953, გვ.). გარდა აღნიშნული შემთხვევისა, თანამედროვე ქართულში ეს ფორმა მხოლოდ მოდალური ელემენტის ფუნქციით გამოიყენება. მისი მნიშვნელობა შემდეგია: “იქნება, შეიძლება, ვინ იცის, ვინძლო” (ქეგლ, 1953, სვ. 1265). ამგვარი სემანტიკური ცვლილება მოულოდნელობას არ წარმოადგენს, რადგანაც აქ გვაქვს შემდეგი გადასვლა: “შესაძებელ არს, შეიძლება”→”შესაძლოა, იქნებ, ვინ იცის”. ადვილად აიხსნება მომხდარი ფორმობრივი სახეცვლილება: ზმნური მნიშვნელობის დაჩრდილვის კვალად ადგილი აქვს ფორმის ფონეტიკურ ცვლას;

იგი გარეგნულადაც ნაწილაკების რანგში გადაინაცვლებს: **ე-გ-ე-ი-ს>ეგები//ეგებ, ე-გ-ე-ბ-ა>ეგებ**; ასევე: **ე-გ-ე-ბ-ა>*ე-გ-ე-ა** (ბ-ს ჩავარდნით)>ეგია (ეა>ია ცვლილება კანონზომიერია). უფრო არსებითი ცვლილებები მოხდა სინტაქსური წყობის თვალსაზრისით; ე.წ. მასდარული კონსტრუქცია შეიცვალა შესიტყვებით, რომლის ფარგლებშიც **ეგების//ეგება** შეხამებულია კავშირებითის პარადიგმის ფორმასთან: “ეგებ ინებოს ბატონმა” (ვაჟა). შეხამებას ადგილი აქვს სამივე კავშირებითის ფორმასთან. არსებითად აქ შესაძლებლობითობის კილოს მნიშვნელობაა გამოხატული. **ეგება/ეგებ** ამავე დროს იფართოებს ფუნქციონირების არეალს და ეხამება სხვა პარადიგმების ფორმებსაც; ესენია: პირველი სერიის აწმყოს წრის წრის მწკრივები (მყოფადში არ გვხვდება), II სერია, III სერიის II შედეგობითი და III კავშირებითი: ეგებ დაეწეროს დაეწერა.

ფუნქციონირებისა და ფორმის საკითხებთან დაკავშირებული ასპექტები შემდეგნაირადაა შეჯამებული სპეციალურ ლიტერატურაში: “ქართულში გამოიკვეთა შესაძლებლობის კილოს გამოხატვის ტენდენცია. გამოხატვა ხდება ნაზმნარი მოდალური ელემენტის (**ეგება//ეგებ**) საშუალებით, რომელიც ეხამება აწმყოს, ნამყო უსრულის (განგრძობითის), აწმყოს კავშირებითის , აორისტის (ნამყო ძირითადის), II კავშირებითის, II შედეგობითის (III კავშირებითის ფუნქციით გამოყენების შემთხვევაში) და III კავშირებითის (უპირატესად დიალექტებში) ფორმებს” (ჯორბენაძე, 1993, გვ. 268).

ამავე რიგში უნდა განვიხილოთ **ლამის**.

ლამის ნაწილ. ცოტადა აკლია, რომ...; სულ ცოტაც და...; თითქმის; კინაღამ. ისეთია ცოლი, ლამის დაახრჩოს ქმარი საყვედურით (**ზღაპ.**). თვალეში ნაცარს გვაყრიან, ლამის დაგვაბრმან (**ილია**), „ლამის შენ ლოდინში სული ამომძვრეს!“ (**აკაკი**). ლამის გულს დანა დავიცე, შეყრა გამიხდა გვიანი (**ვაჟა**).

(ქეკელ 19 , სვ.)

ძველ ქართულში იგი ასევე დამოუკიდებელ ზმნად იხმარებოდა და მისი მნიშვნელობა იყო “ნდომა, წადილი; სურვილი, წაფა”. დღეს გვაქვს მოდალური ელემენტი **ლამის** “თითქმის, კინაღამ”. იგი უპირატესად II კავშირებითის ფორმას ეხამება: “მე **ლამის** ჩემი **დამემართოს**“. არა მარტო **ლამის** ელემენტთან, არამედ მთლიანად ქართულში არსებული მოდალობის გამოხატვის საშუალებებთან

დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვან აზრს ავითარებს ბ. ჯორბენაძე, რის გამოც მოგვყავს ვრცელი ციტატა მისი ნაშრომიდან: “ღირსსაცნობია, რომ მას მოდალურ ელემენტად გამოყენების დროსაც უნარი აქვს ზმნისთვის დამახასიათებელი კონსტრუქცია შექმნას (თუმცა ზმნური სემანტიკისგან დაცლილია): ლამის, რომ არ შეაწიოს’ (ვაჟა). **ლამის** ამ შემთხვევაში მთავარი წინადადების დანიშნულებითაა გამოყენებული სინტაქსურად, თუმცა **მორფოლოგიურად და სემანტიკურად მოდალური ელემენტია (ნაწილაკია)** (ხაზი ჩვენია – მ. ბ.). ეს, თავის მხრივ, ხდება იმის მიზეზი, რომ **ლამის** ფორმასთან ჩნდება **არის** ზმნა: “**ლამის არის**, შიშისგან გული წაუვიდეს”. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავად **არის** ფორმაც ქართულში ზოგჯერ გამოიყენება მოდალური ელემენტის დანიშნულებით: “ორიოდ-სამი პურიც **არის** წაიღეო” (საბა); გამოიხატება მნიშვნელობა: “მაინც, კი”; გვხვდება ასეც: **მაინც არის** (“სიკვდილით **მაინც არის** ეხსნა ამ მწუხარებისაგან” – ა. ფურც.). რა თქმა უნდა, **ლამის**-თან **არის** ფორმას ეს მნიშვნელობა არ აქვს, აქ იგი უფრო მეშველი ზმნის დანიშნულებას ასრულებს” (ჯორბენაძე, 1993: 269). ზემოგანხილული სემანტიკური და მორფოლოგიური დიაქრონიული ცვლილების განმაპირობებელ ფაქტორად აშკარად ჩანს შემდეგი: “ის, რაც სუბიექტური განცდით იწყება, თავისთავად მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად, ანუ ჯერ კიდევ შეუსრულებელ, მაგრამ შესაძლებელ ქმედებად გვევლინება. ამდენად, გარდასახვაც ასახსნელი და მოსალოდნელია: ლამის=სურს, ცდილობს → (შესაძლებელია) → ლამის + თითქმის კონაღამ” (შარაშენიძე 2000: 89). ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ დ. კარიჭაშვილი, რომელიც ძველ გრამატიკოსთაგან პირველი შეეხო ამ საკითხს, **ლამის** ზმნურ ფორმას “მეშვიდენაირი მიმოხრის” დახასიათებისას განიხილავს, რაც თავისებურ ზმნებზე მსჯელობაში შედის. **ლამის** ფორმის შესახებ გრამატიკოსი აღნიშნავს, რომ იგი “აწმყო და შეუსრ. წარსულის და ნატვრითი კილოს აწმყო დროის ნაკეთებს აწარმოებს” (კარიჭაშვილი, 1930: 106).

მსგავს ელემენტთა რიგში შემდეგ უნდა განვიხილოთ **ი-ქნ-ებ-ა**:

იქნებ-ა¹ გრდუვ. სტატ 1. (II პ. იქნები, I პ. ვიქნები; იყენ. აწმ. არის; ნამ. ძირით. იყო; თურმ. ყოფილა) 1. იარსებებს. უჯიშოსგან ჯიშინი არ ნახულა, არ იქნება (**ხალხ.**) ძნელად იქნება კაცი, რომ ტანზე ბამბისა არაფერი ეცვას (**ი. გოგებ.**). მუშაობა ქალისთვის ძნელი

არაა, თუ ჯალაბობაში მშვიდობიანობა იქნება (ა. ყაზბ.). „გამჭრიახი კაცი ხარ! გასწი გაგვიძებს და ჩვენც შენთან ვიქნებითო“ (ს. შანშ.). „საცა ხალხი იქნება, ჩვენც იქ ვიქნებით (ი. მაჭავ. თარგმ.). 2. შედგენილი შემასმენლის ზმნური წევრი, რომელიც შინაარსით დაკავშირებულია ყოფნასთან, არებობასთან მყოფად დროში (იხ. არის, მნიშვ. 2). ცუდა, უსაქმურა კაცი სულ მშიერი იქნებო (ხალხ.). პატარა თუ არ გაიზარდა, დიდი როგორ იქნებო (ხალხ.). შვიდი წლისა ვიქნებოდი (ი. გოგებ.). „ვერავენ ... კაპიკს ვერ დაგაკლებს!“ ამის თავდებნი ჩვენ ვიქნებით“ (დ. კლდ.). „მოვუსვათ ... დროზე, თორემ მერე გვიან იქნება“ (ა. ბელ.). „ბერო რამდენი წლისა იქნება ე ცაცხვი?“ (ს. მგალობ.). ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც დილიჯანი შევიდა...ეზოში (ეკ. გაბ.). „ნეტა... ჩემი საქმე როგორ იქნება?“ (ი. გედევ.). 2. (მხოლოდ ნაკვთთა მყოფადობის წყებაში და მხოლოდ მესამე პირში) შეიძლება, დასაშვებია (ჩვეულებრივ უარყოფით). „არა ... თუ არ წავეღ, არ იქნება, – რაც მომივა, მომივიდეს“ (ზღაპ.). მეცხვარეებისგან არ იქნება არა მერგოს-რალ (თ. რაზიკ.). „თოფის სროლა არ იქნება, ხმაზე ნადირი დაფრთხება“ (თ. რაზიკ.). \diamond ერთხელ^{რაც} (ერთ^{რიც}) იქნება ^{რდა} ... მოვა, დადგება დრო, უამი (და...), ბოლოს და ბოლოს მოხდება, – ბოლოს და ბოლოს არ შეიძლება არ მოხდეს (რომ)... ერთხელაც იქნება, მელას მინდორზე გაუთენდებო (ანდაზა). „ერთხელ იქნება და შენც-კი სადმე წაგცდება ფეხი!“ (კ. მაყ.). 3. (მხოლოდ მყოფადში და მხოლოდ მესამე პირში) ეგება, ეგების, ვინ იცის, შესაძლებელია; ვინიცობაა, იქნებ. მგელი ცხვარს სამი წელიწადი დასდევდა – იქნება დუმა ჩამოუვარდესო (ანდაზა). ვაჟმა უთხრა, რომ ბოჟმის ყვავილის მაძებარი ვარ და იქნება შენმა ქმარმა იცოდესო“ (ზღაპ.). იოთამს ეჭვი შეეპარა, იქნება მართლა ტყუილი გამოდგეს შეთქმულებო (ი. გოგებ.). „გიახელით, რომ იქნება რაიმე ადგილი მიბოძოთ“ (ი. ეკალ.). 4. (ნამ. ძირით. III პ. იქნა, II პ. იქენ^{რი}, I პ. ვიქენ^{რი}; კავშირ. II იქნეს და იქნას; თურმ. ქნილა) 1. ჩვეულებრივ, ნაკვთთა ნამყო ძირითადისა და თურმეობისთვის წყებაში; იხმარება გამოთქმაში; \diamond რა (რადღა) იქნა? სად (სადღა) არის? სად (სადღა) წავიდა? თუ მაწონი ძაღლმა შეჭამა, ქოთანი რადღა იქნაო (ანდაზა).

იკითხა: „ლევანი რა იქნაო?“ – მოახსენეს: „ექებენ და ვერ უპოვიათო“ (რ. ერისთ.). 2. მხოლოდ ნამყო ძირითადის მესამე პირში; გამოთქმებში: **◇ როგორც იქნა ძლივსძლივობით, ძნელად, რის ვაივაგლახით, ვაინაჩრობით, – როგორც იყო... „გააგლო [იგი], როგორც იქნა!“ (აკაკი). ◇ რაც იქნას, იქნას რაც მოსახდენია, ძოხდეს, – რაც იყოს, იყოს... ◇ ვერ (არ) იქნა და... ვერა და ვერ (არა და არ) გახდა შესაძლებელი..., ვერაფრით ვერ განხორციელდა. „არ იქნა ვერ შეგვატყობინეს (ილია). 3. მიმღეობიანი შედგენილი შემასმენლის ზმნური წევრი მყოფადსა და ნამყო ძირითადში. დამნაშავე დასჯილ იქნა. – ზომები მიღებულ იქნება. – კავშირი დროებით გაწყვეტილი იქნება.**

(ქეგლ 1955, სვ.)

თანამედროვე ქართულში ისიც ორი დანიშნულებით გვხვდება: საკუთრივ ზმნისა და მოდალური ელემენტისა. საკუთრივ ზმნური მნიშვნელობების გარდა იგი დადასტურებულია შესაძლებლობის ფუნქციის გამოსახატავად: “ერთხელაც **იქნება** (=შესაძლოა), მელას მინდორზე გაუთენდება”, “თოფის სროლა **არ იქნება**” (=არ შეიძლება) (ქეგლ 1955, სვ.). სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ “გამოთქმაში **არ იქნება** ზმნა შესაძლოა არქაული ფორმითაც იყოს წარმოდგენილი: **არ იქნების** (შდრ.: **არ ეგება და არ ეგების**): “კაკალი უნაჭუჭოდ **არ იქნების**” (ანდაზა) (ჯორბენაძე 1993: 270). ჩვენთვის საინტერესო ელემენტი გვხვდება ასევე შემდეგ გამოთქმებში: **რა//რალა იქნება (იქნა), როგორც იქნება (იქნა), რაც იქნება, ვერ//არ იქნა (ვერა დ ავერ იქნა, არა და არ იქნა)**. ცხადია, რომ **ი-ქნ-ებ-ა** ზმნის ზოგადი მნიშვნელობა არის “იარსებებს”; აქედან განვითარებულია სასურველობის სემანტიკა “ვინძლო იყოს//იარსებოს”, რაც საფუძვლად დაედო კიდევ ამ ფორმის გამოყენებას მოდალური ელემენტის დანიშნულებით: “მგელი ცხვარს სამი წელიწადი დასდევდა – **იქნება** დუმა ჩამოუვარდესო” (ანდაზა). **ი-ქნ-ებ-ა** ზმნის მოდალურ ელემენტად გამოყენებამ ხელი შეუწყო მის ცვეთას ფონეტიკურ თვალსაზრისით: **ი-ქნ-ებ-ა> ი-ქნ-ებ.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, **ი-ქნ-ებ-ა** ზმნის მოდალურ ელემენტად გამოყენებას საფუძვლად დაედო სასურველობის სემანტიკა; მოგვიანებით იგი იფართოებს სემანტიკურ დიაპაზონს და დღესდღეობით გამოხატავს ვარაუდის

მნიშვნელობასაც. ამის შესაბამისად გაფართოვდა მისი ფორმობრივი შესაძლების დიაპაზონიც: II კავშირებითი ფორმების გარდა (იქნება//იქნებ დაწეროს, გააკეთოს, მოვიდეს, გათბეს. . .); იგი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სხვა პარადიგმის ფორმებთანაც: იქნება//იქნება წერს, წერდა წერდეს; დაწერა, დაეწერა, დაეწეროს; იქნება//იქნებ იცის, იცოდა, იცოდეს (ანუ: აწმყოს ნამყო უსრულის, აწმყოს კავშირებითი, აორისტის, II შედეგობითი, III კავშირებითი ნაცვლად). ზემოაღნიშნულის საფუძველზე ნათლად ჩანს შემდეგი გარემოება: **იქნება**, როგორც დამოუკიდებელი ან მეშველი ზმნის, და **იქნება**, როგორც მოდალური ელემენტის, გამოყენების სფეროები ენაში მკვეთრად არის გამიჯნული: სახელთან (ან პირველად მასდართან, მიმდევობასთან) იგი მხოლოდ ზმნის ფუნქციით გვხვდება (**იქნება კაცი, ზეიმი, გაკეთებული**), ხოლო ზმნასთან – მხოლოდ მოდალური ელემენტის დანიშნულებით (**იქნება//იქნებ წერს, წერდა, დაწერა. . .**).

ამჯერად განვიხილოთ მოდალობის გამოხატვის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ერთეული; ეს არის **უნდა**:

უნდა-ა (მხოლოდ ნაკეთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. 1. სურვილი, ნდომა აქვს. – სურს, სწადია. ბრმას რა უნდა და – ორივე თვალთ (ანდაზა). კაცს როცა არ უნდა, რიყეზე ისე გაივლის, ქვას არ დაინახავსო (ანდაზა). „გოგოს მარტო მე ვუნდივარ დათიკო!“ (ილია). 2. ესაჭიროება; საჭიროა მისთვის – სჭირდება. კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო (ანდაზა). კოლოტას უფრო სუფთა წნელი უნდოდა და სულ თითოობით უნდა ამოერჩია (თ. რაზიკ). ◊ რა[ღ]ა თქმა უნდა, თქმა არ უნდა იხ. თქმა.¹ ◊ რა გინდა, სულო და გულო! ითქმის, როდესაც უხვად არის, თავზე საყრელია (სასმელ-საჭმელი და სხვ.) [ხელმწიფეს] მოართვეს საჭმელები, სულ ნაირ-ნაირი, რა გინდა სულო და გულო! (ზდაპ). რა გინდა სულო და გულო..., აგერ ფართალი, აგერ ლეკურები, თოფები, ... თვალ-მარგალიტი! (რ. ერისთ.). ◊ ვისაც არ უნდა ვინც არა მგონია, ყველა. „საწყლები ვართ, შენი ჭირი შემეყაროს, უსაშვალონი, აბა რა ვართ! ვისაც არ უნდა, ჩვენ გვაწუხებს!“ (დ. კლდ.). უნდა დამხმარე სიტყვა, იხმარება კავშირებითი ფორმასთან. „შენი დაუტირებელი უნდა

მოკვდეთ?! (ილია). „რაც უნდა იყოს, შენი ჭირიმე, ჩვენი აკვანი საქართველოა!“ (ილია)

(ქეგლ 1960, სვ.)

იგი ძველ ქართულშივე გამოიყენებოდა როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური წყობით;

ა) (ვ)უ-ნდ-ი, უ-ნდ-ი (“უნდი მე”); იგივეა, რაც ახალი ქართულის ვ-უ-ნდ-ი-ვარ, უ-ნდ-ი-ხარ

ბ) მ-ი-ნდ-ა, გ-ი-ნდ-ა, უ-ნდ-ა.

თანამედროვე ქართულში უნდა ზმნა ორი მნიშვნელობით იხმარება:

1. სურს, სწადია: “ბრძანა რა უნდა და – ორივე თვალით” (ანდაზა);
2. ესაჭიროება, საჭიროა მისთვის: “კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო” (ანდაზა) (ქეგლ, 1960, სვ.).

როგორც ვხედავთ, ეს ორი მნიშვნელობა საკმაოდ ახლოს დგას ერთმანეთთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ თუნდაც მცირედმა სემანტიკურმა დიფერენციაციამ ისინი განასხვავა უღვლილების თვალსაზრისით; ამ ზმნას, როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური წყობის უღვლილება მხოლოდ პირველი მნიშვნელობის გამოხატვისას აქვს. იგი ინვერსიულია, ახასიათებს დეფექტური უღვლილება (საერთოდ არ აქვს II სერია; აწმყოს წრის გარდა სხვა პარადიგმებში იყენებს შენაცვლებულ ფუძეს: ი-პრეფიქსიან ყალიბს). რაც შეეხება მეორე მნიშვნელობას, მისი გამოხატვისას უნდა ზმნას მხოლოდ ობიექტური წყობა აქვს და, ამასთანავე, ოდენ აწმყოს წრის პარადიგმები მოეპოვება (“კარგი გამგონე მინდა” = “კარგი გამგონე მჭირდება”, “კარგი გამგონე მინდოდა” = “კარგი გამგონე მჭირდებოდა”, “კარგი გამგონე მინდოდეს, ვიპოვნიდი” = “კარგი გამგონე მჭირდებოდეს, ვიპოვნიდი”). საქმე იმაშია, რომ სწორედ ამ მეორე მნიშვნელობისაგან განვითარდა ის სემანტიკა, რომელსაც მოდალური ელემენტი უნდა გამოხატავს: “საჭიროა, აუცილებელი”. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მნიშვნელობათა ამგვარი გადასვლა მოულოდნელი სულაც არ გახლავთ: “სურს, სურვილი აქვს” > “სჭირდება, ესაჭიროება” > “საჭიროა, აუცილებელია”.

აღსანიშნავია, რომ მოდალური ელემენტის სტატუსით აღჭურვილი უნდა თავისი ფორმობრივი ქცევით პრინციპულად განსხვავდება უნდა ზმნისაგან: “უნდა” მოდალური ელემენტი ესამება მხოლოდ კავშირებითის ფორმებს (გარდა

მყოფადის კავშირებითისა) და არ იუღლება. მართალია, სურვილის გამომხატველი უნდა ზმნაც კავშირებითის ფორმებთან იხმარება, მაგრამ არსებობს აშკარა სხვაობა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ა) იგი იცვლება პირის, რიცხვისა და დრო-კილოს მიხედვით, და ბ) საქმე გვაქვს რთული ქვეწყობილი წინადადების ერთ-ერთ ნაირსახეობასთან: **მინდა ვაკეთებდე** ან **მინდა ვაკეთო** არსებითად იგივეა, რაც: **მინდა რომ ვაკეთებდე** ან **მინდა რომ გაგაკეთო**. ამიტომაც, რომ **მინდა ვაკეთებდე** ან **მინდა ვაკეთო** ტიპის კონსტრუქციები დაწერილობისას ზოგჯერ შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: **მინდა, ვაკეთებდე** ან **მინდა, გაგაკეთო** (ე.ი. ისე, როგორც უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება).

გარდა აღნიშნულისა, არსებობს სხვა ფორმობრივი განსხვავებებიც: სასურველობის გამომხატველი უნდა ზმნა შესაძლოა შეხამებული იყოს მასდართან: **მინდა (გინდა, უნდა)** ამ საქმის **გაკეთება** (ან: **თამაში, ვარჯიში, სიმღერა** და ა.შ.), აგრეთვე არსებით სახელთან: **მინდა (გინდა, უნდა) წიგნი (სურათი, სათამაშო და ა.შ.);** ამგვარი შეხამებები გამოირიცხება მაშინ, როდესაც უნდა მოდალური ელემენტის ფუნქციითაა გამოყენებული. არსებული ვითარების სრულად წარმოდგენის მიზნით ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ პარალელურად გამოირიცხება ზემოთ დასახელებული ორი დამახასიათებელი ნიშანი უნდა ზმნისა; ამიტომაც:

ა) მოდალური ელემენტი უნდა გამოიყენება კავშირებითის ყველა პირის ფორმასთან (როგორც მხოლოდობითში, ასევე მრავლობითში) უცვლელი ფორმით (არ გვხვდება მხოლოდ მყოფადის კავშირებითთან); გვაქვს შემდეგი პარადიგმა:

აწმყო: უნდა	ვაკეთებდე
	აკეთებდე
	აკეთებდეს

მყოფადი: უნდა	(გა)ვაკეთო
	(გა)აკეთო
	(გა)აკეთოს

ნამყო: უნდა

გამეკეთებინა (გამეკეთებინოს)

გაგეკეთებინა (გაგეკეთებინოს)

გაეკეთებინა (გაეკეთებინოს)

ბ) უნდა, როგორც მოდალური ელემენტი, გამორიცხავს უნდა ვაკეთებდე ან უნდა გაგაკეთო ტიპის სტრუქტურათა გაგებას ჰიპოტაქსურ (რთულ ქვეწყობილ) კონსტრუქციად (უნდა, რომ ვაკეთებდე ან უნდა, რომ გაგაკეთო ნიშნავს, რომ მას სურვილი აქვს ვაკეთებდე/გაგაკეთო”, და არა ვალდებულება რისი გამოსატყვევაც აკისრია მოდალურ ელემენტს უნდა).

გ) ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ამ შემთხვევაში არ განიხილება თხრობითი და კავშირებითი კილო; საქმე იმაში მდგომარეობს, რომ უნდა მოდალური ელემენტით გადმოიცემა სპეციფიკური – ვალდებულების (დებიტივის) მნიშვნელობა, რომელიც კავშირებითი კილოს ერთ-ერთ ნაირსახეობად ითვლება (შდრ.: კარგი იქნება, გააკეთოს – გააკეთოს! – უნდა გააკეთოს!).

ბ. ჯორბენაძე შენიშნავს, რომ “ორსავე შემთხვევაში (მაშინაც, როცა უნდა წარმოდგენილია ზმნის ფუნქციით, და იმ შემთხვევაშიც, როცა უნდა მოდალური ელემენტი) დასაშვებია უნდა ფორმისა და ზმნის გათიშვა ზმნისართებით: მინდა (/გინდა/უნდა) სწრაფად (კარგად, დღეს, ხვალ. . .) გაგაკეთო (/გააკეთო/გააკეთოს); შდრ.: უნდა სწრაფად (კარგად, დღეს, ხვალ. . .) გაგაკეთო (/გააკეთო/გააკეთოს)” (ჯორბენაძე, 1993: 276).

საინტერესოა, რომ უნდა ზმნის II პირის ფორმა სხვადასხვა მოდიფიკაციით დამოუკიდებლად (გინდა/გინდ/გინ) ან თუ ნაწილაკთან შერწყმულად (თუგინდა//თუგინდ) ასევე გამოიყენება მოდალური დანიშნულებით (ისინი სინტაქსურად კავშირებს წარმოადგენენ); ამავე ფუნქციით გვხვდება აგრეთვე თუ ნაწილაკთან შერწყმული III პირის ფორმაც (თუ უნდა>თუნდა//თუნდ); მაგალითად, “გინდ რეგვენისათვის გისწავლება, გინდ მკვდრისთვის გიწამლებიაო” (ანდაზა); “თუნდა ამოდი, მზეო, და თუნდ ნუ ამოხვალ მბრწყინავი” (ვაჟა).

ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს ის ფაქტი, რომ ნაზმნარ ფორმათა გამოყენება მოდალური დანიშნულებით ქართულში არცთუ იშვიათ მოვლენად ჩანს; ნაზმნარ ფომებადაა მიჩნეული, მაგალითად, თითქმის (<*თუ ითქმის) და

ითქოს (<*თუ ითქვას) (აკ. შანიძე). ასევე ზმნური წარმომავლობისად შეიძლება ჩაითვალოს **ვინძლო** ელემენტიც (*ვინ-(შე)-იძლო>**ვინძლო**); არსებობს ასეთი ვარაუდიც: ***ვინ-ძი რო(მ)>ვინძლო** (აკ. შანიძე). ზმნური შესიტყვებისგანაა მიღებული ვარაუდის გამომხატველი მოდალური ელემენტი **ვინცობაა** (<ვინცობა არის<ვინცობა<ვინ-იც(ის)-ობა<ვინ იცის): “ვინცობაა ეჭვი აიღონ, ასე უთხარი”; ვარაუდის მოდალობას გამოხატავენ ასევე **ჩანს** და **ეტყობა** ფორმებიც: “**ჩანს**, ბარშიაც თოვლი მოსულა”.

საერთოდ, “ნაზმნარ ფორმათა გამოყენებას მოდალური დანიშნულებით უწინარეს ყოვლისა თვით ამოსავალი ზმნის სემანტიკა უწყობს ხელს: **უნდა** “სურს”>**უნდა** “სჭირდება”>**უნდა** “საჭიროა, აუცილებელია”; **თუ ითქმის** (გამოიხატება ვარაუდის->**ითქმის** (გამოიხატება მიახლოებითობის სემანტიკა) და მისთ. თვით ამგვარი სემანტიკური გადახრის შესაძლებლობა კი ენის იმანენტური დინამიზმის უშუალო შედეგია” (ჯორბენაძე 1993: 278).

წინასწარი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ განხილული მასალა უხვად გვაწვდის არა მარტო მსგავსებებს, არამედ პარალელებს ქართული და ინგლისური ენების არსენალში არსებული მოდალობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებების თვალსაზრისით; ეს, უპირველეს ყოვლისა, ითქმის იმ ენობრივი საშუალებების შესახებ, რასაც ქართულ ენათმეცნიერებაში მოდალურ ელემენტებს უწოდებენ, ხოლო ინგლისურ ენათმეცნიერებაში – მოდალურ ზმნებს.

§ 2.3.3

სინტაქსური დონე

- ა. წინადადებათა სახეები მოდალობის მიხედვით (განსაკუთრებით – კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა და კითხვა-ძახილის);
- ბ. პასიური მიმდებარე კონსტრუქციები (მე გასაკეთებელი მაქვს, ეს დასაწერია);
- გ. დამოკიდებულ წინადადებათა ზოგიერთი სახე (ვითარების, მიზეზის, მიზნის გარემოებითი, პირობითი და დათმობითი დამოკიდებული წინადადებები);
- დ. ფუნქციურად ამ ჯგუფში ერთიანდება ჩართული (პარენტეზული) სიტყვა-გამოთქმებიც (ვინ იცის, ღმერთმა უწყის, კაცმა რომ თქვას, როგორც ჩანს,

როგორც ეტყობა, რასაკვირველია, ცხადია, ბუნებრივია, რა თქმა უნდა, უეჭველია, რა სადავოა, რა სალაპარაკოა...).

შეიძლება ითქვას, რომ სინტაქსურ დონეში შემავალი ენობრივი საშუალებების სიჭრელე იმის შედეგია, რომ საკითხი ამ მხრივ ჯერჯერობით არ არის სათანადო სისრულით შესწავლილი; ამით იმის თქმა გვსურს, რომ საკითხის შეუსწავლელობა განაპირობებს კლასიფიკაციის არასრულყოფილებასა და, შესაბამისად, საკლასიფიკაციო ერთეულებში შემავალი ენობრივი ელემენტების მრავალფეროვნებას, რაც, რასაკვირველია, მათი სტატუსების შემდგომი დაზუსტებისა და სათანადო დაჯგუფების საკითხს უპირობოდ აყენებს დღის წესრიგში.

როდესაც ქართულ ენაში მოდალობის გამოსატვის საშუალებათა სისტემურობაზე ვლაპარაკობთ, აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ამ საშუალებათა ურთიერთდაკავშირებულება და ამ კავშირურთიერთობათა რეგულარული და კანონზომიერი ხასიათი. წინამდებარე თავში ძირითადი აქცენტი კილოს ფორმებსა და მოდალურ ელემენტებზე (resp. ნაწილაკებზე) გაკეთდა; ჩვენი აზრით, სწორედ სისტემურობის გამოვლინებაა ის ფაქტი, რომ მოდალობის გამოსატვის ეს ორი უმთავრესი საშუალება ქართულში ერთმანეთთან რეგულარულ კომბინაციაში შედის (შესაბამისი მაგალითები მოყვანილია ამ პარაგრაფში), უფრო მეტიც, გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა მათი თანაარსებობა და არათანაარსებობა გარკვეული ფორმალური კომბინაციის როლს ასრულებს ამა თუ იმ მოდალური ნიუანსის გადმოსაცემად. ასე მაგალითად, “კავშირებითი კილოს სხვადასხვა მოდალობათა გადმომცემ ფუნქციურ სემანტიკურ საშუალებებში ერთ-ერთი განმსაზღვრელი როლი აკისრიათ მოდალურ სიტყვებსა და ნაწილაკებს. ბუნებრივია, თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოსატვისას ეს მოდალური სიტყვები არ მონაწილეობენ, თუმცა არის შემთხვევებიც, როდესაც გვაქვს მოდალური ნაწილაკი, მაგრამ მისი მოდალური ფუნქცია მიჩქმალულია და ზმნაც თხრობითი კილოს ფუნქციისაა” (პაპიძე 1981: 150). საილუსტრაციოდ შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოყვანა:

ახლა, რადგანაც აგისხენით განათლების მნიშვნელობა, თქვენ **უნდა** ერთი რამა **გკითხოთ**. (ილია)

ამ გაგანია ალოობაში მარტო ცოლ-ქმარი რას **უნდა** გახდეს, ამდენ საქმეს რა ხელი **უნდა** აუვიდეს?!” (დ. შენგელაია)

მოდალური ელემენტებისა და კილოს ფორმების ურთიერთშეხამების საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთი მოვლენაა ნიშანდობლივი: “ოფიციალური დოკუმენტების ენაში, – დადგენილებების, ბრძანებულებების, კანონების და მისთ. საქმიან დოკუმენტაციაში, რომელშიც გათვალისწინებულია ამა თუ იმ მოქმედების მომავალში აუცილებელი შესრულება, იხმარება II კავშირებითის ნაკეთი [მოწონებულ იქნეს, დაჯილდოვდეს]. ეს წინადადებები კატეგორიული შინაარსისაა და თუმცა ზმნა უმთავრესად ნაწილაკის გარეშეა გამოყენებული, ძალიან დიდია უნდა ნაწილაკისა და მოდალური სიტყვის საჭიროა სემანტიკა” (პაპიძე 1981: 150-151). როგორც ვხედავთ, მართლაც საქმე გვაქვს ენაში არსებული სხვადასხვა დონის საშუალებათა სისტემური ურთიერთკავშირები, რაც აუცილებლად ემყარება ენისათვის არსებით კანონზომიერ რეალებს.

ნებისმიერი სახის დისკურსში – წერილობითს ტექსტსა თუ ზეპირ მეტყველებაში – მოდალობა გამოიხატება არა ერთი, არამედ რამდენიმე საშუალების კომბინაციით.

მოდალობა, როგორც მორფოსემანტიკური კატეგორია, ქართულში ქმნის ერთიან სისტემას, წარმოდგენილია ენის ყველა დონეზე და მოიცავს შემდეგ სემანტიკურ ნიუანსებს: მოქმედების შესაძლებლობას, სასურველობას, აუცილებლობას, ნებართვას, აკრძალვას; მოუბარი პირის დარწმუნებულობის (დაეჭვების) ხარისხს გამონათქვამის ჭეშმარიტებაში (ვარაუდს, ჰიპოთეზას, მოსაზრებას, დაშვებას, დარწმუნებას, უეჭველობას, დაურწმუნებლობას, დაეჭვებას, ყოყმანს...) და მიმართებას ობიექტურ სინამდვილესთან: როგორ აფასებს მოუბარი (ავტორი) ენობრივად გამომხატულ ფაქტს – რეალობად თუ არარეალობად.

§ 2.4

ქართული ენის მოდალურ ელემენტთა გლოსარიუმი

ქვემოთ წარმოვადგენთ ქართული ენის (როგორც სალიტერატურო ენის, ასევე ტერიტორიული დიალექტების მონაცემების გათვალისწინებით) მოდალური

ელემენტების (მოძალები) გლოსარიუმს, რომელიც შედგენილია ბ. ჯორბენაძის, მ. კობაიძისა და მ. ბერიძის „ქართული ენის მორფემებისა და მოძალური ელემენტების ლექსიკონის“ (1988) მიხედვით. გლოსარიუმში თავმოყრილი მასალა თავისი შემცველობითა და მრავალფეროვნებით კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ ადასტურებს ჩვენ მიერ ზემოთ გაუქმებულ ფაქტს, რომ მოძალურობის გამოხატვა არ შეიძლება დავიყვანოთ ოდენ მოძალურ ზმნებზე; თუმცა სწორედ ეს მრავალფეროვნებაა იმის დასტური, რომ, როდესაც მოძალობის გამოხატვის გრამატიკულ საშუალებებზე ვსაუბრობთ, ძირითად საანალიზო მასალად სწორედ მოძალური ზმნები გვევლინებიან.

აბა – მოძალური ნაწილაკი; გამოხატავს:

ა) მოწოდებას, წაქეზებას: „აბა, წავიდეთ!“

ბ) დამუქრებას: „აბა, ნუ გაუკეთებია!“

გ) გაკვირვებას: „აბა, ვის გაუგია?“

დ) დასტურს, „აბა, კაციც ისა ყოფილა“.

ე) დანანებას : „იმასთან, აბა, რას გახდებოდა!“

გამოიყენება „თუ“ ნაწილაკ-მორფემიდან (იხ.) ერთადაც : „აბა-თუ“.

აგრეთვე – მოძალური სიტყვა, რომელიც აღნიშნავს დამატებითობას: „სტუდენტს მოეთხოვება აგრეთვე დამატებითი ლიტერატურის ცოდნა“.

შენიშვნა: წარმოშობით ზმნისართია; შედგება ვითარების ზმნისართისგან (აგრეთ-აგრე-თ) და -ვე მორფემიდიისგან (ნაწილაკისაგან).

გვ. 21

ადგილად – მოძალური ელემენტი, რომელიც ძველ ქართულში ზოგჯერ გამოიყენებოდა –თვს, გამო (მაგიერ) თანდებულის დანიშნულებით: „არცა ერთისა მიზეზისა ცემად მკდომისა ადგილად გინებისა“ (=გინების მაგივრად)

ადგილას – მოდალური ელემენტი, რომელიც გამოიყენება „მაგიერ“ თანდებული-მორფემოიდის (იხ.) დანიშნულებით: „მე რომ ვკოფილიყავ-მეთქი თქვენს ადგილას, კაცს გაგზავნიდი“ (ვ. ბარნოვი).

ადგილზე – იგივეა, რაც „ადგილას“ (იხ.): „ჩემ ადგილზე სხვა მომღერალი ათასი სხვა გაჩნდება“ ა. წერეთელი)

გვ. 23

ალბათ – მოდალური ელემენტი, რომელიც გამოხატავს დაეჭვებას, შესაძლებლობას: „ალბათ წავალ“, „ალბათ უკვე მივიდა“...

შენიშვნა 1: შემოსულია არაბული ენიდან: ალბათათა „რასაკვირველია“, „უსათუოდ“.

შენიშვნა 2: ბოლოკიდური –თ ზოგჯერ გაგებულია ვითარებითი ბრუნვის ნიშნად, ამიტომაც „ასწორებენ“: ა ლ ბ ა დ. შეინიშნება ზოგ მწერალთან, უმართებულოა.

გვ. 29

ამასთანავე – მოდალური სიტყვა, რომელიც აღნიშნავს დამატებითობას (იხ. „აგრეთვე“). „ამასთანავე, საჭიროა სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინება“.

შენიშვნა: რთული შედგენილობისაა (ამას-თან-ა-ვე): მიცემით ბრუნვაში დასმულ ჩვენებით ნაცვალსახელს („ამას“) დაერთვის თანდებული –თან, ემფატიკური ხმოვანი –ა და ნაწილაკი მორფემოიდი –ვე.

გვ. 31

(ამფერ) – დადასტურებითი მოდალური ფორმა; დასტურდება დიალექტებში (იმერულში...), მიღებულია ამფერ || ამფერათ „ამგვარად“ ზმნისართისაგან, იგივეა, რაც „ასე“ (იხ.): „მელაკუდამ ტაში დაჰკრა: ამფერ! ჩემო დათუნაო!“ (აკაკი წერეთელი).

გვ. 34

- (აპა) – 1. იგივეა, რაც „აბა“ (იხ.); დასტურდება იმერულში, სპორადულად თავს იჩენს დასავლეთ საქართველოს ზოგ სხვა დიალექტშიც.
2. იმერულში (დასავლეთ საქართველოს სხვა დიალექტებშიც) დამატებით გამოხატავს: ა) დასტურს – ჩაკითხვის შემთხვევაში: „გააკეთე? – აპა?“ (ე.ი. „აბა, არა?“ ანუ: „კი, რასაკვირველია...“); ბ) უარყოფას – ძახითი ინტონაციის შემთხვევაში: „გააკეთე? – აპა!“ (ე.ი. „არა, ვერა...“).

გვ. 40

(არ-ოთ) – ნაწილაკი მორფემოიდი: გამოხატავს მნივნელობას „აღბათ არ“; დასტურდება ფშაურში: „კიდეთ გნახავთ სწორებო, აროთ სად დავიკარგები“ (ვაჟა ფშაველა) – „აღბათ კიდევ გნახავთ ჩემო ტოლებო, აღბათ არსად დავიკარგები“...

გვ. 47

(ბარ) – იგივეა რაც ბარე || ბარემ (იხ.); აჭარულში გამოყენებულია სიტყვა-წარმოებითი დანიშნულებით: ბარე სამი ბარსამი „ ბევრი, მრავალი“, ბარე ორი ბარიოლი || ბარიოლი „ბევრი, მრავალი“...

ბარე || ბარემ – მოდალური ფორმა, რომელიც გამოხატავს:

- ა) მოწოდებას, ნებართვას მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად: ბარე || ბარემ წავიდეთ, ბარე || ბარემ დაგვხოცონ, ბარე || ბარემ გააკეთე, ბარე || ბარემ გაიმბობთ, ბარე || ბარემ ახლავე მოვიდეს...
- ბ) დადასტურება- დაზუსტებას: „სახრის წვერი ბარე სამჯერ მომხვდა ზურგზე“ (ვაჟა-ფშაველა), „სათქმელი ბარემ ბევრი მაქვს“ ...

შენიშვნა 1: „ ბარემ“ ფორმაში –მ ჩანს, არის –მცა ნაწილაკის ნაშთი: ბარე-მცა ბარემ, რომელიც შემდგომ უფრო მარტივდება: ბარემ ბარე.

შენიშვნა 2: ბარე || ბარემ დიალექტებში გვხვდება ბარევალ, ბარემდე, ბარელამ, ბარელმაც, ბარელმა სახითაც. (იხ.).

(ბარევე) – იგივეა, რაც „ბარე || ბარემ“ (იხ.). შენიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში (ფშაურში, ხევსურულში...): „ფულ ავილოთ ბარევაო“ (ფშაური).

(ბარევალი) – მოდალური ფორმა, იგივეა რაც „ბარე || ბარემ“ (იხ.). გამოიყენება ფშაურში, ხევსურულში, მთიულურში... „ბარევალი სუფრა მაიტანე, რძალო...“ (ვაჟა-ფშაველა)

გვ. 56

(ბარემდე) – იგივეა, რაც „ბარე || ბარემ“ (იხ.). დადასტურებულია მთიულურში: „ბარემდე უნდოდა მაგრამ...“

(ბარემლა) – იგივეა, რაც „ბარემ“, გართულებული –ლა ნაწილაკი-მორფემოიდით (შდრ.: ბარელამ): „ბარემლა არ მინდოდა მაგრამ...“

(ბარემლაც) – იგივეა, რაც „ბარემლა“, გართულებული –ც ნაწილაკი-მორფემოიდით: „შორიდან ბარემლაც გულს იმჯილავენ“ (ვაჟა-ფშაველა).

(ბარეოლ) – იგივეა, რაც „ბარემ“ (იხ.); გვხვდება მესხურ-ჯავახურში: „ბარეოლ წამოგველო!“

(ბარეს) – იგივეა, რაც „ბარემ“ (იხ.).

(ბარელამ) – იგივეა, რაც „ბარემ“. გავრცელებულია ქართული ენის დიალექტებში (გურულში, ქვემოიმერულში...): ბარელამ მთი „ბარემ მოლი“.

შენიშვნა: „ბარემ“ გათიშულია –ლა ნაწილაკი-მორფემოიდით.

(ბარელამც) – იგივეა, რაც „ბარელამ“, გართულებული –ც ნაწილაკი-მორფემოიდით (იხ. ბარელამ, ბარე|| ბარემ). ავრცელებულია გურულში, ქვემოიმერულში...

(ბარელმა) – იგივეა, რაც „ბარე || ბარემ“. მიღებული ჩანს ასე: ბარელამაც ბარელმაც ბარელმა. ავრცელებულია გურულში, ქვემოიმერულში... (იხ. ბარე|| ბარემ, ბარელამ): ბარელმა მთი „ბარემ მთი“...

გვ. 57

(გადაკიდული) – იგივეა, რაც „გადაკიდე“ (იხ.).

(გადაკიდე) – მოდალური ფორმა, რომელიც გამოიყენება „გამო“ თანდებული-მორფემოიდის დანიშნულებით: გვხვდება დასავლეთ საქართველოს დიალექტებში (გურულში...): „ამის გადაკიდე (=ამის გამო) ვერაფერი გავაკეთე“. ამოიყენება, ჩვეულებრივ, უარყოფით კონსტრუქციებში. წარმოშობით სასუბიექტო მიმღეობის ფორმაა, ხშირად ენაცვლება საობიექტო მიმღეობის ფორმა „გადაკიდული“.

გვ. 62

(გინა) – მოდალური ელემენტი; იმავე დანიშნულებისაა, რაც „გინდა“ (იხ.). გავრცელებულია კახურში (უპირატესად – ქიზიყურ კილოკავში). დიალექტს დაცული აქვს არქაული ვითარება – ჩვეულებრივ გამოიყენებოდა ძველ ქართულში: „ მოიწიის ჭირი გინა დევნულებაი“...

გინდ – მოდალური ელემენტი; იმავე დანიშნულებისაა, რაც: გინდა (იხ.) გამოხატავს:

1. პირობას: „ გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“ (გრ. ორბელიანი);
2. ამა თუ იმ გარემოების მიმართ განურჩეველ დამოკიდებულებას: „გინდ წადი, გინდ – არა“.

გინდა – მოდალური ელემენტი;

1. აღნიშნავს პირობას (ისევე, როგორც თუნდა || თუნდაც, თუგინდ ნაწილაკი-მორფემოიდები): „გინდა არავინ გამომყვეს, მე მაინც წავალ“.

2. გამოსატავს ამა თუ იმ გარემოების მიმართ განურჩეველ დამოკიდებულებას: „ გინდა გააკეთე გინდა არა“.

შენიშვნა: წარმოშობით ობიექტური წყობის II პირის ზმნაა: გ-ი-ნდ-ა (შდრ.: უნდა).

გვ. 87

გინდაც – მოდალური ელემენტი; გამოსატავს პირობას: „გინდაც არავინ იყოს, ნუ შეგეშინდება“ (შდრ.: გინდა).

შენიშვნა: მიღებულია „გინდა“ მოდალურ ელემენტზე (იხ.) –ც ნაწილაკი-მორფემოიდის (იხ.) დართვით.

[გინც] – მოდალური ელემენტი, რომელიც ძველ ქართულში გამოიყენებოდა „ეგების“ და „გინდა“ || „გინდაც“ ელემენტების დანიშნულებით: „ აღდგე და ევედრებოდე ღმერთსა შენსა, გინც ხოლო განმარინნეს ჩუენ“...

გვ. 88

(ჰ)–გონია – მეშველი ზმნა, რომელიც გამოიყენება შედგენილი შემასმენლის ზმნურ ნაწილად: „ავ კაცს ყველა კაცი ავი ჰგონია“. გამოიყენება მიჩნევეითობის სემანტიკა.

შენიშვნა 1: იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით: ავი ვგონივარ, ავი ჰგონიხარ, ავი ჰგონია, ავი ვგონივართ...

შენიშვნა 2: იცვლება დრო-კილოთა მიხედვით: ავი ჰგონია, ავი ეგონება, ავი ეგონა, ავი ჰგონებია.

შენიშვნა 3: წარმოშობით დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ზმნაა; სინტაქსური წყობით ინვერსიულია.

შენიშვნა 4: გამოიყენება დაეჭვების მოდალური მნიშვნელობის გამოსახატავადაც: „მგონია წავიდა“. ჩვეულებრივ, ამ ფუნქციით იხმარება I პირის ფორმა. ასტურდება შეკვეცილი ფორმაც: „მგონი, წავიდა“.

გვ. 91

(-და) – „უნდა“ მორფემოიდის ნაირსახეობა, მიღებული ფონეტიკური ცვლის შედეგად: უნდა ნდა და (იხ.: -ნდა –ნა4); გამოხატავს ვალდებულებას – იმასვე, რასაც „უნდა“ მორფემოიდი (იხ.): გავაკეთო'და || და'გავაკეთო („უნდა გავაკეთო“); იქ-და მივიდეს „იქ უნდა მივიდეს“. გამოიყენება დიალექტებში (მესხურში, ჯავახურში, აჭარულში).

გვ. 100

დავუშვათ – მოდალური ფორმა, რომელიც ჩაერთვის წინადადებაში და გამოხატავს პირობა-შესაძლებლობას: „დავუშვათ ყველაფერი კარგად დამთავრდა, სადარდებელი რაღა გვექნება! “ ამ დანიშნულებით გვხვდება მხოლოდ პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმით.

გვ. 101

ეგებ || **ეგება** || **ეგების** – ნაწილაკი-მორფემოიდი, რომელიც გამოხატავს შესაძლებლობას ან დაეჭვებას: „ეგებ აჯობოს, რომ დარჩე?“ (=იქნებ აჯობოს, რომ დარჩე?)... „|| ეგება აჯობოს... “; || „ეგების აჯობოს“...

შენიშვნა: წარმოშობით ზმნის პირიანი ფორმაა: ე-გებ-ი-ს ეგებ-ა ეგებ. თანამედროვე ქართულში ძირითადად წარმოდგენილია „ეგებ“ სახით.

გვ. 129

ეგია – იგივეა რაც „ეგებ“. დასტურდება მესხურ-ჯავახურში.

გვ. 130

ერთი – მოდალური სიტყვა, გამოყენებული წაქეზების ან დამუქრების მნიშვნელობით (შდრ.: „აბა“, იხ.): „ერთი, ეს მითხარი! “ („აბა, ეს მითხარი! “), „ერთი, ნუ გაუკეთებია! “ („აბა, ნუ გაუკეთებია!“).

შენიშვნა: ძირითადი დანიშნულებით ერთ-ი არის რიცხვითი სახელი ან განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი.

გვ. 151

ვგონებ – მოდალური ფორმა, გამოხატავს ვარაუდს: „ვგონებ, ასე სჯობს!“ ამ დანიშნულებით გამოიყენება მხოლოდ პირველი პირის ფორმით. იგივეა, რაც „მგონია“ (იხ.).

გვ. 165

ვეჭვ || **ვეჭვობ** || **ვეჭვობთ** – მოდალური ფორმა, ჩაერთვის წინადადებაში, გამოხატავს დაეჭვებას, ვარაუდს: „ვეჭვ, ჩემისისხლი არ შეჭრჩეს“ (ვეფხისტყაოსანი); „ვეჭვობ აქედან რაიმე გამოვიდეს!“ ამ დანიშნულებით გამოიყენება მხოლოდ პირველი პირის ფორმით. მრავლობითი პირის ფორმაც (ვეჭვობთ) გამოიყენება მხოლოდობითის ფუნქციით; ე. წ. ზრდილობის გამოთქმაა.

ვთქვით – მოდალური ფორმა, რომელიც ჩაერთვის წინადადებაში და გამოხატავს პირობა-შესაძლებლობას: „ვთქვით, ყველაფერი კარგად დამთავრდა, სადარდებელი რაღა გვექნება“. ამ დანიშნულებით გამოიყენება მხოლოდ პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმით.

გვ. 169

ვინიცობაა – მოდალური ფორმა, რომელიც გამოხატავს პირობა-შესაძლებლობას; ჩვეულებრივ გამოიყენება „თუ“ კავშირთან ერთად: „თუ ვინიცობაა, ეჭვი აიღონ, ქაღალდები ვიპოვე-თქო“ (ს. შანშიაშვილი). ვინ იცის ვინიც-ობა.

ვფიქრობ || **ვფიქრობთ** – მოდალური ფორმა, ჩაერთვის წინადადებაში და გამოხატავს დაეჭვებას, ვარაუდს: „ვფიქრობ, ყველაფერი სხვაგვარად უნდა გაკეთებულიყო“. ამ დანიშნულებით გვხვდება მხოლოდ პირველი პირის ფორმით. მრავლობითი რიცხვის ფორმაც „ვფიქრობთ“ გამოიყენება მხოლოდობითის ფუნქციით, ე. წ. ზრდილობის ფორმაა.

გვ. 172

ზუსტად – მოდალური ფორმა, რომელიც გამოიყენება ზედმიწევნილობის გასახსნავად, იგივეა, რაც „სწორედ“ (იხ.): „ზუსტად ასეა!“, „ზუსტად ამ გზით წავაღ!“ წარმოშობით ზმნისართია და, ჩვეულებრივ,

გამოიყენება კიდევ ამ დანიშნულებით: „წესი ზუსტად უნდა იქნეს დაცული!“ „ყველაფერი ზუსტად შეასრულა“...

გვ. 180

თითქმის – ნაწილაკი-მორფემოიდი, რომელიც გამოხატავს მიახლოებითობას; იგივეა, რაც „კინაღამ“, „ლამის“ (იხ.): „ტყეებში თითქმის ყოველგვარი ხე იპოვება“ (იაკობ გოგებაშვილი); „მე იმ ერთმა თითქმის დამაბერა“ (ილია ჭავჭავაძე)...

შენიშვნა: „თითქმის“ გამოთქმისაგან: „თუ ითქმის“.

თითქო – იგივეა, რაც „თითქოს“ (იხ.): „თითქოს ახლაც სიზმარშიაო“ (ვაჟა-ფშაველა).

თითქოს – ნაწილაკი-მორფემოიდი, რომელიც გამოხატავს დაეჭვებას, ოდნობას ან მოჩვენებითობას; იგივეა, რაც „ვითომდა“, „ვითომც“ (იხ.): „ეს რა დამემართა, ვაჟო, თითქოს ვეღარ გიცანი!“ (ლ. არდაზიანი); „ორაგულებს ოქროსფერი მიეცათ, თითქოს სამშობლოში მოსვლას დღესასწაულობენ“ (ი. გოგებაშვილი)... „ვასილი შედგა, თითქოს დაიბნა“...

შენიშვნა 1: თითქოს მიღებულია გამოთქმისაგან: „თუ ითქვას“.

შენიშვნა 2: „თითქოს“ ნაწილაკი-მორფემოიდის გამოყენებისას III პირის ზმნა, ჩვეულებრივ, დაირთავს სხვათა სიტყვის –ო ნაწილაკ-მორფემოიდს: „თითქოს დღესასწაულობენო“, „თითქოს დაიბნაო“...

შენიშვნა 3: „თითქოს“ გამოიყენება კავშირდაც.

გვ. 195

იქნებ – ნაწილაკი-მორფემოიდი; იგივეა რაც: „იქნება“¹ (იხ.): „იქნებ ჩვენც გავიგოთ და გავიხაროთ“ (ეკ. გაბაშვილი).

იქნება¹ – ნაწილაკი-მორფემოიდი, რომელიც გამოხატავს დაეჭვებას, შესაძლებლობას: „მგელი ცხვარს სამი წელიწადი დაზღვედა – იქნება დუმა ჩამოუვარდესო“ (ანდაზა)... წარმოშობით ერთპირიანი

ზმნაა (შდრ.: იქნება2). ხშირად გამოიყენება ა მოკვეცილი სახით (იხ.: იქნებ).

გვ. 249

კარგი – დადასტურებითი მოდალური ფორმა: „მოგშორდე? კარგი, შენი ნებაა!“ (აკაკი წერეთელი), „კარგი წამოვალ!“ (ა. ყაზბეგი). ხშირად გამოიყენება „პატიოსანი“ ფორმასთან ერთად: „კარგი და პატიოსანი! ასე გავაკეთებთ!“ (კაი, კეთილი).

გვ. 255

კეთილი – დადასტურებითი მოდალური ფორმა: „კეთილი, ასე იყოს, შენი ნებაა!“ ხშირად გამოიყენება „პატიოსანი“ ფორმასთან ერთად: „კეთილი და პატიოსანი! ეს რაღა სიმღერაა?“ (აკაკი წერეთელი); (შდრ.: კაი, კარგი).

გვ. 257

მართლაც || **მართლაც რომ** – დამაზუსტებელი მოდალური ფორმა, გამოიყენება რისამე ხაზგასმის დანიშნულებით: „მართლაც ასეა!“, „მართლაც რომ ასეა!“ შეიძლება შეენაცვლოს „მართლა“ და „მართლაცდა“ ფორმები: „მართლა ასეა!“, „მართლაც-და ძალიან გამხდარი იყო!“ (თ. რაზიკაშვილი). (იხ.: ზუსტად, სწორედ). || მართლაცდა.

(მასე) – დადასტურებითი მოდალური ფორმა, იმავდროულად გამოსატავს მოწონებას, წაქეზებას: „მასე! არგია, კარგი!...“.

გვ. 284

(მგონე) – მოდალური ფორმა (წარმოშობით სასუბიექტო მიმდგობა), რომელიც – გამო თანდებული-მორფემოიდის დანიშნულებით გამოიყენება აჭარულში: „შიშის მგონე (=შიშის გამო) კიღარმი ჭკვაზე შეირეკა“, „სიხარულის მგონე (=სიხარულის გამო) ყველას ეხვეოდა“.

მგონი || **მგონია** – მოდალური ფორმა, ჩაერთვის წინადადებაში და გამოსატავს ვარაუდს: „ხვალ-ზეგ, მგონი, ძვალის ნატეხიც კი არსად

მოიპოვებოდეს“ (ვაჟა-ფშაველა); „მგონია, ასე სჯობს!“... ამ დანიშნულებით გამოიყენება მხოლოდ პირველი პირის ფორმით. ძველ ქართულში იყო „მგონიეს“. იგივეა, რაც: „გგონებ“ (იხ.).

შენიშვნა: ამ ძირის ფორმა გამოიყენება მეშველ ზმნებთანაც (იხ. ჰ-გონ-ი-ა).

გვ. 285

მეტი – მოდალური ფორმა, რომელიც გამოიყენება –გარდა თანდებული-მორფემოიდის დანიშნულებით. დასტურდება ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (აჭარულში, გურულში): „შენ მეტი (=შენ გარდა) გზა არ მაქ“... ხშირად მიერთვის –გან თანდებულის ფორმას; გურულში –გან-მეტი: „შენ-გან-მეტი არავინ მიჩანს თვალში“, აჭარულში – -გან-მეტი -გამ-მეტი (სრული რეგრესიული ასიმილაციით): „შენ-გამ-მეტი არავინ მიჩანს თვალში“. დასტურდება -გინ-მეტი ნაირსახეობაც: შენ-გინ-მეტი.

შენიშვნა: იცვლება ბრუნვის მიხედვით: შენ მეტი არავინ მინდა, შენ მეტს არავის ვენდობი, შენ მეტის არავის მჯერა...

გვ. 295

(მოყოლაი) – მოდალური ფორმა, რომელიც გამოიყენება ამავე დანიშნულებით, რაც: „გარშემო, ირგვლივ“ (იხ.); დადასტურებულია აჭარულში: მაგ მოყოლაი „მაგის გარშემო“, ჩემ მოყოლაი „ჩემ ირგვლივ“...

გვ. 305

(ნა) – ნაწილაკი-მორფემოიდი, რომელიც მესხურ-ჯავახურსა და აჭარულში აწარმოებს აუცილებლობის კავშირებით: ნა წავიდე, ნა მოგკლა... წავიდე'ნა, მოგკლა'ნა... („უნდა წავიდე“, „უნდა მოგკლა“).

შენიშვნა 1: ნა ცალკე გამოითქმის მაშინ, როცა ზმნას უძღვის წინ, ზმნა კი წინადადებას იწყებს: „ნა წავიდე და უთხრა, რო...“ სხვა შემთხვევებში იგი ენკლიტიკურად ერწყმის წინამავალ სიტყვას: „კაცი'ნა მოგკლა“; „ხვალ წავიდე'ნა“...

შენიშვნა 2: მიღებულია „უნდა“ ნაწილაკის ცვეთის შედეგად: უნდა ნდა (იხ.) ნა (იხ.: უნდა, ნდა, დაწ).

[**ნამდვილ**] – იგივეა, რაც **ნამდვილად**... “, გამოიყენებოდა ძველ ქართულში (იწერებოდა: **ნამდვილ**; || **ნანდვილ**).

ნამდვილად || **ნამდვილად რომ** – დამაზუსტებელი მოდალური ფორმა, გამოიყენება რისამე ხაზგასმის დანიშნულებით: „**ნამდვილად** || **ნამდვილად რომ** ასეა!“ (იხ.: **ზუსტად**, **სწორედ**, **მართლაც**...). წარმოშობით ზმნისართია და ჩვეულებრივ, გამოიყენება კიდევ ამ დანიშნულებით: „**ნამდვილად** მასხოვს, როგორ იყო ყველაფერი...“.

[**ნანდვილ-ვე**] – იგივეა, რაც: „**ნამდვილ**“ (იხ.); გამოიყენებოდა ძველ ქართულში: „**ნანდვლ-ვე** ვთქუ ეგე“... (|| **ნამდვლ-ვე**).

გვ. 318

(**ნდა**) – „უნდა“ ნაწილაკი-მორფემოიდის (იხ.) ფონეტიკური ნაირსახეობა, მიღებული მისი ცვეთის შედეგად: **უნდა** **ნდა**: **ნდა** წავიდე „**უნდა** **წავიდე**“... დასტურდება მესხურ-ჯავახურში, აჭარულში.

შენიშვნა: „**ნდა**“ შედარებით იშვიათი გამოყენებისაა, უფრო ხშირად იხმარება მისი შემდგომი ცვეთით მიღებული „**ნა4**“ და „**და5**“ (იხ.).

გვ. 319

(**ნიადაგ** || **ნიადაგა** || **ნიადეგ**) – მოდალური ფორმა, იმავე დანიშნულებისაა, რაც „**რასაკვირველა**“, „**რა** თქმა **უნდა**“ (შდრ.: **ნიადე**); დასტურდება ფშაურში: „**შეშა** იქ **ნიადაგ** საჭირო იყო“...

(**ნიადე**) – მოდალური ფორმა, იმავე დანიშნულებისაა, რაც: „**რასაკვირველია**“, „**რა** თქმა **უნდა**“. დასტურდება ხევსურულში, მოხეურში: „**ქება** **ნიადე** **შაგადების** იმავე **დღეს** **მძებნელს** **ძმისასა!**“

გვ. 323

რაგინდ – იგივეა „**რაც** **გინდა**“ (იხ.): **რაც** **გინდა** **რაც** **გინდა** **რაც** **გინდ** **რაგინდ**: „**კაცის** **გული** **ისეთია**, **ვით** **მორევი** **შავი** **ზღვისა**, **რაგინდ** **კარგი**“

ცოლი ჰყავდეს, მაინც ენატრება სხვისა“ (ხალხური), „ვერც შემდეგ რამეს დამაკლებ, რაგინდ მომექცე მტრულად“ (შ. მღვიმელი).

რა თქმა უნდა – მოდალური ფორმა-შესიტყვება, რომელიც გამოხატავს მტკიცებას, დადასტურებას: „რა თქმა უნდა ასეა!“ (იხ. აგრეთვე: „რალა თქმა უნდა“).

რასაკვირველია – მოდალური ფორმა-შესიტყვება, რომელიც გამოხატავს მტკიცებას, დადასტურებას: „მეც, რასაკვირველია, თან უნდა გაეყოლოდი“ (ილია ჭავჭავაძე).

გვ. 362

რაც გინდა – მოდალური ელემენტი, გამოხატავს პირობით-დათმობითობის ფუნქციას (შდრ.: „გინდა“): „რაც გინდა შორს იყოს, მაინც უნდა წახვიდე“ (იხ. აგრეთვე „რაც უნდა“).

რაც უნდა – მოდალური ელემენტი, გამოხატავს პირობით-დათმობითობის ფუნქციას (შდრ.: „უნდა“): „ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს, ოდეს შევენება თქვენი იხილოს, რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს, რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს“ (ნ. ბარათაშვილი). იხ. აგრეთვე „რაც გინდა“.

რალა თქმა უნდა – იგივეა, რაც „რა თქმა უნდა“ (იხ.), გამოხატავს კატეგორიულ მტკიცებას: „რალა თქმა უნდა, ასეა!“.

გვ. 363

სწორედ – დამაზუსტებელი მოდალური ფორმა, გამოიყენება რისამე ხაზგასმის დანიშნულებით: „სწორედ ასეა!“, „სწორედ იმ გზით წავიდა, რომ მას შეხვედროდა“; (შდრ.: სწორად „პირდაპირ, გაუმრუდებლად, მიხვევ-მოხვევის გარეშე“). იგივეა, რაც: „ნამდვილად“, „მართლაც“, „მართლაცდა“, „მართლაც რომ“, „ზუსტად“.

შენიშვნა: ხშირად რთულდება „რომ“ კავშირით: „სწორედ რომ ასეა!“ ჩვეულებრივ, მაშინ, როცა აზუსტებს ზმნის მნიშვნელობას: „სწორედ რომ დააშავა!“.

სწორედაც – იგივეა რაც „სწორედ“ (იხ.), გართულებული –ც ნაწილაკი-მორფემოიდით, რომელიც მეტ კატეგორიულობას ანიჭებს გამონათქვამს: „სწორედაც ასეა“, „სწორედაც იმ გზით წავაღ!“

შენიშვნა: ხშირად რთულდება „რომ“ კავშირით: „სწორედაც რომ ასეა!“, „სწორედაც რომ დააშავა!“.

გვ. 379

(-უნ) – უნა2 მოდალური ფორმის (იხ.) ფონეტიკური ნაირსახეობა; გვხვდება კახურში: „უნ (=უნდა) დაფარული იყოს“ (შდრ.: -ნა4).

(უნა) – იგივეა, რაც „უნდა“ მოდალური ფორმა (იხ.); დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში (კახურში, მესხურ-ჯავახურში...): „უნა გავაკეთო || წავიდე || უთხრა...“

შენიშვნა 1: უ-ნ-ა ამოსავალია უ-ნ-და ფორმისათვის: წარმოშობით „უნა“ აწმყოა, „უნდა“ – ნამყო უსრული, ამჯამად აწმყოდ გაიგება. დიალექტების ერთ ნაწილს დაცული აქვს ძველი ვითარება. მესხურ-ჯავახურში „უნა“ (ასევე: „უნდა“), ჩვეულებრივ, წარმოდგენილია როგორც -ნა || -ნდა || -და.

შენიშვნა 2: „უნა“ თავს იჩენს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ დიალექტშიც (ზემოიმერულში, ზემორაჭულში...).

(უნდ) – იგივეა, რაც „უნდა“ ნაწილაკი-მორფემოიდი (იხ.); დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში; აგრეთვე: ინგილოურში...

უნდა – მოდალური ფორმა, მორფემოიდი, რომელიც მიერთვის კავშირებითის ფორმას და გამოხატავს ვაღდებულებას, აუცილებლობას (დებიტივს): უნდა ვაკეთებდე, უნდა გავაკეთო... გვხვდება II შედეგობითის ფორმასთანაც, როცა ეს უკანასკნელი გამოყენებულია კავშირებითის ფუნქციით: უნდა გამეკეთებინა...

შენიშვნა 1: „უნდა“ უპირატესად ზმნის წინ დგას („უნდა გავაკეთო“), მაგრამ დასაშვებია მოსდევდეს ზმნას („გავაკეთო უნდა“).

შენიშვნა 2: მესხურში, ჯავახურსა და აჭარულში წარმოდგენილია -ნა4 || -ნდა || -და'ს სახით (უფრო ხშირია -ნა): გავაკეთო'-ნა || გავაკეთო'-ნდა || გავაკეთო'-და... შეიძლება უსწრებდეს ზმნას: რა-ნა გავაკეთო? („რა უნდა გავაკეთო?“). იშვიათად გვხვდება კონტამინირებული სახითაც: რა'-ნა გავაკეთო'-ნა?..

შენიშვნა 3: წარმოშობით „უნდა“ დამოუკიდებელი ზმნაა, გამოიყენება კიდევ „სურვილის“ გამოხატვის დანიშნულებით; ამ შემთხვევაში იცვლება პირების მიხედვით: მინდა გავაკეთო, გინდა გააკეთო, უნდა გააკეთოს... მორფემოიდის ფუნქციის გამოყენებისას პირების მიხედვით უცვლელია: უნდა გავაკეთო, უნდა გააკეთო, უნდა გააკეთოს...

გვ. 395

შეიძლება – მოდალური ფორმა, ჩაერთვის წინადადებაში და გამოხატავს მოსალოდნელ ან დასაშვებ მოქმედებას: „შეიძლება, ასეც მოხდეს!“ იგივეა, რაც „შესაძლოა“ (იხ.). გამოიყენება დამოუკიდებელი ზმნის ფუნქციითაც: „დაყოვნება აღარ შეიძლება“ (ვ. ბარნოვი).

[ძლით] – მოდალური ფორმა, რომელიც ძველ ქართულში გამოიყენებოდა –თვის, -გან, მიერ, გამო თანდებულთა ფუნქციით: „ნუცა ჰკდემებინ ჩემ ძლით“; „თქვენ ძლით მარადის სახელი ჩემი იგმობვის“; „ვაი მისა, რომლისა ძლით მოვიდეს“...

შენიშვნა: წარმოშობით ძალ-ი არსებითი სახელის მოქმედებითი ბრუნვის ფორმაა, გამოყენებული ვითარების გარემოების ფუნქციით: „ძლით დაარწმუნეთ წასვლა“.

გვ. 458

-ხელა – მოდალური ელემენტი (წარმოშობით დამოუკიდებელი სიტყვაა); გამოხატავს თანაბრობას ზომა-წონის თვალსაზრისით: იმხელა, ამხელა, რამხელა... ენაცვლება „ტოლა“, „ოდენა“ ელემენტს: იმხელა = იმტოლა...

გვ. 473

[ხოლო თუ] – იგივეა, რაც „გეგების“ (იხ.); დასტურდება ძველ ქართულში, ხშირად – ტმესის სახით: „გვეკნეს ხოლო თუ ღმერთმან“, „მი-ხოლო-თუ-გეტევნენ უკეთურებანი ეგე ზრახვათა გულისა შენისათანი...“ (შდრ.: ხოლო).

გვ. 474

(ჰაბა) – იგივეა, რაც „აბა“ (იხ.), გამოიყენებოდა ძველ ქართულში: „ჰაბა, მალე ყავ, რაიცა გნებავს“. ამავე მნიშვნელობით დასტურდება ინგილოურშიც.

გვ. 480

როგორც წარმოდგენილი თავის წინამავალ პარაგრაფებში დემონსტრირებული ფაქტობრივი მასალა და მათი სათანადო ანალიზი, ასევე გლოსარიუმში თავმოყრილი ენობრივი ერთეულები ნათლად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ მოდალობის გამოსატვის თვალსაზრისით სპეციალურ ლიტერატურაში ამოსავლად აღებულია სემანტიკური ფაქტორი, ანუ აქცენტი ჩვეულებრივ კეთდება მოდალობის ყველა ან ამა თუ იმ ნიუანსზე, და შემდეგ იწყება იმ ენობრივ საშუალებათა მოძიება და აღნუსხვა, რომლებიც ემსახურებიან ამ მნიშვნელობათა გამოსატვას; ამაში, რასაკვირველია, ცუდი არაფერი არ არის, თუმცა, ისიც ხომ ცხადია, რომ აღნიშნულის შედეგად ერთ კალაპოტში თავსდება სულ სხვადასხვა დონისა და სტრუქტურული თავისებურების ენობრივი ერთეულები. ამიტომაც, ჩვენი აზრით, აუცილებელია სტრუქტურული სიცხადის შეტანა, რის გაკეთებასაც წარმოდგენილი დისერტაციის თემაც გვაიძულებს.

შესაბამისად, ქართულ ენაში არსებული მოდალობის შინაარსის გამოსატვის ინვენტარიდან გამოვყავით გრამატიკული მოდალები. როგორც ზემოთ უკვე გამოჩნდა, ამის საშუალებას მათი სტრუქტურული და ფუნქციონალური ნიშან-თვისებებიც იძლევიან. წინამდებარე თავი ძირითადად სწორედ ამ მიზნის განხორციელებას მიეძღვნა, ოღონდ ისიც უნდა შევნიშნოთ, სხვა საშუალებათა წარმოდგენაც აუცილებლად მივიჩნიეთ, რათა ამ კონტრასტულ ფონზე უკეთ წარმოჩენილიყო მათი სპეციფიკა.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ჩატარებული სამუშაო სათანადო ნიადაგს ქმნის კვლევის შემდგომი ეტაპისათვის, როდესაც ქართული და ინგლისური გრამატიკული მოდალები ტიპოლოგიურ ანალიზს უნდა შეეუდგეთ.

თ ა ვ ი III

მოდლობის გამოსატვის გრამატიკული საშუალებები ინგლისურ ენაში

§ 3.1

მოდლობის გამოსატვის სისტემა ინგლისურ ენაში

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისურ ენაში მოდლობის საკითხისა და მისი გამოსატვის საშუალებების შესწავლას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს; შესაბამისად, აღნიშნულ პრობლემატიკას დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა ეხება.

ისევე, როგორც ენათა უმრავლესობაში, ინგლისურ ენაში ტრადიციულად განასხვავებენ მოდლობის გამოსატვის შემდეგ ძირითად საშუალებებს: ლექსიკო-გრამატიკულს (მოდალური ზმნები), ლექსიკო-სემანტიკურს (მოდალური სიტყვები) და კილოს კატეგორიას. თუ დავეყრდნობით მოდალური მნიშვნელობის უფრო ფართო დაყოფას, შეიძლება ითქვას, რომ სინამდვილესთან ენობრივი საშუალებებით გამოსატული მოქმედების დამოკიდებულების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განარჩევენ რეალურ მოდლობას, როდესაც მოქმედება აღიქმება როგორც რეალური ფაქტი (გადმოიცემა თხრობითი კილოს ფორმებით) და ირეალური მოდლობა, როდესაც მოქმედება აღქმულია არარეალურ ფაქტად ან მომავალში შესასრულებლად (გამოიხატება კავშირებითი და ბრძანებითი კილოს ფორმებით, მოდალური ზმნებით ან მოდალური სიტყვებით).

თავდაპირველად შევეხოთ კილოს საკითხს. სანამ მის განხილვაზე გადავალოთ, ერთი რამ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ: მოდლობის გამოსატვის თვალსაზრისით, კილო მთავარ საშუალებად არ მიიჩნევა სპეციალისტთა

უმრავლესობის მიერ; მაგალითად, ი. ნუიტსი მას "მოდალობის მომიჯნავე კატეგორიებს" შორის ასახელებს (Nuyts, 2005: 19). ფართოდ გაზიარებული შეხედულების მიხედვით, თანამედროვე ინგლისურში კილოს გრამატიკული კატეგორია თანდათანობით ცვეთას განიცდის; ამის დასტურად თუნდაც ის ფაქტი გამოდგება, რომ კავშირებითი კილოს ფორმების ადგილს მოდალური ზმნები იკავებენ. ობიექტურობის გულისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს განსხვავებული შეხედულებაც, რომლის მომხრეების მიხედვით, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ კავშირებითის ნაცვლად იხმარება მისი ეკვივალენტური ფორმები (ზონენშეინი). ტრადიციულად ინგლისურ ენაში გაირჩევა სამი კილო; ესენია: (1) თხრობითი (Indicative); იგი კილოს არამარკირებული ფორმაა და სემანტიკურად, მის მიხედვით ზმნით გამოხატულ მოქმედებას მოსაუბრე რეალურ ფაქტად მიიჩნევს; (2) კავშირებითი (Subjunctive); იგი გადმოგვცემს მოქმედებას ისე, რომ დაგვანახოს, რომ მოსაუბრისათვის იგი არის არარეალური, შესაძლებელი, სავარაუდო; (3) ბრძანებითი (Imperative); იგი გადმოგვცემს მოსაუბრის თვალსაზირობით აუცილებლად შესასრულებელ მოქმედებას ბრძანების, რჩევის, თხოვნის სახით. მოდალობისა და კილოს საკითხის გარკვევის დროს უმეტესწილად კავშირებით კილოზე გადადის აქცენტი; ამ მხრივ, საინტერესოა ლ. გოქსაძისა ს. ბოლქვაძის მიდგომა, რომელიც კილოს თაობაზე უფრო ფართო "დიაპაზონს" გულისხმობს. ხსენებული მიდგომის არსის ნათლად წარმოდგენისათვის შედარებით სრული ციტატა უნდა მოვიყვანოთ: "სხვადასხვა ენას მოდალობის კატეგორიის გამოხატვისათვის სხვადასხვა საშუალება აქვს. ინგლისურში მოდალობის ველს ქმნის ისეთი ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებები, როგორცაა: მოდალური სიტყვები, მოდალური ზმნები და კავშირებითი კილოს ფორმები (ხაზი ჩვენია – მ.ბ.). ერთი შეხედვით, ქართულშიც მოდალობის ველი თითქმის იმავე კომპონენტებით აიგება, მაგრამ საგულისხმოა როგორც მსგავსება, ისე განსხვავება. განსხვავებულია აღნიშნულ ველებში შემავალი კომპონენტების დისტრიბუცია და ხვედრითი წონა. კილოს კატეგორია როგორც ინგლისურში, ისე ქართულში, მოდალობის ველის გრამატიკის, კერძოდ სინტაქსის სფეროს ქმნის. მოდალური სიტყვები, ნაწილაკები, მოდალური ზმნები და მათ მიერ შექმნილი შესიტყვებები კი სემანტიკის სფეროს განეკუთვნება. საინტერესოა რ. ჰუდლსტონის, ჯ. ლაიონზისა და ფ. პალმერის აზრი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ განსხვავება კილოსა (გრამატიკული კატეგორია) და მოდალობას (სემანტიკური

კატეგორია) შორის ანალოგიურია ზმნის დროთა (tense) და ასტრონომიული დროის (time) შორის არსებული განსხვავებებისა. ნათელია, რომ მოდალობის კატეგორია სცილდება ლინგვისტური სემანტიკის ფარგლებს და ლოგიკის, საერთოდ აზროვნების ფილოსოფიის, სფეროში იჭრება” (გოქსაძე & ბოლქვაძე, 1988: 124). ჩვენ, რა თქმა უნდა, ვეთანხმებით ავტორებს იმაში, რომ მოდალობისადმი ინტერესი, და თანაც ობიექტური, მეცნიერების სხვა დარგებშიც არსებობს (ამის შესახებ ზემოთაც აღვნიშნეთ უკვე), მაგრამ დასაზუსტებლად გვინდა ვთქვათ, რომ სხვა დარგების მხრიდან გამოვლენილი ინტერესი არ უნდა იქნეს ისე გაგებულნი, თითქოს მოდალობის ენობრივი ასპექტები არაარსებითია. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რამდენი (რაოდენობრივი და თვისებრივი თვალსაზრისით) გრამატიკული დეტალია ამოქმედებული მოდალობის შინაარსის გადმოსაცემად. ჩვენი მეორე შენიშვნა კილოს კატეგორიას ეხება: მიუხედავად იმისა, რომ უფრო ხმამაღლა უღერს იმ სპეციალისტთა მოსაზრებები, რომლებიც კილოს სემანტიკურ კატეგორიად აცხადებენ (იხ. მაგალითად, გოგოლაშვილი 1988; კიფერი 1994), ვერაინაირად ვერ ვუგულებელყოფთ ისეთი მიდგომების არსებობასაც, რომელთა მიხედვით, კილო წარმოადგენს იმ მნიშვნელობათა კატეგორიას, “რომელიც გამოიხატება ფლექსიურად, საერთოდ, ზმნური პარადიგმების სხვადასხვა წყებით, მაგალითად, თხრობითი, კავშირებითი, ნატვრითი, ბრძანებითი, პირობითი და ა.შ.” (Bybee & Fleischman 1995: 2).

თავისთავად ცხადია, რომ, როდესაც მოდალობის ლექსიკო-სემანტიკურ საშუალებებზე ვსაუბრობთ, ნებისმიერ ენაში და კერძოდ ინგლისურშიც აქ ლექსემათა ძალიან ფართო დიაპაზონი იგულისხმება. მათ ჩვეულებრივ მოდალურ სიტყვებს უწოდებენ და მიჩნეულია, რომ ისინი წარმოადგენენ ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც გამოხატავენ მოსაუბრის დამოკიდებულებას წინადადებაში გადმოცემულ ფაქტსა და რეალობას შორის. ის ლექსემები, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში მოდალურ სიტყვებს უწოდებენ, ძირითადად ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილებს წარმოადგენენ და უმეტესწილად ჩართულის ფუნქციას ასრულებენ.

სემანტიკური თვალსაზრისით მოდალური სიტყვები იყოფა სამ ჯგუფად; ესენია: დარწმუნებულობა [certainty] (მაგალითად, certainly, sure, of course, no doubt, indeed, really და ა.შ.); სურვილი [desirability] (მაგალითად, fortunately, unfortunately,

luckily, happily და ა. შ.); ვარაუდი [supposition] (მაგალითად. maybe, probably, supposedly, perhaps, obviously და ა.შ.).

რაც შეეხება მოდალურ ზმნებს, მოდალური შინაარსის გამოხატვა ძირითადად სწორედ მათ “ზურგზე გადადის”. ჩვენ მიერ საკვლევად აღებული ასპექტებისა და მიდგომის თვალსაზრისით, მთავარი ის გახლავთ, რომ ინგლისურ ენაში მოდალური ზმნები წარმოადგენენ დეფექტური ზმნების მცირერიცხოვან ჯგუფს, რომლებიც გამოხატავენ არა მოქმედებას, არამედ ძირითადი ზმნით გადმოცემული მოქმედებისადმი დამოკიდებულებას – ვარაუდს, ეჭვს, შესაძლებლობას, აუცილებლობას და ა.შ. მოდალური ზმნების მორფოლოგიურ-სინტაქსური და სემანტიკური თავისებურებები მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან და განაპირობებენ კიდევ ერთმანეთს. ისინი ცლაკე, დამოუკიდებლად არ იხმარებიან; წინადადებაში მოდალური ზმნები ეხამებიან ე.წ. “შიშველ ინფინიტივებს” და მათთან ერთად ქმნიან შედგენილ ზმნურ მოდალურ შემასმენელს, რომლის ფარგლებშიც ინფინიტივი გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომლის შესრულებაც შესაძლებელი, აუცილებელი ან სავარაუდოა მოსაუბრის თვალსაზრისით. სემანტიკურად მოდალური ზმნები ჩვეულებრივ იყოფა სამ ძირითად ჯგუფად, რომელთა საშუალებითაც გამოიხატება უნარი/შესაძლებლობა/ნებართვა; ვალდებულება/აუცილებლობა; ვარაუდი/ნება-სურვილი. აღსანიშნავია ისიც, რომ მოდალურ ზმნათა უმეტესობა პოლისემიურობას ამჟღავნებს; კონტექსტის მიხედვით თითოეულს მოეპოვება რამდენიმე მნიშვნელობა, რომელთაც მოდალობის კატეგორია აერთიანებს.

§ 3.2

მოდალობის კლასიფიკაციები ინგლისურ ენაში

იმისათვის, რომ ნათლად წარმოვადგინოთ მოდალურ ზმნებთან დაკავშირებული ვითარება ინგლისურ ენაში, თავდაპირველად უმჯობესი იქნება იმ კლასიფიკაციების განხილვა, რაც აქამდე დაფიქსირებულია სპეციალურ ლიტერატურაში; ზოგიერთ შემთხვევაში ეს კლასიფიკაციები შეიძლება ზოგადლინგვისტური თვალსაზრისითაც კი გამოვიყენოთ, თუმცა მოცემულ

შემთხვევაში ჩვენ დავეყრდნობით იმ მოდელებს, რომლებიც პირველ რიგში ინგლისურ ენაში არსებულ ვითარებას ითვალისწინებენ. გასაკვირი არ იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ ნახსენები საკლასიფიკაციო მოდელები მრავლად არსებობს და საფუძვლად სხვადასხვა პარამეტრს იყენებენ ხშირად. უნდა შევნიშნოთ, რომ მათი დიდი უმრავლესობა სწორედ მოდალურ ზმნებსა და მათ მიერ გამოხატულ მნიშვნელობებს ეყრდნობა, რაც განაპირობებს კიდევ ჩვენს ინტერესს მათ მიმართ.

თავდაპირველად განვიხილოთ მოდალურ ზმნათა ის კლასიფიკაცია, რომელსაც ამ საკითხისადმი მიძღვნილ თითქმის ყველა ნაშრომში იმოწმებენ; უფრო სწორად, იგი არა მოდალურ ზმნათა, არამედ მოდალური მნიშვნელობების კლასიფიკაციაა და იგი ძირითადად რენდოლფ კვერკის სახელს უკავშირდება. აქ გამოყოფილია სამი მოდალური მნიშვნელობა: 1) ნებართვა-შესაძლებლობა/შეძლება; 2) ვალდებულება-აუცილებლობა; 3) ნებელობა-წინასწარმეტყველება (Quirk 1985). დავაზუსტოთ; პირველი წყვილი შინაგანია (ე.ი. გულისხმობს გარკვეულ კონტროლს ადამიანის მხრიდან), მეორე კი გარეგანია (ე.ი. წარმოადგენს არა ადამიანის მხრიდან განხორციელებულ კონტროლს, არამედ ადამიანის განსჯის შედეგს). ჩვენი აზრით, აქ ერთ შეუსაბამობა ნამდვილად თვალშისაცემია: “შეძლება” სწორედ ამ მეორე ჯგუფშია შეყვანილი; არადა, მართლაც ძნელია მისი ‘განთავსება’ გარეგან ბლოკში. კიდევ ერთი საინტერესო მიდგომა: როგორც ვხედავთ, მოცემულ კლასიფიკაციაში წარმოდგენილი მნიშვნელობები დაწვეილებულია; ამას ავტორები იმ ფაქტით ხსნიან, რომ ერთი და იგივე მოდალური ზმნა ორივე მნიშვნელობის გადმოსაცემად იხმარება; მაგალითად, shall და will ნებელობასაც გამოხატვას და წინასწარმეტყველებასაც (Quirk 1985: 219). მეორე თვალშისაცემი თავისებურება ის გახლავთ, რომ აქ უგულებელყოფილია მოდალური მნიშვნელობების გამოჯვნა დეონტურობის, ეპისტემურობისა და დინამიკურობის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით დავიმოწმებთ ფ. პალმერს (2000, გვ. 38) და ვიტყვით, რომ ეს მიდგომები ურთიერთგამომრიცხავი არ არის და მათი ერთმანეთთან შეხამება სავსებით შესაძლებელია.

იგივე შეიძლება ითქვას დაგლას ბაიბერისეული კლასიფიკაციის შესახებაც; აქ გამოყოფილია სამი, ავტორისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, ‘კატეგორია’: 1) ნებართვა, შესაძლებლობა, შეძლება (*can, could, may, might*); 2) ვალდებულება,

აუცილებლობა (*must, should, (had) better, have (got) to, need to, ought to, be supposed to*);

3) ნება, წინასწარმეტყველება (*will, would, shall, be going to*) (Biber 1999: 485).

მცირედი ტერმინოლოგიური და ცნებითი (ცხადია, რაოდენობრივიც) განსხვავებებით გამოირჩევა ნ. რეშერის მიერ შემოთავაზებული დაჯგუფება; აქ რვა ერთეულია გამოყოფილი: 1) ალეთური; 2) ეპისტემური; 3) დროითი; 4) ბულომაური; 5) დეონტური; 6) შეფასებითი; 7) მიზეზობითი; 8) მსგავსებითი (Rescher 1968).

ზემომოყვანილთაგან რაოდენობრივად და თვისებრივადაც განსხვავდება ჯ. ლიჩისა და ჯ. ქოუტსის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციები. ლიჩი გამოყოფს თერთმეტ სახეს: 1) შესაძლებლობა (თეორიული, ფაქტობრივი); 2) შეძლება; 3) ნებართვა; 4) ნატვრა; 5) ვალდებულება/მოთხოვნა; 6) წესები და რეგულაციები; 7) ლოგიკური აუცილებლობა; 8) წინასწარმეტყველება/მოსალოდნელობა; 9) წადილი (სუსტი ნებელობა); 10) განზრახვა (საშუალო ნებელობა); 11) დაუინებულობა (ძლიერი ნებელობა) (ლიჩი 1987, გვ. 73-104). ჯენიფერ ქოუტსთან კი გამოყოფილი თორმეტი 'მოდალობა'; ესენია: 1) (ძლიერი) ვალდებულება; 2) (სუსტი) ვალდებულება; 3) ნებართვა; 4) ნებელობა; 5) წინასწარმეტყველება; 6) შეძლება; 7) (დინამიკური) შესაძლებლობა; 8) (ეპისტემური) შესაძლებლობა; 9) (ძლიერი) ვარაუდი; 10) (სუსტი) ვარაუდი; 11) ჰიპოთეზა; 12) კვაზიკავშირებითი (ქოუტსი 1983). შენიშენისა და დაზუსტების სახით უნდა ვთქვათ, რომ, მოდალობის ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაციის მიხედვით, ზემოჩამოთვლილთაგან 1-5 დეონტურია, 6-7 – დინამიკური, ხოლო 8-12 ეპისტემური.

თუ საკლასიფიკაციო ერთეულების რაოდენობაზე გავამახვილებთ ყურადღებას, ამ მხრივ ძნელად თუ შეედრება ვინმე გერმანელ ენათმეცნიერს დიტერ მინდტს, რომელმაც ჩვიდმეტი სახის მოდალობა გამოყო: 1) შესაძლებლობა/მაღალი ალბათობა; 2) დარწმუნებულობა/წინასწარმეტყველება; 3) შეძლება; 4) ჰიპოთეტური მოვლენა/შედგევი; 5) ჩვევა; 6) ვარაუდი/დედუქცია; 7) ვალდებულება; 8) მიზანშეწონილობა/სასურველობა; 9) ნებელობა/განზრახვა; 10) განზრახვა; 11) თავაზიანობა/მორიდება; 12) თანხმობა; 13) წარსულში არსებული მდგომარეობა; 14) ნებართვა; 15) სიმამაცე; 16) რეგულირება/პრესკრიფცია; 17) უპატივცემულობა/ კადნიერება (Mindt 1998: 45). სავსებით აშკარაა, რომ დ. მინდტი აქ მოდალობის მეტისმეტად ფართო გაგებას ეყრდნობა და ამის გამო გვაწვდის ზემოწარმოდგენილ მნიშვნელობებს, თუმცა, თუკი მის ამ

საფუძველთდამდებ პრინციპს გავეყვებით, მაშინ, ალბათ, წარმოდგენილი ჩამონათვალი უნდა გავავრცოთ, რაც, რა თქმა უნდა, ვერანაირ დადებით შტრიხს ვერ შემატებს მოდალობის საკითხის კვლევას ინგლისურში ვერც თეორიული და ვერც პრაქტიკული თვალსაზრისით.

როგორც ვხედავთ, მოდალობის არსებული კლასიფიკაციები მათ ფარგლებში გამოყოფილი ერთეულების მზარდი რაოდენობრივი პრინციპის მიხედვით განვიხილეთ. ამის მიუხედავად, კიდევ არსებობს ერთი კლასიფიკაცია, რომელსაც ჯერ არ შევხებივართ. რაც განსაკუთრებით საინტერესოა, იგი არ გახლავთ შემოთავაზებული ენათმეცნიერის მიერ, თუმცა ენაში მოდალობის გამოსატვის თაობაზე შექმნილ ნაშრომებში ამ ავტორის მოსაზრებებს უაღრესად ხშირად მოიხმობენ; ვგულისხმობთ ფინელ ფილოსოფოსს, მოდალობის ლოგიკის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელს გეორგ ჰენრიკ ვონ ვრიგტს (1916-2003). სანამ მის კლასიფიკაციას განვიხილავთ, აუცილებლად უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა მისი გვარის მართებულად გადმოცემის შესახებ: საქმე იმაშია, რომ ქართულად ტრანსლიტერირების დროს იგი (Georg Henrik von Wright) არაიშვიათად გვხვდება როგორც “ფონ ვრაითი” (იხ. მაგ., ჭანტურია 2000: 104), რაც არასწორია. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ, მიუხედავად მისი ეთნიკური ფესვებისა (წარმოშობით იგი შოტლანდიელი გახლდათ), იგი იყო ფინეთის მოქალაქე და მის მშობლიურ ენას შვედური წარმოადგენდა. აღნიშნული ცხადყოფს, რატომ უნდა გადმოვცეთ მისი გვარი როგორც “ფონ ვრიგტი”, და არა როგორც “ფონ ვრაიტი” ან “ვონ რაიტი”. ასე რომ, თავის საფუძველთდამდებ ნაშრომში მოდალური ლოგიკის შესახებ. გ. ჰ. ფონ ვრიგტმა გამოყო მოდალობის ოთხი სახე:

1. ალეთური (ანუ ჭეშმარიტების) მოდალობა;
2. ეპისტემური (ანუ ცოდნის) მოდალობა;
3. დეონტური (ანუ ვალდებულების) მოდალობა;
4. ეგზისტენციური (ანუ არსებობის) მოდალობა (Von Wright 1951: 1-2).

ზემოწარმოდგენილთან დაკავშირებით აუცილებლად მოგვაჩნია რამდენიმე შენიშვნის გაკეთება: 1) ეგზისტენციურის შესახებ ავტორი აღიარებს, რომ იგი სიმრავლეთა თეორიის კუთვნილებაა და ხშირად არ განიხილება მოდალური ლოგიკის გარგლებში, მაგრამ იქვე უმატებს, რომ იგი (ეგზისტენციური მოდალობა) არსებით მსგავსებებს ამჟღავნებს მოდალობის სხვა სახეობებთან; 2) ფონ ვრიგტის კლასიფიკაცია ვერ იქნება სრულად წარმოდგენილი, თუ არ

ვიტყვი იმასაც, რომ იმავე ნაშრომში, ერთ-ერთ სქოლიოში ავტორი გამოყოფს კიდევ ერთ სახეს; ეს გახლავთ დინამიკური (ანუ შექცევადი) მოდალობა (Von Wright 1951: 28). მაშასადამე, მას სინამდვილეში მოდალობის არა ოთხი, არამედ ხუთი სახეობა აქვს გამოყოფილი.

გ. კ. ფონ ვრიგტის კლასიფიკაციის ასე, ცალკე წარმოდგენა იმისათვის გახდა საჭირო, რომ მან უზომო გააღწია მოახდინა ინგლისურ ენაში მოდალობის შესახებ განვითარებული საენათმეცნიერო აზროვნებაზე. ეს გარკვეულწილად ზემოთ წარმოდგენილ კლასიფიკაციებსაც ეტყობა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლინგვისტები ბრმად არ მიჰყოლიან მოცემულ მოდელს. ამიტომაც, ქვემოთ ჩვენ ინგლისურ ენაში მოდალობის სახეებს იმის მიხედვით განვიხილავთ, თუ რა არის დაფიქსირებული სპეციალურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

თავდაპირველად შევეხეთ **აღეთურ** (< ბერძ. *aletheia* – ჭეშმარიტება) მოდალობას. ამ შემთხვევაშიც აუცილებელია ორი ტექნიკური სახის შენიშვნის გაკეთება: 1) ზოგჯერ მას **ლოგიკურ** მოდალობასაც უწოდებენ; 2) ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ მას მოიხსენიებენ როგორც “აღეთიკურს” (იხ. მაგ., გოქსაძე, ბოლქვაძე 1988: 125, სქ. 1), რაც უმართებულოა; სწორი ფორმაა “აღეთური”. აღეთური მოდალობა გვიჩვენებს, რამდენად არის დარწმუნებული მთქმელი პროპოზიციის ჭეშმარიტებაში. ასეთ შემთხვევაში იხმარება მოდალური ზმნა *must*; მაგალითად, *We must have a visitor*; აქ აღეთურობა იმ შემთხვევაში გვექნება, თუ მოცემულ წინადადებას შემდეგ კომენტარს დავურთავთ: “ეს იქედან გამომდინარეობს, რაც უკვე ვიცით”. როგორც ვხედავთ, აქ საქმე გვაქვს უპირატესად მოდალური ლოგიკის სინამდვილესთან, რადგანაც ყოველდღიურ დისკურსში აშკარად აღეთური მოდალობის მაგალითები ძალიან იშვიათია. ამის გამოა, რომ ეს სახეობა მოდალობის ლინგვისტურ კლასიფიკაციებში (ყოველ შემთხვევაში, ინგლისურთან დაკავშირებით), როგორც წესი, არ შეაქვთ.

ასევე არახშირია კლასიფიკაციებში ეგრეთწოდებული **ბულომაური** მოდალობა (ზოგჯერ **ბულეტურსაც** უწოდებენ). მისი მნიშვნელობა უკავშირდება იმედს, სურვილს, შიშს, სინანულს (*It is hoped/desired/feared/regretted that. . .*). ამის გამოა, რომ ზოგიერთი მეცნიერი ბულომაური მოდალობის გამომხატველად მიიჩნევს ზმნას *to want* (Rescher 1968: 24-26; Simpson 1993: 47-48). თავისთავად ცხადია, რომ ინგლისურში იგი ვერ იქნება (და არც არის) ძირითადი

საკლასიფიკაციო ერთეული. ამის მიზეზი კი სწორედ აღნიშნული მნიშვნელობის მკაფიო დემარკაციის პრობლემაა; ამავე მიზეზით არის, რომ სპეციალურ ლიტერატურაში მას ზოგჯერ სხვა საკლასიფიკაციო ერთეულებს უქვემდებარებენ. აღნიშნულის თვალსაჩინო დადასტურებაა მ. რ. პერკინსის მიდგომა; იგი ბულომაურს დინამიკური მოდალობის ერთ-ერთ ტიპად განიხილავს, რადგანაც მასში ხილულია ‘მიდრეკილების’ მნიშვნელობა (Perkins, 1983: 11). აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ, თუ მიდრეკილებაზე გავამახვილებთ ყურადღებას, მაშინ ცხადი ხდება ისიც, რომ, როგორც წესი, მიდრეკილების წყაროს ადამიანის სურვილი წარმოადგენს; ამ შემთხვევაში იგი ძალიან ჰგავს დეონტურ ნებელობით მოდალობებს, რომელთა ფარგლებშიც სუბიექტი მიისწრაფის იქითკენ, რომ გავლენა მოახდინოს სამყაროზე. როგორც ვხედავთ, ბულომაური მოდალობაც, როგორც საკლასიფიკაციო ერთეული, საკმაოდ არამკაფიოა, რაც თავისთავად გამორიცხავს ენათმეცნიერის ინტერესს მის მიმართ, განსაკუთრებით კი ჩვენს შემთხვევაში, რადგანაც ჩვენ წინამდებარე ნაშრომში მოდალობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებების განხილვა გვაქვს გამიზნული.

იმავეს ვერანაირად ვერ ვიტყვით მოდალობის შემდეგ ტიპზე, რადგანაც იგი საკმაოდ მკაფიოა, რის გამოც მისი საკლასიფიკაციო ერთეულად განხილვაც არასოდეს დამდგარა კითხის ნიშნის ქვეშ. ეს არის **დეონტური** (<ბერძ. Deon “მოვალეობა”) მოდალობა. ამ შემთხვევაშიც იძულებული ვართ, გავაკეთოთ ტექნიკური ხასიათის შენიშვნა (როგორც ეს ალეთურთან დაკავშირებით მოხდა): საქმე იმაშია, რომ, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ამ ტერმინის უმართებულო ფორმა ‘დეონტიკური’ (იხ. მაგ., მახარაძე 2009); როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სწორი ფორმაა “დეონტური”. სპეციალურ ლიტერატურაში გაცხადებულია, რომ დეონტური მოდალობის საშუალებით გადმოიცემა “ზნეობრივად პასუხისმგებელი აგენსების მიერ შესრულებული მოქმედების აუცილებლობა ან შესაძლებლობა” (Lyons 1977: 823), იგი “თავის თავში მოიცავს მითითებების გაცემასაც და დაკავშირებულია ისეთ ცნებებთან, როგორცაა ნებართვა ან ვალდებულება” (Lew 1997: 146). ლ. გოქსაძე და ს. ბოლქვაძე კი აღნიშნავენ, რომ “დეონტურ მოდალობაში ხაზგასმულია ქმედება, კერძოდ ის, რომ რაღაც უნდა მოიმოქმედოს მსმენელმა, რადგან ამის პოტენციური შესაძლებლობა არსებობს” (გოქსაძე, ბოლქვაძე, 1988: 126-127). როგორც სხვადასხვა ავტორის მიერ მოწოდებულ განმარტებებში აშკარად გამოჩნდა,

დეონტური მოდალობა ეხება მოქმედებას და არა პროპოზიციას; ამიტომ იგი შეიძლება ასევე მოვისხენიოთ როგორც დისკურსზე ორიენტირებული არაეპისტემური მოდალობა. დეონტურ მოდალობაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი მნიშვნელობები: 1) დირექტივები (დეონტური შესაძლებლობა: you may leave; დეონტური აუცილებლობა: you must leave); 2) კომისივები (დაპირებები: you shall be rewarded); 3) იმპერატივები; 4) სხვები: ნებელობითი და შეფასებითი გამონათქვამები. უფრო გავრცელებულია სხვაგვარი დაყოფა: 1) შესაძლებლობა (ნებართვა): you may leave; 2) აუცილებლობა (ვალდებულება): you must go; 3) ნებელობა: He won't go. ნიშანდობლივია, რომ ამ უკანასკნელ დაყოფაში, როგორც ეტყობა, გათვალისწინებულია გარკვეულ შემთხვევებში დასაშვები ორაზროვნების პრობლემის მოგვარებაც. აღნიშნულთან დაკავშირებით მოგვყავს შემდეგი ციტატა: “ზოგჯერ ნებართვისა და შესაძლებლობის მნიშვნელობა გრაფიკულად იდენტურ გამოხატვას პოულობს და საქმე გვაქვს ორაზროვან წინადადებებთან: He may leave tomorrow – შეიძლება ორგვარად გავიგოთ: ა) შეუძლია წავიდეს ხვალ (= ნებას ვრთავ), ბ) შეიძლება (ეგებ) ხვალ წავიდეს (=არის ამის ალბათობაც და შესაძლებლობაც)” (გოქსაძე & ბოლქვაძე, 1988: 127).

დეონტური აუცილებლობის გამომხატველ მოდალურ ზმნებს შორისაა must, need და ought to, თუმცა მათ შორის არსებული განსხვავება ინტენსივობის ხარისხში მდგომარეობს. ასე რომ, კატეგორიულობის ხარისხის მიხედვით თუ დავალაგებთ. მივიღებთ შემდეგ თანამიმდევრობას ყველაზე კატეგორიულიდან კლების პრინციპით:

1. You must get a hair-cut
2. You need to get a hair-cut
3. You ought to get a hair-cut

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დეონტური მოდალობა გამორიცხავს შეძლებასა (ფიზიკური იქნება ეს თუ გონებრივი) და სურვილს; ისინი უფრო დინამიკურ მოდალობაში ერთიანდება. ამის ნათელი გამოხატულებაა can მოდალური ზმნის დეონტური მნიშვნელობით გამოყენება; ეს უკანასკნელი ისეთი ინტენსივობით ხასიათდება თანამედროვე ინგლისურში, რომ მან თითქმის მთლიანად განდევნა may.

მოდალობის გამოხატვის გრამატიკული თავისებურებების დაფიქსირების თვალსაზრისით, საგულისხმოა დ. ბაიბერის მიერ შენიშნული და გამოყოფილი ტიპური სტრუქტურული კორელატები დეონტური მოდალებისა; ესენია: 1)

სუბიექტი ადამიანია; 2) ძირითადი ზმნა დინამიკურია (გამოხატავს ისეთ ქმედებას, რომელიც შეიძლება იმართოს) (Biber, 1999: 458). ამგვარი სტრუქტურული კორელატები ჩვენთვის გამორჩეულად მნიშვნელოვანია, რადგანაც წინამდებარე ნაშრომში აქცენტი ძირითადად სწორედ მათზე უნდა გავაკეთოთ. სხვათა შორის, ამავე რიგში შედის სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფილი ნიშან-თვისებები NICE, რომელთა შესახებაც მოგვიანებით უფრო ვრცლად ვისაუბრებთ ქვემოთ.

ამჯერად კი განვიხილოთ **ეპისტემური** (<ბერძ. episteme “ცოდნა”) მოდალობა. “ეპისტემური მოდალობა ჭეშმარიტების სტატუსს ანიჭებს გამონათქვამს მოლაპარაკის ცოდნის ფონზე. ეპისტემური მოდალობა სუბიექტურია და გულისხმობს: “ეს ასეა, რამდენადაც მე ვიცი” (და არა როგორც ცნობილია)” (გოქსაძე, ბოლქვაძე 1988: 124). როგორც ვხედავთ, იგი დაკავშირებულია მოსაუბრის რწმენასთან ან თვალსაზრისთან პროპოზიციის ჭეშმარიტებასთან მიმართებაში. სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც იგი “სახეს უცვლის სემანტიკური პროპოზიციის ჭეშმარიტებას” (Lew 1997: 146). ალბათ, უფრო ზუსტია ბ. იაკობსონის სიტყვები, როდესაც მას “ჭეშმარიტებაზე ორიენტირებულ დამოკიდებულებას” უწოდებს (Jakobsson 1994: 167). ყურადღების ღირსია ჯ. ქოუთსის განმარტება, რომელშიც იგი ამბობს, რომ ეპისტემური მოდალობა “დაკავშირებულია შესაძლებლობათა მოქმედისეულ თვალთახედვასა თუ შეფასებაზე და უმეტეს შემთხვევაში გვიჩვენებს მოქმედის დარწმუნებას (ან დაურწმუნებლობას) პროპოზიციის ჭეშმარიტებაში” Coates 1983:18). ასევე საინტერესოა ზოგიერთი ის მოსაზრება, რომელთა ავტორებს ეპისტემური მოდალობა უფრო თეორეტიზებულ სფეროში გადააქვთ; მათი აზრით, იგი მოიცავს რეპრეზენტაციის ქმნალობას, რომელიც მიესადაგება სამყაროს (გრძნობებისა და ინტელექტის მეშვეობით), რის გამოც მას “რეპრეზენტაციის თეორიულ მანერას” ან “თეორიულ მოდალობას უწოდებენ” (James 1986: 13).

ამავე ტონალობაში საუბრობს ჩ.-ჯ. ბეილიც, როდესაც ამბობს, რომ ეპისტემურობა “წარმოადგენს მოდალების ‘ლოგიკურ’ გამოყენებას” Baily 1981: 182). რადგანაც ეპისტემურ მოდალობაში მოქმედი ავლენს თავის დამოკიდებულებას პროპოზიციის შინაარსის მიმართ, ზოგჯერ მას გარეგან ანუ ექსტრაპროპოზიციულ მოდალობასაც უწოდებენ. ტრადიციულად ეპისტემურ მოდალობაში გამოყოფენ შემდეგ სახეებს: 1) ეპისტემური აუცილებლობა

(ლოგიკურად თუ პრაქტიკულად გამომდინარეობს იქიდან, რაც იცის მოსაუბრემ); იგი ფაქტობრივად მსჯელობის შედეგია. მაგალითად, Mrs Green was fairly advanced in years when I was a boy; she must be eighty if she is a day.

სანამ მეორე სახეზე გადავალთ, უნდა მოვიხმოთ ერთი საგულისხმო ციტატა ლ. გოქსაძისა და ს. ბოლქვაძის სტატიიდან, სადაც ავტორები განაცხადებენ, რომ “ეპისტემური აუცილებლობა გარკვეული დოზით მაინც შეიცავს ვარაუდს, უფრო ზუსტად, იგი შეუძლებლობის უარყოფას წარმოადგენს და ამდენად პროპოზიციას წარმოგვიჩენს როგორც თითქმის უჭკველს: If Fred left here at four o'clock, he must be home now – ფრედის სახლში ყოფნის ალბათობა ძალიან დიდია. თითქმის შეუძლებელია, რომ ფრედი სახლში არ იყოს, მაგრამ რაღაცა ეჭვი მაინც რჩება (ის შეიძლება გზაში რაიმე მიზეზით შეყოვნდა)” (გოქსაძე & ბოლქვაძე, 1988: 126); 2) ეპისტემური შესაძლებლობა (შენიშვნა: ლ. გოქსაძისა და ს. ბოლქვაძის მიხედვით, “ეპისტემური ვარაუდი” (გოქსაძე & ბოლქვაძე, 1988: 124)); იგი ერთგვარად თავსებადია იმასთან, რაც არის ცნობილი, გარკვეული სახის სპეკულაციას წარმოადგენს; მასში ზოგჯერ ეპისტემური წინასწარმეტყველებაც კი შეაქვთ. ეპისტემური მოდალობის სემანტიკურ ფარგლებში ზოგიერთი ავტორი დინამიკურ მოდალობასაც (ამ ტიპის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ) კი ათავსებს (Biber 1999: 485).

არსებობს კიდევ შემდეგი სახის დაყოფა; ეს არის **სუბიექტური და ობიექტური ეპისტემური მოდალობა**, იქედან გამომდინარე, რომ ეპისტემურობის შინაარსი ძირითადად მოსაუბრის, მთქმელის ცოდნასა და პოზიციას გულისხმობს, ალბათ, ამგვარი კლასიფიკაცია მეტისმეტი თეორეტიკების შემცველად უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნულის გარდა ეპისტემურ მოდალობაში ასევე გამოყოფენ შემდეგ ქვეჯგუფებს შემდეგი ფაქტორების მიხედვით; ესენია: 1) მოსაუბრის მსჯელობა აუცილებლობისა და შესაძლებლობის თაობაზე; 2) ევიდენციურობა, ანუ ნათქვამის ევიდენციური საფუძველი. დაბოლოს, სპეციალურ ლიტერატურაში ეპისტემური იმდენად მნიშვნელოვან ტიპად მიიჩნევა მოდალობისა, რომ სხვა სახის მოდალობების აღსანიშნავად ხშირად ხმარობენ ტერმინს **არაეპისტემური**.

ამჯერად კი შევეხებით **დინამიკურ** (<ბერძ. dynamis “ძალა”) მოდალობას (სპეციალურ ლიტერატურაში მას ზოგჯერ მოიხსენიებენ როგორც **ფაკულტატიურ** მოდალობას (Goossens 1985) ან როგორც **ინჰერენტულ** მოდალობას (Hengeveld 1988)); იგი გამოხატავს ფიზიკურ აუცილებლობას ან

შესაძლებლობას. “დინამიკური, ისევე როგორც დეონტური მოდალობა, ქმედების მოდალობა (modality of events) და არსებითად განსხვავდება ეპისტემურისაგან” (გოქსაძე & ბოლქვაძე, 1988: 125). როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს ცნება და ტერმინი 1951 წელს შემოგვთავაზა გ. ჰ. ფონ ვრიგტმა (თუმცა მას იგი მოდალობათა ძირითად ჩამონათვალში არ შეუტანია; მოგვიანებით ერთ-ერთ სქოლიოში აქვს ნახსენები). ზემოგანხილული დეონტური და ეპისტემური მოდალობებისაგან განსხვავებით, იგი არანაირად არ არის და ვერც იქნება სუბიექტური; მაგალითად, John can speak French. Tomorrow I will be thirty. He’ll come, if you ask him. He has to come tomorrow. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი მეცნიერი უარს ამბობს ამ ტერმინის გამოყენებაზე იმ მიზეზით, რომ იგი მომდინარეობს მოდალობის ლოგიკის სფეროდან და “ნაკლებად შესაფერისია ბუნებრივი ენის ანალიზისათვის” (Bybee & Fleischman, 1995: 13). როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დ. ბაიბერიც (1999) ასევე იქცევა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დინამიკური მოდალობა ეპისტემურში შეაქვს. ფ. პალმერი შენიშნავს, რომ დინამიკური მოდალობა დაკავშირებულია წინადადების სუბიექტის შეძლებასა და ნებასთან, და ამის გამო მასში სუბიექტურობა ნაკლებადაა, ვიდრე ეპისტემურსა და დეონტურში (Palmer 1990: 36); ამ მიზეზით იგი არ მიიჩნევა მოდალობის ცენტრალურ სახედ ყველა სპეციალისტის მიერ. ზემოთქმულთან დაკავშირებით ასევე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ დინამიკური მოდალობა ნაკლებ ერთგვაროვნებას ამჟღავნებს, ვიდრე დეონტური და ეპისტემური. მასში გამოყოფენ შემდეგ სახეებს: 1) შეძლება (I can play tennis); 2) ძალა (Oil will float on water); 3) მეოფადი (I will/shall be twenty tomorrow); 4) წინასწარმეტყველება (You will feel better after this medicine); 5) ჩვევა (When he has a problem, he will work at it until he finds an answer). ამ ტიპის მოდალობაზე საუბრისას გვერდს ვერ აუუვლით კიდევ ერთ საგულისხმო საკითხს; საქმე იმაში მდგომარეობს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ასევე გამოყოფენ ე.წ. ცირკუმსტანციულ მოდალობასაც. იგი ჩვეულებრივ დინამიკური მოდალობის ფარგლებში თავსდება და გამოხატავს იმას, თუ რა როლის არის შესაძლებელი ან აუცილებელი მაშინ, როდესაც ამას ვითარება გვკარნახობს; მაგალითად, Bill can only relax in his summer house (ე.ი. ისეთი ვითარებაა, რომ. . .); In the mountains, pitched roofs must be built (აქაც ვითარებიდან გამომდინარე). შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენი ვარაუდი იმას კი არ ეფუძნება, რაც ვიცით (როგორც ეს

ეპისტემურის შემთხვევაში ხდება), არამედ არსებული ვითარება გვაძლევს ამის თქმის საფუძველს.

როგორც ზემოთ ვნახეთ, გ. ჰ. ფონ ვრიგტმა კიდევ ერთი სახის მოდალობა გამოყო: **ეგზისტენციური**. ფ. პალმერი ამბობს, რომ ალეთური და ეგზისტენციური უფრო ლოგიკოსების ინტერესის სფეროში შედის, ვიდრე ლინგვისტიკისა. და მაინც, მოდალობის ამ ტიპის შესახებ საუბრისას მას მოჰყავს შესაბამისი მაგალითი: *Lions can be dangerous* (Palmer, 1990: 6-7, 107-109). მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ წარმოდგენილ ტაქსონომიაში ვერ ჯდება, მაინც უნდა ვახსენოთ ე.წ. **დისპოზიციური მოდალობა**; იგი გამოიხატება მაშინ, როდესაც რაიმეს შესაძლებლობა დამოკიდებულია აგენსის განწყობაზე; მაგალითად, *Jane cannot sing today*, რაც შეიძლება სხვადასხვაგვარად გავიგოთ: 1) ჯეინისთვის შეუძლებელია ამის გაკეთება, 2) ჯეინს არ აქვს ამის უფლება, 3) ჯეინი არ არის საამისოდ განწყობილი.

მოდალური მნიშვნელობების ტაქსონომიების დადგენის მცდელობისას სპეციალურ ლიტერატურაში გაჩნდა ერთგვარი ტრადიცია, რომლის ფარგლებშიც მოდალობა გაიჩნევა იმის მიხედვით, თუ ვისზე ან რაზეა იგი ორიენტირებული (უფრო ზუსტად, რისკენაა მიმართული). უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი მათგანი ზემოაღნიშნულის ტერმინოლოგიური სინონიმის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებს. განვიხილოთ ისინი; გამოყოფენ **აგენსზე ორიენტირებულ მოდალობას**; ეს გახლავთ ერთგვარი სუპერკატეგორია (შემოთავაზებულია ჯ. ბაიბის მიერ (Bybee, 1985), მოგვიანებით კი გამოიყენეს ჯ. ბაიბიმ და ს. ფლაიშმანმა (1995)), რომელიც მოიცავს მოდალობის ყველა იმ ტიპს, რომლებშიც პირობები მიმართულია აგენსზე (ვალდებულება, სურვილი, შეძლება, ნებართვა ან ძირეული შესაძლებლობა). იგი უპირისპირდება **მოუბარზე ორიენტირებულ მოდალობას** (სამეტყველო აქტები, რომელთა მიზანია რაიმეს შესრულება: ბრძანებითი, ნატვრითი, ნებართვითი) და ეპისტემურ მოდალობას, რომელიც პროპოზიციას ეხება მთლიანობაში. **სუბიექტზე ორიენტირებული მოდალობა** გარკვეულ ნიშან-თვისებას მიუსადაგებს წინადადების კომპონენტის სუბიექტს. იგი გამოყო ჰადლსტონმა (1988, გვ. 78-79). ფ. პალმერი დეონტურ მოდალობას განსაზღვრავს როგორც სუბიექტურად (1990, გვ. 36), რადგანაც იგი აღნიშნავს სწორედ სუბიექტის შეძლებას ან ნებას, და არა მოუბრის (და თანამოუბრის) თვალსაზრისება (ეპისტემური) და დამოკიდებულებებს (დეონტური). მასთან არის ერთი შეუსაბამობაც: მოგვიანებით იგი დეონტურ

მოდალობას ჰყოფს ორ სახედ: სუბიექტზე ორიენტირებული (I can swim) და ნეიტრალური, რაც აუცილებლობასა და შესაძლებლობას გამოხატავს. ზემოთ ჩვენ ასევე ვახსენეთ მოუბარზე ორიენტირებული მოდალობა, რომელიც უპირისპირდება უკვე ნახსენებ ორ სახეობას. ფ. პალმერის მიხედვით (1990, გვ. 7), “ეპისტემური და დეონტური მოდალობების დაკავშირებულია მოუბართან”, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი საშუალებით გადმოიცემა მოუბრის თვალთახედვა და სურვილი. უფრო ადრე გამოცემულ ნაშრომში ფ. პალმერი (1974; გვ. 100-103) საუბრობს დისკურსზე ორიენტირებული მოდალობის შესახებ, რომელიც გულისხმობს დეონტურ მოდალობას შეკითხვისა და თხოვნის შინაარსის მქონე წინადადებებში, რომელიც მოიცავს მოუბარსაც და თანამოუბარსაც. მოუბარზე ორიენტირებული მოდალობის თაობაზე არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც; ჯ. ბაიბისათვის იგი გულისხმობს სამეცნიერო აქტებს, რომლებიც რაიმეს შესასრულებლად გამოიყენება და მათში შედის ბრძანებითი, ნატვრითი და ნებართვის გამომხატველი საშუალებები (Bybee 1995).

§ 3.3

მოდალური ზმნები ინგლისურ ენაში

ზემოგანხილული მიდგომები ცალსახად წარმოგვიდგენენ მათ ავტორთა და მომხრეთა მისწრაფებას ინგლისურ ენაში არსებული მოდალური ინვენტარის სემანტიკური კლასიფიკაციისაკენ. ეს, რა თქმა უნდა, აუცილებელი ნაბიჯია, რის გამოც ჩვენ ამ საკითხს საკმაო სივრცე დავუთმეთ; თუმცა წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ძირითად აქცენტს გრამატიკულობაზე ვაკეთებთ და, ამიტომაც, მოცემულ შემთხვევაში უფრო უპრიანად მიგვაჩნია, ამოსავლად ავიღოთ ინგლისური მოდალური ზმნები (კერძოდ, ძირითადი მოდალური ზმნები) და განვიხილოთ როგორც მათი სემანტიკა, ასევე ფორმალური ასპექტები (ჩვენი კვლევის საბოლოო პუნქტი ხომ ქართული და ინგლისური მოდალების ტიპოლოგიური ანალიზია).

ამ მიზნით ჩვენ მივმართეთ ოქსფორდის ლექსიკონს, სადაც საკმაოდ მოცულობითი ინფორმაცია მოიპოვება მათი ამ ასპექტების შესახებ. სანამ ჩვენ დასახელებული ლექსიკოგრაფიული წყაროს მონაცემების წარმოდგენასა და განხილვაზე გადავალთ, უნდა დავაზუსტოთ, რა არის მოდალური ზმნა. აღსანიშნავია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში მათ მოდალებსა და მოდალურ მეშველ ზმნებსაც უწოდებენ. ფ. პალმერი ამბობს, რომ არსებობს მორფოსინტაქსური მიდგომა მოდალობისადმი (ეს სწორედ ის მიდგომა გახლავთ, რაც წარმოადგენს ჩვენი ინტერესის ძირითად სფეროს წინამდებარე ნაშრომში – მ. ბ.), რომელიც მოდალური მეშველი ზმნების ფორმალური კატეგორიით იწყება (Palmer 1990: 4-5). თუ სამეცნიერო ლიტერატურას გადავაველებთ თვალს (და ეს ზემოთაც წარმოჩნდა ჩვენს ნაშრომში), აშკარა ხდება, რომ მოდალური ზმნების რაობის ცალსახა განსაზღვრა გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ზემოხსენებული მორფოსინტაქსური მიდგომის მიხედვით, ინგლისური მოდალები ჩვეულებრივ იყოფა სამ ძირითად ჯგუფად; ესენია:

1. ცენტრალური მოდალები: can, may, must, will, shall; could, might, would, should;
2. მარგინალური მოდალები ან ნახევრად მოდალები: dare, need, ought to, used to; had better, would rather, be to, have (got) to;
3. მოდალური გამოთქმები: be about to, be bound to, be going to, be obliged to, be supposed to, be willing to, be able to, be allowed to. . .

მიუხედავად იმისა, რომ მოდალურ ზმნებს არაზმნური მახასიათებლები მოეპოვება, ზოგჯერ ჭირს კიდევ მათი სემანტიკურად გარჩევა სრულმნიშვნელოვანი ზმნისაგან; მაგალითად, The house is to be sold. მეორე მხრივ, არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, მოდალური ზმნები უკვე ლექსიკურ ერთეულებს წარმოადგენენ, ისინი შეადგენენ ცალკე სიტყვათა კლასს, და აღარ უნდა განვიხილოთ ზმნის ფარგლებში (Warner, 1993). გამოდის, რომ ინგლისურში გვქონია ცალკე სიტყვათა კლასი, მეტყველების ნაწილი, რომელთა საშუალებითაც კილო გადმოიცემა ლექსიკურად; ეს მეტყველების ნაწილი მოდალური ზმნები ყოფილა; ამ მოსაზრებას მტკიცედ იზიარებს ჯ. ანდერსონი (1990, გვ. 350). რადგანაც მოდალური ზმნების ფორმალურ თავისებურებებზე ქვემოთ უნდა ვისაუბროთ, ჯერ ვახსენოთ მათი ფუნქციონირების ზოგიერთი ასპექტი, რომლებიც შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში; 1) მოდალური ზმნები ანიჭებენ ნიშან-თვისებებს წინადადების

სუბიექტს; 2) განსაზღვრავენ წინადადების ილოკუციურ პოტენციას (ანუ იმ ილოკუციური ძალების დიაპაზონს, რომლებიც შეიძლება ამ წინადადებად გამოუვლინდეს მისი წარმოთქმისას) (James, 1986: 14).

ამჯერად კი გადავიდეთ ლექსიკოგრაფიული მასალის ჯერ წარმოდგენაზე და შემდეგ მათ განხილვაზე:

can² (or when stressed, *kɪn*) *v. aux.* (pres. **can** exc. 2 sing. (arch.) **canst**, neg. **ca'nnot**, (colloq.) **can't** *pr.* *kaht*; past **could** *pr.* *kud or kood* exc. 2 sing. (arch.) **couldst** *pr.* *koodst* or **couldst** *pr.* *koo'dist*, neg. **could not**, (colloq.) **couldn't** *pr.* *koodent*; no other parts used). be able to; have right to; (colloq.) be permitted to (*all right, you can go*); know how to (*can you play bridge ,speak French?*); **could**, feel inclined to (*could laugh for joy; could you please ring?; really couldn't think of it*); (ellipt.) *will do what I can, how could you?*, (**I**) ~ **do** (it), (that) **could be** (so). [OE *cunnan*, = OS *cunnan*, OHG *kunnan*, ON *kunna*, Goth. *kunnan* (preterite-present vbs.) know f. IE]

(Sykes, Oxford Dictionary, 1984: 133).

dāre *v.t.* (3 sing. pres. usu. **dare** before expressed or implied inf. without *to*; past in this position (arch.) **durst**; neg. **dare not** or **do (es) not dare** or (colloq.) **daren't** *pr.* *dārnt*), & *n.* **1.** *v.t.* venture (to), have the courage or impudence (to), (**I** ~ **say**, I am prepared to believe, I do not deny, it is very likely; **I** ~ **swear**, I feel sure that; *dare he do it?; he dares to insult me; I would if I dared; they dared not come, did not dare to come*; (abs.) *how dare you?*). **2.** attempt, take the risks of, (*dare all things*, person's anger); defy (person); challenge (person) *to do, to a fight*, etc.; ~'devil, reckless (person). **3.** *n.* act of daring; challenge. [OE *durran*, = OS *gidurran*, OHG *giturran*, Goth. *gadaursan*, preterite-present vbs. f. GMC **ders-*, **dars-*, **durs-*, f. IE **dhers-* etc.; cf. Skr. *dhṛsh*, GK *tharseō* be bold]

(Sykes, Oxford Dictionary, 1984: 241).

may¹ *v. aux. (pres. may exc. 2 sing. (arch.) mayst or may'est, neg. may not, (colloq.) mayn't; past might pr. mīt exc. 2 sing. (arch.) mi'ghest, neg. might not, (colloq.) mightn't pr. mītent; no other part used).* **1.** Expr. possibility (*it may be true, opp. it cannot be true; it may not be true, opp. it must be true; it may or may not be true; you may (WELL³) walk ten miles without seeing one); he ~ or might been (= will perhaps) lose his way; I ~ have been (= was perhaps) wrong; I was afraid he might (= would perhaps) lose his way; afraid he might have (= had perhaps) lost it; we ~ or might as well go (as not); that is as ~ be, the truth of that is not yet deterined; be that as it ~, irrespective of the situation regarding that.* **2.** Expr. permission (*you may go, opp. you may not or must not or cannot go; I wish I might); you might (= I request you to) call at the baker's; you etc. might (= you etc. ought to, yet do not) offer to help; you etc. might (= you etc. ought to) have offered; (iron.) who are you, may or might I ask?* **3.** (In purpose-clauses, and after *wish, fear* etc.) *take, took, such a course as may, might, avert danger; I hope he may, hoped he might, succeed.* **4.** (Expr. wish) *may you live to repent it!; may the best man win!; may it please your ladyship.* **5.** (In questions, emphasizing uncertainty) *who may or might you be?.* **6. might-have-been**, a past possibility, a person who might have been more eminent. [OE (1 sing) *mæg*, of preterite-present form; OS, OHG, Goth. *mag*, ON *mō*, f. Gmc. **mag-* be strong f. IE **mogh-*, **megh-*; cf. MAIN², MIGHT¹]

(Sykes, Oxford Dictionary, 1984: 626-627)

mūst⁴ (*or, when unstressed, must*) *v. aux. (pres. and past must, neg. must not, (colloq.) mustn't pr. mū'sent; no other parts used) & n.* **1.** *v.* be obliged to (do) (*you must find it, opp. you do not have to or need not find it, past you had to find it; you knew you must find it; it must be found*); (interrog., iron.) *must you slam the door?*; (ellipt.) *I must (go) away; if I must, I will; I must down to the seas again.* **2.** ought to (do) (w. necessity less emphasized: *we must see what can be done; I must ask you to retract that*); **you ~ know**, I now tell you; **I ~ say** (cannot refrain from saying). **3.** be certain to (do) (*you must lose whichever happens, opp. you cannot lose*); **you ~ be** (surely are) *aware of this, joking, the secretary; he ~ be* (clearly is) *mad*; (as past tense, reporting reflection made at the time) *it was too late now to retreat, he must make good his word or incur lasting disgrace*; (as past or historic present, w.

reference to perverse destiny) *just as I was getting better, what must I do but break my leg?*, *just as I was busiest, he must come worrying*. **4.** ~ **have** done (1) surely did or has done (*you must have known quite well what I meant; it must have stopped raining by now*), (2) necessarily would have done (*you must have caught it if you had run*); **must** NEEDS. **5.** (w. neg. belongong in sense to dependent vb.; cf. MAY¹) *you must not do it*, opp. *you may do it; it must not be done; you must not infer* (must avoid the inference); *you must never contradict*. **6.** *n.* (colloq.) a thing that cannot or should not be overlooked or missed. [OE *mōste* past of *mōt* may, pret.-pres. = OS *mōt*, *muot*, OHG *muoz*, Goth. *gamōtan* find room]

(Sykes, Oxford Dictionary, 1984: 667-668)

საილუსტრაციოდ მოგვყავს ჩვენ მიერ მოპოვებული რამდენიმე სახასიათო მაგალითი:

Princess, you must come and see me and you shall tell me all the news of home (Maugham)

“Do you smoke?”, “Well, yes, I must admit I smoke” (Wilde)

With wild resolution Bella swung herself up the stairs. She must get on the top before the guests were announced. (Waugh)

She sat up; but she felt quite dizzy, quite drunk. It must have been the spring. (Mansfield)

Her face, which must have been handsome, had remained intelligent. (Joyce)

need² *v.* **1.** *v.t.* stand in need of, require. **2.** be under necessity or obligation to *or* do (*it needs to be done with care; need your ask?*; (ellipt.) *don't be away longer than you need*); (in 3 *sing. pres. neg. or interrog. need* without *to*: *he need not ruble himself; need she have come at all?*; (colloq.) *it needn't, or doesn't need to, be finished*; ~ **not have done**, did not need to do). **3.** *v.i.* (arch.) be necessary; **it ~s not**, it is needless, **more than ~s**, than is necessary. [OE *nēodian* be necessary (*nēod* desire, var. of *prec.*)]

(Sykes, Oxford Dictionary, 1984: 677)

ought² (*awt*) *v. aux.* (the only form in use, except arch. ~'est or ~st, is **ought** serving as present or past finite) expr. duty, rightness, shortcoming, advisability, or strong probability; *neg.* ~ **not**, (colloq.) ~n't *pr.* aw'tent, (vulg.) **didn't** or **hadn't**~; the past sense (except when merely due to sequence of tenses in reporting etc.) is indicated a following perf. inf.: *we ought to love our neighbours; I said it, and still think I ought to have said it; it ought not to be allowed; he ought to have been a lawyer, bot a don; you ought to know, to have known, better; you ought to have seen his face when he realized; it ought to be done at once, to have been done long ago; I told you it ought to be, to have been, done; he ought to be there by now; Cambridge ought to win.* [OE *āhte*, paste of *āgan* OWE]

(Sykes, Oxford Dictionary, 1984: 724)

shall (*shal or, when stressed,shal*) *v. aux.* (*pres.* **shall**, or 'll (after *I* or *we*), exc. 2 *sing.* (arch.) **shalt**, *neg.* **shall**] **not**, (colloq.) **shant** *pr.* shahnt; *past* **should** *pr.* shood or shud, or 'd (after *I* or *we*), exc 2. *sing.* (arch.) **shouldst** *pr.* shoodst, or **shouldest** *pr.* shoo'dist, *neg.* **should not**, (colloq.) **shouldn't** *pr.* shoo'dent; no other parts used). **1.** In first person (the others having *will*, *would*) forming simple future or conditional statement or question (*we shall hear about it tomorrow; I should have been killed if I had let go; shall I hear from you soon?; should I hear from you in that case?*) or emphatic intention (*I shall return*). **2.** In 2nd and 3rd persons (1st having *will*, *would*) forming future or conditional statement expressing speaker's will or intention (*you shall not catch me again; he should not have gone if I could have prevented it*). **3.** (Less often than *will*, *would*) in sentences of type 1 changed in reporting from 1st to other person (*he says or said you say or said, that he, you, shall or should never manage it*). **4.** replacing *will* or *would* in sentences of type 1 changed in reporting from 1nd or 3rd person to 1st (*he says I shall never manage it, reporting you will never*). **5.** In reporting sentences of type 2 that contained *shall* or *should* (*you promised I, he, should not catch you at it again*). **6.** In 2nd-person questions corresponding to type 1, by attraction to expected answer (*shall you be going to church?*). or to avoid implication of request in *will*. **7.** In any person to form

statements or questions involving the notions of command and future or conditional duty, obligation, likelihood, etc., (*thou shalt not steal; any person failing to display the licence shall be guilty of an offence; I, you, he, should really have been more careful; shall I, he, open the door?; we should be safe now; why should I, you, he, obey?; (iron.) I should WORRY*). **8.** In any person to form conditional protasis or indefinite clause (*if, when, we shall be defeated or defeat shall overtake us; anyone who should say; it is surprising that I, you, they, should be or have been so foolish; if you should happen to be there; should I, she, be there I will tell her; (in tentative or modest expression) I should like to disagree, I should say it is time*). **9.** Alternatively with *may, might*, in any person in purpose-clause (*in order that I, you, he, shall or should not be able*). **10.** *it should SEEM; you~find* (arch.) be sure you will find. [OE *sceal*, = OHG *scal*, OS,ON, Goth. *skal*, pretirite-present v. f. Gmc **skal-*, **skul-* owe f. IE **skel-* etc.]

(Sykes, Oxford Dictionary, 1984: 968)

will¹ *v.t. & aux.* (pres. **will**, or **'ll** (after pers. pron., or colloq.) , exc. 2 *sing* (arch.) **wilt** or **'lt**, *neg.* **will not**, **'ll not**, (colloq.) **won't** *pr.* wōnt; *past would* *pr.* wood or wud, or **'d** (after pers. pron., or colloq.), exc 2 *sing* (arch.) **wouldst** *pr.* woo'dst, or **wouldest** *pr.* woodīst, or **'dst**, *neg.* **would not**, **'d not** (colloq.) **wouldn't** *pr.* woo'dent; no other parts used). **1.** *v.t.* (In all persons, with more or less of orig. sense of volition). desire (thing; arch.; *what wilt thou?; what would they?*); want or desire or choose to (*the haven where I would be; come when you will; I will or would have you know that I am the one who gives the orders here; would-be a. & adv.* as (unachieved) aspiration or intention: *a would-be gentleman, smart sayng*); wish that or *that esp.* (I) *would* *expr.* unfulfilled wish: *it shall be as you will; said it should be as we would; would or I would I were a bird!; would it were otherwise!; would God that I had died!*, if only God had wished, or perh. ellipt. for 'I would to God'; *I would be heaven I was dead*); consent or be persuaded to (*will or would not go any farther; wound would not heal; this window won't open; would you pass the salt?; would not do it for E100*); have habitual or inevitable tendency to (*boys will be boys; accidents will happen; you will have your way; you would do that!; he will or would get in my*

light); be accustomed or observed from time to time to (*will sit there for hours; now and then a blackbird would call; will succeed once in ten times*); be likely to turn out to (*this will be Reading, I suppose; I don't know who it would be*). **2.** v. aux. In 2nd and 3rd person (1st having *shall, should*, exc. colloq.) forming simple future or conditional statement or order or question (*you, colloq. I, will hear soon enough; the battalion will attack at dawn; would have been killed if they had let go; will or would you, they, be able to hear at such a distance?*, but cf. SHALL 6). **3.** IN 1st person (others having *shall, should*) forming future or conditional statement expressing speaker's will or intention (*I will not be caught again; ~ do*, (colloq.) I will do that; *we would have come if you had given us longer notice*). **4.** (Less often than *shall, should*) in sentences of type 2 changed in reporting to 1st from other person (*you say I will, said I would, never manage it*, reporting *you will never*). **5.** Replacing *shall* or *should* in sentences of type 2 changed in reporting from 1st to other person (*he said he would never manage it*, reporting *I shall never*). **6.** In reporting 1st pers. sentences of type 3 (*you promised you would not be caught again*). **7.** (colloq.) = SHALL 8 (*I would like to disagree; I wouldn't know*, (as is to be expected) I do not know). [OE *willanm wyllan = OS willian, ON vilja, Goth. wiljan f. Gmc. *wel(l)jan f. IE *wel-, *wol-]

(Sykes, Oxford Dictionary, 1984: 1232)

როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ შერჩეული ლექსიკონიდან მოყვანილ სიტყვა-სტატიებში საკმაოდ მრავალფეროვანი ლინგვისტური ინფორმაციაა წარმოდგენილი. გარდა ამ მოდალების ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობებისა, აქ მოცემულია აგრეთვე გარკვეული დიაქრონიული მონაცემებიც მათი განვითარების შესახებ.

ინგლისური ენის დღევანდელი მოდალური ზმნების მორფოსინტაქსური თვალსაზრისით განხილვა კი თითქმის შეუძლებლად მიგვაჩნია ამ დიაქრონიული მონაცემების გათვალისწინების გარეშე, რადგანაც ისინი დიდწილად ხსნიან დღეს არსებულ ვითარებას. აქედან გამომდინარე, სანამ სინქრონიაზე გადავიდოდეთ, ჯერ ამ მოდალების ერთგვარი დიაქრონიული 'მარშრუტი' განვიხილოთ. ა. მიურმან-სოლინმა სტატისტიკური თვალსაზრისით შეისწავლა ინგლისური მოდალობის ხმარება და შენიშნა, რომ მოდალური

ელემენტები ხშირი არ არის ნარატიულ ტექსტებში (ეს ბუნებრივიცაა – მ. ბ.); ისინი დროთა განმავლობაში უფრო სამეცნიერო ტექსტებში დაჩნდებიან (მიურმან-სოლინი 1997, გვ. 267-343). ამასთანავე, საყურადღებოდ მიგვაჩნია ჯ. სმითის დაკვირვებაც, რომელიც ამბობს, რომ ძველი ინგლისურის კავშირებითი თანდათანობით კვდება, რასაც თან ახლავს უმახვილო მარცვლების გაბუნდოვანება, მათ ადგილს კი იკავებენ ის ზმნები, რომლებიც სემანტიკურად მჭიდროდ არიან დაკავშირებული კავშირებითთან; ეს იმას ნიშნავს, რომ მოდალობის კატეგორიის განვითარება დაიწყო ახალი ინგლისურის ადრეულ პერიოდში (სმითი 1996, გვ. 151-153).

სწორედ ზემოთ დამოწმებული ლექსიკოგრაფიული მასალა გვაძლევს წარმოდგენას იმის შესახებ, რა გზით მივიღეთ ინგლისურ ენაში ზმნათა ის ჯგუფი, რომელსაც ტრადიციულად მოდალურ ზმნებს ვუწოდებთ. ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ის ენობრივი პროცესები, რომლებმაც განაპირობეს მათი ევოლუცია: 1) დესემანტიზაცია (სემანტიკური ცვეთა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ დაკარგეს ადრეული შინაარსი, რაც მათთვის, როგორც სრულმნიშვნელოვანი ზმნებისათვის იყო დამახასიათებელი; ამის მიუხედავად, არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ზმნას შემორჩენილი აქვს სრულმნიშვნელოვანი სტატუსი და ისინი თანაარსებობენ; ამ მხრივ საგულისხმოა მ. ლიმას ერთ-ერთი სტატიის სათაური: “The “Peaceful Coexistence” of *to need* and *need*: Some Syntactic and Semantic Considerations of the English Modals of Necessity” (ლიმა 1993)); 2) კლიტიციზაცია (რაც ნიშნავს მათი მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებების ცვლას); 3) დეკატეგორიზაცია (თავდაპირველად არსებული კატეგორიალური ნიშნების დაკარგვა); 4) ტრანსკატეგორიზაცია (ახალი კატეგორიალური ნიშნების შექმნა, რასაც თან მოჰყვა მათი ახლებური დაჯგუფება მეტყველების ნაწილთა სისტემაში); 5) ფონეტიკური ეროზია (რაც ნიშნავს ცვლილებებს მათს ბგერით ფორმაში).

აქ, ალბათ, უპრიანია, დავსვათ შემდეგი შეკითხვა: სად მიგვიყვანა ამგვარმა დიაქრონიულმა ‘მარშრუტმა’? ამ კითხვაზე პასუხი ფაქტობრივად ნიშნავს ცენტრალური მოდალების ფორმობრივ კლასიფიკაციამდე მისვლას. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მათი ფორმობრივი ნიშან-თვისებები საკმაოდ სრულადაა წარმოდგენილი მოყვანილ ლექსიკოგრაფიულ მონაცემებში, მაგრამ, როგორც წესი, სამეცნიერო დისკურსი სულ სხვა ფორმატებსა და, შესაბამისად,

ცნება-ტერმინებს გულისხმობს და, ამიტომაც, აქ უნდა ვისაუბროთ ჰ. ე. პალმერის (1939, გვ. 122-125) ე.წ. 'ანომალიური პირიანი ზმნებისა' და ნ. ჩომსკის (1957, გვ. 161-169) ოთხ ტრანსფორმაციაზე დაფუძნებული ფორმალური კრიტერიუმების შემცველ კლასიფიკაციის შესახებ, რომელიც შემოგვთავაზეს ჰ. პალმერმა (1974) და რ. ჰადლსტონმა (1976). ამ უკანასკნელის წყალობით (ჰადლსტონი 1976, გვ. 333) აღნიშნული ფორმალური კრიტერიუმები სპეციალურ ლიტერატურაში მოიხსენიება როგორც NICE ნიშან-თვისებები (NICE properties); NICE გახლავთ აკრონიმი შემდეგი ენობრივი მოვლენების აღმნიშვნელი ტერმინებისა: Negation უარყოფა, Inversion ინვერსია, Code კოდი, და Emphatic affirmation ემფატიკური მტკიცება. ეს პარამეტრები შემდეგია:

- 1) უარყოფითი ფორმა იწარმოება მეშველი ზმნა do-ს გარეშე (can't, mustn't);
- 2) კითხვით ფორმაში გვაქვს პოზიციური ინვერსია მეშველი ზმნა do-ს გარეშე (Can you? May I?);
- 3) 'კოდი' ანუ ელიპტიკური ფუნქციის შესრულების უნარი მეშველი ზმნა do-ს გარეშე (She can swim and so can you);
- 4) ემფატიკური მტკიცების გამოხატვის უნარი (She will be there).

წარმოდგენილი NICE ნიშან-თვისებები საერთოდ მეშველი ზმნების დამახასიათებელია; რაც შეეხება მოდალურ ზმნებს, აქ დამატებით უნდა დავაფიქსიროთ შემდეგი სპეციფიკური პარამეტრები:

- 5) არ დაჩნდება მესამე პირის მხოლოდობითი რიცხვის ნიშანი -s;
- 6) არ მოეპოვებათ უპირო ფორმები (ინფინიტივები, მიმდებარეები);
- 7) არ არიან თანაპოვნირნი, ე.ი. არ ეხამებიან ერთმანეთს (*She may will come).

სხვათა შორის, რ. ჰადლსტონი იმავე ნაშრომში (1976, გვ. 213) ბრძანებს, რომ NICE ნიშან-თვისებები არ უნდა გამოვიყენოთ კრიტერიუმად, რადგანაც ისინი იდიოსინკრაზულია და არა საყოველთაო. საინტერესოა, რომ გერმანულში მოდალურ ზმნებს არ ახასიათებთ იგივე ნიშან-თვისებები მიუხედავად ამ ორი ენის გენეტიკური და ტიპოლოგიური სიახლოვისა, და მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურისა და გერმანულის მოდალური ზმნები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს (იხ. მაგ., ჯენკინსი 1972; გვ. 10). და მაინც, გადამწყვეტი ის გახლავთ, ეს ნიშან-

თვისებები მართლაც არსებითია მოძალებისათვის თანამედროვე ინგლისურში, რაც იყო სწორედ ძირითადი საფოკუსო საკითხი ჩვენთვის წინამდებარე თავში.

როგორც თეორიულმა, ისე პრაქტიკულმა მასალამ (მათ შორის დიაქრონიულმა მონაცემებმა) ცხადყო, რომ ინგლისურ ენაში მოძალობის გამოსატვის “ჭეშმარიტ” გრამატიკულ საშუალებებად სწორედ ე.წ. ცენტრალური მოძალები უნდა განვიხილოთ. ისიც სავსებით აშკარაა, რომ მათ გრამატიკულობაში არც არავის შეაქვს ეჭვი.

ჩვენთვის ეს მიდგომა მისაღები და ფასეულია. ოდნავ გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ ქართული და ინგლისური გრამატიკული მოძალების ტიპოლოგიური კვლევისას აღნიშნული მიდგომა თავიდან აგვაცილებს ორაზროვნებასა და ადრევას და უფრო ზუსტს გახდის, როგორც მსჯელობის პროცესს, ასევე, იმედია, მის შედეგებსაც, რის გარეშეც გაწეული შრომა გაუფასურდება.

თ ა ვ ი IV

მოდალურ მნიშვნელობათა გამოხატვის გრამატიკული საშუალებების ტიპოლოგიური ანალიზი

ზოგადი ენათმეცნიერება, რომელიც ადამიანის ბუნებრივი ენის სხვადასხვა ასპექტის თავისებურებებს შეისწავლის და რომელთან მიმართებაშიც ცალკეული ენები თვალსაჩინო მაგალითების როლში გამოდიან, მრავალი მიმართულებითაა წარმოდგენილი დღეს. მათ შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ტიპოლოგიურ ენათმეცნიერებას ანუ ლინგვისტურ ტიპოლოგიას, რომელიც შეისწავლის მსოფლიოში არსებული ენებისათვის დამახასიათებელ მოვლენათა ზოგად კანონზომიერებებს. ტიპოლოგიური ენათმეცნიერება შედარებითი ლინგვისტიკის ერთ-ერთი მთავარი სახეობაა, რომელიც გარკვეული სტრუქტურული ნიშნების საფუძველზე ახდენს ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების სიტემატიზაციასა და შემდგომ კლასიფიკაციას. იგი პრინციპულად განსხვავდება შედარებითი ლინგვისტიკის კიდევ ერთი სახეობისაგან – ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისაგან ონტოლოგიურად (ე.ი. საკვლევი საგნის არსებითი მახასიათებლებით) და ეპისტემოლოგიურად (ე.ი. კვლევის პრინციპებისა და ხერხების ერთობლიობით). ტიპოლოგიური ენათმეცნიერება მიისწრაფის იმისაკენ, რომ დაადგინოს იზომორფიზმი და ალომორფიზმი; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცდილობს, გამოავლინოს ენებს შორის არსებული იგივეობა და სხვაობა.

ერთმანეთისაგან განარჩევენ სტრუქტურულ და ფუნქციურ ტიპოლოგიას. სტრუქტურული ტიპოლოგიის საგანია ენის, როგორც სისტემის, შინაგანი ორგანიზაცია. ამასთან ერთად განასხვავებენ ფორმალურ და კონტენსიურ ტიპოლოგიებსაც. ფორმალური ტიპოლოგია მიმართულია მხოლოდ გამოხატულების პლანისაკენ და ემყარება განსაზღვრულ ფორმალურ თანაფარდობებს ენის სტრუქტურულ ელემენტებს შორის; სწორედ ამ გზით დგინდება ენათა ისეთი ტიპები, როგორიცაა, ერთი მხრივ, იზოლირებული, აგლუტინაციური, ფლექსიური, ხოლო, მეორე მხრივ, ანალიზური, სინთეზური და პოლისინთეზური. რაც შეეხება კონტენსიურ ტიპოლოგიას, იგი ორიენტირებულია ენის სემანტიკურ კატეგორიებსა და მათი გამოხატვის საშუალებებზე.

ტიპოლოგიური ენათმეცნიერების ერთ-ერთ სახედ განიხილება კონტრასტიული ანუ შეპირისპირებითი ლინგვისტიკა, რომელიც შეისწავლის ერთი ენის სტრუქტურებს მეორე ენის შესაბამის სტრუქტურებთან შეპირისპირებით. იგი თავის გამორჩეულ როლს თამაშობს პრაქტიკული თვალსაზრისით; უწინარეს ყოვლისა, ეს უცხო ენის სწავლებისა და შესწავლის თაობაზე ითქმის: უცხო (შესასწავლი) ენის სტრუქტურები აღიწერება მშობლიური ენის შესაბამის სტრუქტურებთან შეპირისპირების გზით. რაც შეეხება ფუნქციურ ტიპოლოგიას, მისი საგანია ენა, როგორც საკომუნიკაციო საშუალება, რომელიც განიხილება თავისი სოციალური ფუნქციისა და მოხმარების სფეროების ჭრილში.

აღსანიშნავია, რომ ტიპოლოგიური ენათმეცნიერება ფაქტობრივად თანატოლია ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისა; მან XIX საუკუნის დასაწყისში დაიწყო ჩამოყალიბება ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის სახით. მისი საფუძვლები შეამზადეს XVIII საუკუნის ენის ფილოსოფიამ (რ. დეკარტე, ბ. ლაიბნიცი, ი. ჰერდერი) და უნივერსალურმა (“საყოველთაო”) გრამატიკამ. ჯერ კიდევ ა. სმიტის შრომებში ვხვდებით პირველ ცდას ენათა ტიპოლოგიური ევოლუციის კვლევისა. იგი ეძებდა იმ მიზეზებს, რომლებმაც განაპირობეს ევროპულ ენათა ძვრა სინთეზურობიდან ანალიზურობისაკენ. ტიპოლოგიური ენათმეცნიერებას სათავეებთან დგანან ძმები ფრიდრიხ და ავგუსტ შლევკელები და ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი. ზოგიერთი ტიპოლოგიური ასპექტი იკვეთება შედარებითი ენათმეცნიერების ფუძემდებლის ფრანც ბოპის გლოტოგენიურ კონცეფციაშიც. XIX საუკუნის პირველ ტიპოლოგიურ

გამოკვლევებში ყურადღება ძირითადად ეთმობოდა ენათა მორფოლოგიური ტიპების დადგენას; ამასთანავე, მაშინდელი ტიპოლოგია ორიენტირებული იყო არა იმდენად ტაქსონომიურ ასპექტზე, არამედ უფრო გლოტოგენიურზე, რაც ენის შესწავლისადმი ახალი ისტორიული მიდგომით აიხსნება. აღნიშნულ პერიოდში ენათმეცნიერები მიისწრაფოდნენ, გამოეყოთ მორფოლოგიური ტიპები არა როგორც ენის განვითარების სტატიკური მდგომარეობები, არამედ როგორც დინამიკური სტადიები, რომლებიც თანამიმდევრულად ესადაგებოდა ენის განვითარების ცალკეულ ეტაპებს. ვ. ფონ ჰუმბოლდტისეულმა ტიპოლოგიამ განვითარება ჰპოვა ა. შლაიხერისა და ა. პოტის ნაშრომებში, ხოლო ფ. ბოპის “ძირეული” ტიპოლოგია აისახა მ. მიულერთან. ენათა ფორმალური ტიპებისადმი და ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციისადმი ახალი მიდგომა მოცემულია კ. შტაინთალის შრომებში: მან ტიპოლოგიის საფუძვლად ენის ფორმალურ-სინტაქსური ნიშნები აღიარა.

გარკვეულწილად მინელდა ინტერესი ენათა ტიპოლოგიური კვლევისადმი XX საუკუნის დასაწყისში (ვგულისხმობთ პირველ ორ ათწლეულს), მაგრამ მას შემდეგ, რაც ტრადიციულმა ტიპოლოგიურმა მოდელმა სტაბილიზაცია განიცადა, დაიწყო ტიპოლოგიური ენათმეცნიერების აყვავების ხანა, რაც, პირველ რიგში, ედუარდ სეპირის სახელს უკავშირდება. მან შექმნა ტიპოლოგიის პრინციპულად ახალი მოდელი, რომელიც ემყარებოდა კომპლექსურ მიდგომას ენათა ზოგადი მახასიათებლებისადმი (გრამატიკული ცნებების სახეებსა და საშუალებებს, მორფემათა შეერთების ტექნიკას, გრამატიკულ ფორმათა სირთულის ხარისხს). სეპირისეული ტიპოლოგიის მრავალასპექტიანმა ხასიათმა ნიადაგი შეამზადა უფრო მოქნილი და წარმომადგენლობითი კლასიფიკაციის ასაგებად, რომელმაც ჩაანაცვლა ტრადიციულად არსებული სამ- ან ოთხ-კომპონენტიანი კლასიფიკაცია და რომელიც მკაფიოდ ასახავდა ენათა პოლიტიპოლოგიზმს, გარდამავალი ტიპის ენათა არსებობასა და ვარირებას. ე. საპირის ტიპოლოგიურმა მოძღვრებამ მძლავრი ბიძგი მისცა ინვენტარული და იმპლიკაციური ტიპოლოგიის განვითარებას, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სტრუქტურული ლინგვისტიკის ფართო გავრცელებამ ევროპასა და ამერიკაში. სწორედ სტრუქტურული ლინგვისტიკის წყალობით შემოვიდა უფრო მკაცრი და ზუსტი მეთოდები ენის კვლევის პრაქტიკაში, რაც გამოიხატა ენის შესწავლისადმი

ერთგვაროვანი დამოკიდებულების დამკვიდრებაში და რამაც მოგვცა ენის სტრუქტურის ყოველმხრივი აღწერის საშუალება.

ევროპულ ლინგვისტიკაში თანამედროვე ტიპოლოგიის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა პრადის ლინგვისტიკურმა წრემ, რომლის წიაღშიც შეიქმნა ენობრივ ქვესისტემათა ტიპოლოგია (მაგალითად, ნ. ტრუბეცკოს ფონოლოგიური ტიპოლოგია) და ქარაქტეროლოგია (ვ. მათეზიუსი, ვ. სკალიჩკა).

XX საუკუნის შუა ხანებში გრძელდება ფორმალური ტიპოლოგიის საფუძვლების შემუშავება როგორც ზოგადის, ისე კერძოსი (რ. იაკობსონი, ჯ. გრინბერგი, ა. მარტინე და სხვები). ამავე პერიოდში ვითარდება კვანტიტატიური ტიპოლოგია, რომელიც შექმნა ჯ. გრინბერგმა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა შესაპირისპირებელ ფაქტთა რაოდენობა აზიის, აფრიკისა და ოკეანის ენათა შესწავლის ხარჯზე. XX საუკუნის 60-70-იან წლებში ძირითადად აშშ-ში ყალიბდება სოციოლინგვისტიკური ტიპოლოგია (უ. სტიუარტი, ჩ. ფერგიუსონი, დ. პაიმზი და სხვები). XX საუკუნის მეორე ნახევრისათვის დამახასიათებელია სტრუქტურული ტიპოლოგიის დაახლოება შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებასთან, რომელთან მიმართებაშიც (სინქრონიული და დიაქრონიული თვალსაზრისით) ფილოლოგიური კანონზომიერებანი ემსახურება გენეტიკური ჰიპოთეზის სანდოობის დადგენას (რაზეც 1956 წელს მიუთითა რ. იაკობსონმა). XXI საუკუნეში ტიპოლოგიის შესახებ ნაშრომთა რაოდენობა იზრდება, სულ უფრო მატულობს ტიპოლოგიის პრობლემების უფრო ფართოდ წამოწვევის ცდები.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში სულ უფრო მეტ წონას იძენს ტიპოლოგიური მეთოდი, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთს უდარდება ენობრივი სტრუქტურები მსგავსება-სხვაობის თვალსაზრისით მიუხედავად მათი გენეტიკური კუთვნილებისა. ტიპოლოგიური მეთოდის ბაზაა მსოფლიოს ყველა ენა, რომელიც განიხილება სინქრონულად, შიდასტრუქტურულად, არასივრცით, გენერალიზებულ და უნივერსოლოგიურ ასპექტში. ტიპოლოგიური კვლევა ძირითადად ეფუძნება შეპირისპირებით და საკლასიფიკაციო მეთოდიკებს. ტიპოლოგიური მეთოდის საფუძველია მტკიცება მსოფლიოს ყველა ენის იზომორფიზმის შესახებ, ანუ: მათ საფუძველად უდევს ერთი და იგივე ზოგადი პრინციპები. ამიტომ ყველა ენა, მიუხედავად გარეგანი განსხვავებულობისა, რაღაც ერთიანი, ზოგადი, უნივერსალური მოდელის კონკრეტულ გამოვლინებას წარმოადგენს. იზომორფიზმი, უპირველეს ყოვლისა,

ვლინდება კითხვითი პროცედურების ერთიანობაში, ერთიანად გამოყენებული ლინგვისტიკური ტერმინოლოგიით, რომელიც ასახავს ყველა ენის სტრუქტურულ ერთეულებს (ფონემა, მორფემა და ა.შ.). ყველა ენას აქვს ერთიანის „სუბსტრატი“ – ჩვენი გარემომცველი სინამდვილე და ერთიანი პრაგმატული მიმართულება – იყოს კომუნიკაციის საშუალება. სხვაობა ენობრივ სისტემებს შორის იწყება იქ, სადაც ხდება არასაგნობრივი სინამდვილის სეგმენტაცია ენობრივი საშუალებებით, რომელიც ინდივიდუალურად სპეციფიკურია ყოველი ენისათვის.

ენათა იზომორფიზმის შესახებ ჟ. ვანდრიესმა შენიშნა: არსებობს მხოლოდ ერთი ადამიანური ენა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით, „ერთნაირი თავისი არსით“ (Вандриес, 1937: 217).

ტიპოლოგიური მეთოდი ინტუიციურად ძალზე ადრე გამოიყენებოდა. უცხო ენათა შესწავლის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია უკვე არის შეპირისპირებით მეთოდი მის ჩანასახურ მდგომარეობაში. ვ. სკალჩიკა სამართლიანად შენიშნავდა, რომ ტიპოლოგია ყველაზე ძველი, თუმცა ნაკლებად დამუშავებული დარგია ენათმეცნიერებისა (Скаличка, 1963: 19).

ზოგადი და კერძო ტიპოლოგიური მეთოდის ფუნდამენტური პრობლემა მეტწილად განპირობებულია იმით, რომ დღესაც არ არის მოცემული ენის შესწავლისადმი ამგვარი მიდგომის მიზნები და ამოცანები. ვ. სკალჩიკას ავტორიტეტული აზრით, თვით ტიპოლოგებმა არ იციან, რა არის ტიპოლოგიის საგანი, რადგანაც გვაქვს მისი ფართო და ვიწრო გაგება. აი, ერთ-ერთი მათგანი: მსოფლიოს ენათა აღწერის მიზანია მათი განაწილება მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნების ჯამით, რომელიც დამახასიათებელია ამ ენათა სისტემებისათვის” (Ярцева, 1986: 493).

მიუხედავად ზემოთქმულისა, სპეციალური ლიტერატურის ანალიზი, რომელიც ეძღვნება ლინგვისტურ ტიპოლოგიას, შემდეგი მიდგომების გამოყოფის საშუალებას იძლევა: საკლასიფიკაციო, ქარაქტეროლოგიური, თვისებრივი, შიდასტრუქტურული, კონტრასტული და უნივერსალური. დროში პირველია საკლასიფიკაციო მიდგომა, რომლის თანახმადაც, ენათა მთელი მრავალსახეობა თავსდება სამ ან ოთხ ტიპოლოგიურ კლასში (იზოლირებული, აგლუტინაციური, ფლექსიური და ზოგჯერ ინკორპორაციული); საკლასიფიკაციო მიდგომის მიღწევაა მისწრაფება არაწინააღმდეგობრივი და მოხერხებული კლასიფიკაციის აგებისა. არსებით ნაკლოვანებად მიჩნეულია, ჯერ ერთი, ტიპოლოგიური

კლასიფიკაციის კრიტერიუმთა არაექსპლიციტურობა, რისი შედეგიცაა კლასიფიკაციების მზარდი რაოდენობა, ასევე ის, რომ მან ვერ მოგვცა უფრო კონკრეტული ცნობები ცალკეული ენების შესახებ.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ვითარდება კონტრასტიული ლინგვისტიკა, რომლის მიზანია შეპირისპირებითი შესწავლა ორი, იშვიათად რამდენიმე, ენისა მათი მსგავსება-სხვაობის გამოვლენის მიზნით ენობრივი სტრუქტურის ყველა დონეზე. კონტრასტიულ ლინგვისტიკას მკაფიოდ აქვს გამოხატული პრაქტიკული აქცენტი – უცხო ენის (ან ენათა) შესწავლის მეთოდის გაუმჯობესება, თუმცა უდავოა მისი თეორიული მნიშვნელობაც. შესადარებელ ენათა გრამატიკული წყობის ელემენტთა თუ მოვლენათა იზომორფული და ალომორფული ნიშნების შეპირისპირება ექვემდებარება გარკვეული პრინციპით დეტერმინირებულ თანამიმდევრობას, შესაბამისი მეთოდის შემუშავებასა და სწორად აგებულ ახსნა-განმარტებით მუშაობას: ა) შედარებას, ბუნებრივია, წინ უსწრებს შესადარებელ ენათა სტრუქტურული ელემენტის დაუფლება. რომ შევადაროთ ცალკეულ ენათა მსგავსი და განმასხვავებელი ფაქტები, საჭიროა, ვიცოდეთ ისინი თითოეულ შესადარებელ ენაში ცალ-ცალკე; ბ) შედარება კეთდება მაშინ, როცა უზრუნველყოფილია მშობლიური ენის ფორმების სიმტკიცე; გ) შედარება წარმოებს იმის მიხედვით, თუ რაოდენ ინტენსიურად მიმდინარეობს უცხოურ ენაზე მეტყველების გრამატიკალიზაცია; დ) შედარების ძირითად პრინციპად აღიარებულ უნდა იქნეს მსგავსება-განსხვავების ფაქტორების მიწოდება (მაგალითად, ქართულისა და რუსულის მოქმედებითი ბრუნვის ინსტრუმენტალისის გამოხატვის ფუნქცია...), ხოლო შემდეგ – განსხვავებულისა (მაგალითად, რუსულში აკუზატივის არსებობა, რაც არ მოეპოვება ქართულს; ქართული ზმნის კაუზატივის კატეგორია...); ე) ენის ამა თუ იმ დონის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა დაისახოს კონკრეტული მიზნები და ამოცანები. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ შესადარებელ ენათა ფორმების გავრცელებულობის მომენტი და გამოყენების სიხშირე, თეორიისა და პრაქტიკის თანაფარდობა. დღეს მოქმედი ენების ფონემათა არტიკულაციურ-აკუსტიკური თავისებურებანი სრულადაა წარმოდგენილი და აღწერილი ფონეტიკის სტაბილურ სახელმძღვანელოებსა თუ სპეციალურ საენათმეცნიერო გამოკვლევებში, მაგრამ ერთია ენათა ფონემატური სისტემების აღწერა და სხვაა ამ სისტემათა შედარება-შეპირისპირება. მშობლიური და უცხოური ენის (ან ენების) საარტიკულაციო ბაზისების შედარება ემყარება იმ პოსტულატურ

ჭეშმარიტებას, რომ მხოლოდ მაშინ ჩაეწვდებით უცხოური ენის წარმოთქმის თავისებურებებს, როცა გარკვეული ვართ მშობლიური ენის წარმოთქმის სპეციფიკაში. საარტიკულაციო ბაზისების შედარების პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა ვეუფლებით ორ უცხოურ ენას და დგება საკითხი სამი ენის საარტიკულაციო ბაზისების შედარებისა, რაც გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ მეტად შთამბეჭდავია ეფექტი, რაც მიიღწევა სხვადასხვა ენის საარტიკულაციო ბაზისების შედარებისას: 1) ფართოვდება ცოდნა ფონეტიკურ მოვლენათა სფეროში; 2) ვითარდება არტიკულაციური ჩვევები; 3) იძლევა შესაძლებლობას ფართო ლინგვისტური განზოგადებისა. სხვადასხვა ენის საარტიკულაციო ბაზირების შედარება არ ითვალისწინებს შესადარებელი ენების ყველა ფონემის შეპირისპირებას. ყოველ ენაში შეიძლება გვექონდეს ისეთი ფონემები, რომელიც ნიშანდობლივია მხოლოდ კონკრეტულად მოცემული ენისათვის და არ გვხვდება სხვაგან. მაგალითად, რუსულს გააჩნია ხ სმოვანი, რომელიც არაა ქართულში; ქართულში დასტურდება ათი ფონემა, რომლებიც არ აქვს რუსულს და სხვა. შედარებისას განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამ ფონემებს უნდა მიექცეს. გაუდიფერენცირებელი შედარება უთუოდ მიგვიყვანს ყალბ ასოციაციამდე (ამის შესახებ დაწვ. იხ. ფაჩულია 2000: 126-129).

კონტრასტიული ლინგვისტიკის ფარგლებში ენათა შეპირისპირებითი შესწავლის შედეგია ამ ენათა კონტრასტიული გრამატიკები. ქართულ ლინგვისტიკაში მრავალი ნაშრომი მიექდვნა ქართული და რუსული ენების გრამატიკული სტრუქტურების შეპირისპირებით კვლევას. თუ განხილული მეთოდი ზოგადს ეძიებს ენაში, ქარაქტეროლოგიური მიდგომა ავლენს თითოეული ენის თავისებურებას. ამგვარი მიდგომის საკითხები დაამუშავა პრადის ლინგვისტიკური სკოლის წარმომადგენელმა ვ. მათეზიუსმა შრომაში „ლინგვისტიკური ქარაქტეროლოგიის შესახებ“, რომელშიც აღნიშნულია, რომ საენათმეცნიერო კვლევის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია აღწერის სინქრონიული მეთოდების გამოყენება და დაწვრილებითი ანალიზი თითოეული ცალკეული ენისა მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ლინგვისტიკური ქარაქტეროლოგიის ერთადერთ მიზანს წარმოადგენს მოცემული ენის შესაძლებელდაგვარად უფრო ღრმა მეცნიერული ანალიზი. ლინგვისტიკური ქარაქტეროლოგიის განმასხვავებელი ნიშანია ლინგვისტიკურ ანალიზში მნიშვნელობითი ანალიზის პარამეტრების შეტანა. თუ აღწერითი ლინგვისტიკის

ამოცანაა ენის ყველა ფორმალური და ფუნქციური ელემენტის სრული აღწერა მისი განვითარების მოცემულ პერიოდში, ლინგვისტიკურ ქარაქტეროლოგიას საქმე აქვს მოცემული ენის მხოლოდ ფუნდამენტალურ მახასიათებლებთან ზოგადლინგვისტურ საფუძველზე (Mateznyi 1963: 28). ამ მიდგომის ნაკლად მიჩნეულია მყარი თეორიული ბაზის უქონლობა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა შეგვეფასებინა სხვადასხვა მოვლენები მათი თავისებურებებისაგან დამოუკიდებლად.

ითვალისწინებდა რა ენის მრავალდონიან სტრუქტურას, ზოგიერთი ლინგვისტი წავიდა ცალკეული მოვლენების ტიპოლოგიის შექმნის გზით ენის ყველა დონეზე: ფონეტიკურზე, ლექსიკურზე, სინტაქსურსა და ა.შ. ასეთი მიდგომა საინტერესო და პროდუქტიულია. იგი მნიშვნელოვანი კანონზომიერებების აღმოჩენის საშუალებას იძლევა. ამგვარი მიდგომით შესაძლებელია რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებაც. მისი შეზღუდულობა იმაში გამოიხატება, რომ შეუძლებელია უნივერსალური ტიპოლოგიური ნიშან-თვისებების გამოვლენა და, შესაბამისად, ზოგადი კლასიფიკაციის შექმნა. მისწრაფებამ, დაძლეულიყო საკლასიფიკაციო მიდგომის ნაკლოვანებები, წარმოშვა ე.წ. მრავალსაფეხურებრივი კლასიფიკაცია, რომელიც სამ კრიტერიუმს ითვალისწინებდა.

შეპირისპირებითი კლასიფიკაციის სიძნელეებმა განაპირობა სულ სხვა ტიპოლოგიის შექმნა, რომლის საშუალებითაც ვლინდება ურთიერთობა ცალკეულ მოვლენებს შორის მოცემულ ენაში. ასეთი მიდგომა დაფუძნებულია ენის სისტემურობის აღიარებაზე მისი ელემენტების შინაგანი განპირობებულობით, ანუ იმაზე, რომელი ელემენტები შეიძლება გამოვლინდნენ გარკვეულ ენაში და რომელი არა; რომელი ელემენტები განაპირობებენ აუცილებლად სხვა ელემენტების გაჩენას; რომელი ელემენტები იწვევენ სხვების გაუჩინარებას და რომელი ელემენტები არაა დაკავშირებული ამგვარი სახით – აი, საკითხები, რომელზედაც უნდა უპასუხოთ ტიპოლოგმა.

თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში ენის ტიპოლოგიის განხრით სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა ენობრივი უნივერსალებების გამოვლენას. შედარებით ახალ სფეროდ გვევლინება სოციოლინგვისტიკური ტიპოლოგია, რომლის ინტერესების სფეროში შედის ენობრივი სიტუაციების მსგავსება-განსხვავების შესწავლა.

ტიპოლოგიური მეთოდი ავსებს და აძლიერებს შედარებით-ისტორიულ მეთოდს. შეპირისპირებითი მეთოდის ირგვლივ აიგება მთელი შენობა ბუნებისმეტყველებისა და მრავალი მეცნიერი მიიჩნევს, რომ შედარებით მეთოდს შეუძლია, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ყველა მეცნიერული ამოცანა, ხოლო სხვა მეთოდებს დამოუკიდებლად ამის გაკეთება არ ძალუძთ.

უნდა ვაღიაროთ, რომ ტიპოლოგიური თვალსაზრისით მოდალობის ფაქტორს ჯერჯერობით არ მიუპყრია ისეთივე ყურადღება, როგორც ეს სხვა ისეთ ენობრივ კატეგორიებთან დაკავშირებით მომხდარა, როგორებიცაა, მაგალითად, ერგატიულობა ან კაუზატიურობა. მიუხედავად ამისა, არსებობს ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე გამოქვეყნებული ნაშრომი, რომლებიც ნამდვილად საგულისხმოა ამ თვალსაზრისით. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ პალმერის ნაშრომი კილოსა და მოდალობის შესახებ, რომელიც ორ გამოცემად გამოვიდა (1986; 2001); თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მათ შორის საგრძნობი განსხვავებებიც ფიქსირდება და, ამდენად, მათი ჩათვლა სტერეოტიპულ გამოცემებად არ ეგების. არსებობს ზოგიერთი ნაშრომი მოდალობის შესახებ, რომლებიც შესრულებულია ფუნქციურ-ტიპოლოგიურ ჩარჩოში; ასეთებად წარმოგვიდგებიან დიკის (1997) და ფოულისა და ვან ვალინის (1985) შრომები; მათ მსგავს ლინგვო-ტიპოლოგიურ მიმოხილვათა რიგში უნდა ჩავაყენოთ აგრეთვე გივონი (1984) და ჩანგი და ტიმბერლეიკი (1985). ახალი საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნდა ნუიტსის (2001) ფუნქციონალურ-კოგნიტიური გამოკვლევა მოდალობის შესახებ. აქვე აუცილებლად უნდა ვახსენოთ უილიამ ფროლის (2005) რედაქციით გამოსული სტატიების კრებული, რომელიც ამ მიმართულებით წარმოებული კვლევის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, არსებობს უამრავი ნაშრომი, რომლებიც სხვადასხვა ენაში არსებულ მოდალობის ნაირგვარი ნიუანსების შესწავლას ეხება, თუმცა მათ ამ ნაშრომში დაწვრილებით არ შევვხებით გასაგები მიზეზების გამო.

თუ ზოგადად მოდალობის ტიპოლოგიაზე ვისაუბრებთ, მაშინ აუცილებლად უნდა ვახსენოთ ამ სფეროში უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები, რომლებიც დაფიქსირებულია სპეციალურ ლიტერატურაში. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია შემდეგი სამი ტიპოლოგიური გამოკვლევა; ესენია: პალმერისა (2001), ჰენგველდისა (2004) და ვან დერ აუვერასა და პლუნგიანისა (1998). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამივე შემთხვევაში აქცენტი ძირითადად გადატანილია მოდალობის შინაარსობრივ

ასპექტებზე და ნაკლები ყურადღება ეთმობა ამ მნიშვნელობათა გრამატიკულ რეალიზაციას.

თავისთავად ცხადია, რომ ეს ვითარება გარკვეული უკმარისობის გრძობას გვიჩენს. მხოლოდ ფ. რ. პალმერთან ვხვდებით იმ გრამატიკული ინვენტარის ჩამოთვლას, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მოდალურ მნიშვნელობათა გამოხატვაში: 1) ცალკეული აფიქსები, კლიტიკები და ნაწილაკები; 2) ფლექსია; 3) მოდალური ზმნები (Palmer, 2001: 19). ნიშანდობლივია, რომ მოდლობის უახლეს ტიპოლოგიურ გამოკვლევებში უმეტესწილად სწორედ სემანტიკურ ასპექტებს ექცევა ყურადღება (იხ. მაგ., ნოზი, 2005).

საერთოდ, მოდლობის ტიპოლოგიური შესწავლის საკითხები დიდი ხანია იმსახურებენ სპეციალისტთა ყურადღებას და იგი არაერთხელ გამხდარა ფართო მსჯელობის საგანი. და მაინც, ალბათ, საკმაოდ ადვილად წარმოსადგენია ის სერიოზული სიძნელეებიც, რომლებიც სავსებით ბუნებრივად ახლავს თან ასეთი ტიპის კვლევას. ზემოთ უკვე წარმოვადგინეთ, რა სიძნელეები ახლავს ზოგადად ტიპოლოგიურ კვლევას, თუმცა მოდლობის შესწავლის შემთხვევაში ამას ემატება ისიც, რომ ამ მხრივ კრიტერიუმების დადგენა არა ზუსტ, არამედ მხოლოდ მიახლოებით ხასიათს ატარებს. ამ ფაქტს აღიარებენ აღნიშნულ სფეროში მომუშავე წარმყვანი სპეციალისტები. ეს გასაკვირი სულაც არ გახლავთ, რადგანაც აქ ისეთი არასაენათმეცნიერო ცნებებით ხდება ოპერირება, როგორებიცაა ირეალობა, არაფაქტობრიობა, შესაძლებლობა, აუცილებლობა და მისთანანი. ცხადია, რომ ამგვარი კრიტერიუმების გამოყენება საკმაოდ აძნელებს ზუსტი კრიტერიუმების დადგენასა და მათ შემდგომ ადეკვატურად გამოყენებას. აღნიშნული ვითარება ჩვენ გავითვალისწინეთ და შეძლებისდაგვარად ვეცადეთ, რომ ტიპოლოგიური ანალიზისას მკაცრ, სტრუქტურულ კრიტერიუმებზე დავერდნობოდით, რის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა თუნდაც რაიმე მნიშვნელობის მქონე შედეგის მიღწევა.

მოდალური მნიშვნელობის (მოდლობის) გამოხატვის ენობრივი საშუალებები შეიძლება დავეყოთ ორ ნაწილად: უნივერსალურ და არაუნივერსალურ საშუალებებად. უნივერსალური საშუალებები დაჩნდება ყველა სახის გამონათქვამში გამონაკლისის გარეშე. ასეთად გვევლინება ინტონაცია. მეორე რიგის (ანუ არაუნივერსალური) საშუალებები გვხვდება მხოლოდ ზოგიერთ გამონათქვამში. მოდლობის გამოხატვის საშუალებათა დანიშნულებას წარმოადგენს ის, რომ ერთმანეთს დაუკავშიროს მისი გამოხატვის ფორმები და

პირობები. მოდალობის გამოსატვის არაუნივერსალური საშუალებები გამოიყენება იმ მიზნით, რომ შეიქმნას შესაბამისი პირობები ამა თუ იმ ფორმისათვის, რათა იგი გადაიქცეს მოდალობის გამოსატვის ფორმად. ნათქვამი შეიძლება გავავრცელოთ იმ შემთხვევაზეც, როდესაც ორ, არამონათესავე ენას ვადარებთ ერთმანეთს ამ მხრივ. ზემოთქმულსავე გათვალისწინებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ დისერტაციაში ყურადღებას ვერ გავამახვილებთ უნივერსალურ საშუალებებზე, რადგანაც მოდალობის გამოსატვის საკითხში ასეთად ინტონაცია გვევლინება; იგი კი, თავისთავად ცხადია, პროსოდიული მოვლენაა და არა გრამატიკული. როგორც ვიცით, ჩვენ სწორედ გრამატიკულ საშუალებებზე ვაკეთებთ კონცენტრაციას.

როგორც წინამაგვალ თავებში წარმოდგენილმა მასალამ და მსჯელობამ დაგვანახა, მოდალური მნიშვნელობების გამოსატვის გრამატიკული საშუალებების ტიპოლოგიური ანალიზი მარტივი ამოცანა არ გახლავთ. განსაკუთრებით საცნაური ხდება ეს სირთულე გენეტიკურად და სტრუქტურულად ისეთი განსხვავებული ენების შემთხვევაში, როგორებიცაა ქართული და ინგლისური. სირთულეს გარკვეულწილად აღრმავენ ის ფაქტიც, რომ ამ ენათა ჩვენთვის საინტერესო ასპექტების შესწავლა და აღწერა ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული გრამატიკული ტრადიციების ფარგლებში მიმდინარეობდა. და მაინც, რაც უნდა გასაკვირი იყოს, აღნიშნული ასპექტის განხილვისას ამ ენებში არა მარტო კონტრასტული, არამედ ქარაქტეროლოგიური ღირებულების მქონე ლინგვისტური ფაქტებიც დასტურდება.

მიუხედავად ზემოთქმულისა, თავდაპირველად, ჩვენი აზრით, უპრიანი იქნება არა მსგავსებებისა და განსხვავებების რაოდენობრივ შეფარდებაზე საუბარი, არამედ იმის დადგენა, რას ვუდარებთ ერთმანეთს და რის მიხედვით (*tertium comparationis*). აქედანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ქართული და ინგლისური მოდალების სემანტიკური შესაბამისობების დადგენა. ამგვარი ცდები საკმაოდ არსებობს სპეციალურ ლიტერატურაში. თავის დროზე ისიც მოგახსენეთ, რომ, რადგანაც კილოს ძირითადად სემანტიკურ კატეგორიად მიიჩნევენ, ისიც ვერ გახდება ჩვენთვის მთავარი სამიზნე საკითხი. შესაბამის თავებში (II და III) ჩვენ უკვე გამოვკვეთეთ ეს ძირითადი საანალიზო მასალა: ეს არის გრამატიკული მოდალები. ტერმინი “გრამატიკული მოდალი” ძალიან

მოსახერხებელია ორ საენათმეცნიერო ტრადიციაში არსებული განსხვავებების გამო.

ძირითად გრამატიკულ მოდალებად ქართულ ენაში წარმოვადგენთ შემდეგ ენობრივ ერთეულებს: **ეგებ/ეგება, იქნებ/იქნება, ეტყობა, ჩანს, ლამის, უნდა, გინდა/გინდ, თუგინდ/თუნდა.** . . შესაბამის თავში მათ შესახებ საუბრისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ზოგი მათგანი, როგორცაა **ეგებ, უნდა, ლამის,** ოდენ მოდალური ელემენტის როლს ასრულებს თანამედროვე ქართულში, სხვები კი გამოიყენებიან როგორც მოდალური დანიშნულებით, ასევე საკუთრივ ზმნის ფუნქციით.

ძირითად გრამატიკულ მოდალებად ინგლისურ ენაში წარმოვადგენთ შემდეგ ენობრივ ერთეულებს: **can, may, must, will, shall; could, might, need, would, should,** ანუ ე.წ. ცენტრალური მოდალები.

მოცემულ შემთხვევაში უძჯობესი იქნება, თუკი ანალიზის საწყის პუნქტად ინგლისური ენის ვითარებას ავიღებთ, რადგანაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, აქ მათ კვლევას ხანგრძლივი და საფუძვლიანი ისტორია აქვს. ამგვარი გამოცდილება კი, რა თქმა უნდა, უადრესად სასარგებლო რესურსს წარმოადგენს ჩვენთვის მაშინ, როცა შესაბამისი ენობრივი მასალის ტიპოლოგიური ანალიზი გვაქვს გამიზნული.

ცნობილი ფაქტია და ჩვენ მიერ წარმოდგენილმა მასალამაც ცხადყო, რომ, ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურში (და, საერთოდ, გერმანიკულ ენებში) მოდალური ზმნები მკაფიოდ გამოკვეთილი კლასი (ან ქვეკლასია) ენობრივ სისტემაში. მათ გააჩნიათ რიგი სპეციფიკური, მხოლოდ მათთვის და მახასიათებელი ნიშნები, რომელთა წყალობითაც ცალკე, განსაკუთრებულ ჯგუფად გამოიყოფიან ზმნის სისტემაში. რამდენჯერმე უკვე შევნიშნეთ, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ძირითადი აქცენტი მათ სემანტიკურ თავისებურებებზეა გადატანილი; ეს არც გახლავთ გასაკვირი, რადგანაც მათ ეს სახელწოდება (მოდალური) სემანტიკური სპეციფიკის გამო აქვთ მიღებული. და მაინც, კონკრეტულად რა თავისებურებები იგულისხმება მათ განსაკუთრებულებაში?

მოდალური ზმნები გამოხატავენ რეალურ სინამდვილეში არსებულ მიმართებებს. მათ მიერ გადმოცემული მნიშვნელობები ძირითადად ჯგუფდება ორი ცნების – აუცილებლობისა და შესაძლებლობის – ირგვლივ. ჩვეულებრივ, აღნიშნავენ, რომ მოდალური ზმნების საშუალებით გამოიხატება მთქმელის

სუბიექტური დამოკიდებულება ნათქვამის მიმართ. როგორც ეტყობა, ასეთი განმარტებების დროს არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ მოდალური ზმნების ლექსიკურ მნიშვნელობებში გარკვეულწილად დევს რეალურ ცხოვრებაში არსებული ურთიერთობები და მიმართებები. ამგვარად წინ წამოიწევა მთქმელის გამონათქვამის შეფასების სუბიექტური ხასიათი. თავისთავად ცხადია, რომ მოდალურ ზმნებს მართლაც შეუძლიათ ამა თუ იმ ფაქტის ან მოვლენის მიმართ მთქმელის სუბიექტური დამოკიდებულების გადმოცემა, მაგრამ, ამასთანავე, ისინი გამოხატავენ როგორც ობიექტურ შესაძლებლობას, ასევე ობიექტურ კანონზომიერებას; ეს ხომ მათი ძირითადი ფუნქციონირების სფეროა. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ, თუ ჩვენ მოვიწადინებთ ზოგადი დახასიათება მივცეთ მოდალურ ზმნათა ლექსიკურ მნიშვნელობებს, მთავარი ის კი არ გახლავთ, რამდენად სუბიექტურია ან ობიექტური ესა თუ ის გამონათქვამი, რომელიც აუცილებლობას ან შესაძლებლობას ეხება, არამედ ის, თუ რა შემთხვევაში მიუთითებენ მოდალური ზმნები მოქმედების სარწმუნოების ხარისხსა და ხასიათზე სინამდვილესთან მიმართებაში, იქნება ეს ცალკეული პირის ან ადამიანთა ჯგუფის მოსაზრებით, თუ საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით. მაშასადამე, მოდალურ ზმნათა ლექსიკური მნიშვნელობები გადმოგვცემენ მოქმედებასა და მის სუბიექტს შორის არსებული კავშირის სარწმუნოების გარკვეულ ხარისხს (შესაძლებლობისა და ვარაუდის მნიშვნელობები) ან მიუთითებენ მათ შორის არსებული კავშირურთიერთობის თავისებურებაზე (აუცილებლობისა და ვალდებულების მნიშვნელობები).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინგლისური ენის მოდალურ ზმნათა ეს სემანტიკური დახასიათება სავსებით შეესაბამება ქართულის გრამატიკულ მოდალებსაც. ეს სავსებით ბუნებრივია, ოღონდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული ვითარება არ უნდა მივიჩნიოთ ქართულსა და ინგლისურს შორის არსებულ ქარაქტეროლოგიურ ნიშან-თვისებად; სინამდვილეში ზემოთ წარმოდგენილი სემანტიკური განზომილებები უნივერსალური ენობრივი მოვლენაა და ამიტომაც გვაქვს იგივეობა ამ ორ ენას შორის, რასაც, რასაკვირველია, ვერ ვიტყვით ამ მნიშვნელობათა გადმოცემის საშუალებების რაობის, რაგვარობის, რაოდენობის, ფუნქციონირების სფეროებისა და მისთანათა შესახებ.

ჩვეულებრივ, მოდალობა გაიგება როგორც მეტყველების დამოკიდებულება სინამდვილის მიმართ, ან კიდევ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეტყველების მიმართება სინამდვილისადმი, ანუ როგორ მიემართება სინამდვილის ფაქტებს მეტყველების შინაარსი, ის, რაც ითქმის. ეს, როგორც ვთქვით, მოდალობის მნიშვნელობის უნივერსალურ თავისებურებას წარმოადგენს, მაგრამ ის, თუ როგორ და რა საშუალებებით გადმოიცემა ეს მნიშვნელობები სხვადასხვა ენაში, სულაც არ იძლევა უნივერსალიების გამოვლენის საფუძველს. იმავე ინგლისურში სხვადასხვა მოდალური მნიშვნელობა ნაირგვარი ენობრივი საშუალებით შეიძლება გამოიხატოს, მაგრამ მოდალური ზმნების განსაკუთრებულება მათივე ლექსიკურ მნიშვნელობაში მდგომარეობს; ამასთანავე, ისინი სპეციფიკურობას ავლენენ სინტაქსური თვალსაზრისითაც. ჩვეულებრივ, წინადადებაში ისინი გვხვდებიან კომბინაციაში სრულ მნიშვნელოვანი ზმნის ინფინიტივთან და მათი ერთობა გვაძლევს შემასმენელს; ამგვარად იგი ახდენს შემასმენლის დეტალიზაციას მოდალობის ხაზით. სიმართლე რომ ვთქვათ, ეს მათი მთავარი, თუ არა ერთადერთი, დანიშნულებაა წინადადების ფარგლებში.

უკვე გამოიკვეთა გარკვეული განსხვავებები ქართულ და ინგლისურ გრამატიკულ მოდალებს შორის; ეს, ცხადია, იმის შედეგია, რომ ჩვენ მათ სტრუქტურულ ნიშან-თვისებებსაც შევხებით, თუნდაც ჯერ მეტისმეტად ზოგადად.

ცნობილ სინტაქსურ კონსტრუქციებში ინფინიტივიანი კონსტრუქციები ზოგიერთ მოდალურ ზმნასთან იძენენ გარკვეულ, გრამატიკალიზებულ ხასიათს. ამგვარ შემთხვევებში მოდალური ზმნა მნიშვნელოვნად დასუსტებულია ლექსიკური თვალსაზრისით და ჭეშმარიტად დამხმარე სიტყვად გადაქცევის ზღვარზეც კი დგას. აღნიშნულის დადასტურებლად მიგვაჩნია, მაგალითად, ზოგიერთი კონსტრუქცია მოდალური ზმნებით *should* და *may*. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისური ენის მოდალურ ზმნებს შორის ისეთებიც კი მოიპოვება, რომლებიც უკვე გადაქცეული არიან დროისა და კილოს გრამატიკულ მაჩვენებლებად. სწორედ ამის გამოა, რომ ინგლისურში მოდალობისადმი მიძღვნილ სპეციალურ ლიტერატურაში არაიშვიათად ახსენებენ ერთგვარ კომპლექსურ კატეგორიას, რომელიც თავის თავში აერთიანებს დროს, ასპექტსა და კილოს (ამ კატეგორიის აღსანიშნავად არსებობს მიღებული აბრევიატურაც TAM = Tense, Aspect, Mood).

აქვე უნდა გავხაზოთ თუნდაც ამ ზოგადი დახასიათების შედეგად გამოკვეთილი მსგავსება-განსხვავებები; ერთი მხრივ, ჩვენ წინ წარმოჩნდა საკმაოდ ცნობილი და თვალშისაცემი განსხვავება, რაც არსებობს ქართულ და ინგლისურ გრამატიკულ მოდალებს შორის: ეს გახლავთ კონსტრუქციული ხასიათის განსხვავება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისურ გრამატიკულ მოდალებს მოსდევს ზმნა ინფინიტივის ფორმით (რაც იმას ნიშნავს, რომ მოდალური ზმნა გამოდის ფინიტურ, პირიან ფორმად); ქართულში პირიქითაა: გრამატიკული მოდალი (მოდალური ელემენტი) გაქვავებული ფორმაა, ხოლო მისი მომდევნო ზმნა – პირიანი. არსებულ განსხვავებას სათანადო მიზეზები გააჩნია, თუმცა ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი თვითონაც წარმოადგენს განმაპირობებელ მიზეზს ზოგიერთი ტიპის შედეგისათვის, რომლებსაც ქვემოთ შევხებით.

რაც შეეხება თავჩენილ მსგავსებას, აქ მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ დადასტურებულია ისეთი შემთხვევები, როდესაც მოდალური ზმნა მნიშვნელოვნად დასუსტებულია ლექსიკური თვალსაზრისით და ნამდვილ დამხმარე სიტყვად გადაქცევის ზღვარზეც კი დგას; ამის გარდა, ინგლისური ენის მოდალურ ზმნებს შორის ისეთებიც კი მოიპოვება, რომლებიც ფაქტობრივად უკვე გადაქცეული არიან ამა თუ იმ კატეგორიის გრამატიკულ მანქანებლებად. მსგავსება და პარალელიზმი იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც ვიცით ქართულ მოდალურ ელემენტებს სწორედ ეს გზა აქვთ გავლილი დიაქრონიული თვალსაზრისით. სამართლიანობის გულისათვის ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ყველაფერი იდენტურად არ არის ამ ენებში: ქართულში ეს პროცესი პრინციპში დასრულებულ ხასიათს ატარებს, რასაც ვერ ვიტყვით ინგლისურის შესახებ. აღნიშნული ვითარების თავისთავადი სიცხადე არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ ხსენებული საკითხი ამოწურულია და მას მეტად აღარ შევხებით.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ინგლისური ენის მოდალური ზმნების შუქზე მკაფიოდ იკვეთება ლექსიკურ და სინტაქსურ კატეგორიათა ურთიერთქმედება. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ მოდალურ ზმნათა სინტაქსური ფუნქციის თავისებურებები სწორედ მათი სემანტიკური ბუნებიდან გამომდინარეობს. ცხადია, რომ მოდალურ ზმნათა ლექსიკური მნიშვნელობები განსხვავდება ზმნის ძირითადი ლექსიკური შინაარსისაგან. როგორც წესი, ზმნის, როგორც მეტყველების ნაწილის, არსებით თავისებურებას წარმოადგენს,

რომ იგი გამოხატავს მოქმედებას პროცესში. მოდალური ზმნები არ გადმოსცემენ მოქმედების სუბიექტის რაიმე ნიშან-თვისებას. ისინი ახასიათებენ თვითონ მოქმედებას მის დამოკიდებულებაში სინამდვილესთან; ამასთანავე, ისინი მიუთითებენ იმ კავშირურთიერთობის ხასიათზე, რაც არსებობს მოქმედებასა და მის სუბიექტს შორის.

სანიშნოდ განვიხილოთ ზმნა *must*. ავიღოთ შემდეგი წინადადება *bad seed must produce bad corn*. აქ ზმნა *must* მის მომდევნო ინფინიტივთან ერთად გვაძლევს შედგენილ შემასმენელს. იგი არ გამოხატავს არც მოქმედებას, არც მდგომარეობას, არც სუბიექტის რომელიმე ნიშან-თვისებას; იგი მხოლოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ კავშირურთიერთობის თავისებურებებზე მიუთითებს, რომლებიც არსებობს მეტყველების საგანსა და მოქმედებას შორის მისი შედეგის გათვალისწინებით.

მსგავს ფუნქციებს ასევე ატარებს ზმნა *may*, როდესაც იგი ვარაუდის გამოხატვას ემსახურება. თუ ერთმანეთს შევადარებთ ზმნებს *must* და *may*, დავინახავთ, რომ განსხვავება მდგომარეობს გამოთქმული ვარაუდის სარწმუნოების ხარისხში, ანუ იმაში რამდენად არის მიახლოებული სინამდვილესთან.

ამგვარად, აზრობრივი კავშირები ქვემდებარესა და იმ შემასმენელს შორის, რომელიც შეიცავს ნებისმიერ მოდალურ ზმნას მათი ნებისმიერი მნიშვნელობით, ყოველთვის ერთი და იმავე ხასიათის იქნება.

თავიანთი გრამატიკული ფუნქციით მოდალური ზმნები წინადადებაში დამხმარე როლს ასრულებენ: ისინი აფორმებენ პრედიკატიულ ურთიერთობებს ქვემდებარესა და იმ ზმნას შორის, რომელიც ინფინიტივში დგას; მათ ეკისრებათ პრედიკატიულობის გადმოცემის ფუნქცია. თავისი შინაარსით მოდალური ზმნით ნაწარმოები შემასმენელი ზმნას წარმოადგენს, ხოლო სტრუქტურით იგი შედგენილი სახისაა. შეიძლება ითქვას, რომ ქართულშიც თითქმის იგივე ვითარებაა, თუმცა ეს მხოლოდ ზედაპირული შთაბეჭდილების შედეგი იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ სპეციფიკურ სტრუქტურულ თავისებურებებს და ასევე ამ სტრუქტურის აღსაწერად არსებულ გრამატიკულ ტრადიციას.

ნიშანდობლივია, რომ მოდალურ ზმნას შეუძლია შევიდეს ნებისმიერი მნიშვნელობის მქონე შემასმენლის შემადგენლობაში, იქნება ეს ზმნური,

სახელური თუ ფრაზეოლოგიური. მხოლოდ მას შემასმენლის წარმოება არ ძალუძს.

აღსანიშნავია, რომ ინგლისურ ენაში მოდალური ზმნები მხოლოდ პირიანი (ფინიტური) ფორმებით არიან წარმოდგენილი და მათ მხოლოდ ინფინიტევთან შეუძლიათ კონსტრუქციის შექმნა. რადგანაც ამ ჯგუფის ზმნები მხოლოდ ერთი ფუნქციით გამოიყენებიან, და ეს ფუნქცია გახლავთ პრედიკატიულობის გადმოცემა ინფინიტევში მდგომ სხვა ზმნასთან კომბინაციაში, არსებობს იმის საფუძველი, რომ სინტაქსური თვალსაზრისით ისინი დამხმარე ხასიათის ზმნებად იყონ განხილული. რა თქმა უნდა, ენაში და მის გრამატიკულ აღწერებშიც არსებობს ისეთი მოვლენა და შესაბამისი ცნება, რასაც მეშველ ზმნებს ვუწოდებთ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მოდალური ზმნები საკუთრივ მეშველი ზმნებისაგან საგრძნობლად განსხვავდება, რის გამოც მათ ზოგჯერ ნახევრად მეშველ ზმნებს უწოდებენ.

რაც შეეხება ქართულს, აშკარაა, რომ ის ელემენტები, რომლებსაც ჩვენ წინამდებარე ნაშრომში ქართული ენის გრამატიკულ მოდალებად განვიხილავთ, ვერანაირად ვერ ჩადგება მეშველი ზმნების რიგში, რადგანაც ჭეშმარიტი მეშველი ზმნები მათგან პრინციპულად განსხვავდება როგორც მორფოლოგიური, ასევე სინტაქსური და ფუნქციონალური თვალსაზრისით.

ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ; ჩვენ უკვე არაერთხელ განვაცხადეთ, რომ ჩვენთვის საინტერესო მოვლენებთან დაკავშირებით ზოგჯერ პრობლემას ქმნის არა მარტო სტრუქტურული თავისებურებები, არამედ ისიც, თუ როგორ არის ისინი აღწერილი შესაბამის სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ან შესაბამის სახელმძღვანელოებში. მაგალითად, ბ. ა. ილიში ამბობს, რომ მოდალურ ზმნებს შორის შეიძლება გამოიყოს როგორც სუფთად მეშველი, ასევე ნახევრად მეშველი ერთეულები; იგი მიუთითებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ძნელდება მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რადგანაც სხვადასხვა ზმნას ერთმანეთისაგან განსხვავებული გზა აქვს გავლილი (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამ გზის სხვადასხვა მონაკვეთზე იმყოფებიან) მეშველ ელემენტებად გადაქცევისას; ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა მათგანს (მიუხედავად სხვა სტრუქტურული იდენტობისა) ერთნაირი დოზით არ დაუკარგავს თავისი წინანდელი დამოუკიდებელი მნიშვნელობა (ილიში, 1948, გვ. 461). აქ ისიც ნათელია, რომ მათი ერთგვარი დესემანტიზაციის პროცესი კვლავ

გრძელდება და ამას, პრაგმატული ფაქტორების გარდა, ენაში ჩამოყალიბებული სათანადო იმანენტური ნიადაგის არსებობაც უწყობს ხელს.

აღნიშნული ვითარება ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი მოვლენაა ინგლისურ ენაში; ეს მოვლენა და მასთან დაკავშირებული პროცესები უფრო გასაგები გახდება, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ მოდალური ზმნები არ გამოხატავენ მეტყველების საგნის ნიშან-თვისებას, და რომ ენაში მათ დანიშნულებას წარმოადგენს მოდალურ მნიშვნელობათა მრავალფეროვანი გამის გადმოცემა. კონტექსტის, ლექსიკური გარემოცვის, ამა თუ იმ სინტაქსური კონსტრუქციის მნიშვნელობის მიხედვით, მათში ადვილად წარმოიჩინება ცთომილებები ლექსიკური მნიშვნელობის სისრულის ხარისხთან მიმართებაში. ზემოთქმული ძირითადად ეხება ზმნებს *should* და *may*, რომლებსაც დაკარგული აქვთ თავიანთი თავდაპირველი მოდალური მნიშვნელობების სისრულე ძირითადად დამოკიდებულ წინადადებებში მათი გამოყენების დროს. ასეთ შემთხვევებთან დაკავშირებით ზ. კ. დოლგოპოლოვა აღნიშნავს შემდეგს: “ამ საკითხის თეორიულ პლანში განსახილველად შევნიშნავთ, რომ შესუსტებული მნიშვნელობის მქონე მოდალური ზმნების შემცველი კონსტრუქციები არ უნდა ჩავთვალოთ კილოს ანალიზურ ფორმებად, რომლებიც ინგლისური ზმნის უღლების სისტემას მიეკუთვნებიან” (დოლგოპოლოვა, 1961, გვ. 12). მოდალური კონსტრუქციები შეიძლება დაუახლოვდნენ კილოს ფორმებს მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ მოცემულმა მეშველმა ზმნამ საბოლოოდ დაკარგოს თავისი სემანტიკური მნიშვნელობა და სამაგიეროდ მიიღოს სხვა, ოდენ მეშველი ელემენტის შინაარსი.

ზოგადად რომ ვთქვათ, ზემოთ წარმოდგენილი მექანიზმი შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ უნივერსალიად სრულმნიშვნელოვანი სიტყვების გრამატიკალიზაციის (ანუ მათი გრამატიკულ-ფუნქციურ ერთეულებად გარდაქმნისა და გადაქცევის) თვალსაზრისით, და სწორედ ამის გამო შეიძლება გამოიკვეთოს გარკვეული ტიპოლოგიური (ქარაქტეროლოგიური) პარალელები ქართულ და ინგლისურ გრამატიკულ მოდალებს შორის.

და მაინც, ჩვენი აზრით, შერჩეული საანალიზო მასალა, პირველ რიგში, სწორედ სტრუქტურული თავისებურებების თვალსაზრისითაა საგულისხმო; მათი ეს მხარე უფრო მეტად წარმოაჩენს მათს განსაკუთრებულობასაც თითოეული მოცემული ენის ფარგლებში და ასევე შესადარებელ ენათა შორის არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებს.

აღნიშნულის გამო ამ შემთხვევაშიც ინგლისური ენის მასალით დავიწყებთ და, როგორც აღვნიშნეთ, აქცენტს გავაკეთებთ ფორმობრივ ასპექტებზე, რაც, რასაკვირველია, თავისთავად უზრუნველყოფს იმას, რომ ანალიზი უფრო ობიექტური იყოს.

შესაბამის თავში ჩვენ უკვე ვახსენეთ, რომ, მიუხედავად ერთგვარი სემანტიკური პრიმატისა სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, არსებობს სუფთად ფორმალური მიდგომები, ანუ ისეთი კლასიფიკაციები, რომელთა შემქმნელებისათვის საანალიზო ელემენტთა ფორმობრივი თავისებურებებია ამოსავალი. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ამგვარ მიდგომას ამერიკელმა ენათმეცნიერმა ნ. ჩომსკიმ მიანიჭა პრიორიტეტი თავის ტრანსფორმაციულ-წარმომშობ თეორიაში. მართლაც, არსებობს

ნ. ჩომსკის (1957, გვ. 161-169) ოთხ ტრანსფორმაციაზე დაფუძნებული ფორმალური კრიტერიუმების შემცველ კლასიფიკაცია, რომელიც შემოგვთავაზებს ჰ. პალმერმა (1974) და რ. ჰადლსტონმა (1976). ამ უკანასკნელის წყალობით (ჰადლსტონი, 1976, გვ. 333) აღნიშნული ფორმალური კრიტერიუმები სპეციალურ ლიტერატურაში მოიხსენიება როგორც NICE ნიშან-თვისებები (NICE properties); NICE გახლავთ აკრონიმი შემდეგი ენობრივი მოვლენების აღმნიშვნელი ტერმინებისა: Negation უარყოფა, Inversion ინვერსია, Code კოდი, და Emphatic affirmation ემფატიკური მტკიცება. ეს პარამეტრები შემდეგია:

- 8) უარყოფითი ფორმა იწარმოება მეშველი ზმნა do-ს გარეშე (can't, mustn't);
- 9) კითხვით ფორმაში გვაქვს პოზიციური ინვერსია მეშველი ზმნა do-ს გარეშე (Can you? May I?);
- 10) 'კოდი' ანუ ელიპტიკური ფუნქციის შესრულების უნარი მეშველი ზმნა do-ს გარეშე (She can swim and so can you);
- 11) ემფატიკური მტკიცების გამოხატვის უნარი (She will be there).

წარმოდგენილი NICE ნიშან-თვისებები საერთოდ მეშველი ზმნების დამახასიათებელია; რაც შეეხება მოდალურ ზმნებს, აქ დამატებით უნდა შემოვიტანოთ შემდეგი სპეციფიკური პარამეტრები:

- 12) არ დაჩნდება მესამე პირის მხოლოდობითი რიცხვის ნიშანი -s;
- 13) არ მოეპოვებათ უპირო ფორმები (ინფინიტივები, მიმდებარეები);

14) არ არიან თანაპოვნეები, ე.ი. არ ეხამებიან ერთმანეთს (*She may will come).

სწორედ ესაა ის ფორმობრივი თავისებურებები, რომლებიც ასე გამოარჩევენ მოდალურ ზმნებს თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკულ სისტემაში. საინტერესოა, რომ იმ ერთი რიგის ფორმათა არქონის გამო, რაც ნებისმიერ სხვა ზმნას ახასიათებს, მოდალურ ზმნებს ხშირად მოიხსენიებენ როგორც ანომალიურს, დეფექტურს ან არასაკმარისს. გარდა ზემოაღნიშნულისა, მათ არ გააჩნიათ ბრძანებითი კილოს, ინფინიტივის, გერუნდივისა და ორივე სახის მიმდებარის ფორმები. ინფინიტივისა და მიმდებარის არქონა იმას ნიშნავს, რომ მას არც დროის, კილოსა და გვარის რთული ფორმები მოეპოვება. აქ შეიძლება დავსვათ შემდეგი შეკითხვა: რას ნიშნავს მოდალური ზმნებისათვის აღნიშნული კატეგორიების არქონა? მართლაც უკმარისობას იწვევს თუ არა ეს ფაქტი? ჩვენი აზრით, მოცემულ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გავმიჯნოთ საკითხის ორი მხარე: ა) ვსაუბრობთ თუ არა იმ გრამატიკული ნიშან-თვისებების შესახებ, რომლებიც დამახასიათებელია მოცემული ტიპის ზმნებისათვის წინადადებაში მათი სემანტიკისა და ფუნქციის მიხედვით, და იმ საშუალებათა არასაკმარისობის შესახებ, რომლებიც უნდა მოემსახუროს მათ გამოხატვას; ბ) ვსაუბრობთ თუ არა მათთან იმ კატეგორიების არარსებობის შესახებ, რომლებიც მოეპოვებათ სხვა ზმნებს, მაგრამ არ ახასიათებთ მოდალურებს.

ძნელი იქნებოდა იმის თქმა, რომ მოდალურ ზმნებს ესაკლისებათ ის კატეგორიები, რომლებიც მათ არც არასოდეს ჰქონიათ. ან ისეთები, რომლებიც მათ საერთოდ არ ახასიათებთ წინადადებაში მათი სემანტიკისა და ფუნქციის შემხედვარე. როგორც ცნობილია, ინგლისურ ენაში ზმნის ძირითად გრამატიკულ კატეგორიებს წარმოადგენენ პირის (ასევე რიცხვის), დროს, კილოს, გვარისა და ასპექტის კატეგორიები. ეს ორი უკანასკნელი მოდალურ ზმნებს არა აქვთ, ისევე როგორც არ მოეპოვებათ ბრძანებითი კილო. აღნიშნული კატეგორიები მათთვის სულაც არ არის არსებითი, რასაც განაპირობებს მათი სემანტიკის სპეციფიკა, ასევე მათი ფუნქცია წინადადებაში, რადგანაც ისინი არ გამოხატავენ მოქმედებას ან მდგომარეობას და არ გამოიყენებიან თანამდევითი ინფინიტიური ფორმის გარეშე. გამოდის, რომ გვრჩება მხოლოდ პირის (რიცხვის), დროისა და კილოს კატეგორიები. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

მოდალურ ზმნებთან პირის (ასევე რიცხვის) კატეგორია მხოლოდ იმ პირის ნაცვალსახელებით გამოიხატება, რომლებიც თან ახლავს მოცემულ ზმნას; ნიშანდობლივია, რომ იგივე ვითარება გვაქვს სხვა ზმნებთანაც მხოლოდითი რიცხვის პირველ და მეორე პირებში და მრავლობით რიცხვში. სუფიქსი –s მხოლოდ აწმყო დროის მესამე პირის მხოლოდით რიცხვში მოუდის ზმნას. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ მოდალურ ზმნებს არც არასოდეს ჰქონიათ მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ბოლოსართი, რითაც პირისა და რიცხვის კატეგორიის თვალსაზრისით ისინი განსხვავდებიან დანარჩენი ზმნებისაგან თანამედროვე ინგლისურში. აწმყო დროის მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის სუფიქსის არქონა აიხსნება მოდალური ზმნების ისტორიული წარმომავლობით. მოდალურ ზმნათა დიდი უმრავლესობა მომდინარეობს ძველინგლისური ენის პრეტერიტ-პრეზენტული ზმნებისაგან (გამონაკლისს წარმოადგენს ზმნა will). ძველ ინგლისურში ზმნას, როგორც ცნობილია, ჰქონდა უღლების ორი ძირითადი ტიპი: ძლიერი და სუსტი. ძლიერ უღლებას ახასიათებდა ხმოვანთმონაცვლეობა იმ ფორმებში, რომლებიც საფუძველად ეღო უღლებას; სუსტს კი ახასიათებდა ის, რომ წარსული დროის ფორმები და წარსული დროის მიმდევობის ფორმები იწარმოებოდნენ დენტალური სუფიქსის მეშვეობით. ძველ ინგლისურის ზმნურ სისტემაში პრეტერიტ-პრეზენტული ზმნები იმით გამოირჩეოდნენ, რომ მათ ახასიათებდათ საერთო ნიშან-თვისებები როგორც ძლიერი, ასევე სუსტი უღლების ზმნებთან. მათი ფორმები აწმყოში წარმოების მიხედვით ემთხვეოდნენ ძლიერი ზმნების წარსული დროის ფორმებს. შესაბამისად, მოცემული ზმნების ძლიერი ნამყო იქნდა აწმყოს მნიშვნელობას; მათი სახელწოდებაც (პრეტერიტ-პრეზენტული) აქედან წარმოდგება. რაც შეეხება მათი წარსული დროის ფორმებს, ისინი გვიანდელ წარმონაქმნად მიიჩნევიან. რადგანაც პრეტერიტ-პრეზენტული ზმნების აწმყო დრო ფორმით წარსულს წარმოადგენდა, მათ არ მოეპოვებოდათ მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის სუფიქსი. ეს სპეციფიკური მახასიათებელი ნიშან თვისება მოდალური ზმნებისა, რომელსაც, როგორც ეს ზემოთ წარმოჩნდა, არ განუცდია რაიმე სახეცვლილება მრავალი საუკუნის მანძილზე, დღესაც რჩება მოდალური ზმნების ერთ-ერთ განმასხვავებელ თავისებურებად თანამედროვე ინგლისურში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ნიშანი არანაირად არ წარმოდგება როგორც უარყოფითი ფაქტორი, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ ამის გამო არასოდეს იქმნება რაიმე გაუგებრობა ან

უხერხულობა პირის საკითხთან დაკავშირებით. საერთოდ, თანამედროვე ინგლისურ ენაში ზმნას ახასიათებს ის, რომ პირის გრამატიკული მნიშვნელობა უფრო ანალიზურად გამოიხატება.

რაც შეეხება დროისა და კილოს კატეგორიებს, უნდა ითქვას, რომ ეგრე წოდებული “არასაკმარისობა” უფრო დეტალურად უნდა განვიხილოთ: თუ ამაში იგულისხმება ის, რომ მათ არ აქვთ ზოგიერთი ის ნიშან-თვისება, რაც მთლიანად სისტემისათვისაა დამახასიათებელი, მაშინ მართლაც შეიძლება ვისაუბროთ არასაკმარისობის შესახებ, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ მოდალური ზმნების სემანტიკისა და გამოყენების სპეციფიკას, მაშინვე ცხადი გახდება, რომ მათთან არწარმოდგენილი ფორმები არანაირად არ ქმნიან არასაკმარისობას. და მაინც, რაც შეეხება არასაკმარისობას მოდალურ ზმნათა სისტემის შიგნით, ასეთებად შეიძლება ჩავთვალოთ *must* და *ought*, რომელთაც მართლაც არ მოეპოვებათ სხვა მოდალური ზმნებისათვის ჩვეულებრივ დამახასიათებელი ზოგიერთი ფორმა. სხვა მოდალური ზმნებისაგან განსხვავებით მათი, თანამედროვე ინგლისურში არსებული მნიშვნელობები საკმაოდ გვიანი წარმომავლობისაა. ის ფაქტი, რომ მათ მხოლოდ თითო-თითო ფორმა მოეპოვებათ, მათივე განვითარებით აიხსნება, რასაც ადასტურებს ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლები. საინტერესოა ისიც, რომ ორივე ეს ზმნა ერთმანეთს ავსებს მათივე ლექსიკური მნიშვნელობების სიახლოვის წყალობით; აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ *must* ზმნის არასაკმარისობა წარსული დროის ფორმის თვალსაზრისით ნამდვილად საგრძნობია, რაც თუნდაც იმით გამოიხატება, რომ წარსულ დროში ვაღდეულების მნიშვნელობის გამოსახატავად მას მნიშვნელობით ახლოს მდგომი სხვადასხვა მოდალური გამონათქვამი ჩაენაცვლება.

ის ფაქტი, რომ მოდალურ ზმნებს არ მოეპოვებათ უპირო ფორმები, შეიძლება აიხსნას მათ მიერ თავდაპირველი მნიშვნელობების დაკარგვის თანმდევ მოვლენად. სხვა თვალთ თუ შევხედავთ, უპირო ფორმათა არარსებობა საკმაოდ კანონზომიერად ჩანს ინგლისურ ენაში მოდალურ ზმნათა ლექსიკური მნიშვნელობებისა და სინტაქსური ფუნქციების გათვალისწინებით. ამრიგად, ვერანაირად ვერ ჩაითვლება სპონტანურ მოვლენად ის ფაქტი რომ ახალ, ცალკე ლექსიკო-გრამატიკულ თანრიგად ჩამოყალიბებულმა მოდალებმა დაკარგეს უპირო ფორმები.

ტიპოლოგიური თვალსაზრისით გამორჩეულ მნიშვნელობას იძენს ის გარემოება, რომ ლექსიკური მნიშვნელობის გადააზრიანება არამოდალურიდან მოდალურზე და თავდაპირველი მნიშვნელობის კარგვა გვაძლევს მოცემული ზმნების ინფინიტივთან სინტაქსური კავშირის ხასიათის ცვლას.

მოდალური ზმნების უღლების სისტემის დახასიათებისას ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტსაც, რომ კითხვითი და უარყოფითი ფორმები მეშველი to do ზმნის საშუალებით არ იწარმოება. აღნიშნული თავისებურება კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანია სრულმნიშვნელოვანი ზმნებისაგან, რითაც მოდალები მეშველ ზმნებს ემსგავსებიან. ხსენებული ფაქტი, ისევე როგორც მათი ხშირი უმახვილო პოზიცია და იმის უნარის არქონა, რომ მომდევნო ინფინიტივის გარეშე გამოვიდნენ შემასმენლის ფუნქციით, საბოლოო შტრიხებს უმატებს მოდალური ზმნების პორტრეტს. იმისათვის, რომ შეასრულონ თავიანთი ხსენებული როლი, მოდულაცია გაუკეთონ ინფინიტივის მიერ აღნიშნულ მოქმედებას, მოდალური ზმნებისათვის აბსოლუტურად საკმარისია ის გრამატიკული კატეგორიები და ფორმათა ის სისტემა, რომელიც მათ მოეპოვებათ მოცემულ სინქრონიულ ეტაპზე.

აი, ზოგიერთი ფაქტი იმის წარმოსაჩენად, თუ რა გზით მივიდეთ ინგლისურ ენაში ზმნათა ის ჯგუფი, რომელსაც ტრადიციულად მოდალურ ზმნებს ვუწოდებთ. ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ის ენობრივი პროცესები, რომლებმაც განაპირობეს მათი ევოლუცია: 1) დესემანტიზაცია (სემანტიკური ცვეთა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ დაკარგეს ადრეული შინაარსი, რაც მათთვის, როგორც სრულმნიშვნელოვანი ზმნებისათვის იყო დამახასიათებელი; ამის მიუხედავად, არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ზმნას შემორჩენილი აქვს სრულმნიშვნელოვანი სტატუსი და ისინი თანაარსებობენ; ამ მხრივ საგულისხმოა მ. ლიმას ერთ-ერთი სტატიის სათაური: "The "Peaceful Coexistence" of *to need* and *need*: Some Syntactic and Semantic Considerations of the English Modals of Necessity" (Lima 1993)); 2) კლიტიციზაცია (რაც ნიშნავს მათი მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებების ცვლას); 3) დეკატეგორიზაცია (თავდაპირველად არსებული კატეგორიალური ნიშნების დაკარგვა); 4) ტრანსკატეგორიზაცია (ახალი კატეგორიალური ნიშნების შექმნა, რასაც თან მოჰყვა მათი ახლებური დაჯგუფება მეტყველების ნაწილთა სისტემაში); 5) ფონეტიკური ეროზია (რაც ნიშნავს ცვლილებებს მათს ბგერით ფორმაში).

შესაბამის თავებში უკვე განხილული მასალის ფონზე თავისთავად იკვეთება გარკვეული ჰომომორფული პროცესები ქართულსა და ინგლისურს შორის. ჩვენთვის ნამდვილად საგულისხმოა ამ ენებში არსებულ გრამატიკულ მოდალთა დიაქრონიული მონაცემები როგორც დღევანდელ სინქრონიულ ვითარებაში უკეთ გასარკვევად, ასევე მათ დიაქრონიულ განვითარებაში არსებული ტიპოლოგიური თავისებურებების დასაფიქსირებლადაც. ტიპოლოგიური პარალელების საილუსტრაციოდ კვლავ მივმართოთ თანამედროვე ქართული ენის გრამატიკულ მოდალებს; ასეთებად განვიხილათ ე.წ. მოდალური ნაწილაკებს: *(ეგებ, დაჟ, უნდა, აკი, ხომ, განა, ნუთუ, ნეტა...;* უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მოდალურ ერთეულებს ხშირად აქვს სემანტიკური შეხამების უნარი და გარკვეულ მწკრივთან კომბინაციით გამოხატავს მოდალურ შინაარსს. კიდევ ერთი შენიშვნა: ჩვენი აზრით, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ნაზმნარი მოდალური ნაწილაკები და ე.წ. რეგულარული ნაწილაკები. როგორც უკვე აღინიშნა, ქართულში გვაქვს რამდენიმე მოდალური ელემენტი, რომლებიც ზმნური წარმომავლობისა არიან. ჩვენ თავის დროზე განვიხილეთ რამდენიმე მათგანი, რის შედეგადაც წარმოჩნდა, რომ ისინი *(ეგებ, იქნებ, ლამის, უნდა...)* ძველ ქართულში სრულფასოვან ზმნებს წარმოადგენდნენ; მათივე სემანტიკაში არსებულმა ნიუანსებმა ხელი შეუწყო მათ მიერ ამა თუ იმ მოდალური შინაარსის შექმნას, რასაც მოჰყვა მათი გრამატიკული სახეცვლილება, ფონეტიკური ცვლათა და შემდეგ ტრანსკატეგორიზაცია.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ქართულსა და ინგლისურს შორის გარკვეული ქარაქტეროლოგიური თავისებურებებიც იკვეთება გრამატიკული მოდალების თვალსაზრისით. რა საერთო, ქარაქტეროლოგიური ნიშან-თვისებების შესახებ შეიძლება ვისაუბროთ წარმოდგენილი მასალისა და მისი ანალიზის საფუძველზე? ეს ნიშან-თვისებები ძირითადად დიაქრონიული ხასიათისაა და ისინი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაცალიბოთ:

1) თანამედროვე გრამატიკული მოდალების წინაპარი სრულმნიშვნელოვანი ზმნების სემანტიკური თავისებურებები ქმნიდა საიმისო ნიადაგს, რომ მომხდარიყო დაფიქსირებული სემანტიკური ცვლილებები, ე.ი. მნიშვნელობის გადააზრიანება ანუ ტრანს-სემანტიზაცია. ტერმინი “ტრანს-სემანტიზაცია” ლინგვისტიკაში ზ. კიკვიძემ შემოიტანა (1995): “ტრანს-სემანტიზაციის ცნება ემყარება სიტყვის სემანტიკური კომპონენტების შეფასებას, მათს ფიქსირებულობასა და ცვლადობას. ტრანს-სემანტიზაციის დროს ხდება

მოცემული ლექსიკური ერთეულის სემანტიკური კომპონენტების ცვლათა, გარდა აუცილებელი, ბირთვული ან კონკრეტულ შემთხვევაში საჭირო კომპონენტისა, რომელიც საფუძვლად ედება ახალი შინაარსის ენობრივ ერთეულს” (კიკვიძე, 1995: 17). ამ პროცესის შედეგად მიღებულ პროდუქტს ავტორმა უწოდა ტრანს-სემანტემა. მისი აღნიშნული სტატია ნაცვალსახელურ ტრანს-სემანტემებს ეხება. მოცემულ მაგალითზე შეიძლება ვისაუბროთ ზმნური ტრანს-სემანტემების შესახებ. ქართული და ინგლისური გრამატიკული მოდალების შემთხვევაში საქმე გვაქვს აღნიშნული პროცესის კერძო გამოვლინებასთან, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში დესემანტიზაცია ეწოდება;

2) როგორც ქართულში, ასევე ინგლისურში დღევანდელ გრამატიკულ მოდალებს დროთა განმავლობაში შეეცვალათ რიგი მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებები; აღნიშნული პროცესების შედეგი ყველაზე თვალსაჩინოდ მათ მიერ სხვადასხვა მორფოლოგიური მარკერის დაკარგვით წარმოჩნდა. ამ პროცესს სპეციალურ ლიტერატურაში კლიტიციზაცია ეწოდება;

3) აღნიშნული მოვლენების წყალობით და მათ პარალელურად თითოეულმა მათგანმა ამა თუ იმ სახითა და მასშტაბით განიცადა ფონეტიკური ეროზია (რაც ნიშნავს ცვლილებებს მათს ბგერით ფორმაში), რამაც თავისი წვლილი შეიტანა მათ განსხვავებულ ენობრივ ერთეულებად ჩამოყალიბების საქმეში;

4) ტრანს-სემანტიზაციამ (თავდაპირველი სემანტიკური ნიშნების დაკარგვამ და სემანტიკურმა გადააზრიანებამ), კლიტიციზაციამ (თავდაპირველი მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებების მოშლამ) და ფონეტიკურმა ეროზიამ (თანმდევმა ცვლილებებმა მათს ბგერით ფორმაში) განაპირობეს დეკატეგორიზაცია (თავდაპირველად არსებული კატეგორიალური ნიშნების დაკარგვა) და შემდეგ მიგვიყვანა ტრანსკატეგორიზაციამდე (ახალი კატეგორიალური ნიშნების შექმნამდე, რასაც თან მოჰყვა მათი ახლებური დაჯგუფება მეტყველების ნაწილთა სისტემაში).

ამ უკანასკნელი პუნქტის შემდეგ უნდა შევწყვიტოთ ქარაქტეროლოგიური ნიშან-თვისებების ჩამოთვლა, რადგანაც აქ უკვე დავდექით უაღრესად თვალსაჩინო კონტრასტული თავისებურების წინაშე, რომელსაც ამ ორ ენას შორის აქვს ადგილი გრამატიკული მოდალების თვალსაზრისით. საქმე იმაშია, რომ, მიუხედავად ჭეშმარიტად საგულისხმო და სისტემური პარალელიზმისა მათ დიაქრონიულ განვითარებაში, ტრანსკატეგორიზაციის (ანუ ახალი კატეგორიალური ნიშნების შექმნის) კვალად ქართული და ინგლისური

გრამატიკული მოდალები სულ სხვადასხვაგვარად დაჯგუფდნენ მეტყველების ნაწილთა სისტემაში, რაც, რასაკვირველია სავსებით კანონზომიერი გახლდათ: ინგლისურ ენაში ისინი გაფორმდნენ მოდალურ ზმნებად (ჩამოყალიბდნენ ცალკე თანრიგად ან ქვეთანრიგად), რაც ადეკვატურად აისახა გრამატიკულ აღწერებშიც; რაც მთავარია, აქ დესკრიფციისა და პრესკრიფციის შეჯახების პრობლემა არ გვაქვს. რაც შეეხება ქართულს, თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ მიერ გრამატიკულად მოდალებად განხილული ენობრივი ერთეულები ვერ მიიჩნევა ზმნებად (თუნდაც მოდალურ/დამხმარე ზმნებად); როგორც ცნობილია, ისინი ნაწილაკთა შორის არიან დაჯგუფებული. ეს განსხვავება საკმაოდ მნიშვნელოვანია; მის უფრო ექსპლიციტურად არტიკულირებისათვის უნდა ითქვას შემდეგი: ინგლისური მოდალური ზმნებისაგან განსხვავებით, ქართული გრამატიკული მოდალები ვერ გვაძლევენ პრედიკაციას, მათი ზმნური წარმომავლობის მიუხედავად.

და მაინც, ვერ ვიტყვით, რომ ასეთი მნიშვნელოვანი კონტრასტის დაფიქსირების წყალობით შეიძლება დავხუროთ განსხვავებების თემა. ზემოთ ვთქვით, რომ ქართულ გრამატიკულ აღწერებში გრამატიკული მოდალები ტრადიციულად ნაწილაკებს შორის არიან დაჯგუფებული. ერთი შეხედვითაც კი, მათი ამგვარი კლასიფიცირება გარკვეული უკმარისობის გრძნობას იწვევს, რადგანაც, მიუხედავად მათი ფორმაუცვლელობისა, საკმაოდ ჭირს მათი გატოლება ჩვეულებრივ, რეგულარულ ნაწილაკებთან. აუცილებლად უნდა ვაღიაროთ, მათ ნამდვილად მოეპოვებათ ნაწილაკისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რომელთა გათვალისწინებითაც ისინი მიაკუთვნეს კიდევ მეტყველების ამ ნაწილს; თუმცა, აღნიშნულის გარდა კიდევ სხვა, ძალიან სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით, ამგვარი გადაწყვეტილება, ჩვენი აზრით, უფრო პრესკრიპტული (მიწერიით) ხასიათისა გახლავთ, ვიდრე დესკრიპტული (აღწერიით).

ასეთი მტკიცება კანონზომიერად იწვევს შემდეგ კითხვას: ნაწილაკის გარდა რომელი სხვა მეტყველების ნაწილის ან სიტყვათა კლასისათვის შეიძლებაოდა მათი მიკუთვნება?

სანამ უშუალოდ ამ კითხვას გავცემთ პასუხს, რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ მეტყველების ნაწილებად ენაში არსებული სიტყვების დაჯგუფების საკითხს ენათმეცნიერების ისტორიის თვალსაზრისით. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-5 საუკუნეში ძველინდოელმა გრამატიკოსმა

პანიანი გამოარჩია ნაწილაკი ცალკე მეტყველების ნაწილად, თუმცა აქ ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ სახასიათო თავისებურებას: პანიანი სულ ოთხი მეტყველების ნაწილი გამოყო: სახელი ზმნა, წინდებული (რაშიც შეიტანა როგორც საკუთრივ წინდებული, ასევე ზმნისწინიც) და ნაწილაკი. დავაზუსტებთ, რომ მან ნაწილაკის კვალიფიკაცია მისცა ყველა იმ სიტყვას, რომელიც ვერ მოხვდა პირველ სამ მეტყველების ნაწილში. მისმა თანამედროვემ, ასევე ძველინდოელმა გრამატიკოსმა იასკამ ხუთი მეტყველების ნაწილი გამოყო (სახელის შემდეგ ჩასვა ნაცვალსახელი), მაგრამ ერთგვარი “ნაშთის პრინციპი” მანაც შეინარჩუნა ნაწილაკის მიმართ. როგორც ცნობილია, დიონისე თრაკიელის მიერ შემოთავაზებული საკლასიფიკაციო სისტემა უფრო სრულყოფილია: იგი გამოყოფს რვა მეტყველების ნაწილს. მერვე ნომრად მის კლასიფიკაციაში დგას კავშირი, რომელშიც თავმოყრილია ყველა (!) ის სიტყვა, რომელიც “ვერ ჩაჯდა” სხვა ჯგუფებში. სწორედ ამ მეტყველების ნაწილისათვისაა მიკუთვნებული ნაწილაკი. როგორც ვხედავთ, აქაც “ნაშთის პრინციპია” გატარებული. აღნიშნული “პრინციპი” გავრცელდა სხვა ენების გრამატიკებში და ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც ბერძნულ-რომაულმა გრამატიკულმა ტრადიციამ გარკვეული ნორმატიული ჩარჩოს ფუნქცია შეიძინა. მიუხედავად ფართომასშტაბიანი კრიტიკისა და სხვა სისტემებით მისი ჩანაცვლების მრავალრიცხოვანი ცდებისა, მეტყველების ნაწილთა სისტემა კვლავაც და კვლავაც მოქმედებს.

უნდა ვაღიაროთ, რომ ქართულში ნაწილაკის ფარგლებში მოქცეული ენობრივი ერთეულები უსაზღვრო არაერთგვაროვნებასა და მრავალფეროვნებას ამჟღავნებენ. რაც შეეხება გრამატიკულ მოდალებს, მათი ნაწილაკებად მიჩნევა რომ გარკვეულ უხერხულობას ქმნის, ეს თავისებურად იგრძნობა ბ. ჯორბენაძის (1993) ჩვენ მიერ უკვე არაერთხელ ციტირებულ ნაშრომში. აქ ავტორი ტერმინ “ნაწილაკსაც” იყენებს, მაგრამ აშკარაა, რომ მისთვის უფრო რეალისტური ტერმინია “ნაზმნარი მოდალური ელემენტი” ან უბრალოდ “მოდალური ელემენტი;” ამასთანავე გვხვდება ასევე ტერმინი “მორფემოიდი”. როგორც წესი, ტერმინოლოგიური სიჭრელე შესაბამისი მოვლენის მიმართ არსებული ცნებითი დადგენილობის შედეგს წარმოადგენს. ასე რომ, ტიპოლოგიური კვლევის თვალსაზრისით სიძნელის შექმნა შესაბამისი ენობრივი ერთეულებისა თუ მოვლენის არაადეკვატურ აღწერასაც შეუძლია, თუკი ადგილი აქვს გარკვეულ სუბიექტურობას ამ საქმეში.

სწორედ სუბიექტურობის გამოსარიცხად და ობიექტურობის მისაღწევად გადავწყვიტეთ, მიგვემართა ისეთი მეთოდისათვის, რომლის პროცედურები თავისთავად არ მოგვცემდა გასაქანს პრესკრიფციისათვის. აქედან გამომდინარე, ჩვენი არჩევანი შეჩერდა უშუალო შემადგენლების მიხედვით ანალიზის მეთოდზე. ქართული და ინგლისური ენების გრამატიკული მოდლებთან მიმართებაში უშუალო შემადგენლების მიხედვით ანალიზის მეთოდი საკმაოდ ზუსტი და სანდო შედეგების მიღების გარანტს წარმოადგენს მათი ფუნქციონალურ-სისტემური თავისებურებების უკეთ წარმოჩენის თვალსაზრისით. რაც მთავარია, ჩვენი თვალთახედვით, მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული მეთოდი ობიექტური (არასუბიექტური) მიდგომის განხორციელების საფუძველს იძლევა. ამასთანავე, მათი ამგვარი შესწავლა ტიპოლოგიური თვალსაზრისით ჯერ არ განხორციელებულა (ყოველ შემთხვევაში, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი რამ დაფიქსირებული არ არის). ჩვენი არჩევანიც სწორედ ამ, მეცნიერული კვლევისათვის უადრესად ღირებულმა ფაქტორებმა განაპირობა. აქვე უნდა გავიხსენოთ წინამდებარე ნაშრომის I თავში წარმოდგენილ განმარტებათაგან ერთ-ერთი, რომლის ავტორიც გახლავთ ინგლისელი ენათმეცნიერი დ. კრისტალი; ჩვენ აქ უკვე ციტირებულ პასაჟს, რა თქმა უნდა, არ გავიმეორებთ; ყურადღებას მივაქცევთ მის ერთ ნაწილს, სადამ ავტორი ამბობს, რომ მოდალური ზმნების “ქვეკლასი M სიმბოლოთი აღინიშნება წარმომშობი გრამატიკის ფრაზის სტრუქტურის წესებში” (კრისტალი, 2008, გვ. 308).

აღსანიშნავია, რომ უშუალო შემადგენლების მიხედვით ანალიზის მეთოდი თავდაპირველად სიტყვაწარმოების დონეზე გამოიყენებოდა; მოგვიანებით მან გავრცელება ჰპოვა სინტაქსში, სადაც იგი ყველაზე ფართოდ მოიხმარება. ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს მეთოდი მკვლევარს ათავისუფლებს ტრადიციულ გრამატიკაში არსებული პრესკრიფციული "არტახებისაგან." აქ მთავარი დესკრიფციაა.


თავდაპირველად შემუშავებული პრინციპის მიხედვით, წინადადება (S) იყოფა ორ საწყის უშუალო შემადგენლებად: სახელის ჯგუფად (NP) და ზმნის ჯგუფად (VP); ამის შემდეგ დაყოფა გრძელდება კვლავ ბინარული (ორობითი) პრინციპით სასრულ ანუ ტერმინალურ უშუალო შემადგენლებამდე.

მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით დაშვებულ იქნა ბინარული პრინციპისათვის გვერდის ავლა სპეციფიკური ენობრივი სინამდვილიდან

გამომდინარე, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ეს პრინციპი ბოლომდე დაგვეცვა, რათა უკეთ წარმოგვეჩინა გრამატიკული მოდალების სინტაქსური კავშირების სპეციფიკა წინადადების ფარგლებში.

ქვემოთ სანიმუშოდ წარმოვადგენთ გრამატიკული მოდალების შემცველი როგორც ინგლისური, ასევე ქართული წინადადებების ანალიზს ზემოაღნიშნული მეთოდისათვის დამახასიათებელი შესაბამისი პროცედურებისა და ტექნიკის დაცვით:


სქემა № 01




This pupil must seem incredibly intelligent to that teacher.

[**D** This] [**N** pupil] [**M** must] [**V** seem] [**Adv** incredibly] [**A** intelligent] [**P** to]
 [**D** that] [**N** teacher]


სტრუქტურა № 02



Pitched roofs must be built in the mountains,




These animals can be dangerous.




ღამის დამადნოს სორცხვიღმა.

სქემა № 05



შენმა სინდისმა უნდა შეგაწუხოს.

სქემა № 06



ქვემოთ მოხაზილია რაიმე.

როგორც ვხედავთ, გრამატიკულ მოდალებს თავიანთი განსაკუთრებული ადგილი გააჩნიათ უშუალო შემადგენლებს შორის. საინტერესოა, რომ ისინი რომელიმე ტერმინალური შემადგენლის ფარგლებში კი არ ერთიანდებიან, როგორც ეს შეიძლება მოხდეს ნაწილაკის შემთხვევაში, არამედ თვითონვე წარმოადგენენ დამოუკიდებელ, უშუალო ტერმინალურ შემადგენლებს. სწორედ ამიტომაც, რომ, თუკი არსებობენ აღნიშვნები N – სახელი, V – ზმნა, A – ზედსართავი, D – დეტერმინანტი და ა.შ., ასევე არსებობს აღნიშვნაც M – მოდალი. ამის საფუძველი ის გახლავთ, რომ ისინი წინადადებაში მოდალური გრამატიკული აქტორების როლს ასრულებენ, და ამ ნიშნის მიხედვით ქართლი და ინგლისური ენების შესაბამისი ერთეულები ტიპოლოგიურად იდენტურები არიან.

ამ ნიშან-თვისებების გამოვლენისას უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის მეთოდი ეფექტური საშუალება აღმოჩნდა მიუხედავად სპეციალური ლიტერატურაში შენიშნული მისი რიგი ნაკლოვანებისა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამგვარმა მიდგომამ მნიშვნელოვნად შეგვიწყო ხელი წინამდებარე ნაშრომში ჩვენი მთავარი სათქმელის უკეთესად არტიკულირებაში.

დ ა ს კ ე ნ ა

თუ ვიტყვით, რომ წინამდებარე ნაშრომი მოდალობას შეეხება, ეს იმას ნიშნავს, რომ არაფერს არ ვიტყვით, ან, საუკეთესო შემთხვევაში, ეს იქნება იმდენად ზოგადი ხასიათის განაცხადი, რომელიც თითქმის არაფრის მთქმელი იქნება. აღნიშნულს ორი ფაქტორი განაპირობებს: პირველი მათგანი ის გახლავთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ეს ცნება მრავალი, ხშირად ერთმანეთთან ინტერდისციპლინარულადაც დაუკავშირებელი სამეცნიერო დარგის მიერ გამოიყენება; თუ ვიტყვით, რომ მოდალობა ენობრივი თვალსაზრისით გვინტერესებს, მაშინ ამოქმედდება მეორე ფაქტორი, რომელიც ემყარება იმ ფაქტს, რომ საკუთრივ ენათმეცნიერების ფარგლებშიც კი მოდალობა მრავალი მნიშვნელობით გვხვდება და ერთმანეთისაგან განსხვავებული ენობრივი მოვლენების აღსანიშნავად განიყენება.

ამგვარი სახის, გართულებულ ვითარებაში გასარკვევად ჩვენ განვიხილეთ მოდალობის ცნება ისტორიულ და თეორიულ რაკურსებში. აღვნიშნეთ, რომ მოდალობის ცნება თავდაპირველად ანტიკური ხანის ფილოსოფიაში იჩენს თავს, ხოლო ძველ ტრადიციულ გრამატიკებში უმეტესწილად კილოს კონტექსტში განიხილება. რაც შეეხება თანამედროვე ენათმეცნიერებას, თავის დროზე ფართო აღიარება ჰპოვა ცნობილი ფრანგი ლინგვისტის შარლ ბალის მიერ წამოყენებულმა მოდალობის კონცეფციამ, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერ გამონათქვამში შეიძლება გამოიყოს ძირითადი შინაარსი (დიქტუმი) და მისი მოდალური ნაწილი (მოდუსი), რომელიც გამოხატავს მთქმელის ინტელექტუალურ, ემოციურ ან ნებელობით მსჯელობას დიქტუმთან მიმართებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინ “მოდლობის” განმარტებები თანამედროვე ენათმეცნიერებაში იაღრესად მრავალფეროვანია და ბევრი მათგანი ძნელად თუ ემთხვევა ერთმანეთს, ერთი მაინც უნდა ითქვას: რაც უნდა განსხვავებული იყოს ეს მიდგომები, ყველა მათგანის განმარტებაში აუცილებლად ვპოულობთ შეფასების ელემენტს; ეს არის “თვალსაზრისი”, დამოკიდებულება, რომელიც ღიად თუ ფარულად მაინცაა ჩადებული მოდალობის ნებისმიერ გაგებაში. იმის მიხედვით, თუ რაა შეფასების ობიექტი მოცემულ შემთხვევაში, არაენობრივი სინამდვილე თუ თვით გამონათქვამი, შესაბამისად გაირჩევა ორი ტიპის

მოდალობა: სუბიექტური და ობიექტური. პირველი მათგანი (ობიექტური) გრამატიკულად გაფორმებულია ბევრ ენაში და იგი აუცილებლადაა გამოსატული ნებისმიერ გამონათქვამში, ხოლო მეორე (სუბიექტური) ფაკულტატიურია. ამგვარი გამიჯვნა ენობრივი სინამდვილიდან გამომდინარეობს. უფრო მეტიც, ზემოხსენებული ორი ტიპი მოდალობისა იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ მიზანშეწონილად მიიჩნევა შესაბამისი ტერმინოლოგიური გამიჯვნაც: იმ ენობრივი მოვლენების აღსანიშნავად, რომელსაც ვუწოდებთ “ობიექტურ მოდალობას”, შეიძლება დავტოვოთ ტერმინი “მოდალობა”, ხოლო ე. წ. სუბიექტური მოდალობისათვის შემოვიღოთ ტერმინი “ემოციურობა”. თუ ასე მოვიქცევით, მაშინ ტერმინოლოგიური და ცნებითი აღრევის გარეშე შეიძლება განვიხილოთ გამონათქვამის ორი ისეთი თვისება, როგორებიცაა მოდალობა და ემოციურობა. ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ობლიგატორულობა – ფაკულტატიურობის ნიშნების მიხედვით. ამგვარი დაყოფის საფუძველზე მივიღებთ შემდეგ განმარტებას: მოდალობა წარმოადგენს გამონათქვამის ობლიგატორულ ნიშანს, რომელიც მდგომარეობს ამ, გრამატიკული საშუალებებით გამოსატული გამონათქვამის დამოკიდებულებაში არაენობრივი სინამდვილის მიმართ.

მოდალობის კატეგორია ერთ-ერთი ენობრივი უნივერსალია; იგი თავის გამოსატულებას ჰპოულობს ენის სხვადასხვა დონეზე (მორფოლოგია, სინტაქსი, ინტონაცია). აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად მისი უნივერსალურობისა, გასხვავებული ენები სულ სხვადასხვაგვარად გადმოსცემენ მოდალობის სხვადასხვა ასპექტს, რომელთა შორისაც მკვეთრად გამოსატულ და გაცილებით უფრო თვალსაჩინო როლს ასრულებენ გამოსატვის გრამატიკული საშუალებები, რომელთა განხილვა-გარკვევა და სათანადო ანალიზი ისეთ გენეტიკურად და ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენებში, როგორებიცაა ქართული და ინგლისური ენები, წარმოადგენდა კიდევ წინამდებარე ნაშრომის მთავარ პრობლემატურ თემას.

როდესაც მოდალური მნიშვნელობების გამოსატვის მრავალფეროვან საშუალებებსა და, შესაბამისად, სხვადასხვა ენის მონაცემებსაც ვეხებით, აუცილებელია ამ მონაცემების სრული ანალიზი და სწორედ მონაცემთა სრული კორპუსის შესაბამისი ანალიზის შედეგად უნდა გამოვყოთ მათგან სათანადო (ჩვენს შემთხვევაში გრამატიკული ხასიათის) მასალა და ამგვარად გამოვიტანოთ დასკვნები. აღნიშნული ჩვენთვის მკაცრ და სახელმძღვანელო

დებულებას წარმოადგენს.

რადგანაც I თავში ზოგადად მოდალობასთან, მის შინაარსთან, მის სტატუსთან, ცნებით და ტერმინოლოგიურ ასპექტებთან, საკლასიფიკაციო კრიტერიუმებთან დაკავშირებით გვექონდა მსჯელობა, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ: მოდალობის კატეგორიული სტატუსის თაობაზეც კი, როგორც ეს ზემოთ უკვე წარმოჩნდა, განსხვავებული შეხედულებები არსებობს: ყველაზე ფართოდ გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით, იგი სემანტიკურ კატეგორიას წარმოადგენს; ბოლო პერიოდის პუბლიკაციებში თავის იხინა მოსაზრებამ მისი კოგნიტიური ბუნების შესახებ; მკვლევართა ნაწილი, განსაკუთრებით ფ. პალმერი, მას მიიჩნევს გრამატიკულ კატეგორიად (რუსული ენის მასალაზე მომუშავე სპეციალისტები – სინტაქსურად); ალბათ, უფრო მოსახერხებელი იქნებოდა მისი განხილვა ფუნქციონალური კატეგორიის რანგში.

როდესაც საუბარი მოდალობას ეხება, ერთგვარ ეტალონად მაინცდამაინც ინგლისურ ენას იღებენ და, შესაბამისად, დაფიქსირებულია რამდენიმე მცდელობა საიმისოდ, რომ სხვა ენებში მოდალობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას აუცილებლად და მხოლოდ და მხოლოდ მოდალური ზმნები უნდა დაიძებნოს. მართებულია თუ არა ამგვარი მიდგომა, იმითაც ჩანს, რაც უკვე წარმოდგენილ იქნა ზემოთ; ვგულისხმობთ იმას, რომ, ჯერ ერთი, სხვადასხვა ენას მოდალობის გამოსახატავად ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებული საშუალებები გააჩნია (წარმოვიდგინოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ რუსულ ენაში საამისოდ შორისდებულებიც კი გამოიყენება), ხოლო, მეორე მხრივ, თვითონ ინგლისურში ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობის გამოსახატავად მოდალური ზმნების გარდა უამრავი სხვა საშუალება მოიპოვება. რასაკვირველია, ნაკლებად მოსალოდნელია დიდი დოზით მსგავსების დაფიქსირება ინგლისურისაგან ისეთ გენეტიკურად და ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენაში, როგორც ქართული ენაა. განსხვავებებთან დაკავშირებულ პრობლემატიკას ავსებს განსხვავებული გრამატიკული ტრადიცია და, შესაბამისად, ცნებებისა და ტერმინთსისტემის თავისებურებები, რაც არცთუ უკანასკნელ როლს თამაშობს ამ საქმეში.

როგორც ცნობილია, ამ ტერმინით სინტაქსურ გამოკვლევებში და სახელმძღვანელოებში წინადადების რაგვარობა (შინაარსის მიხედვით) აღინიშნება. მოდალობა გაიგივებულია წინადადების რაგვარობასთან და, შესაბამისად, მოდალობაც, ისევე წინადადება შინაარსის მიხედვით, გამოდის

სამი სახისა: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი. ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ამ და ჩვენ მიერ მანამდე განხილულ “მოდალობებს” არაფერი აქვთ საერთო ერთმანეთთან, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული ერთგვარი ტერმინოლოგიური პოლისემია შესაძლოა გარკვეულ უხერხულობას მაინც ქმნიდეს. წინამდებარე ნაშრომში ჩვენს მიზანს წარმოადგენს არა არსებული ვითარების კრიტიკული შეფასება, არამედ ამ ვითარების აღწერა, რათა მკვეთრად გამიჯნულიყო განსხვავებული, თუმცა ერთმანეთთან დაკავშირებული, ცნებები.

ჩვენთვის, რა თქმა უნდა, მიუღებელია ნებისმიერი ტერმინოლოგიური და ცნებითი აღრევა, მიუხედავად იმისა, ეს მოდალობასთან იქნება დაკავშირებული თუ ენის რომელიმე, სხვა მხარესთან, თუმცა ისიც მართალია, რომ, რადგანაც წინამდებარე ნაშრომში მოდალობასა და მისი გამოსატვის საშუალებებს ვეხებით, ამ სფეროში არსებული გაურკვეველობა ჩვენს ამოცანას უსაშველოდ ართულებს. და მაინც, თუკი ჩვენ ვიცით, რა სახის პრობლემები შეიძლება წარმოიშვას ტერმინოლოგიური თუ ცნებითი თვალსაზრისით, მაშინ უფრო მისაწვდომად წარმოგვიდგენია მათი განხილვა და, შესაბამისად, წარმატებით გადაჭრა. წინადადების რაგვარობა სინტაქსური კატეგორიაა და გულისხმობს იმას, თუ როგორია წინადადება შინაარსის მიხედვით; კილო ზმნის მორფოლოგიური კატეგორიაა და გვიჩვენებს, რომ მოუბრის მიერ დასახელებული მოქმედება უნდა იქნეს გაგებული ან როგორც უეჭველი ფაქტი, ან როგორც შესაძლებელ-სავარაუდო, ან კიდევ როგორც შესასრულებელი; ნიშანდობლივია ისიც, რომ კილოს გამოსახატავად მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებები არსებობს. რაც შეეხება მოდალობას, იგი ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიაა და გამოსატავს ნათქვამის შინაარსის მიმართებას სინამდვილესთან; ამ თვალსაზრისით კი ძირითადად გამოიყოფა მოდალობის სამი სახე: 1. მოქმედების სუბიექტის დამოკიდებულება მოქმედებისადმი; 2. მოქმედლის დამოკიდებულება ნათქვამის შინაარსისადმი; 3. ნათქვამის შინაარსის მიმართება სინამდვილისადმი (რეალურობა-არარეალურობის თვალსაზრისით). დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩვეულებრივ ერთმანეთისაგან გაირჩევა ტექსტისა და გამონათქვამის მოდალობები, რაც ერთგვარად აადვილებს მოდალობის, როგორც საენათმეცნიერო ტერმინის, პოლისემიურობიდან გამომდინარე შესაძლო სიძნელეებს და გარკვეულწილად ამცირებს კიდევ ბუნდოვანების შანსს.

ჩართულის, როგორც წინადადებისათვის მოდალური შინაარსის მიმნიჭებელ კონტრუქციასთან დაკავშირებით უნდა განვაცხადოთ, რომ ჩართულისა და მოდალობის გამოსატვის საკითხები მართლაც მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული; ოღონდ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ყველა ის ენობრივი ერთეული, რომელიც ჩართულად გამოიყენება, ვერ იქნება ავტომატურად განხილული მოდალობის გამომხატველი ინვენტარის ფარგლებში. ალბათ, უმჯობესი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სწორედ შესაბამისი ენობრივი ერთეულობის მოდალურობამ გაუხსნა გზა მათ გამოყენებას ჩართულის კონსტრუქციებში.

მოდალობა ქართულში მორფოსემანტიკური კატეგორიაა, რის საფუძველსაც ქართულის ენობრივი სინამდვილე გვაძლევს. ენობრივ სინამდვილეში ვგულისხმობთ მოდალობის გამოსატვის მრავალმხრივ და მრავალფეროვან საშუალებებს, რომლებიც ფიქსირდება ქართულში. მოდალობა, როგორც მორფოსემანტიკური კატეგორია, ქართულში ქმნის ერთიან სისტემას, წარმოდგენილია ენის ყველა დონეზე და მოიცავს შემდეგ სემანტიკურ ნიუანსებს: მოქმედების შესაძლებლობას, სასურველობას, აუცილებლობას, ნებართვას, აკრძალვას; მოუბარი პირის დარწმუნებულობის (დაეჭვების) ხარისხს გამონათქვამის ტემპარტებაში (ვარაუდს, ჰიპოთეზას, მოსაზრებას, დაშვებას, დარწმუნებას, უეჭველობას, დაურწმუნებლობას, დაეჭვებას, ყოყმანს...) და მიმართებას ობიექტურ სინამდვილესთან: როგორ აფასებს მოუბარი (ავტორი) ენობრივად გამოსატულ ფაქტს – რეალობად თუ არარეალობად. განხილული მასალა უხვად გვაწვდის არა მარტო მსგავსებებს, არამედ პარალელებს ქართული და ინგლისური ენების არსენალში არსებული მოდალობის გამოსატვის გრამატიკული საშუალებების თვალსაზრისით; ეს, უპირველეს ყოვლისა, ითქმის იმ ენობრივი საშუალებების შესახებ, რასაც ქართულ ენათმეცნიერებაში მოდალურ ელემენტებს უწოდებენ, ხოლო ინგლისურ ენათმეცნიერებაში – მოდალურ ზმნებს.

როდესაც ინგლისური ენის მოდალური ზმნების შესახებ ვსაუბრობთ, უნდა ითქვას, რომ მოდალური შინაარსის გამოსატვა ძირითადად სწორედ მათ “ზურგზე გადადის”. ჩვენ მიერ საკვლევად აღებული ასპექტებისა და მიდგომიდ თვალსაზრისით, მთავარი ის გახლავთ, რომ ინგლისურ ენაში მოდალური ზმნები წარმოადგენენ დეფექტური ზმნების მცირერიცხოვან ჯგუფს, რომლებიც გამოსატავენ არა მოქმედებას, არამედ ძირითადი ზმნით გადმოცემული

მოქმედებისადმი დამოკიდებულებას – ვარაუდს, ეჭვს, შესაძლებლობას, აუცილებლობას და ა.შ. მოდალური ზმნების მორფოლოგიურ-სინტაქსური და სემანტიკური თავისებურებები მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან და განაპირობებენ კიდევ ერთმანეთს. ისინი ცალკე, დამოუკიდებლად არ იხმარებიან; წინადადებაში მოდალური ზმნები ესამებიან ე.წ. “შიშველ ინფინიტივებს” და მათთან ერთად ქმნიან შედგენილ ზმნურ მოდალურ შემასმენელს, რომლის ფარგლებშიც ინფინიტივე გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომლის შესრულებაც შესაძლებელი, აუცილებელი ან სავარაუდოა მოსაუბრის თვალსაზრისით. სემანტიკურად მოდალური ზმნები ჩვეულებრივ იყოფა სამ ძირითად ჯგუფად, რომელთა საშუალებითაც გამოიხატება უნარი/შესაძლებლობა/ნებაართვა; ვალდებულება/აუცილებლობა; ვარაუდი/ნება-სურვილი. აღსანიშნავია ისიც, რომ მოდალურ ზმნათა უმეტესობა პოლისემიურობას ამჟღავნებს; კონტექსტის მიხედვით თითოეულს მოეპოვება რამდენიმე მნიშვნელობა, რომელთაც მოდალობის კატეგორია აერთიანებს.

ინგლისური ენის დღევანდელი მოდალური ზმნების მორფოსინტაქსური თვალსაზრისით განხილვა კი თითქმის შეუძლებლად მიგვაჩნია ამ დიაქრონიული მონაცემების გათვალისწინების გარეშე, რადგანაც ისინი დიდწილად ხსნიან დღეს არსებულ ვითარებას. აქედან გამომდინარე, სანამ სინქრონიაზე გადავიდოდით, ჯერ ამ მოდალების ერთგვარი დიაქრონიული ‘მარშრუტი’ განვიხილეთ. ფორმალური კრიტერიუმები სპეციალურ ლიტერატურაში მოიხსენიება როგორც NICE ნიშან-თვისებები (NICE properties); NICE გახლავთ აკრონიმი შემდეგი ენობრივი მოვლენების აღმნიშვნელი ტერმინებისა: Negation უარყოფა, Inversion ინვერსია, Code კოდი, და Emphatic affirmation ემფატიკური მტკიცება. ეს პარამეტრები შემდეგია:

- 15) უარყოფითი ფორმა იწარმოება მეშველი ზმნა do-ს გარეშე (can't, mustn't);
- 16) კითხვით ფორმაში გვაქვს პოზიციური ინვერსია მეშველი ზმნა do-ს გარეშე (Can you? May I?);
- 17) ‘კოდი’ ანუ ელიპტიკური ფუნქციის შესრულების უნარი მეშველი ზმნა do-ს გარეშე (She can swim and so can you);
- 18) ემფატიკური მტკიცების გამოხატვის უნარი (She will be there).

წარმოდგენილი NICE ნიშან-თვისებები საერთოდ მეშველი ზმნების დამახასიათებელია; რაც შეეხება მოდალურ ზმნებს, აქ დამატებით დავაფიქსირეთ შემდეგი სპეციფიკური პარამეტრები:

19) არ დაჩნდება მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის ნიშანი -s;

20) არ მოეპოვებათ უპირო ფორმები (ინფინიტივები, მიმდევობები);

არ არიან თანაპოვნირნი, ე.ი. არ ეხამებიან ერთმანეთს (*She may will come).

ჩვენთვის ეს მიდგომა მისაღები და ფასეულია. ქართული და ინგლისური გრამატიკული მოდალების ტიპოლოგიური კვლევისას აღნიშნული მიდგომა თავიდან აგვაცილებს ორაზროვნებასა და აღრევას და უფრო ზუსტს გახდის, როგორც მსჯელობის პროცესს, ასევე მის შედეგებსაც, რის გარეშეც გაწეული შრომა გაუფასურდება.

საერთოდ, მოდალობის ტიპოლოგიური შესწავლის საკითხები დიდი ხანია იმსახურებენ სპეციალისტთა ყურადღებას და იგი არაერთხელ გამხდარა ფართო მსჯელობის საგანი. და მაინც, ალბათ, საკმაოდ ადვილად წარმოსადგენია ის სერიოზული სიძნელეებიც, რომლებიც საკვებით ბუნებრივად ახლავს თან ასეთი ტიპის კვლევას. ცნობილია, რა სიძნელეები ახლავს ზოგადად ტიპოლოგიურ კვლევას, თუმცა მოდალობის შესწავლის შემთხვევაში ამას ემატება ისიც, რომ ამ მხრივ კრიტერიუმების დადგენა არა ზუსტ, არამედ მხოლოდ მიახლოებით ხასიათს ატარებს. ამ ფაქტს აღიარებენ აღნიშნულ სფეროში მომუშავე წარმყვანი სპეციალისტები. ეს გასაკვირი სულაც არ გახლავთ, რადგანაც აქ ისეთი არასაენათმეცნიერო ცნებებით ხდება ოპერირება, როგორებიცაა ირეალობა, არაფაქტობრიობა, შესაძლებლობა, აუცილებლობა და მისთანანი. ცხადია, რომ ამგვარი კრიტერიუმების გამოყენება საკმაოდ აძნელებს ზუსტი კრიტერიუმების დადგენასა და მათ შემდგომ ადეკვატურად გამოყენებას. აღნიშნული ვითარება ჩვენ გავითვალისწინეთ და შეძლებისდაგვარად ვეცადეთ, რომ ტიპოლოგიური ანალიზისას მკაცრ, სტრუქტურულ კრიტერიუმებზე დავეყრდნობოდით, რის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა თუნდაც რაიმე მნიშვნელობის მქონე შედეგის მიღწევა.

მოდალური მნიშვნელობის (მოდალობის) გამოხატვის ენობრივი საშუალებები შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად: უნივერსალურ და არაუნივერსალურ საშუალებებად. უნივერსალური საშუალებები დაჩნდება ყველა სახის გამონათქვამში გამონაკლისის გარეშე. ასეთად გვევლინება ინტონაცია. მეორე რიგის (ანუ არაუნივერსალური) საშუალებები გვხვდება მხოლოდ ზოგიერთ

გამონათქვამში. მოდალობის გამოსატვის საშუალებათა დანიშნულებას წარმოადგენს ის, რომ ერთმანეთს დაუკავშიროს მისი გამოსატვის ფორმები და პირობები. მოდალობის გამოსატვის არაუნივერსალური საშუალებები გამოიყენება იმ მიზნით, რომ შეიქმნას შესაბამისი პირობები ამა თუ იმ ფორმისათვის, რათა იგი გადაიქცეს მოდალობის გამოსატვის ფორმად. ნათქვამი შეიძლება გავავრცელოთ იმ შემთხვევაზეც, როდესაც ორ, არამონათესავე ენას ვადარებთ ერთმანეთს ამ მხრივ. ზემოთქმულსავე გათვალისწინებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ დისერტაციაში ყურადღებას ვერ გავამახვილებთ უნივერსალურ საშუალებებზე, რადგანაც მოდალობის გამოსატვის საკითხში ასეთად ინტონაცია გვევლინება; იგი კი, თავისთავად ცხადია, პროსოდიული მოვლენაა და არა გრამატიკული. როგორც ვიცით, ჩვენ სწორედ გრამატიკულ საშუალებებზე ვაკეთებთ კონცენტრაციას.

როგორც წინამაჟღერ თავეებში წარმოდგენილმა მასალამ და მსჯელობამ დაგვანახა, მოდალური მნიშვნელობების გამოსატვის გრამატიკული საშუალებების ტიპოლოგიური ანალიზი მარტივი ამოცანა არ გახლავთ. განსაკუთრებით საცნაური ხდება ეს სირთულე გენეტიკურად და სტრუქტურულად ისეთი განსხვავებული ენების შემთხვევაში, როგორებიცაა ქართული და ინგლისური. სირთულეს გარკვეულწილად აღრმავენ ის ფაქტიც, რომ ამ ენათა ჩვენთვის საინტერესო ასპექტების შესწავლა და აღწერა ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული გრამატიკული ტრადიციების ფარგლებში მიმდინარეობდა. და მაინც, რაც უნდა გასაკვირი იყოს, აღნიშნული ასპექტის განხილვისას ამ ენებში არა მარტო კონტრასტული, არამედ ქარაქტეროლოგიური ღირებულების მქონე ლინგვისტური ფაქტებიც დასტურდება.

რა საერთო, ქარაქტეროლოგიური ნიშან-თვისებების შესახებ შეიძლება ვისაუბროთ წარმოდგენილი მასალისა და მისი ანალიზის საფუძველზე? ეს ნიშან-თვისებები ძირითადად დიაქრონიული ხასიათისაა და ისინი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1) თანამედროვე გრამატიკული მოდალების წინაპარი სრულმნიშვნელოვანი ზმნების სემანტიკური თავისებურებები ქმნიდა საიმისო ნიადაგს, რომ მომხდარიყო დაფიქსირებული სემანტიკური ცვლილებები, ე.ი. მნიშვნელობის გადააზრიანება ანუ ტრანს-სემანტიზაცია. ტერმინი “ტრანს-სემანტიზაცია” ლინგვისტიკაში ზ. კიკვიძემ შემოიტანა (1995): “ტრანს-სემანტიზაციის ცნება

ემყარება სიტყვის სემანტიკური კომპონენტების შეფასებას, მათს ფიქსირებულობასა და ცვლადობას. ტრანს-სემანტიზაციის დროს ხდება მოცემული ლექსიკური ერთეულის სემანტიკური კომპონენტების ცვლილება, გარდა აუცილებელი, ბირთვული ან კონკრეტულ შემთხვევაში საჭირო კომპონენტისა, რომელიც საფუძვლად ედება ახალი შინაარსის ენობრივ ერთეულს” (კიკვიძე, 1995: 17). ამ პროცესის შედეგად მიღებულ პროდუქტს ავტორმა უწოდა ტრანს-სემანტიკა. მისი აღნიშნული სტატია ნაცვალსახელურ ტრანს-სემანტიკებს ეხება. მოცემულ მაგალითზე შეიძლება ვისაუბროთ ზმნური ტრანს-სემანტიკების შესახებ. ქართული და ინგლისური გრამატიკული მოდალების შემთხვევაში საქმე გვაქვს აღნიშნული პროცესის კერძო გამოვლინებასთან, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში დესემანტიზაცია ეწოდება;

2) როგორც ქართულში, ასევე ინგლისურში დღევანდელმა გრამატიკულმა მოდალებს დროთა განმავლობაში შეეცვალათ რიგი მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებები; აღნიშნული პროცესების შედეგი ყველაზე თვალსაჩინოდ მათ მიერ სხვადასხვა მორფოლოგიური მარკერის დაკარგვით წარმოჩნდა. ამ პროცესს სპეციალურ ლიტერატურაში კლიტიციზაცია ეწოდება;

3) აღნიშნული მოვლენების წყალობით და მათ პარალელურად თითოეულმა მათგანმა ამა თუ იმ სახითა და მასშტაბით განიცადა ფონეტიკური ეროზია (რაც ნიშნავს ცვლილებებს მათს ბგერით ფორმაში), რამაც თავისი წვლილი შეიტანა მათ განსხვავებულ ენობრივ ერთეულებად ჩამოყალიბების საქმეში;

4) ტრანს-სემანტიზაციამ (თავდაპირველი სემანტიკური ნიშნების დაკარგვამ და სემანტიკურმა გადააზრიანებამ), კლიტიციზაციამ (თავდაპირველი მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებების მოშლამ) და ფონეტიკურმა ეროზიამ (თანმდევმა ცვლილებებმა მათს ბგერით ფორმაში) განაპირობეს დეკატეგორიზაცია (თავდაპირველად არსებული კატეგორიული ნიშნების დაკარგვა) და შემდეგ მიგვიყვანა ტრანსკატეგორიზაციამდე (ახალი კატეგორიული ნიშნების შექმნამდე, რასაც თან მოჰყვა მათი ახლებური დაჯგუფება მეტყველების ნაწილთა სისტემაში).

მიუხედავად ჭეშმარიტად საგულისხმო და სისტემური პარალელიზმისა მათ დიაქრონიულ განვითარებაში, ტრანსკატეგორიზაციის (ანუ ახალი კატეგორიული ნიშნების შექმნის) კვალად ქართული და ინგლისური გრამატიკული მოდალები სულ სხვადასხვაგვარად დაჯგუფებდნენ მეტყველების ნაწილთა სისტემაში, რაც, რასაკვირველია სავსებით კანონზომიერი გახლდათ:

ინგლისურ ენაში ისინი გაფორმდნენ მოდალურ ზმნებად (ჩამოყალიბდნენ ცალკე თანრიგად ან ქვეთანრიგად), რაც ადეკვატურად აისახა გრამატიკულ აღწერებშიც; რაც მთავარია, აქ დესკრიფციისა და პრესკრიფციის შეჯახების პრობლემა არ გვაქვს. რაც შეეხება ქართულს, თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ მიერ გრამატიკულად მოდალებად განსილული ენობრივი ერთეულები ვერ მიიხნევა ზმნებად (თუნდაც მოდალურ/დამხმარე ზმნებად); როგორც ცნობილია, ისინი ნაწილაკთა შორის არიან დაჯგუფებული. ეს განსხვავება საკმაოდ მნიშვნელოვანია; მის უფრო ექსპლიციტურად არტიკულირებისათვის უნდა ითქვას შემდეგი: ინგლისური მოდალური ზმნებისაგან განსხვავებით, ქართული გრამატიკული მოდალები ვერ გვაძლევენ პრედიკაციას, მათი ზმნური წარმომავლობის მიუხედავად.

ენობრივ ერთეულთა აღწერის საქმეში სუბიექტურობის გამოსარიცხად და ობიექტურობის მისაღწევად გადავწყვიტეთ, მიგვემართა ისეთი მეთოდისათვის, რომლის პროცედურები თავისთავად არ მოგვეცმდა გასაქანს პრესკრიფციისათვის. აქედან გამომდინარე, ჩვენი არჩევანი შეჩერდა უშუალო შემადგენლების მიხედვით ანალიზის მეთოდზე. ქართული და ინგლისური ენების გრამატიკული მოდალებთან მიმართებაში უშუალო შემადგენლების მიხედვით ანალიზის მეთოდი საკმაოდ ზუსტი და სანდო შედეგების მიღების გარანტს წარმოადგენს მათი ფუნქციონალურ-სისტემური თავისებურებების უკეთ წარმოჩენის თვალსაზრისით. რაც მთავარია, ჩვენი თვალთახედვით, მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული მეთოდი ობიექტური (არასუბიექტური) მიდგომის განხორციელების საფუძველს იძლევა.

უშუალო შემადგენლების მიხედვით ანალიზის შესაბამისად წარმოდგენილ სქემებში თვალნათლივ ჩანს როგორც ქართული, ისე ინგლისური გრამატიკული მოდალები აბსოლუტურად იდენტურად აღინიშნებიან, რაც მათი იდენტური ფუნქციური თავისებურებების გამოვლინებას წარმოადგენს, რის საფუძველზეც შეიძლება განვაცხადოთ, რომ ისინი წინადადებაში მოდალური გრამატიკული აქტორების როლს ასრულებენ.

დ ა მ ო წ მ ე ბ უ ლ ი წ ყ ა რ ო ე ბ ი

- Collier, J. *Witch' Money. A Bottle of Milk for Mother*. Москва: Рольф, 2002.
Collins, J. *Hollywood Husbands*. London: Pan Books Ltd, 1987.
Gardner, E. S. *The Case of the Fugitive Nurse*. London: Pan Books Ltd, 1962..
Hailey, A. *In High Places*. New York: Bantam Books, 1971.
Hailey, A. *The Final Diagnosis*. London: Pan Books Ltd, 1972.
Hailey, A. *Overload*. New York: Bantam Books, 1980.
Hailey, A. *The Evening News*. London: Corgi Books, 1997.

ლიტერატურა

1. აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი: მეცნიერება, 1973.
2. ახვლედიანი 1998 – დ. ახვლედიანი, ჩართული სიტყვები და გამოთქმები (ადგილისა და სემანტიკის ზოგიერთი საკითხი) // ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების კრებული, II. ბათუმი, 1998: 30-34.
3. ახვლედიანი 1999 – დ. ახვლედიანი, ჩართული სიტყვების ფუნქციური მონაცვლეობა // ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების კრებული, III. ბათუმი, 1999: 13-17.
4. ახვლედიანი 1999 – დ. ახვლედიანი, ჩართულის “გრამატიკული შინაარსი” (მორფოლოგიური ბუნება) და მასთან დაკავშირებული სადავო საკითხები // ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, II. ბათუმი, 2000: 40-41.
5. ბასილაია, 1983 — ნ. ბასილაია, წინადადების ტიპები მტკიცებისა შინაარსის ინტონაციის ანუ მოდალობის მიხედვით. თბილისი: განათლება, 1983.
6. გამყრელიძე & სხვ., 2003 – თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
7. გეგეშიძე, 2005 — ი. გეგეშიძე, “მოდალობა”, “ზმნის კილო” და “წინადადების რაგვარობა” ქართულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში // იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXV. თბილისი: ქართული ენა, 2005: 112-116.
8. გეგუჩაძე 2001 – ლ. გეგუჩაძე, კვლავ კონტექსტის მნიშვნელობისათვის მწკრივთა დროულ-კილოურ შესაძლებლობათა რეალიზაციისათვის // ვარლამ თოფურია – 100. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2001: 70-76.
9. გოგოლაშვილი 1988 – გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა. თბილისი: მეცნიერება, 1998.
10. გოქსაძე, 2002 — ლ. გოქსაძე, ყოფითი ღირებულებანი და ნორმათა რღვევა როგორც “სახის” დაკარგვის საშიშროების შემქმნელი ლინგვისტური ქმედება // საენათმეცნიერო ძიებანი, XII. თბილისი: ქართული ენა, 2002: 118-124.
11. გოქსაძე, ბოლქვაძე 1988 – ლ. გოქსაძე, ს. ბოლქვაძე, მოდალობის კატეგორიის სემანტიკისა და სინტაქსის თაობაზე // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, 1988: 124-
12. ზეკალაშვილი 2008 – რ. ზეკალაშვილი, მოდალობის გამოხატვის საშუალებათა სისტემა და სემანტიკური ნიუანსები ქართულ დისკურსში // II საერთაშორისო სიმპოზიუმი “იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება: მემკვიდრეობა და პერსპექტივები,” მასალები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008: 173-178.
13. კარიჭაშვილი, 1930 – დ. კარიჭაშვილი, ქართული ენის გრამატიკა. თბილისი, 1930.
14. კვაჭაძე, 1986 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: განათლება, 1986.

15. კიზირია, 1966 – ა. კიზირია, ჩართული სიტყვა და წინადადება ძველ ქართულში // იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XV. თბილისი: მეცნიერება, 1966: 40-62.
16. კიკვიძე, 1995 – ზ. კიკვიძე, ტრანს-სემანტიზაცია და ნაცვალსახელური ტრანს-სემანტემები სხვადასხვა სისტემის ენებში // იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXIII. თბილისი: მეცნიერება, 1995: 13-19.
17. კოტინოვი, 1959 — ნ. კოტინოვი, კილოს კატეგორია ქართულ ენაში // იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, III. თელავი, 1959.
18. კოტინოვი, 1986 — ნ. კოტინოვი, კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში. თბილისი: განათლება, 1986.
19. მამისთვალიშვილი 1985 – მ. მამისთვალიშვილი, მოდალურნაწილაკიანი მწკრივები ქართულში // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1985: 116-135.
20. მახარაძე 2009 – ნ. მახარაძე, დეონტიკური მოდალობა ინგლისურში // საერთაშორისო კონფერენცია “ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში”, პროგრამა. ბათუმი, 2009.
21. ოქროპირიძე, 1975 — ნ. ოქროპირიძე, კავშირებითი კილოს მოდალური ფუნქციები ქართულ ენაში // საქ. სსრ. პედ. ინსტიტუტის შრომები, II. თბილისი, 1975.
22. პაპიძე, 1981 — ა. პაპიძე, II კავშირებითის ნაკეთის ფუნქციები // ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეოთხე. თბილისი: მეცნიერება, 1981: 146-182.
23. უგლავა, 2005 — ნ. უგლავა, ტექსტის მოდალობა სხვადასხვა სისტემის ენებში (ინგლისური და ქართული ენების მაგალითზე). ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდების მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი, 2005.
24. ქაროსანიძე, 2000 — ლ. ქაროსანიძე, დიონისიოს თრაკიელის “გრამატიკის ხელოვნება” და ძველი ქართული გრამატიკული აზროვნება. თბილისი: ლოგოსი, 2000.
25. ქეგლ, 1953 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, ტ. III. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1953.
26. ქეგლ, 1955 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, ტ. IV. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1955.
27. ქეგლ, 1960 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, ტ. VI. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960.
28. ფაჩულია, 2000 — ლ. ფაჩულია, ენათა სტრუქტურული შედარების საკითხები სკოლაში // აფხაზეთის მოამბე, № 4, 2000.
29. ფეიქრიშვილი, 1996 — ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი. ქუთაისი: სარანგი, 1996.
30. ღლონტი, 1996 — ალ. ღლონტი, ქართული წინადადება. თბილისი: თსპუ გამომცემლობა, 1996.
31. ყაუხჩიშვილი, 1961 — ს. ყაუხჩიშვილი, ლათინურ-ქართული ლექსიკონი. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1961.
32. შანიძე, 1980 – აკ. შანიძე, ქართულის ენის გრამატიკის საფუძვლები // აკ. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II. თბილისი: მეცნიერება, 1980.

33. შარაშენიძე, 2000 – ნ. შარაშენიძე, *ლამის* ნაწილაკის ისტორიისათვის // საენათმეცნიერო ძიებანი, X. თბილისი: ქართული ენა, 2000: 89-93.
34. ცქიტიშვილი, 1988 – ნ. ცქიტიშვილი, ჩართული // ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი VIII. თბილისი: მეცნიერება, 1988: 241-278.
35. ჭაბაშვილი, 1989 — მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი. მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემა. თბილისი: განათლება, 1989.
36. ჭანტურია, 2000 – ჭანტურია, ლ. დეონტური მოდალობიშ შესახებ // საენათმეცნიერო ძიებანი, X. თბილისი: ქართული ენა, 2000: 104-113.
37. ჭანტურია, 2002 — ლ. ჭანტურია, “სახე” და მოდალობა // საენათმეცნიერო ძიებანი, XII. თბილისი: ქართული ენა, 2002: 269-276.
38. ჭილაშვილი, 2002 — ნ. ჭილაშვილი, მოდალობის გამოხატვის ზოგიერთი საშუალების შესახებ ავტობიოგრაფიულ ჟანრში // საენათმეცნიერო ძიებანი, XII. თბილისი: ქართული ენა, 2002: 277-282.
39. ჯორბენაძე, 1993 – ბ. ჯორბენაძე, ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში // ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი X. თბილისი: მეცნიერება, 1993: 266-278.
40. ჯორბენაძე & სხვ., 1988 – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემათა და მოდალურ ელემენტთა ლექსიკონი. თბილისი: მეცნიერება, 1988.
41. Anderson, J. M. 1971 Some proposals concerning the modal verbs in English. *Edinburgh Studies in English and Scots*, ed. by A. Aitken, A. McIntosh, H. Palsson. London: Longman, 1971: 19-120.
42. Anderson, J. M. 1990 On the Status of Auxiliaries in Notional Grammar. *Journal of Linguistics* 26, 1990: 341-362.
43. Anderson, J. M. 1991 Should. *Historical English Syntax*, ed. by D. Kastovsky. Berlin & New York: Mouton de Gruyter (Topics in English Linguistics, 2), 1991: 11-30.
44. Anderson, J. M., Jones, C. (eds.). 1974 *Historical Linguistics I: syntax, morphology, internal and comparative reconstruction*. Amsterdam/Oxford/New York: North-Holland/American-Elsevier, 1974.
45. Biber, D., Johansson, S., Leech, G., Conrad, S. & Finegan, E. 1999 *Longman Grammar of Spoken and Written English*. London: Longman, 1999.
46. Bybee, J. 1985. *Morphology: A Study of the Relation between Meaning and Form*. Amsterdam: John Benjamins, 1985.
47. Bybee, J. 1995 The Semantic Development of Past Tense Modals in English. *Modality in Grammar and Discourse*, ed. by J. Bybee & S. Fleischman. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins, 1995: 503-517.
48. Bybee, J., Fleischman, S. 1995 An Introductory Essay. *Modality in Grammar and Discourse*, ed. by J. Bybee & S. Fleischman. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins, 1995: 1-14.
49. Givyn, T. 1984 *Syntax, vol. 1*. Amsterdam: John Benjamins, 1984.
50. . Bybee, J., Perkins, R., Pagliuca, 1994 W. *The Evolution of Grammar. Tense, Aspect and Modality in the Languages of the World*. Chicago & London: University of Chicago Press.
51. Bally, Ch. 1942 Syntaxe de la modalit  explicite. *Cahiers F. de Saussure*, 2, 1942.
52. Brown, G. & Yule, 1983 G. *Discourse Analysis*. Cambridge: Cambridge University Press, 1983.
53. Brown, P. & Levinson, S. L. Politeness. 1996 Some Universals in Language Usage. Cambridge: Cambridge University Press, 1996.

54. Greenbaum, S. 1996 *The Oxford English Grammar*. Oxford: Oxford University Press, 1996.
55. Bailey, Ch.-J. N. English Verb Modalities. 1981 *Zeitschrift für Dialektologie und Linguistik*, 2, 1981: 161-188.
56. Boyd, J., Thorne, J. P. 1969 The Semantics of Modal Verbs. *Journal of Linguistics* 5, 1969: 57-74.
57. Goossens, L. 1982 On the Development of the Modals and of the Epistemic Function in English. *Papers from the 5th International Conference on Historical Linguistics* [Galway 1981], ed. by A. Almqvist. Amsterdam: John Benjamins, 1982: 74-84.
58. – Goossens, L. 1985 Modality and the modals. *Predicates and Terms in Functional Grammar*, ed. by M. Bolkestein, C. De Groot and L. Mackenzie. Dordrecht: Foris, 1985: 203–217.
59. Downing, A., Locke, P. 2002 *A University Course in English Grammar*. London: Routledge, 2002.
60. Dik, S. C. 1997 *The Theory of Functional Grammar* (2 volumes). Berlin: de Gruyter, 1997.
61. Van Dijk, T. A. 1998 Principles of Critical Discourse Analysis. *The Sociolinguistics Reader. V. 2: Gender and Discourse*, ed. by J. Cheshire & P. Trudgill. London & New York: Arnold, 1998: 367-393.
62. Jakobsson, B. 1994 Recessive and emergent uses of modal auxiliaries in English. *English Studies*, 72/2, 1994: 166-182.
63. Calbert, J. P. 1971 Modality and Case Grammar. *Working Papers in Linguistics*, 10. Columbus, 1971. pp. 85-131.
64. Calbert, J. P., Vater, H. 1975 (eds.). *Aspekte der Modalität*. Tübingen: Narr, 1975.
65. Quirk, R., Greenbaum, S., Leech, G., Svartvik, J. *A Comprehensive Grammar of the English Language*. London: Longman, 1985.
66. Кярккӓinen, E. 2003. *Epistemic Stance in English Conversation. A Description of Its Interactional Functions, With a Focus on I think*. Amsterdam: John Benjamins, 2003.
67. Kiefer, F. Modality. 1994 *The Encyclopedia of language and linguistics*. ed, by R. E. Asher. Oxford: Pergamon Press, 1994: 2515-2520.
68. Kytӓ, M. 1989 *Can or may? Choice of the variant form in early modern English. Synchronic and Diachronic Approaches to Linguistic Variation and change. The Georgetown University Round Table on Language and Linguistics*, ed. by Th. Walsh. Washington, DC: Georgetown University Press, 1989: 163-178.
69. Comrie, B. 1989 *Language Universals and Linguistic Typology*. 2nd edn. Oxford: Basil Blackwell, 1989.
70. Crystal, D. 1989 *Cambridge Encyclopedia of Language*. Cambridge: Cambridge University Press, 1989.
71. Crystal, D. 2008 *A Dictionary of Linguistics and Phonetics*. Cambridge: Basil Blackwell, 2008.
72. Croft, W. 1990 *Typology and Universals*. Cambridge: Cambridge University Press, 1990.
73. Lyons, J. Lyons, J. 1977 *Semantics*, Vol. 1 & 2. Cambridge: Cambridge University Press, 1977.
74. Lima, M. 1993 The "Peaceful Coexistence" of *to need* and *need*: Some Syntactic and Semantic Considerations of the English Modals of Necessity. *Intrecci eContaminazioni*.

- Atti del XIV Congresso Nazionale dell'Associazione Italiana di Anglistica* [Venezia, 17-19 October, 1991], ed. by V. de Scarpis. Venezia: Supernova, 1993: 455-465.
75. Leech, G. N. 1987 *Meaning and the English Verb*. 2nd edition. London: Longman, 1987.
 76. Lew, R. 1997 Towards a Taxonomy of Linguistic Jokes. *Studia Anglica Posnaniensia*, 31, 1997: 132-152.
 77. McHoul, A. 1998 Discourse. *Concise Encyclopedia of Pragmatics*, ed. by J. Mey & R. E. Asher. Amsterdam: John Benjamins, 1998: 225-236.
 78. Matthews, R. 1991 *Words and worlds: on the linguistic analysis of modality*. Frankfurt/Main: Peter Lang, 1991.
 79. Mindt, D. 1998 *An Empirical Grammar of the English Verb: Modal Verbs*. Berlin: Cornelson, 1998.
 80. Meurman-Solin, A. 1997 Towards reconstructing a grammar of point of view: Textual roles of adjectives and open-class adverbs in Early Modern English. *English in Transition. Corpus-based Studies in Linguistic Variation and Genre Styles*, ed. by M. Rissanen, M. Kytö & K. Heikkonen. Berlin & New York: Mouton de Gruyter, 1997: 267-343.
 81. Mochizuki, H. 1987 A diachronic approach to English modals and modality. *Descriptive and Applied Linguistics* [Bulletin of the ICU Summer Institute of Linguistics, Mitaka, Japan] 20, 1987: 117-126.
 82. Nehls, D. 1986 *Semantik und Syntax des englischen Verbs. Teil 2: Die Modalverben: eine kontrastive Analyse der Modal verben im Englischen und Deutschen. Teil 2: Die Modalverben: eine kontrastive Analyse der Modal verben im Englischen und Deutschen*. Heidelberg: Groos, 1986.
 83. Nauze, F. D. 2005 *Modality in Typological Perspective*. Amsterdam: Institute for Language, Logic, and Computation, 2008.
 84. Nuyts, J. 2001 *Epistemic modality, Language, and conceptualization: a cognitive-pragmatic perspective*. Amsterdam: John Benjamins, 2001.
 85. Nuyts, J. 2005 Modality: Overview and linguistic issues. *The Expression of Modality*, ed. by W. Frawley. Berlin & New York: Mouton de Gruyter, 2005: 1-26.
 86. *The Concise Oxford Dictionary of Current English*, ed. by J. B. Sykes (7th ed.). Oxford: Clarendon Press, 1984.
 87. Austin, J. L. 1962 *How to Do Things with Words*. New York: Oxford University Press, 1962.
 88. Palmer, H. E. 1939 *Grammar of Spoken English*. London: Heffer, 1939.
 89. Palmer, F. R. 1974 *The English Verb*. London: Longman, 1974.
 90. Palmer, F. R. 1979 *Modality and the English modals*. London: Longman, 1979.
 91. Palmer, F. R. 1986 *Mood and Modality*. Cambridge: Cambridge University Press, 1986.
 92. Palmer, F. R. 1990 *Modality and the English Modals*. London & New York: Longman, 1990.
 93. Palmer, F. 2001 *Mood and Modality*. 2nd edn. Cambridge: Cambridge University Press, 2001.
 94. Papafragou, A. 2000 *Modality: Issues in the Semantics-Pragmatics Interface*. Oxford: Elsevier, 2000.
 95. Rescher, N. 1968 *Topics In Philosophical Logic*. Dordrecht: Reidel, 1968.
 96. Richards, J. & Schmidt, R. 2002 (with Kendricks & Y. Kim). *Longman Dictionary of Language Teaching and Applied Linguistics*. London: Longman, 2002.
 97. Salkie, R., 2009 van der Auwera, J. (eds.) *Modality in English: Theory and Description*. Berlin: Walter de Gruyter, 2009.

98. Sapir, E. 1921 *Language: An Introduction to the Study of Speech*. New York: Harcourt, Brace and World, 1949.
99. Searle, J. 1969 *Speech Acts: An Essay in the Philosophy of Language*. London: Cambridge University Press, 1969.
100. Swan, T. & Jansen Westvik, O. (eds.) 1997 *Modality in Germanic Languages: Historical and Comparative Perspectives*. Berlin & New York: Mouton de Gruyter, 1997.
101. Simpson, P. 1993 *Language, Ideology and Point of View*. London: Routledge, 1993.
102. Smith, J. 1996. *An Historical Study of English: Function, Form and Change*. London & New York: Routledge, 1996.
103. Traugott, E. Closs. 1989 On the Rise of Epistemic meanings in English: An Example of Subjectivization in Semantic Change. *Language*, 65, 1989: 31-55.
104. Westney, P. 1995 *Modals and periphrastics in English: an investigation into the semantic correspondence between certain English modal verbs and their periphrastic equivalents*. Tübingen: Niemeyer, 1995.
105. Walton, A. 1991 Modality and the Modals in Traditional Grammars of English. *English Traditional Grammars. An International Perspective*, ed. by G. Leitner. Amsterdam: John Benjamins, 1991.
106. Warner, A. R. 1993 *English Auxiliaries. Structure and History*. Cambridge University Press (Cambridge Studies in Linguistics, 66). 1993.
107. Coates, J. 1983 *The Semantics of the Modal Auxiliaries*. London: Croom Helm, 1983.
108. Facchinetti, R., Krug, M., Palmer, F. (eds.) 2003 *Modality in Contemporary English*. Berlin & New York: Mouton de Gruyter, 2003.
109. Von Wright, G. H. 1951 *An Essay in Modal Logic*. Amsterdam: North Holland Publ. Co., 1951.
110. Foley, W. A. & Van Valin, R. D. 1985. *Functional Syntax and Universal Grammar*. Cambridge: Cambridge University Press, 1985.
111. Frawley, W. 2005 (ed.) *The Expression of Modality*. Berlin & New York: Mouton de Gruyter, 2005.
112. Hengeveld, K. Illocution, mood and modality in a functional grammar of Spanish. *Journal of Semantics* 6, 1988: 227–269.
113. Huang, S. 1969 On the Syntax and Semantics of English Modals. *Working Papers in Linguistics*, 3. Columbus, 1969. pp. 159-181.
114. Chung, S. & Timberlake, L. Tense, aspect and mood. In T. Shopen (ed.) *Language Typology and Syntactic Description, vol. III*. Cambridge: Cambridge University Press, 1985: 202-58.
115. – Chomsky, N. *Syntactic Structures*. The Hague: Mouton, 1957.
116. Tsangalidis, A. & Facchinetti, R. (eds.) *Studies in English Modality. In Honour of Frank Palmer*. Frankfurt/Main: Peter Lang Verlag, 2009.
117. James, F. *Semantics of the English Subjunctive I*. Vancouver: University of British Columbia Press, 1986.
118. Jenkins, L. *Modality in English Syntax*. PhD Dissertation; Massachusetts Institute of Technology, 1972.
119. Joos, M. *The English Verb: Form and Meaning*. Madison: University of Wisconsin Press, 1964.
120. Huddleston, R. *An Introduction to English Transformational Syntax*. London: Longman, 1976.
121. Huddleston, R. *Introduction to the Grammar of English*. Cambridge: Cambridge University Press, 1984.

122. Huddleston, R. *English Grammar: An Outline I*. Cambridge: Cambridge University Press, 1988.
123. Huddleston, R. & Pullum, G.. *The Cambridge Grammar of the English Language*. Cambridge: Cambridge University Press, 2002.
124. Ахманова О. С. Словарь лингвистических терминов. Москва: Советская энциклопедия, 1966.
125. Ахманова О. С., Микаэлян Г. Б. Современные синтаксические теории. Москва: Наука, 1963.
126. Балли Ш. Общая лингвистика и вопросы французского языка. Москва: URSS, 2001.
127. Бондарко А. В. К истолкованию семантики модальности // Язык, литература, эпос: (К 100-летию со дня рождения акад. В.М. Жирмунского). СПб., 2001.
128. Гуревич В. В. Об элементарных и производных модальностях // Проблемы языкознания и теории английского языка. Сборник научных трудов. Вып. 2. Москва: Издательство МГПИ им. В. И. Ленина, 1976. С. 60-87.
129. Долгополова З. К. Модальные глаголы в английском языке. Москва: Высшая школа, 1961.
130. Van der Auwera, J. & Plungian, V. Modality's semantic map. *Linguistic Typology* 2, 1998: 79–124.
131. Вандриес Ж. Язык (лингвистическое введение в историю). Москва: соцэкгиз, 1937.
132. Wierzbicka, A. *Semantic Primitives*. Frankfurt (Main): Peter Lang Verlag, 1972.
133. Виноградов В. В. О категории модальности и модальных словах в русском языке. Исследования по русской грамматике. Москва: Наука, 1975.
134. Ярцева В. Н. Теория и практика сопоставительного исследования языков // Известия АН СССР. т. 45, No 6, 1986.
135. Ильиш Б. А. Современный английский язык. Москва: Изд-во лит-ры на иностранных языках, 1948.
136. Карасик В. И. Язык социального статуса. Москва: Институт языкознания РАН, 1992.
137. Карташева Н. К. Парадигматические отношения лексических единиц в диахронии и их верификация // Теория верификации лингвистических отношений. Сборник научных трудов. Москва: Издательство МОПИ имени Н. К. Крупской, 1988. С. 71-79.
138. Кураков В. И. Модальность. Учебно-методическое пособие по практической грамматике немецкого языка. Волгоград: Издательство ВолГУ, 2000.
139. Лагута О. Н. Логика и лингвистика. Новосибирск, 2000.
140. Ляпон В. М. Модальность // Лингвистический энциклопедический словарь. Москва: Советская энциклопедия, 1990: 303-304.
141. Матезиус В. О лингвистической харктерологии // Новое в лингвистике, вып. III. Москва: Прогресс, 1963.
142. Марузо Ж. Словарь лингвистических терминов. Москва: Издательство иностранной литературы, 1960.
143. Парамонов Д. А. О грамматическом выражении модальности в современном русском языке // Вестник Омского университета, 2, 1998: 76-79.
144. Перельмутер И. А. Аристотель. В кн.: История лингвистических учений. Древний мир. Ленинград: Наука, 1980: 156-180.
145. Perkins, M. R. *Modal Expressions in English*. London: Frances Pinter, 1983.
146. Русская грамматика, II, Синтаксис. Москва: Наука, 1980.

147. Розенталь Д. Э., Теленкова М. А. Словарь-справочник лингвистических терминов. Москва: Просвещение, 1976.
148. Руднев Г. Синтаксис осложненного предложения. Москва: Наука, 1959.
149. Скаличка В. О современном состоянии типологии // Новое в лингвистике, вып. III. Москва: Прогресс, 1963.
150. Смирницкий А. И. Морфология современного английского языка. – Москва: Издательство литературы на иностранных языках, 1959.
151. Степанов Ю. С. Имена. Предикаты. Предложения (Семиологическая грамматика). Москва: Наука, 1981.
152. Schiffrin, D. *Approaches to Discourse*. Oxford: Basil Blackwell, 1994.
153. Штелинг Д. А. О функционально-семантической характеристике модальных глаголов // Сочетаемость языковых единиц и преподавание языка. Сборник научных трудов. Москва: Издательство МГИМО, 1981. С. 140-153.
154. Хэмп, Э. *Словарь американской лингвистической терминологии*. Москва: Прогресс, 1964.